



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-9 / 2  
1991

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

2. 1991

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



Известия Академии наук Грузии

---

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

СЕРИЯ  
ФИЛОСОФИИ И  
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980  
წლის იანვარში

Журнал основан в январе  
1980 года

გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца

2. 1991

თბილისი  
ТБИЛИСИ



„მეცნიერება“  
«МЕЦНИЕРЕБА»

## ს ა რ ე დ ა კ ტ ო რ კ ო ლ ე გ ი ა :

მ. ბალიაშვილი (რედაქტორის მოადგილე), თ. ბუაჩიძე, გ. თევზაძე, ვ. კე-  
შელავა, ზ. მიქელაძე, ლ. მჭედლიშვილი (რედკოლეგიის მდივანი), შ. ნადირა-  
შვილი, გ. ნოდია (რედაქტორის მოადგილე), თ. ნონიაშვილი, დ. ფარჯანაძე,  
ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), შ. ხიდაშელი.

ბასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Балиашвили М. С. (зам. редактора), Буачидзе Т. А., Кешелавა  
В. В., Микеладзе З. Н., Мchedlishvili Л. И. (секретарь редколлегии),  
Надирашвили Ш. А., Нодиа Г. О. (зам. редактора), Нониашвили  
Т. А., Парджанадзе Д. Ш., Тевзадзе Г. Б., Хидашели Ш. В., Чав-  
чавадзе Н. З. (редактор)

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-85-46

---

გადაეცა წარმოებას 15.4.91; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.6.91;  
ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; პირ. ნაბეჭდი თაბახი 9,8;  
საალრიცხო-საგამომცემლო თაბახი 7.53;  
ტირაჟი 650; შეკვ. № 827;  
ფასი 2 მან.

\*  
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*  
საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1991, № 2

შ ი ნ ა ბ რ ს ი

ფილოსოფია

ა. ბურჯალაძე, სიმბოლურისა და ფიქციურის მიმართება ს. მაიმონის აზროვნების თეორიაში . . . . .	5
ბ. ბუცხრიკიძე, ზნეობრივი ღირებულებების ადგილი ქართულ ქრისტიანიზებულ მითოლოგიაში . . . . .	17
ა. ალადაშვილი, უპანიშადებში აბსოლუტის (ბრაჰმანის) გაგებისათვის . . . . .	32

ფსიქოლოგია

ლ. სამსონიძე, მუსიკის სპეციფიკურ გამოხატველობით საშუალებათა ვერბალიზაციის შესაძლებლობების ექსპერიმენტული კვლევის შედეგები . . . . .	40
რ. ციციშვილი, უმცირესობის სოციალური ზეგავლენის პროცესის ორი განზომილება	54
ბ. პირტენავა, ინტერესების დინამიკა გარდამავალ ასაკში . . . . .	62

ახალი თარგმანები

მიშელ დე მონტანი, ესეები . . . . .	77
ინტერვიუ კარლ გუსტავ იუნგთან . . . . .	102

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

А. А. БУРДЖАЛИАНИ, Взаимоотношения символического и фиктивного в мышлении С. Маимона	5
Н. В. БУЦХРИКИДЗЕ, Место нравственных ценностей в грузинской христианской мифологии	17
А. Е. АЛАДАШВИЛИ, О понятии Абсолюта (Брахмана) в упанишадах	32

### ПСИХОЛОГИЯ

Л. С. САМСОНИДЗЕ, Результаты экспериментального исследования возможностей вербализации специфических выразительных средств музыки	40
Р. К. ЦИЦКИШВИЛИ, Два измерения процесса социального влияния меньшинства	54
Г. Р. ПЕРТЕНАВА, Динамика интересов в подростковом возрасте	62

### НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

МИШЕЛЬ де МОНТЕНЬ, Эссе	77
Интервью с Карлом Густавом Юнгом	102

99851

არსან ბურჯალიანი

სიმბოლურისა და ფიქციურის მიმართება ს. მაიმონის აზროვნების  
თეორიაში

გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიაში ს. მაიმონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოაზროვნეა. იგი იძლევა კანტის ფილოსოფიის ძირითადი პრინციპების თავისებურ ინტერპრეტაციას, რაც აზროვნების სიმბოლურობისა და ფიქციურობის წინა პლანზე წამოწევასა და გააბსოლუტურებაში გამოიხატება. „მაიმონის სურს — აღნიშნავდა მ. გოგიბერიძე — კრიტიკული ფილოსოფია... გაათავისუფლოს და ჭეშმარიტების გზაზე დააყენოს. ის იმასაც კი ფიქრობს, რომ ამის საფუძველზე მას კანტზე უფრო მეტი უფლება აქვს კოპერნიკისებურ გადატრიალებას შეუდაროს თავისი ნააზრევი. თავის კრიტიკულ, ანუ სკეპტიკურ ფილოსოფიას ის თვლის კანტის „სრულქმნად“, „გაუმჯობესებად“ და „შემდგომ გაუმჯობესებად“, მას როდი სურს მისი სრული უარყოფა ან დაძლევა, არამედ სწორად დაყენება. გონების კრიტიკის შემდეგი სამი პუნქტი საჭიროებს გასწორებას — პირველი: გონების კრიტიკამ ვერ შესძლო ეჩვენებინა, თუ რანაირად უნდა ამაღლდეს ლოგიკა ზოგად საყოველთაო პრინციპებზე დამყარებული სისტემატური მეცნიერების ღირსებამდე. მეორე: გონების კრიტიკას არ მოუტია კრიტიკიუმი რეალური აზროვნებისათვის. მესამე: გონების კრიტიკა აღიარებს ადამიანის ჩვეულებრივი განსჯის ვარკვეულ ფაქტებს, ე. ი. კატეგორიებს პირდაპირ შეუფარდებს ცდას და არ დასვამს კითხვას, რამდენად გამართლებულია *quid juris* და *quid facti* თვალსაზრისით გამოკვლევა“ [2, გვ. 38—39].

სიმბოლური აზროვნების პრინციპის დაფუძნება მიმართული იყო იმ ფილოსოფიური დუალიზმის საპირისპიროდ, რომელიც არსებობდა კანტის ფილოსოფიაში. საჭირო იყო ისეთი პრინციპის დაძლევა, როგორსაც წარმოადგენდა თავისთავადი ნივთი. მაიმონმა თავისთავადი ნივთი გამოაცხადა წარმოსახვით ცნებად და იგი შეადარა  $\sqrt{-2}$  სიმბოლოს, რითაც აზროვნების ავტონომიის იდეალისტურ პრინციპს უფრო მეტი თავისუფლება მიენიჭა და დადგინდა როგორც სიმბოლური შემეცნება, რომელშიც განმსაზღვრელ როლს თამაშობს წარმოსახვის უნარი.

ს. მაიმონის აზრით, სიმბოლურ შემეცნებას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა, რომლის დახმარებითაც აზროვნება წვდება როგორც აბსტრაქტულ, ასევე კონკრეტულად და სხვა წესებით შედგენილ ცნებებს. სიმბოლური შემეცნების საფუძველზე შეგვიძლია ვიაროთ ჭეშმარიტებათა ურთიერთცვლის, უკვე ცნობილი ჭეშმარიტებებიდან ახლის მოძებნისაკენ. სიმბოლური შემეცნება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენი გონება გამოვიყენოთ, ჩვენი

საპარტვილოს  
ფილოსოფიური  
ბიბლიოთეკა

შიზნების შესაბამისად, მათ მისაღწევად. სიმბოლური შემეცნება ადამიანს აძლევს არარსებულის, ყოველივესაგან დაშორებულის, თვით უსასრულობა-ძღვე, შემეცნებას. მაგრამ იგი საფუძვლად უნდა ედოს (თუ მისი გამოყენება გვინდა დავინახოთ) ჭვრეტით შემეცნებას, რომლის გარეშეც იგი ხედავს შიშველ ფორმას ობიექტური რეალობის გარეშე. მე — აღნიშნავს ს. მაიმონი — გავბედავ ვამტკიცო, რომ გაუთავებელი და მნიშვნელოვანი სიძნელეები მეცხიერებაში წარმოდგებიან ბუნების შესახებ შეხედულებებში სიმბოლური შემეცნების ნაკლებობიდან და, რომ ამგვარად, ამ სიძნელეთა მოხსნა, ამ წინააღმდეგობათა შეთანხმება მხოლოდ იმით იქნება განხორციელებული, თუ სიმბოლური შემეცნების საზღვრები მტკიცედ დადგენილი იქნება მისი გამოყენების თვალსაზრისით, თუ განისაზღვრება მისი სხვადასხვა სახეები და თვით სიმბოლიკა (ნიშანთა სისტემა) წარმართული იქნება ამისდა შესაბამისად 13, გვ. 265—266].

რა არის სიმბოლური შემეცნება? ამ კითხვის დასმით მაიმონი უკვე შორდება კანტის მიერ დასმულ კითხვას სინთეზურ-აპრიორული მსჯელობების არსებობის პირობების შესახებ, ვინაიდან იგი თავისთავად ნივთის მოხსნით სახეს უცვლის კანტის მიერ დასმულ ამ კითხვას. ვოლფი აღნიშნავდა, რომ როდესაც ადამიანის შემეცნება იმით იქნება განსაზღვრული, რომ ჩვენ სიტყვებით გამოვთქვამთ იმას, რაც იდეებში იგულისხმება, ან მას რაღაც სხვა ნიშნით წარმოვიდგენთ, რომელიც ამ აღნიშნული იდეებით არ განიჭვრიტება, ეს უნდა ნიშნავდეს სიმბოლურ შემეცნებას. მაიმონის აზრით, ვოლფის ეს განსაზღვრება თავის თავში მოიცავს საკითხს, თუ რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ ჩვენ არ გავგაჩნია ობიექტის არავითარი იდეები, ან წარმოდგენები და მაინც ხდება მათი აღნიშვნა. რის საფუძველზეა ეს აღნიშვნა შესაძლებელი? ნიშნები ხომ იმიტომ არიან ნიშნები, რომ მათ მიეყავართ ნივთების წარმოდგენებამდე. ბაუმგარტენის მიხედვით, დამკვიდრებულია, რომ თუ ნიშნის წარმოდგენა უფრო დიდია, ვიდრე აღნიშნულისა, ასეთ აღნიშვნას შეიძლება ვუწოდოთ *Definitio nominalis*, მაგრამ მაიმონის აზრით, ბაუმგარტენის ამ განსაზღვრებაში სახეზე არ არის *Definitio realis*, ე. ი. თვით ამ აღნიშვნის შესაძლებლობის ახსნა. მაიმონი ცდილობს აღნიშვნის ამ ხერხის შესაძლებლობათა განმარტებას.

აღნიშვნის მომენტის გაგებისას, მაიმონის აზრით, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ ნიშანთა გამოყენება ეყრდნობა იდეათა ასოციურობის კანონს. თუ ვინმეს ხშირად ერთი და იგივეს, ერთდროულად სხვადასხვა წარმოდგენები ჰქონდა (უფრო ზუსტად კი უშუალო დროით თანმიმდევრობაში), მაშინ ისინი წარმოსახვის ძალაში ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული რომ ამის შემდეგ ერთი წარმოდგენა (თუ იგი განმეორებით, ობიექტის მეოხებით წარმოიშობა) განაპირობებს მეორის რეპროდუქციას... მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ კავშირი (შემთხვევითი ან ნებისმიერი) ნიშნისა ამ ნიშნით აღნიშნულ ნივთთან ხშირად არ არის მოცემული, ეს მოითხოვს გონის დაძაბულ მუშაობას, რათა მოვახდინოთ ამ კავშირის რეპროდუქტირება. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ ხიშანი ნივთის წარმოდგენის გარეშე, ჩვენ წარმოვიდგენთ ნიშანს, როგორც ხიშანს საერთოდ განსაზღვრებადისა მაგრამ არა განსაზღვრულისა. ამასთანავე, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ არა მხოლოდ ნიშანი, როგორც ნიშანი,

არამედ, აგრეთვე, ნიშნის კავშირის მეშვეობით ის კავშირიც, რომელიც გააჩნიათ ერთმანეთს შორის ამ ნიშნით აღნიშნულ ნივთებს [3, გვ. 268—269]. ასეთი სახით უნდა გავიგოთ, მაიმონის აზრით, ვოლფისა და ბაუმგარტენის ძირითადი გაგებულ სიმბოლური შემეცნება.

მაგრამ, ვოლფი სიმბოლურ შემეცნებას შემოფარგლავს შემთხვევითით, სადაც ნივთთა წარმოდგენა არ არის თანადროული, ხოლო ბაუმგარტენი თავის დეფინიციაში იღებს შემთხვევითს, სადაც ნივთთა წარმოდგენა ნიშნის წარმოდგენაზეა დაყვანილი. ვოლფისა და ბაუმგარტენისაგან განსხვავებით, მაიმონის აზრით, სიმბოლური შემეცნება არ დაიყვანება შემთხვევით ნიშნებზე, არამედ იგი ნიშნავს შემეცნების განსაკუთრებულ სახეობას, რომელიც გახსაზღვრულია იმ ობიექტებით, რომელზედაცაა იგი მიმართული (სიტყვათხმარების მიხედვით). მაგრამ ამ განმარტების მიხედვით იგი განსაზღვრული იქნება მხოლოდ სუბიექტური საფუძვლის მეოხებით. ეს დებულება შეიძლება ინტუიციურად განვჭვრიტოთ, როგორც სიმბოლური, სახელდობრ, სხვადასხვა სუბიექტთან მიმართებაში, მაგრამ ერთი და იგივე სუბიექტთან სხვადასხვა დროში. მაშასადამე, ეს განმარტება არ განსაზღვრავს არავითარ ობიექტს [3, გვ. 270]. მაიმონი თვლის, რომ შემეცნების ობიექტი აიგება შემეცნებაში გახსჯის მიერ შეგარძნებათა მონაცემების მრავალგვარობის მოწესრიგების, გაერთიანების შემდეგ. მრავალგვარობა, ანუ მატერია, მოწესრიგდება ერთიანობის ფორმებში, როგორც მაგალითად, სივრცეში სამი სწორი ხაზი შეიძლება მოწესრიგდეს სამკუთხედად. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ჭვრეტითად შევიმეცნოთ როგორც მატერია, ასევე ფორმა ობიექტში და ობიექტის მეშვეობით. მაგრამ ჭვრეტის გარეშე ჩვენ ვერ მოვიაზრებთ ობიექტს, ჩვენ ამ შემთხვევაში იძულებულნი ვართ რაღაც მოვიაზროთ როგორც რეალური ობიექტი. ამის გაკეთებას ვერ მოვახერხებთ სხვანაირად, თუ არა ნიშნების საშუალებით წარმოდგენისა, რომელიც წარმოადგენს სიმბოლური შემეცნების საგანს. მაშასადამე, სიმბოლურ შემეცნებაში ხდება ჭვრეტის ობიექტის მოაზრება, როგორც ობიექტისა, ე. ი. ფორმისაგან სახისა, მაგრამ არა ჭვრეტისა.

მაიმონი გამოყოფს სიმბოლური შემეცნების ობიექტებს სხვა ობიექტებისაგან, რომლებიც, მისი აზრით, ბევრად უფრო აბსტრაქტულნი არიან, ვიდრე ზემოთ აღნიშნული. ასეთ ობიექტებს მიეკუთვნებიან ისეთები რომლებიც არ შეიძლება შემეცნებულნი იქნენ არც ობიექტურად და არც ჭვრეტითად. ამ სახეობას მიეკუთვნებიან ზოგიერთი მათემატიკური რიცხვები და გამოსახულებანი. მაგალითად რიცხვი 1000, ან ათასგვერდას და ათასკუთხას ცნება არ შეიძლება ჭვრეტაში იქნეს მოყვანილი. ამ შემთხვევაში სახეზეა ფორმის ცნება, შესაძლებლობა და არა თვით ჭვრეტადი შემეცნება, აქ ჩვენ ვვაქვს შესაძლებლობა ცნებების შექმნისა არა საგნის საშუალებით, არამედ მხოლოდ ხიშნების საშუალებით, რაც თავის თავში შეიცავს უსასრულო სიმბოლური შემეცნების შესაძლებლობას [3, გვ. 273].

მაშასადამე, სიმბოლური შემეცნების სფეროდან უნდა გამოვრიცხოთ ცდისეული ცნებები და დებულებები, ყველა აპრიორული ცნებები და მათემატიკის აქსიომა, ამტკიცებს მაიმონი, ე. ი. ყველაფერი ის რაც შეიძლება ცდაში და ჭვრეტაში იქნეს მოცემული. სიმბოლურ შემეცნებას მიეკუთვნებიან ობიექტთა წარმოშობის მხოლოდ ფორმები, ანუ წესები. შესაბამისად, ფიქრობს მაიმონი, კატეგორიები ისევე, როგორც ალგებრული ფორმულები,



ყოველ დასკვნით ჯაჭვში შეკავშირებულნი არიან ჭვრეტითი შემეცნების საშუალებით, ხოლო დანარჩენები, კი სიმბოლური შემეცნების საშუალებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაიმონის აზრით, სიმბოლურ შემეცნებაში მხიშნველოვან როლს თამაშობს ნიშანი, რომლითაც მართალია შესაძლებელია რაღაც გამოიხატოს, მაგრამ საგნის სახეზე არსებობა არ გამომდინარეობს ხიშნის არსებობის შესაძლებლობიდან, ისევე, როგორც ნიშანთა კავშირიდან არ გამომდინარეობს საგანთა კავშირის არსებობა. მაიმონი ბუნებრივ ნიშნებს ძიკუთვნებს, მაგალითად, იმ სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ ჭვრეტებს ან იმ ცნებებს, რომლებიც შესაძლებელია მოცემულ იქნეს ჭვრეტებში. მაგრამ ასეთი ნიშნები შემეცნებას ემსახურება არა საგნის შესამეცნებლად, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ ასოციაციის საშუალებით ჩვენში განაახლოს ამ საგნის შემეცნება. ამის საპირისპიროდ, ფორმათა და მათ შორის ურთიერთობის სიმბოლური შემეცნებისას სახეზე არ არის არავითარი საგანი, რომელსაც შეეძლო მოეცა ამ შემეცნების რაიმე ნიშანი, ვარდა თვით ამ ნებისმიერი ხიშნისა... მეტყველების ყველა სხვა სიტყვები შესწავლილი იქნებიან ასოციაციის საშუალებით, რომელიც წარმოიშობა სიტყვის, მის მიერ აღნიშნულ ხივთან ნებისმიერი დაკავშირების ხშირი განმეორებისაგან. სიტყვები, რომლებიც მიეკუთვნებიან სიმბოლურ შემეცნებას, შესწავლილი იქნებიან არა სიტყვის საგანთან ასოციაციის საშუალებით, არამედ საგნის ცნების ასოციაციისა, რომელიც მოაზრებულია საგნის მიზეზით, საბაბთან [3, გვ. 277—278].

მაიმონი ალაგებს სიმბოლური შემეცნების სხვადასხვა სახეებს. სიმბოლური შემეცნების პირველ სახეს განეკუთვნება ლოგიკის უცნობი ობიექტი, ახ საერთოდ მოაზრებადი ნივთის ცნება, რომელიც არ განისაზღვრება არავითარი პირობებით არც აპრიორულით და არც აპოსტერიორულით. მეორე სახეს მიეკუთვნება ლოგიკის განსაზღვრული ობიექტი, რომელიც არ განისაზღვრება აპოსტერიორული პირობებით, არამედ მხოლოდ აპრიორული პირობებით, სახელდობრ, სხვა ლოგიკურ ობიექტთან ურთიერთობის საშუალებით, აზროვნებით უნარებთან მიმართებაში იქნება განსაზღვრული, მაგალითად: არსება, თვისება და სხვა. მესამე სახეს მიეკუთვნება ერთი, არა თავისთავად, არამედ რეალურ ობიექტთან მიმართების საშუალებით (ჭვრეტის) მოაზრებული რეალური ობიექტი. ამ სახეთა შორის არიან, ისინი რომლებიც ცდის პირობებს წარმოადგენენ. მაგალითად: სუბსტანცია, მიზეზი და სხვ. მეოთხე სახე არარა, რომელსაც მათემატიკა თავის საგნად იხდის და გარკვეული ნიშნებით გამოხატავენ, მაგალითად კუთხე, რომელსაც ორი პარალელური ხაზი ერთმანეთს შორის ქმნის და სხვა.

საერთოდ, მაიმონის აზრით, როგორც ნაწილობრივ აღნიშნა ზემოთ, პირველად შეიძლება გამოიყოს, ზოგადად, ბუნებრივი და ნებისმიერი ნიშნები სიმბოლურ აზროვნებაში. ბუნებრივ ნიშნებს განეკუთვნება სახვითი ხელოვნებანი, ხოლო ნებისმიერ ნიშნებს — ენა. ბუნებრივ ნიშნებს მაიმონის აზრით, იგაჩნია გარკვეული აზრით უპირატესობა ნებისმიერი ნიშნების მიმართ, ვინაიდან ბუნებრივი ნიშნები გასაგებია ყველასათვის, ხოლო ხელოვნური ნიშნები არ გაიგებიან მათი გამომგონებლის გარეშე. მართალია, ბუნებრივი ნიშნები გასაგებია ყველასათვის, მაგრამ ბუნებრივ ნიშნებს არ შეუძლიათ წარმოიდგინონ ზოგადი, რომელიც აბსტრაქტირებულია ყველა ინდივიდუალური გარემოებისაგან. მაგალითად: დახატული ადამიანი არ წარ-

ძოაღგენს ზოგად ცნებას, არამედ განსაზღვრული ფიგურისა და სიდიდის ადამიანს, მაშასადამე, იგი მეცნიერულ გამოყენებაში, სადაც საფუძვლად შეიძლება მხოლოდ ზოგადი ცნება იყოს, უვარგისია [3, გვ. 293]. მაიმონი, როგორც ვხედავთ, ნიშანთა კლასიფიკაციას ახდენს აზროვნების წესების მიხედვით და ხელოვნურ ნიშნებს იგი მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მათი შედარებითი თავისუფლების გამო. ეს უკანასკნელი არ არიან დამძიმებული „ბუნებრივობით“ და „ნამდვილობით“ და აბსტრაქტიზებული ე. ი. უფრო მეცნიერულნი არიან ხელოვნების სფეროში არსებულ ნიშნებთან და სიმბოლოებთან შედარებით. ე. ი. ხელოვნების სფეროში არსებული ნიშნები თუ ხატები იმით განსხვავდებიან მეცნიერული ნიშნებისაგან, რომ მათგან არ შეიძლება მიღებული იქნენ ადექვატური ცნებები.

ბუნებრივი ნიშნები, მაიმონის აზრით, შეიცავენ ან ძალიან ბევრს, ან ძალიან ცოტას. ისინი შეიცავენ ძალიან ბევრს (მაგალითად მხატვრული ტილო) და, ამიტომ მათ არ შეუძლიათ მოგვცენ ადექვატური ცნებები, ან ისინი შეიცავენ ძალიან ცოტას ვინაიდან მათ შეიძლება ისეთი განსაზღვრებები მოგვცენ, რომლებსაც არ შეიძლება ჭვრეტაში ადექვატური ნივთი მოეცეს. მაგალითად: როგორ წარმოვიდგენთ ჩვენ სულელს და მათ მრავალგვარ უარყოფას გრძობადად — აქ ადამიანი თავს აუარებს შორეულ ანალოგიას მაგრამ, ფიქრობს მაიმონი, ჩვენ ამ შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ გაუგებრობებს, რომლებიც აქედან აუცილებლობით წარმოიშობიან, რაკი ადამიანთა უმეტესობას მხოლოდ გრძობადი ნიშნები გააჩნიათ, ვერ იქნება ძოაზრებული ვერავითარი ანალოგია, ხოლო ვისაც ამის თავისუფლება გააჩნია, მაინც მათი გენიის სხვადასხვაობის მიხედვით სხვადასხვა ანალოგიები ექსებათ [3, გვ. 294].

ბუნებრივი ნიშნების საპირისპიროდ ხელოვნურ, ანუ თვითნებურ ნიშნებს შეუძლიათ სწორად იქნენ შესწავლილი. ამ სახეს მიეკუთვნება ენა, რომელიც მაიმონის აზრით, არის სიტყვათა კრებული, რომელიც წარმოდგარია შესაძლო ტონების და მათი მრავალგვაროვანი კომბინაციებისაგან, რომ ფილოსოფია საკუთრივ განსჯაში სხვას არაფერს ხედავს, თუ არა ზოგადი ენის თეორიას. რადგან 1. იგი იძლევა ზოგად წესს ყოველი ენისათვის, რომ ენის ხიშნები და სიტყვები ამით აღნიშნულ ნივთებს ძალზე ზუსტად უნდა ეთანხმებოდნენ, რომ პრიმიტიული და დაუშლელი ნივთები გამოხატული უნდა იქნენ პრიმიტიულითა და დაუშლელით, ხოლო გამოყვანილი და შედგენილი, ასევე, მსგავსი ნიშნების საშუალებით. 2. იგი განსაკუთრებით იკვლევს, თუ რომელი ნივთებია პრიმიტიული და რომელი აქედან გამოყვანილი და შედგენილი... ამგვარად, მას არ გააჩნია საკუთარი ლექსიკონი, არამედ იგი თვით იყენებს ყოველი ენის ლექსიკონს, როგორც მატერიას, რათა მასზე მიმართოს ძისი ენის თეორია, როგორც ზოგადი ფორმა [3, გვ. 296].

ყოველ სალაპარაკო ენაში, მაიმონის აზრით, არიან ტრანსცენდენტალური გამოხატულებანი ე. ი. ისეთი გამოხატვები რომლებიც საერთოა მატერიული და იმატერიული ნივთებისათვის. მაგალითად: მოძრაობა სხეულთა და სულთა და ა. შ. ეს ტრანსცენდენტალური გამოხატულებანი სხვა არაფერს წარმოადგენენ, თუ არა ტრანსცენდენტალურ ცნებებს, რომლებიც წარმოშობილი არიან საგანთა შედარებათა და მათი ერთგვარობის დანახვით. ასეთი ტრანსცენდენტალური გამოხატულებანი წანამდგრად გულისხმობენ აბსტრაქციის უმაღლეს ხარისხს, რომლის გარეშეც ადამიანი ვერ მოიზრებს ნივთებს

შორის ერთგვაროვნებას და მის საერთო ნიშნებს. მაშასადამე, ყველა ენაში არსებობს გამოხატულებანი ტრანსცენდენტალური ცნებებისათვის, რომელთა საფუძველზე ხდება ადამიანებს შორის სხვადასხვა ენის არსებობის პირობებში გარკვეული ურთიერთგაგების დადგენა შესაბამისი ნიშნების დადგენის საშუალებით.

სალაპარაკო ენისაგან განსხვავებით ფილოსოფიური ენა, მაიმონის აზრით, ეს არის ცნებითი ენა. ფილოსოფიური ენა საფუძვლად უდევს სალაპარაკო ენას. ფილოსოფიური ენის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია გავაჩნდეს ცხებათა სწორი დეფინიციები, აქსიომები და სხვა. მაგრამ, სიძნელეს წარმოადგენს საკუთრივ სალაპარაკო ენის თითოეული სიტყვის ფილოსოფიური ექვივალენტი მოიძებნოს. ფილოსოფიური ენა ეყრდნობა გონებას და გონების დასკვნებსა და ცნებებს. ხოლო გონების კატეგორიული დასკვნა, თავის მხრივ, ეყრდნობა მხოლოდ იდეას... და ვინაიდან იგი არ შეიძლება მოყვანილ იქნეს აღსრულებაში, მაშინ კაცმა იგი შეიძლება მოიაზროს როგორც იდეალი და მას მუდმივად უახლოვდებოდეს [3, გვ. 328]. ასეთ გონების იდეებს მიეკუთვნება, მაგალითად: ნიუტონის აბსოლუტურად უძრავი სხეულის ძოცემის შეუძლებლობა ჰერეტაში, ამ სახეს მიეკუთვნება მათემატიკის ბევრი იდეა და სხვ, ერთი სიტყვით, ფიქცია, სიმბოლო.

მაიმონი არ შორდება ცნებითი, განსჯითი და სიმბოლური შემეცნების კახტის მიერ მოცემულ დიფერენციაციას, იგი უფრო აღრმავებს და უფრო ძვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სიმბოლურ შემეცნებას ცდისეულ შემეცნებასთან შედარებით, ვინაიდან სიმბოლური შემეცნება უფრო მეტს ხედავს, ვიდრე მხოლოდ ცდისეული შემეცნება. სიმბოლური შემეცნება, მისი აზრით, აზროვნების თავისუფლების გამოხატველია, რომელიც წარმოსახვის ძალის საფუძველზე აწარმოებს ფიქციებს, გონის კონსტრუქციებს, სიმბოლოებს. სიმბოლური აზროვნების წინ წამოწევით მაიმონი, ერთის მხრივ, ამზადებს ხიდავს აბსოლუტური იდეალიზმის წარმოქმნისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, იგი წარმოადგენს პ. ფაიბინგერის ფიქციონალიზმისა და ე. კასირერის სიმბოლური ფილოსოფიის იდეურ წინამორბედს.

როგორც აღნიშნავს მაგ. მ. გოგიბერიძე: „მაიმონთან სიმბოლური შემეცნება და ფიქცია მუდამ ერთად გამოდიან და „ძიებასთან“ დასასრულს მუდამ ერთად არიან განხილული“ [2, გვ. 134]. რას ეწოდება, ს. მაიმონის აზრით, ფიქცია და როგორ ურთიერთობაშია იგი აზროვნების, გონების, განსჯის და სხვა ფორმებთან?

როგორც ცნობილია, მაიმონმა თავისებურად გაიგო კანტის კრიტიკული ფილოსოფია და სინთეზურ-აპრიორული მსჯელობების შესაძლებლობის პირობები. კანტის ფილოსოფიაში არსებული განსჯისა და შეგრძნებების სფეროს გათიშულობა თავის ერთიანობას უნდა ნახულობდეს დაუბოლოებელ გონებაში. მისი აზრით, მხოლოდ ჩვენში არის გრძნობიერება, დაბოლოებული და არასრული გონება. „კანტის თვალსაზრისით, წერს კ. ბაქრაძე, ჰემმარიტება მხოლოდ სუბიექტურია, რადგან ჰემმარიტებას საფუძველი მხოლოდ დაბოლოებულ გონებაში აქვს. ობიექტურ ჰემმარიტებას საფუძველი დაუბოლოებელ გონებაში უნდა ჰქონდეს. სუბიექტური ჰემმარიტება არ არის სრული, იგი განსაზღვრულია. აზრისაგან განსხვავებული, მოცემული, გრძნობადი, — აი რა შემოფარგლავს მას. მაგრამ აზრისაგან განსხვავებულს, მოცემულს, გრძნობადს საფუძველი დაუბოლოებელ გონებაში აქვს. წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში შეუძლებელი იქნებოდა შემეცნება, შეუძლებელი იქნებოდა სინთეზი, დაუბოლოებელი გონება თვითონ შექმნის მოცემულს თავისი თავიდან... მაიმონის აზრით, არის ისეთი გონება, რომელიც თავისი თავიდან ქმნის საგანთა ყოველგვარ მიმართებას და ურთიერთობას“ [1, გვ. 116—117]. გონება არის დასკვნა-დასაბუთების მსჯელობითი უნარი. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმოსახვის ილუზიური უნარი, რომელიც შემეცნების მოცულობას, რომელიც მოცემული არ არის, ურევს შემეცნების შიშველ ფორმებში, რომელიც არ მოგვეცემა. ამ გზით წარმოიშობა გონების იდეა, რომელთაც კანტმა მხოლოდ რეგულატიური მნიშვნელობა მიაწერა. იდეის წარმოდგება წერს მ. გოგიბერიძე, მხოლოდ წარმოსახვის ძალის ბუნებაშია დაფუძნებული. მართალია გონება იძლევა მისი წარმოშობის საბაბს, მაგრამ შემდეგ პასიურად მოქმედებს, რამდენადაც იგი წარმოსახვის უნარს თავისუფალ ასპარეზს უტოვებს. გონებისათვის იდეის ამ წარმოდგენის ფორმა ყოველგვარ გამოყენებას მოკლებულია და იმდენად წარმოსახვითია, ფიქციურია, როგორც წარმოსახვითი ფესვი  $\sqrt{a}$  ალგებრაში [2, გვ. 118].

წმინდა გონების იდეები, ზოგადი გაგებით, უსასრულო აზრია. მ. გოგიბერიძე გამოპყოფს ს. მაიმონის ნაზრევში იდეათა წარმოქმნის ხუთ სხვადასხვანაირ წესს: პირველი წესის თანახმად იდეები წარმოიშობიან აბსტრაქციით, ჩვენი გამოსახვის წესის მიერ. ამ იდეებს მიეკუთვნება რეალობის ყველა ცნება და მათემატიკის რეალური ობიექტები, ყველა ეს იდეა არ გულისხმობს თავის თავში ჩვენს ინდივიდუალურ გამოსახვას. თუ გავაგრძელებთ ამ აბსტრაქციის მსვლელობას მივიღებთ წმინდა იდეას.

მეორე წესის თანახმად, წმინდა გონების იდეები წარმოიშობიან გარკვეული წარმოდგენების ფორმის ან მათი წარმოშობის მატერიალურ უსასრულობაზე მიმართებით. ასეთ იდეებს განეკუთვნებიან სივრცისა და დროის წარმოდგენები, რომლებიც, თავის მხრივ, მათემატიკის ობიექტებს წარმოადგენენ. ისინი წარმოიშობიან იმ შემთხვევაში, როცა გრძობადი ობიექტების წარმოდგენებს შევუფარდებთ უსასრულო წინსვლაში არსებულ წარმოდგენებს.

შემდეგი ფორმა იდეების წარმოშობისა დაკავშირებულია აღქმაში არსებულ ყოვლობის აღრევასთან სუბიექტური აუცილებლობის აბსოლუტურობის ყოვლობასთან, რაშიც ბრალი მიუძღვის ცდის საგნებზე კატეგორიების გადატანას. გარდა ამისა, იდეები შეიძლება წარმოიქმნას ობიექტის მუდმივი დაყოფითა და მისი უსასრულო მცირეთა დიფერენციალების გამოსახვით.

იდეები წარმოიშობა აგრეთვე ფორმულასა და საგანთან მისი მიმართების ყოველგვარი შინაარსის გარეშე განზოგადების საშუალებით, რომელთაც შეიკუთვნება ისეთი სახის მათემატიკური იდეები, როგორცაა მაგალითად ხივთი თავისთავად, რომელიც ისეთივე არარას წარმოდგენს, როგორც  $\sqrt{a}$  „ჰანს ფაიჰინგერი ამ თავისთავადი ნივთის წარმოსახვით  $\sqrt{a}$ -თან შედარებას ახასიათებს, როგორც პირველ ფილოსოფიურად გამართლებულ ჩაწვდომას თავისთავადი ნივთის არსებაში“, მიუთითებს მ. გოგიბერიძე, და იქვე დასძევს „რომ ყოველ შემთხვევაში ეს ძალიან დამახასიათებელია მაიმონის აზროვნებისათვის, რომ ის, რომელმაც გამანადგურებელი ბრძოლა აწარმოვა თავისთავადი ნივთის წინააღმდეგ, თავიდან კი არ იცილებს მას, როგორც ძცდარად დასმულ საკითხს, არამედ ადარებს საყოველთაოდ ცნობილ მა-

თემატიკურ ფიქციას  $\sqrt{a}$  ისე, როგორც თავისთავად უწინააღმდეგობრივო გა-  
შოსახულებას  $\sqrt{a}$  მათემატიკის ძალიან მნიშვნელოვან საგანთა გადასაწყვე-  
ტად ვიყენებთ, ასევე თავისთავადი ნივთის ფიქციური ცნებაც შენარჩუნე-  
ბული უნდა იყოს, როგორც აუცილებელი ფიქცია“ [2, გვ. 120].

მაიმონი აკრიტიკებს კანტის მოძღვრებას ანტინომიების შესახებ და მი-  
ახიბა, რომ გონებას შესწევს უნარი დადგეს წინააღმდეგობაზე მალა. მა-  
იმონის აზრი ანტინომიების წარმოქმნის თაობაზე იმაში მდგომარეობს, რომ  
გონება ამ წინააღმდეგობებს მოხსნის იმით, რომ დაუშვებს იდეებსა და ფიქ-  
ციებს. გონებისათვის თავისთავად განხილული ეს გამოსახულებანი თუ უწი-  
ნააღმდეგობრივი იდეები, წმინდა ფიქციები, საკუთარი გამონაგონებია. რო-  
გორც რეალური ობიექტები ეს გამონაგონები წარმოსახვის ძალის მიერ წარ-  
მოიღვინება, ისე როგორც, მაგალითად მათემატიკაში ჩვენი შეზღუდული  
განსჯის მიერ გამოყოფილი ფიგურები უნდა გამოვიყენოთ, თუმცა მათ არ  
შეუძლიათ რეალობაზე პრეტენზია ჰქონდეთ. მაშასადამე, იდეები დამხმარე  
ახუ გამოგონების მეთოდებია, რომლებიც წარმოსახვის საჭიროებისათვის  
ობიექტებად მიიჩნევიან, ან ისინი არიან ადამიანის სულისათვის (შემეცნების  
და ნების უნარისათვის) ბუნების მიერ მისი სამოქმედოდ დასახული მიზნე-  
ბი, მაგალითად, უმაღლესი სრულყოფის, უმაღლესი სიკეთის, სამართლიანო-  
ბის, მშვენიერების იდეები და ა. შ. [4, გვ. 181].

შემეცნებას მაიმონი, კანტის მსგავსად, განიხილავს ისეთ აზროვნებად,  
რომელმაც რეალობა უნდა დააფუძნოს, მაშასადამე, მან უნდა შექმნას ობი-  
ექტი და მისი კანონზომიერი, შესაძლებელი კონსტრუქცია. მაგრამ მჭკრე-  
ტელობა მოითხოვს შეიქმნას დამთავრებული და სრულქმნილი ობიექტები რაც  
წარმოშობს ანტინომიებს, ვინაიდან განსჯისაგან და მისი კატეგორიებისაგან  
მოითხოვენ მის უნარზე უფრო მალა მდგომ კავშირებისა და კონსტრუქ-  
ციების მოცემას. „აქ გონება და წარმოსახვის ძალა უნდა მოვიდნენ დასახმა-  
რებლად. ჩვენი გონება წარმოსახვის უნარის საფუძველზე თხზავს ე. წ. ფიქ-  
ციებს და ამით წყვეტს აზროვნების ზოგად ანტინომიას. ისიც შეიძლება, რომ  
ჩვენი აზროვნების ყველა, შემეცნების დამხმარე საშუალება გონების გა-  
შოგონებებად, ან წარმოსახვის ძალის ფიქციებად მიიჩნიოს“ [2, გვ. 124—  
125]. მაიმონის მიხედვით, ფიქცია წარმოადგენს ისეთ დამხმარე საშუალებას  
გონებისათვის, რომელსაც თვითონ იგონებს, ითხზავს, მაგრამ რომლამდეც  
ვერ მალდდება განსჯა. ფიქციის გარეშე განსჯა ვერასოდეს ვერ შეიძლება  
თავი დააღწიოს ზოგად ანტინომიებს და მიადწიოს აზროვნებას მის უსასრუ-  
ლობაში. მაიმონის მიხედვით, მაშასადამე, ფიქცია ანუ გამონაგონი წარმო-  
სახვის ძალის ოპერაციაა, რომლის საშუალებითაც იწარმოება ობიექტის  
ძრავალფეროვნების არა ობიექტურად აუცილებელი ერთიანობა [5, გვ. 36].

მაიმონი განიხილავს ფიქციათა სამ სახეობას, როგორცია: აუცილებე-  
ლი, შესაძლებელი და ნამდვილი ფიქციები. აუცილებელ ფიქციას იგი გამო-  
გონების ისეთ სახედ თვლის, სადაც ობიექტების ნაწილთა შემეცნება ხდება  
მათ მთლიანობაში, მათ ურთიერთკავშირში და არა ცალ-ცალკე, ერთმანეთისა-  
გან იზოლირებულად. ფიქციის ეს სახე აფუძნებს, მაშასადამე, ობიექტს მის რე-  
ალობას, როგორც ნაწილთა ერთიანობას, მაგალითად; სამკუთხედის ცნება  
როგორც სამი კუთხით და სწორი ხაზების გარკვეული კონსტრუქციით შემო-  
სახზღვრული სივრცე, რომელიც იძლევა გარკვეულ სპეციფიკურ გეომეტრიულ  
ფიგურას. ნამდვილი ფიქცია გამოგონების ისეთი სახეა, რომელიც ობიექტის

შემადგენელ ნაწილებს ისე გააერთიანებს, რომ თითოეული ნაწილი თავის-თავად მთლიანის გარეშე შეიძლება მოაზრებული იქნეს. ასეთ ფიქციას მაიმონი მიაკუთვნებს ყველა ბუნებრივ სუბსტანციას. ოქრო, მისი შეხედულებით, სხვა არაფერია თუ არა ფიქცია, რომელიც წარმოიშობა ისეთი თავის-თავადი ნაწილების შეერთებისაგან, როგორცაა სიმძიმე, ფერი, სიმკვრივე და სხვ.

შესაძლებელ ფიქციას მაიმონი უწოდებს ისეთ ფიქციას, სადაც რაღაც მთლიანობის ნაწილები შეიძლება ნამდვილად იქნეს აღქმული. შესაძლებელ ფიქციად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ მთლიანობა, არამედ მთლიანის ხაწილების შერევაც. მაგალითად, ცისარტყელაში სინათლის სხივი ისეთ ერთიანობაში აღიქმება თითქოს იგი სინათლის შვიდი სხვადასხვა ფერისაგან იყოს შედგენილი. ამრიგად დაასკვნის მ. გოგიბერიძე, მაიმონთან, „ყველა ეგრეთწოდებული ცდისეული შემეცნებანი შეიძლება გამოითქვას, როგორც მხოლოდ გამოგონებანი: იმ აუცილებლობას, რომელსაც გვგონია, რომ ცდის საგნებში ვხედავთ, თვითონ ჩვენ ვთხზავთ, ვიგონებთ მასში. დიახ, აუცილებელიც კი არის, ჩვენი აზროვნებისა და შემეცნების ყველა ოპერაცია და ობიექტი გაგებულ იქნეს, როგორც გამონაგონი“ [2, გვ. 126].

მ. გოგიბერიძე ანალიზს უკეთებს მაიმონის მიერ თავის ფილოსოფიურ ლექსიკონში ჩამოყალიბებულ ცხრა სხვადასხვა ფიქციურ ოპერაციას.

პირველ ფიქციას წარმოადგენს სივრცე და დრო, რომელიც განხილული არიან როგორც გამოგონება. გამოგონებანი კი ისეთი ოპერაციებია წარმოსახვის ძალისა, რომელიც აწარმოებს მოცემულს გარკვეული წესით და სახით, მაგრამ ისინი შემთხვევით რაიმეს კი არ წარმოადგენენ ე. ი. წარმოსახვის ძალის სუბიექტურ ფორმაზე დამყარებულ გამოგონებას კი არ წარმოადგენენ, არამედ ისინი არიან აუცილებელი, თვით ობიექტთა სინამდვილეში დაფუძნებული გამოგონებები, რომლებსაც ეყრდნობა მათემატიკური სიცხადე და გარკვეულობა. მაშასადამე, ამ ფიქციურ ოპერაციას არაფერი აქვს საერთო სუბიექტურთან, არამედ თავის თავში წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას, აპრიორულ ფორმას. „მათემატიკის ყველა ანტინომია ადვილად გადაწყდება ისეთი აუცილებელი ფიქციებით, რომლებიც სუბიექტური ასპექტით კი არ არიან განპირობებული, არამედ თვით რეალობის ობიექტთა აუცილებელი ჰირობები არიან, ე. ი. ობიექტთა სამყაროს a priori შემადგენელი ნაწილებია. ეს დამახასიათებელია მაიმონის აზროვნების წესისათვის [2, გვ. 127].

მეორე ფიქცია წარმოადგენს წარმოსახვის ძალის ისეთ ოპერაციას, რომლის დროსაც იმ საგნებიდან, რომლებიც დროსა და სივრცეში არიან, დროისა და სივრცის ცნებების გადატანა წარმოებს სხვა საგნებზე, რომლებთანაც ისინი ურთიერთობაში არიან.

მესამე ფიქცია საგნის ცნებებს განიხილავს საგნებისაგან დამოუკიდებლად, მაგალითად ცარიელი სივრცე და ცარიელი დრო სხვა არაფერია თუ არა ფიქციები, მაგრამ მეცნიერებისათვის ისინი აუცილებელი არიან.

მეოთხე ფიქცია არის რელატიური წარმოდგენების აბსოლუტურად გარდაქმნის ოპერაცია. აბსოლუტური სივრცისა და დროის შესახებ არ გაგაჩნია არავითარი ცნება, ცნებები მხოლოდ რელატიურია. მიუხედავად ამისა სხეულები მინც მოიაზრებიან აბსოლუტურ სივრცესა და დროში. აბსოლუტუ-

რობა წარმოსახვის ძალის ფიქციაა, რომელიც სივრცისა და დროის რელატიურობას აბსოლუტურობას ანიჭებს.

მეხუთე ფიქცია არის წარმოსახვის ძალის ცნების მოცულობის გაფართოება ცდის საზღვრებს იქით, იმ მიზნით რომ აიხსნას მისი წარმოშობა. მაგალითად, მოძრაობის ფაქტის გააბსოლუტება და აბსოლუტური მოძრაობის დაშვება, რომელიც ცდამი არ გვეძლევა.

მეექვსე ფიქცია წარმოადგენს თავისთავადი ნივთის თვისებების გადატახას მოვლენებზე. ერთ-ერთ ასეთ ფიქციად მაიმონს მიაჩნია ლაიბნიცის ძიერ შემუშავებული მონადის ცნება, რომ მატერია შედგება ასეთი მონადებისაგან.

მეშვიდე ფიქცია მეექვსის საპირისპირო ოპერაციას წარმოადგენს, რის მაგალითსაც წარმოადგენს კატეგორიების გამოყენება თავისთავადი ნივთების ძივართ, ეს მაიმონის აზრით, წარმოქმნის ფილოსოფიური ფიქციების შექმნის შესაძლებლობას.

მერვე ფიქცია მოძრაობას წარმოადგენს აღქმის გარეშე.

მეცხრე ფიქცია წარმოადგენს მიმართების გადატანას რეალური ობიექტიდან ლოგიკაზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფიქცია გარკვეულ ურთიერთობაშია ჭეშმარიტებასთან. მაიმონის მიხედვით, ფიქცია და ჭეშმარიტება ძალზე ახლო ურთიერთობაშია ერთმანეთთან და ხშირად ფიქცია ჭეშმარიტების მიღწევის პირობას წარმოადგენს. „გამოგონება a priori“, ზოგადად და საერთოდ აღებული არის „სინთეზური თანხმობა ობიექტისა საერთოდ სინთეზის შესაძლებლობის პირობებთან“, ამიტომაც ეს გამოგონებები, ანუ ფიქციები ჭეშმარიტებას კი არ უპირისპირდებიან, არამედ მისგან უბრალოდ განსხვავებულნი არიან, რადგან ჭეშმარიტება იგივეობის დებულების მორჩილი ანალიტური თანხმობაა. პირველი გამოგონების სახე, ამრიგად არათუ არ უპირისპირდება ჭეშმარიტებას, არამედ მისი პირობაც კი არის [2, გვ. 131]. მაშასადამე, მაიმონის აზრით, ფიქცია ჭეშმარიტების პირობაა, იგი ისეთი აპრიორია, რომელიც აუცილებელია მეცნიერებისათვის და მისი გაფართოებისათვის, იგი აუცილებელია აგრეთვე მეცნიერების სისტემატური წესრიგისათვის, რომელიც გონების აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს. „ფიქციათა აღმოჩენა მეცნიერებათა გასაფართოებლად და სისტემატური მოწესრიგებისთვის გონების საქმეა, ხოლო იმ ფიქციათა წარმოდგენა რეალურ ობიექტებად წარმოსახვის ძალის საქმეა“ [4, გვ. 264—265].

მაშასადამე, ფიქცია, ხელოვნურად შექმნილი, გონების ისეთი აზრია, რომელიც იქმნება წარმოსახვის ძალის მიერ ჭეშმარიტების მიღწევის პირობად. იგი ხასიათდება, მაიმონის აზრით, სიმბოლური შემეცნების ნიშნებით. „თუკი ჭვრეტაში ჩვენ გვეძლევა ის, რაც თვალწინ გვაქვს, სიმბოლური შემეცნების მეშვეობით ჩვენ ვაღწევთ აგრეთვე სახეზე არარსებულის, ყოველივესაგან დაშორებულის შემეცნებას თვით უსასრულობამდე“ [3, გვ. 265]. ერთმანეთისაგან განსხვავდება ცდისეული შემეცნება, მთელი თავისი ცხებით კატეგორიული აპარატით, და სიმბოლური შემეცნება, რომელიც, მაიმონის აზრით, არის არაჭვრეტისეული ბუნების. მაშასადამე, აღნიშნავს მაიმონი, „ყველა ცდისეული ცნება და დებულება, ყველა აპრიორული ცნებაც კი, რამდენადაც ისინი არ არიან არავითარი შიშველი ფორმები, არამედ თვით ჭვრეტის ობიექტები, როგორც აგრეთვე, მათემატიკის ყველა აქსიომა, გა-

ძოთიშულნი იქნებიან სიმბოლური შემეცნებისაგან. ამგვარად, სიმბოლურ „შეშეცნებას მიეკუთვნებიან ობიექტთა წარმოშობის სახის მხოლოდ ფორმები, ანუ წესები“ [3, გვ. 276—277]. ასეთი აბსტრაქტული ბუნების მიუხედავად „სიმბოლურ შემეცნებას გააჩნია უპირატესობა ჭკრეტით შემეცნებასთან შედარებით, ვინაიდან იგი უფრო შორს ვრცელდება“ [3, გვ. 279]. მაშასადამე, სიმბოლური შემეცნება უნდა განსხვავებული იქნეს ცდისა და ჭკრეტის სფეროსაგან. ცდისა და ჭკრეტის სფერო წარმოადგენს იმ საფუძველს, რითაც იყოფა განსჯისა და გონების სფერო, როგორც სასრული და უსასრულო, როგორც დაბოლოებული და დაუბოლოებელი აზრი. მაგრამ გონებასა და განსჯას შორის დგას აზროვნების ისეთი უნარი, რომელიც წყვეტილობას ახიჭებს უსასრულო გონებას და ამით აერთიანებს სასრულოსა და უსასრულო აზრს. წარმოსახვის ძალა ანუ გამოგონების უნარი, თხზავს გარკვეულ ფიქციებს და სიმბოლოებს, რითაც იქმნება ცდისაგან განსხვავებული, მაგრამ ცდისაგან მიმართული სიმბოლური აზროვნება, სიმბოლური შემეცნება. „გონების უსასრულო პროცესს აზროვნების ზოგადი ანტინომიის გადაწყვეტის ძიებით, — აღნიშნავს მ. გოგიბერიძე, — გარკვეულ ადგილას შეწყვეტს წარმოსახვის ძალა, რის გამოც უსასრულო ობიექტიდან სასრული წარმოიშობა. ამრიგად, სასრულად ქცეული უსასრულო ფიქციური სახეა. შეთხზვის (გამოგონების) უნარი ამით ჩვენი აზროვნების უსასრულო ხასიათს აკავშირებს გრძობათა შეზღუდულ სამყაროსთან. მაგრამ ჩვენი შეზღუდული განსჯა ამ დაკავშირებაში დამშვიდებას ჰპოვებს“ [2, გვ. 125]. მაშასადამე, სიმბოლური შეშეცნების ძირითად საფუძველად ცხადდება წარმოსახვის ძალა. სიმბოლური შეშეცნება და ფიქცია ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ, სიმბოლო, ფიქცია წყვეტენ როგორც მეცნიერული შემეცნების ამოცანებს, ასევე საერთოდ ყოველგვარი შემეცნების რეგულატური პრინციპები და დამხმარე საშუალებები არიან.

მაიმონის მოძღვრება სიმბოლური შემეცნების შესახებ, არაა წარმოშობილი არარაოდან, არამედ თავის საწყისს იღებს ლაიბნიცის „cogitatio symbolica-დან“ [2, გვ. 131]. მაიმონი სიმბოლურ შემეცნებას, ფიქციას შეცნირებისათვის აუცილებელ მომენტად მიიჩნევს და მას გონებას, იდეას უკავშირებს. მაშასადამე, სიმბოლური შემეცნება, ეს არის უმაღლესი მეცნიერული შემეცნება, რომელიც განაპირობებს ჭეშმარიტების ძიებას. ამ პუნქტში მაიმონი და კანტი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, რომ მაიმონს სიმბოლური შემეცნება და ფიქცია შეჰყავს თეორიულის სფეროშიც, სადაც, მ. გოგიბერიძის აზრით, იგი ამავე შედეგებს იღებს, რასაც ჰ. ფაიჰინგერი თავის ფიქციონალისტურ თეორიაში. მ. გოგიბერიძე აღნიშნავს, რომ „ტრანსცენდენტალური დიალექტიკის ყველა გადამწყვეტ პუნქტში კანტს შემოაქვს ყოვლის ამხსნელი „თითქოს“ (Alsob) და ამ „ვერისტიკული ფიქციით“, ამ „გაძონაგონით“ ამართლებს იმ პრობლემებს, რომლებიც იქ ისახება. მაიმონი ფიქციურ „თითქოს“-ს თეორიულსაც მიუყენებს. მაგრამ თეორიულში მაიმონი იმავე შედეგებს იღებს, რომლებიც გვხვდება ჰანს ფაიჰინგერის დიდ და ცნობილ თხზულებაში — „თითქოსის ფილოსოფია“ [2, გვ. 133].

როგორც აღინიშნა ზემოთ, მაიმონთან ფიქცია და სიმბოლური შემეცნება ერთად გამოდიან და ისინი წარმოადგენენ შემეცნების დამხმარე საშუალებებს და „ჭეშმარიტების პირობას“. მაშასადამე, ფიქციური შემეცნება და



სიმბოლური შემეცნება ერთიმეორის გარეშე არ არსებობს და ერთიანობაში არიან — ისინი არიან აზროვნების მიერ, გონების მიერ შეთხზული გამოგონებანი, ფიქციები, რომლებსაც რეალობასთან, კონკრეტულ ადამიანურ ყოფიერებასთან საერთო არაფერი გააჩნიათ. სიმბოლური შემეცნება, ასევე აბსტრაქტულად ესმის ა. ბერგსონსაც, მხოლოდ ნეგატიური სიმბოლურობის ნიშნით. განსხვავება ფიქციონალიზმსა და ბერგსონის მიერ წარმოებულ ინტელექტის კრიტიკას შორის მნიშვნელოვანია, მაგრამ სიმბოლოს გაგების მიხედვით მათ ბევრი რამ აქვთ საერთო — სიმბოლო არის არარეალური, შეთხზული, გამოგონებული აზრი, ფიქცია, რომელიც კონკრეტული რეალობისაგან შორს არის. ჰ. ფაიჰენგერი კიდევ უფრო შორს მიდის, ვიდრე მაიმონი, რომელიც ფიქციას და სიმბოლურ შემეცნებას ერთად, ერთიანობაში განიხილავს. ფაიჰენგერი ფიქციას მიაჩნტებს აბსოლუტურ მნიშვნელობას შემეცნებაში და სიმბოლურს კი ფიქციის, „თითქოსის“ ერთ-ერთ სახეობად გამოაცხადებს.

#### ლიტერატურა

1. ბაქრაძე კ. დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში. თბ., 1971.
2. გოგიბერიძე მ. სალომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტის ფილოსოფიისა და ლოგიკური იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან მიმართებაში. თბ., ტ. 1, თბ., 1970.
3. Maimon S. Über symbolische Erkenntniß und Philosophische Sprache.—Versuch über die Transzendental—philosophie. Darmstadt, 1963.
4. Maimon S. Versuch einer neuen Logik oder Theorie des Denkens. Berlin, 1912.
5. Maimon S. Philosophische Wörterbuch. Berlin. 1791.

#### А. А. БУРДЖАЛИАНИ

### ВЗАИМООТНОШЕНИЯ СИМВОЛИЧЕСКОГО И ФИКТИВНОГО В МЫШЛЕНИИ С. МАЙМОНА

#### Резюме

Проблема символического мышления не нова. Она по-новому ставится в немецкой классической философии. Кант впервые разграничил сферы понятия и символа.

Исходя из «коперниканского переворота» Канта, С. Маимон пытается «углубить» его философию и вносит идею «символического познания», взятую от Лейбница. По его мнению, наука не может существовать без символического мышления, она смыкается с абстрактным, бесконечным мышлением, с фикцией.

Идея символического мышления, взятая у С. Маимона, наследуется и развивается Ф. Ницше, Г. Фаихенгером, Э. Кассирером и другими.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

წიგნის რეზიუმე

წინამძღვრის ღირებულებების ადგილი ქართულ ქრისტიანულ მითოლოგიაში

19.866  
999

როგორც ცნობილია, თუმცა თავდაპირველად ქრისტიანული რელიგია წარმოიშვა და ჩამოყალიბდა მაშინდელ „მსოფლიო იმპერიაში“ — რომის იმპერიაში, როგორც უაღრესად კოსმოპოლიტური (არაეროვნული, ზეეროვნული) მსოფლმხედველობა, მაგრამ შემდგომ იგი თანდათანობით ეროვნულ სახეს იღებს და არამხოლოდ მთლიანად ერწყმის ეროვნულ წარმართულ კულტურას, არამედ ამ კულტურის განვითარების ერთ-ერთ (უფრო მოგვიანებით კი ერთადერთ) მძლავრ ფაქტორად იქცევა (განსაკუთრებით რომის იმპერიის აღმოსავლურ პროვინციებში). ქრისტიანობის იმჟამინდელ იდეოლოგებსა და გამავრცელებლებს, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდათ შეგნებული ის გარემოება, რომ მისი ამა თუ იმ ხალხის (ეთნოსის) კულტურასთან შეგუება და „გაეროვნებულება“ ამ რელიგიის დამკვიდრების საწინდარია. სწორედ ამ გზით იუდაიზმის ეს ერთ-ერთი სექტა მსოფლიო რელიგიად მოგვევლინა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი ქართულ სინამდვილეშიც: ქრისტიანულ-რელიგიური მოძღვრების შერწყმა-შეგუებას ადგილობრივ ქართულ-წარმართულ მითოლოგიურ მსოფლმხედველობასთან ამ მოძღვრების გაშინაგების, გაქართულებისა და გაეროვნულობის გზით. მდიდარი ქართული წარმართული ფოლკლორის (ლექსებისა და თქმულებების) შეცნირებული ანალიზი გვარწმუნებს, რომ ადგილი ჰქონდა ორმხრივ, მაგრამ ერთიან განუყოფელ პროცესს — როგორც ქრისტიანული მოძღვრების მითოლოგიზაცია-ფოლკლორიზაციას, ისე, თავის მხრივ, ქართული წარმართული მითოლოგიის ქრისტიანიზაციას. ამიტომ ქართული ქრისტიანული კულტურის, საერთოდ „ქართული ქრისტიანობის“ ანალოგიურად შეიძლება ვილაპარაკოთ „ქართულ ქრისტიანულ მითოლოგიაზე“ ქართულ წარმართულ მითოლოგიასთან შეპირისპირებაში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წინამდებარე ღირებულებების ადგილის გახსაზღვრა ქართულ ქრისტიანულ მითოლოგიაში, მაგრამ ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ საერთოდ ქრისტიანული ეთიკის ძირითადი პრინციპები და ღირებულებებითი ორიენტაციები, რომელთა წინასწარი ახალიზი უთუოდ დაგვეხმარება ჩვენი მთავარი ამოცანის გადაწყვეტაში.

ქრისტიანული რელიგია და მისი წინამდებარე მოძღვრება სამყაროსა და ადამიანის გარკვეულ კონცეფციას ემყარება, რომელიც არსებითად განსხვავებულია ანტიკური და საერთოდ წარმართული კონცეფციისაგან. მისი ძირითადი კოსმოგონიური იდეა, როგორც იგი „დაბადების“ მითშია წარმოდგენილი იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო არარაობიდან, არაფრისაგან, რომლითაც მისი ყოვლისშემძლეობა, აბსოლუტურობა

სამართლმცოდნეობის  
ინსტიტუტი  
ბიბლიოთეკა

დასტურდება. ამით ქრისტიანობის ღმერთი პრინციპულად განსხვავდება ძველბერძენთა (მაგ. პლატონისეული) დემიურგისაგან: ეს უკანასკნელი არარაობისაგან კი არ ქმნის სამყაროს, არამედ უკვე არსებულ მასალას აწესრიგებს „კოსმოსად“ (ამიტომაც იგი ხელოსანია, ოსტატია და არა შემოქმედი). ქრისტიანული ღმერთის მიერ არაფრიდან სამყაროს შექმნა ქრისტიანული რელიგიის ყველაზე დიდისაიდუმლო და უპირველესი სასწაულია, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა სასწაული. „არარაობიდან შექმნა, — წერს ლ. ფოიერბახი, — როგორც ყოვლადძლიერი ნების ქმედება, ამის გამო ეკუთვნის სასწაულის კატეგორიას, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იგი არის პირველი სასწაული არაძარტოდროის მიხედვით, არამედ ხარისხის მიხედვითაც, — ის პრინციპი, რომლიდანაც ყველა სხვა სასწაული თავისთავად გამოდის“ [9, გვ. 145]. „დაბადების“ ავტორს, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ღმერთისათვის როგორც აბსოლუტური პიროვნებისათვის მოაზრებული უდრის არსებულს: ის, რასაც ღმერთი მოაზრებს, კიდევაც არსებობს, ის რაც ღმერთს ხებავს, კიდევაც არის. სწორედ ამით განსხვავდება ღმერთის უსასრულო სუბიექტურობა ადამიანის სასრული და შეზღუდული სუბიექტურობისაგან. თავისთავად ცხადია, რომ ადამიანისათვის მოაზრებული არ უდრის არსებულს: ის, რასაც ადამიანი იაზრებს, ჯერ კიდევ არ არსებობს. ჰეგელის მართებული შენიშვნით, სწორედ ეს ვერ გაითვალისწინა კანტმა ღმერთის არსებობის დასაბუთების ე. წ. ონტოლოგიური არგუმენტის კრიტიკისას. კანტმა თავისი შეხედულების ნათელსაყოფად ასი ტალერის მაგალითი მოიშველია და შემდეგ ის ღმერთზე გადაიტანა. მაგრამ ღმერთი, როგორც ყოფიერების აბსოლუტური ერთიანობა, როგორც პიროვნება სულიად სხვა საგანია, ვიდრე ასი ტალერი, და როგორც ასეთი ცნებისა და რეალობის, აზრისა და არსის ჭეშმარიტ ერთიანობას წარმოადგენს [14, გვ. 147].

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის შიზანს ადამიანი წარმოადგენს. როგორია ადამიანის არსების ქრისტიანული გაგება? ამის გააზრება მით უფრო აუცილებელია, რადგან ამის გარეშე ქრისტიანული მორალის დედაარსის გაგება შეუძლებელია. ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი მოძღვრება, მისი ეთიკური კონცეფცია ქრისტიანულ ანთროპოლოგიას ემყარება.

ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, ადამიანი ორმაგი ბუნებისაა. ერთი მხრივ, იგი არის ხორციელი, გრძნობად-მატერიალური და, მაშასადამე, ხრწნადი და წარმავალი, ხოლო მეორე მხრივ, ღვთაებრივი, სულიერ-გონითი, და, მაშასადამე, უკვდავი და მარადიული არსება, ხორციელობა, გრძნობად-ფიზიკური და სხეულებრივი არსებობა მისი ამქვეყნიური ყოფნის სრულიად შემთხვევითი და გარეგანი ფორმაა. თავის არსებაში კი ადამიანი სულიერ-გონითია და როგორც ასეთი, ღვთის შვილია. ღმერთმა შექმნა ადამიანი ძსგავსად და ხატად თავისა. ამ აზრით, იგი არაამქვეყნიური არსებაა. ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში ადამიანი გაიგება როგორც „ღვთის ტაძარი“. პავლე მოციქული ამბობს: „... ტაძარი ღმრთისანი ხართ, და სული ღმრთისანი დაძვირებულ არს თქვენ შორის“ [7, გვ. 98].

ადამიანის არსების ამგვარი გაგებიდან გამომდინარე, ქრისტიანული რელიგია ადამიანის ცოდვიანობის, ტანჯვის, ხსნის და მონანიების რელიგიაა (ამ მხრივ ასეთივეა ბუდიზმიც). ადამიანის ამქვეყნიური ხორციელ-ფიზიკური არსებობა სრულიად უცხო და შეუსაბამოა მის სულიერ-გონით და ღვთაებ-

რივ საწყისთან. ამიტომ მისი ამქვეყნიური ყოფნა ცოდვიანი ყოფნაა. ადამიანის მიზანია დაუბრუნდეს თავის ღვთაებრივ საწყისს, მისი შემქმნელი მამა-ღმერთის წიაღს: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“ [5, გვ. 123]. გზა ხსნისა და ცოდვათაგან განზიწებისა თვითონ ღმერთმა გვიჩვენა. მან გადადგა პირველი ნაბიჯი ადამიანისაკენ, ამიტომ ეს უკანასკნელი ვალდებულია მარად ღმერთისაკენ ისწრაფვოდეს. ეს გზა არის ღმერთის გახკაცების გზა, რომელიც ძე ღმერთის — ქრისტეს იდეაშია გამოხატული. „ღმერთი ადამიანად იქცა რათა ადამიანი ღმერთად ქცეულიყო“ — ამბობს ნეტარი ავგუსტინე. იგი არის ღმერთისაკენ მიმავალი გზა ჭეშმარიტი. სახარებაში ნათქვამია: „განამზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი“ [5, გვ. 118]. ქრისტიანული ეთიკური მოძღვრების მიხედვით, ცოდვათაგან ხსნისა და ღმერთთან მიახლოების გზა არის მონანიების გზა: „შეინანეთ, რაშეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ [5, გვ. 120].

ქრისტიანული რელიგია სიყვარულის, „გულის“ რელიგიაა. სიყვარული მთელი ქრისტიანული ეთიკის საფუძველთა საფუძველი და უმაღლესი ზნეობრივი ღირებულებაა. აქ სიყვარულის ფენომენი საკრალურ, ფუნდამენტურ და უნივერსალურ მნიშვნელობას იძენს და თანაც იგი სრულიად თავისებურად არის გაგებული. ეს არ არის სიყვარული პლატონისეული აზრ-გაგებით, სიყვარული როგორც „ეროტიული აუცილებლობა“, არამედ ქრისტიანულად გაგებული სიყვარული გულისხმობს უანგარო და უსაზღვრო თავდადებას, თავგანწირვას, მსხვერპლს (ბერძ. „აგაპე“).

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, სიყვარული არის ონტოლოგიური ფაქტორი, იგი ღვთაების არსებითი განსაზღვრულობა და სამების შემადგენელ იპოსთასთა (მამაღმერთი, ძე ღმერთი, სულიწმინდა) ერთიანობის, მათი ერთარსობის შინაგანი პრინციპია. ადამიანთა ურთიერთსიყვარული როგორც მოყვასისადმი სიყვარული სამების პრინციპში იღებს დასაბამს. „ამიტომ, — წერს ფოიერბახი, — ღმერთს ადამიანები მხოლოდ ძეში და ძის გულისთვის უყვარს. ადამიანისადმი სიყვარული ძისადმი სიყვარულიდან გამოყვანილი სიყვარულია“ [9, გვ. 111]. ქრისტე თავისი არსებობის ერთადერთ და უმაღლეს საზრისს ხედავს მამაღმერთში. ეს საზრისი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი ცხოვრობს არა თავისთვის, არამედ ღმერთისათვის. „შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ [5, გვ. 123]. ქრისტე თავის მოწაფეებს მოუწოდებს დათმონ მამა, დედა, დაი, ძმა, შვილები, რათა გულში არავისთვის და არაფრისთვის არ დარჩეს ადგილი გარდა ღმერთისა, „რომელსა უყვარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყვარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს“ [5, გვ. 132].

ქრისტიანული მორალური თვალსაზრისისათვის მნიშვნელოვანი მომენტია მოყვასის სიყვარული. „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ [15, გვ. 14]. მოყვასის სიყვარული წარმოადგენს ღმერთისადმი სიყვარულის ასახვას, ახლობლისადმი სიყვარულით ადამიანს უყვარს ღმერთი. მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქრისტიანულ ეთიკაში სიყვარული მოყვასისადმი უნივერსალურ მნიშვნელობას იძენს. თუ ძველი აღთქმის ეთიკური მოძღვრების მიხედვით, უნდა „შეიყვარო მოყვასი შენი და მოიძულო მტერი შენი“, ქრისტე უფრო შორს მიდის. „ხოლო მე გეტყვ თქვენ: გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა და კე-

თილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა“ [5, გვ. 111]. სწორედ აქედან გამომდინარეობს ბოროტებისადმი წინაღუდგომლობის ქრისტიანული ეთიკური კოხცეფცია. „ხოლო მე გეტყვ თქუენ: არა წინააღდგომად ბოროტისა, არაჲდ რომელმან გცეს შენ ყურიმაღსა შენსა მარჯუენასა, მიუპყარ მას ერთ კერძოცა“ [5, გვ. 122]. თქმულიდან გამომდინარე, ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი მოძღვრების თანახმად, ადამიანთა ურთიერთსიძულვილი სატანისეული საწყისია, ხოლო ადამიანთა ურთიერთსიყვარული ღვთაებრივი. პავლე შოციქული ამბობს: „ნუ განემორებით ურთიერთს... და კუალად ურთიერთასვე იყვენით, რაითა არა განგცადნეს თქუენ ეშმაკმან უთმინოებათა თქუენთა“ [7, გვ. 111].

ზემოთ ჩვენ ზოგადად დავახსიათეთ ქრისტიანული ეთიკური მოძღვრების ძირითადი მომენტები. ვნახოთ როგორ აისახა იგი ქართულ ქრისტიანობაზე მითოლოგიაში.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. ფეოდალიზმის ხანაში, მონისტური რელიგიის გამარჯვების პერიოდში, ახალი მითოლოგიის შემუშავება დაიწყო. ტრადიციულად არსებული ჩვევა მითოლოგიური სახეების მხატვრულ-პოეტურ სფეროში გადატანისა კვლავ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ ამჯერად მისი მასალა უმთავრესად ბიბლიური ლეგენდები და თქმულებები იყო.

ქრისტიანობის შემოსვლის პირველ ხანებში ბიბლია ერთ-ერთ ძირითად საკითხავ წიგნს წარმოადგენდა. საეკლესიო პირები სასტიკად სდევნიდნენ ხალხში გავრცელებულ წარმართულ ზნე-ჩვეულებებს და მითოლოგიას. ამ დროიდან დაიწყო წარმართული მითოლოგიის ქრისტიანიზაცია. ქართველმა ხალხმა ბიბლია თანდათანობით შეისისლხორცა და ქართულ ზეპირსიტყვიერებაში დამკვიდრდა ბიბლიური სიუჟეტები. მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იყო წარმართული მითოლოგიის მთლიანად აღმოფხვრა, ამიტომ ქრისტიანულ-ბიბლიურ ლეგენდებში ხშირად ვხვდებით წარმართული მითოლოგიის, წარმართული ზეპირსიტყვიერების კვალს. ერთის მხრივ, ნასესხები ბიბლიური სიუჟეტების შეთვისებამ და, მეორეს მხრივ, ადგილობრივი ფოლკლორის გადამუშავებამ ხელი შეუწყო ახალი მითოლოგიური სისტემის შექმნას, რომელიც სინკრეტული (ნარევი) ხასიათისა იყო.

ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი ბიბლიური სიუჟეტები: სამყაროს შექმნა, ადამ და ევას შეცოდება, მათი განდევნა სამოთხიდან, წარღვნა, ბაბილონის გოდოლი, აბრაამის ამბავი.

ქრისტიანული ეთიკური მოძღვრება თავისებურად აისახა ქართულ ქრისტიანობაზე მითოლოგიაში.

მსოფლიოს ხალხების მითოლოგიაში დიდი ადგილი უკავია სამყაროს შექმნაზე არსებულ მითებს. სხვადასხვა ხალხებს ეს პროცესი სხვადასხვანაირად აქვს წარმოდგენილი, მაგრამ ამ სხვადასხვაობის მიუხედავად მათ საერთოც ბევრი რამ აქვთ. საყურადღებოა თუნდაც ის ფაქტი, რომ ყველა სამყაროს შემოქმედად ღმერთს ან ღმერთებს აღიარებდა.

ქართული მითოლოგიაც მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მითებს, რომლებიც სამყაროს შექმნაზე მოგვითხრობენ. ეს მითები ემთხვევა ბიბლიის „შესაქმნას“. ამიტომ სავარაუდოა, რომ ეს მითები ჩვენში მას შემდეგ შეიქმნა, რაც ბიბლია ითარგმნა. ვფიქრობთ, ქართველ ხალხს წარმართობის დროშიც ექნებოდა აღნიშნული შინაარსის მითები, მაგრამ ქრისტიანიზაციის

პერიოდში ისინი დაიკარგა და მისი ადგილი უკვე ქრისტიანიზებულმა მითებმა დაიკავა... ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბიბლიური სიუჟეტის დაბადების მითებში თავს იჩენს წარმართული მითოლოგიის გადმონაშთები.

ვნახოთ რა საერთო არსებობს ბიბლიურ შესაქმესა და ქართულ ქრისტიანიზებულ მითოლოგიას შორის. ქართულ ქრისტიანიზებულ მითოლოგიაში ძიებები ქვეყნის გაჩენაზე გვხვდება როგორც პროზაული ფორმით, ისე გალექსილადაც.

ქვეყნის გაჩენის მითი პროზაული სახით შემდეგნაირია: „აფერი იყო ქვეყანაზე. გამჩენმა ღმერთმა გააჩინა ერთი ნათელი, მერე გააჩინა პირუტყვის, ბალახისა და ხეხილის სულები. მაშინ არც მზე იყო და არც მთვარე. აფერი არ იყო. აგინი ორი ათასი წელი რომ გვეიდა, მერე გააჩინა ღმერთმა. ექვს დღეს აკეთა დედამიწა. ერთ მინუჩი (ერთ წამში) შეეძლო, მარა ექვს დღეს აკეთა. ღმერთს არ გუუხარდება ნაჩქარევი საქმე“ [8, № 16155].

ეს მითი თითქმის ზედმიწევნით ემთხვევა შესაქმის შინაარსს. ადამიანის წარმოდგენაში ღმერთი ყოვლისშემძლე არსებაა.

ზოგიერთი ლეგენდა პირდაპირ ადამ და ევას შექმნით იწყება და სამყაროს თავდაპირველ დაბადებაზე არაფერია ნათქვამი. ცოტად თუ ბევრად, თითქმის ყველა ქართული ლეგენდა სამყაროს შექმნაზე შინაარსით ბიბლიურ „შესაქმეს“ ემთხვევა. განსხვავდება ერთი სვანური ვარიანტი.

„შესაქმე“ ასე იწყება: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა“. სვანურ ვარიანტში კი — „უწინარეს ყოვლისა, ქვეყნიერება წყლით იყო მოცული“ [6, გვ. 138]. ეს ვარიანტი იმითაა საინტერესო, რომ შუმერული ლეგენდაც ასე იწყება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მითი სამყაროს შექმნაზე ბიბლიური ლეგენდების თარგმანების გავრცელებამდე შემოვიდა ჩვენში და ვიხიდან სვანეთი შედარებით მიუვალი ადგილია, არქაული ფორმა შეინარჩუნა.

„შესაქმეში“ მთავარი ადგილი უჭირავს ადამიანის შექმნას. ღმერთმა ყველაფერი შექმნა: ზღვები, ოკეანეები, ხმელეთი, ზეცა, ცხოველები. ყოველივე ამის შემდეგ სამყაროს მაინც აკლდა რაღაც. და აი, მან შეექმნა დღეს შექმნა ყველაზე უფრო სრულყოფილი არსება — ადამიანი თავის სახედ და დარად.

„ღმერთებს სჭირდებოდათ იარაღი, რისი საშუალებითაც შეეძლებოდათ დროთა უწინარეს დაწყებული შესაქმის ღვაწლის განგრძობა“ [4, გვ. 160].

ადამიანის გაჩენის მითებს მსოფლიოს ხალხების თითქმის ყველა მითოლოგიაში ვხვდებით. მას დიდი ადგილი უკავია ქართულ ქრისტიანიზებულ მითოლოგიაშიც.

თუ დავაკვირდებით, თითქმის ყველა ხალხის მითოლოგიაში ადამიანის შექმნელი მას სულს უბერავს და ისე ანიჭებს სიცოცხლეს. ქრისტიანულ სამყაროში ამის გარშემო დიდი დავა გაიმართა. თავდაპირველად თვლიდნენ, რომ ქალს სული არ გააჩნია, რადგან იგი ღმერთმა ადამის ნეკნისაგან შექმნა, შემდეგ კი მიღებული იქნა აზრი, რომ ქალს სული აქვს.

ვნახოთ, როგორ აისახა ეს ვითარება ქართულ მითოლოგიაში. ღმერთმა „შაბათს ადამ და ევა შექმნა თიხისაგან და ჩაბერა სული“ [8, № 685]. როგორც ვხედავთ, ქართული მითი ადამიანის შექმნაზე თითქმის იგივეა, რაც სხვა ხალხების მითოსშია გადმოცემული. მაგრამ იგი სცილდება ბიბლიურ

სიუჟეტს და ქმნის მრავალნაირ ვარიანტს. ზოგში ევა ადამის ნეკნისაგან კი არ არის შექმნილი, არამედ მიწისაგან, ისევე როგორც ადამი [8, № 16466].

ადამ და ევას გაჩენის ამბავი ლექსადაც არის მითოსში შემონახული. ლექსების უმრავლეს ვარიანტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „პირველ გამჩენელმა ღმერთმა ადამ, ჰევა გააჩინა“. აქ არაფერია ნათქვამი თუ რისგან ახ როგორ შექმნა ისინი. ზოგ ვარიანტში კი შემოქმედად ქრისტიანთა გამოყვანილი: „ჰკვიროდა იესო ქრისტე, თვითონ ი ჩვენი გამჩენი, ძირიდან მიწა ელო, მიწა იყო ყვითლის ფერი, ამას სული ჩაუბერა — ადამ დაგღვა კაცის ფერი“ [13, გვ. 102].

აი, როგორ გრძელდება ბიბლიაში ადამ და ევას შემდგომი თავგადასავალი: „და დანერგა უფალმან ღმერთმა სამოთხე ედემს აღმოსავლეთით და დაადგინა მუნ კაცი“ [12, თ. 3, 1]. იქვე აღმოაჩენა „ხე ცხოვრებისა“, რომლის ნაყოფის ჭამაც აუკრძალა ადამს და ევას.

„ხოლო გუელი იყო უგონიერეს ყოველთა მხეცთა ქუეყანასა ზედა“ [12, თ. 3, 6]. სწორედ ამ უგონიერესმა ქვეწარმავალმა აცდუნა ევა და შეაჭამა ნაყოფი ხისა. ევამ თავისი მხრიდან ადამი აცდუნა. ორივემ დაარღვიეს ღმერთის სასტიკი გაფრთხილება.

რა ნაყოფი იყო ეს, რომლის შეჭმასაც ასე დაბეჯითებით უკრძალავდა ღმერთი პირველ ადამიანებს? ამ აკრძალული ნაყოფის შეჭმის შემდეგ აეხილათ თვალები ადამ და ევას. რა თქმა უნდა თვალის ახელა აქ ნიშნავს გონების გახსნას. შეიცნეს ყოველივე, გაუჩნდათ სირცხვილის გრძნობაც. განრისხდა ღმერთი და დაწყევლა ისინი. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ღმერთმა პირობის დარღვევისათვის პირველი ადამიანები სამოთხიდან განდევნა და უკვდავება დააკარგინა, ამით, ისინი დასაჯა.

საინტერესოა მითი საიქიო ცხოვრებაზე. ქრისტიანული მსოფლმხედველობის წარმოდგენით, ვინც ამქვეყნად მოთმინებით იცხოვრებდა და იშრომებდა, ბოროტს არ ჩაიდენდა, სიკვდილის შემდეგ სამოთხეში მოხვდებოდა. ბოროტების ჩამდენ ადამიანს კი შემდეგ კუბრში წვალება ელოდა. ბუნებრივად იბადება კითხვა სულის უკვდავების შესახებ. სულის უკვდავების თეორია ქრისტიანული რელიგიის გამოგონილი არ არის, იგი ძველთაგანვე არსებობდა. სულის უკვდავების თეორია ცნობილი იყო ანტიკური ფილოსოფიისათვის სულთა მიგრაციის სახით. სულთა მიგრაციის თვალსაზრისს ვხვდებით ინდოეთში, სკანდინავიაში, აფრიკაში.

თუ თვალს გადავავლებთ წარმართულ მითოლოგიას, საიქიოში უსიხარულო ყოფაა. მხოლოდ ქრისტიანულმა რელიგიამ შემოიტანა მოყვასის ნუგეშსაცემად საიქიო სამოთხის ლეგენდა. ვნახოთ როგორი სახით გვხვდება მითი საიქიოზე ქართულ მითოსში.

ისევე, როგორც უშემერულ მითოლოგიაში ერეშტიგალი, ბერძნულში — ჰადესი, ქართულში მიქელ-გაბრიელი განაგებს სულეთის ქვეყანას.

ქართველთა რწმენით, მიქელ-გაბრიელი თავდაპირველად ძალიან გულმოწყალე ყოფილა. ერთხელ ღმერთს გაუგზავნია პატარა ბავშვების დედის სულის ამოსართმევად, მაგრამ მიქელ-გაბრიელს შესცოდებია. ღმერთს მეორედ გაუგზავნია: „მე რომ ის პაწაწინები დედის ალერსში ვნახე, სულის ამოხდაზე როგორ ვიფიქრებდი“ — უპასუხა უკან დაბრუნებულმა სიკვდილის ანგელოზმა. მაშინ ღმერთი განრისხდა და მას გული ამოჰკლიჯა. ამის შემდეგ გახდა მიქელ-გაბრიელი შეუბრალებელი“ [1, გვ. 203].

ქართულ ხალხურ პოეზიაში საიქიოს სინონიმია სულეთი და შავეთი. იქ ძოგროვილ სულებს გზაზე „ბეწვის ხიდი“ შეხვდებათ. ვისაც ალაღად და ძართლად გაუტარებია თავისი სიცოცხლე ადვილად გადაივლიან ბეწვის ხიდს: „ბეწვის ხიდზე რომ შედგება, ბოგირ ხიდად ეჩვენება“ [13, გვ. 71]. მაგრამ ვინც ბოროტი და გაუტანელი იყო ამ წუთისოფელში, ბეწვის ხიდი ჩაენგრევა და კუბრში მოუწევს მის სულს ტანჯვა: „ცოდვიანი რომ შედგება, მოსწყდება და ჩავარდება“ [13, გვ. 71].

აქ ნაჩვენებია, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანთა ურთიერთობის იდეალი. აღნიშნული ლექსი ქრისტიანული ლეგენდების ციკლს მიეკუთვნება და მასში ასახულია ქრისტიანული მორალის თავისებურებები. კერძოდ, მოყვასის სიყვარული, მეორე ადამიანის პატივისცემა, ზრუნვა მისთვის, სიმაართლის დაცვა და სიცრუის დაგმობა. დაგმობილია დედ-მამისადმი ავად მოქცევა, ნათესავის უპატივისცემლობა და ა. შ. ის ადამიანები, რომლებიც არღვევენ ადამიანთა ურთიერთობის აღნიშნულ ნორმებს, ცოდვიანად, ბოროტისმქმნელებად ითვლებიან და მათთვის ბეწვის ხიდის გავლა შეუძლებელია: „ძნელი არის ბეწვის ხიდი, ცოდვიანს ვერ გაევილება“ [13, გვ. 71].

ახლა დავუბრუნდეთ „შესაქმის“ იმ შინაარსს, სადაც ბოროტებისა და სიკეთის ურთიერთობაზეა ბჭობა. „შესაქმეში“ ვკითხულობთ: „და აღმოაცენა ღმერთმან მერმეცა ქუეყანისაგან ყოველი ხე შუენიერნი ხილვად და კეთილ საჭმელად და ხე ცხოვრებისა საშუალ სამოთხისა, და ხე იგი ცნობად კეთილისა და ბოროტისა“ [12, თ. 1, 12].

ბუნებრივად ისმება კითხვა: რა არის ეს ხე, რომლის ნაყოფის ჭამა აუკრძალა ღმერთმა პირველ ადამიანებს? ეს ხე არის ხე შემეცნებისა, რომლის ნაყოფის შეჭმის შემდეგ ადამიანები მიიღებდნენ სიბრძნეს, ღმერთს სწორედ ადამიანების დაბრძენებისა ეშინოდა, ვინაიდან ამის შემდეგ თავისივე გაჩეხილი ქმნილება მას შეტოქეობას გაუწევდა. ქართულ ლეგენდაში ღმერთს ახველოზები უშლიან კიდევ: „ნულარაფერს გააჩენ, თორემ იქნებ შენც გაჯობონო“ [8, № 16155]. სწორედ აკრძალული ხილის ჭამის შემდეგ შეძლო ადამიანმა სამყაროს შეცნობა, კეთილისა და ბოროტის გარჩევა.

გველს დიდი ადგილი უჭირავს, როგორც ბიბლიაში, ისე მის მიხედვით „შექმნილ მითოლოგიაში“.

ქართულ მითოლოგიაშიც მას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს მიკუთვნებული. დაბადების ქართულ მითში გველი აცდუნებს ევას: „გველი გამოუჩნდა ევასა და უთხრა: ყურძენი ნაყოფი რო შაჭამო, თოლებს აგიხელს და ქეყახას დაინახამო“ [8, № 4929].

ბიბლიაში გველი ბოროტია, მან უკვდავება დააკარგვინა პირველ ადამიანებს, ადამსა და ევას. ეს მომენტი ასახულია ქართულ ქრისტიანიზებულ მითოლოგიაში, კერძოდ, ადამ და ევას მითში. ევას ცდუნება გველის მიერ და შემდგომ ამისა ადამის შეცოდება ასახულია, აგრეთვე, მითოლოგიურ ლექსში „პირველ გამჩენელმა“. ეს ლექსი ადამისა და ევას ლექსების რკალს მიეკუთვნება. ამ ლექსში ყურადღება გამახვილებულია პირველ ცდუნებაზე და ეშმაკის ბოროტ ხასიათზე. ლექსში დაგმობილია ეშმაკის მიერ ჩადენილი ბოროტება. „წყევლიმც იყოს ეშმაკი, ღვთის პირისაგან დაწყევლა“ [13, გვ. 106]. მაგრამ ქართულ მითოლოგიაში, გველი ყოველთვის ბოროტი არაა, ზოგჯერ ის დიდსულოვანია იმათ მიმართაც კი, ვინც მას ბოროტებას უკეთებს. იგი ზოგჯერ სიკეთეს სიკეთით პასუხობს. მაგალითად, ბიჭი გველის წიწილს წა-



ძებისაგან გადაარჩენს, სამაგიეროდ გველი მას ნატურისთვლით დაასაჩუქრებს [10, გვ. 7]. ბევრი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება ქართული მითოლოგიური სინამდვილიდან.

ქრისტიანული მორალის ძირითადი მომენტია ღმერთის სიყვარული. ადამიანი რომელიც ღმერთმა შექმნა თავის მსგავსად, მაინც არ იყო ღმერთის თახაბარი. იგი ღმერთმა შექმნა როგორც თავისუფალი არსება, მაგრამ მისი უძალდესი მიზანია ემსახუროს ღმერთს, სწორედ ღმერთისადმი სამსახურში ხედავს ადამიანი თავისი არსებობის საზრისს.

ღმერთისადმი ადამიანის სამსახური კარგად არის ნაჩვენები ქართულ ქრისტიანიზებულ მითოლოგიურ ლექსში — „აბრაამის ლექსი“. აბრაამის ლექსი ბიბლიურ-აპოკრიფულ სიუჟეტზეა აგებული. ამ ლექსში არსებული ძირითადი მომენტების პარალელების მოძებნა შესაძლებელი ხდება ბიბლიაში. მაგალითად, შვილის მსხვერპლად შეწირვის ლეგენდა. ისაკის ღმერთისადმი შეწირვა თვითონ აბრაამის გამოცდაა. ღმერთის რწმენა მას აიძულებს შვილი სამსხვერპლოზე დაკლას.

ხალხურ აბრაამიანში უცხო მოგზაური (ქრისტე ღმერთი) სასწაულებრივად დალოცავს აბრაამს და უწყალობებს შვილს. „ამ ოჯახს დალოცავს ღმერთი, სარახს შვილი ეყოლება“, ანდა „ასოცი წლის ცოლი ჰყავდა, მაშინვე დაორსულდა“.

ბიბლიაშიც სწორედ ასეთ ჯადოსნურ ჩასახვას ვხვდებით. „და აბრაამ იყო ასი წლის, რაჟამს ესუა ისაკი“ [11, გვ. 32]. ღმერთი მართალია აბრაამს შვილს აძლევს, მაგრამ საშინელი პირობით. იგი ადამიანის, შვილის მსხვერპლს ძოთხზავს. „შვიდ წელიწადს შენთვის იყოს, მერე საღვთოდ გაიზრდება“! [13, გვ. 113].

აბრაამმა ღვთის სიყვარული და შიში დაამტკიცა, გაიმეტა ერთადერთი შვილი, ამას კი სასწაული მოჰყვა: „გადმოხედა ქრისტე ღმერთმა: დახე აბრაამ რასა შერება! ერთი ცხვარი გადმოჰკიდა, ათასფერად აყვავდება“ [13, გვ. 115].

ეს მომენტი, ისევე როგორც ზემოთ ჩამოთვლილი სხვა მომენტები კარგად არის ცნობილი იმ პირველწყაროში, საიდანაც იღებს საფუძველს ქართული აბრაამიანი. ბიბლია მოგვითხრობს: „და აჰა ესერა ვერძი ერთი გადმოჰოცდებულ იყო რქითა ნერგსა საბეკსა. და მოვიდა აბრაჰამ და მობა ვერძი იგი და შეწირა მსხუერპლად ისაკისა წილ, ძისა თვისისა“ [11, გვ. 33].

აბრაამის მითში ეთიკურისა და რწმენის დაპირისპირების საინტერესო იხტერპრეტაციას იძლევა ს. კირკეგორი. კირკეგორის მიზანი ამ შემთხვევაში რწმენის ბუნების გარკვევაა. რწმენა, კირკეგორის მიხედვით, რაციონალურად აუხსნადია, აბსურდულია, გონებით მიუწვდომელია, ხოლო ეთიკური ნიშნავს ზოგადადამიანურთან თანხმობას. მორწმუნე ინდივიდი ეთიკურ მიზანზე მაღლა დგება და უშუალოდ ამყარებს ღმერთთან კავშირს. როგორც რწმენა გონებით მიუწვდომელი ასევე გონებით მიუწვდომელია აბრაამის მოქმედება. „იგი მოქმედებს აბსურდის ძალით, რამდენადაც იგი, როგორც ინდივიდი დგება ზოგადზე მაღლა“ [15, გვ. 713]. აბრაამი ტოვებს ეთიკის საზღვრებს, უფრო მეტიც, მისი ქცევა ეთიკური თვალსაზრისით არ არის გამართლებული. აბრაამის ქცევა ეთიკურ საზღვრებში, კირკეგორის აზრით, გაუგებარია. მან შვილი გაწირა რწმენის ბატონობისათვის. აბრაამი მოქმედებს აბსურდის ძალით. იგი ასე იქცევა „ღმერთისათვის და საკუთარი თავისათვის, მან ეს ღმერთისათვის გააკეთა იმიტომ, რომ ღმერთი მისი რწმენის ამგვარ

დასაბუთებას მოითხოვდა, და საკუთარი თავისთვისაც, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა თავისი რწმენის ამგვარი დასაბუთებისა“ [15, გვ. 713].

კირკეგორის აზრით, აბრაამის ქცევა ეთიკური თვალსაზრისით არ იმსახურებს თანაგრძნობას. იგი მკვლელია და ტრაგიკულ გმირამდე ვერ ამაღლდება (როგორც მაგალითად აგამემნონი ან ბრუტუსი). როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბრაამის ქცევის მოტივი ეთიკურის სფეროს სცილდება, მისთვის მოვალეობა ღმერთის ნების გამოხატულებაა და არა ეთიკური კატეგორია.

ქართული ქრისტიანული მითოლოგიის საინტერესო ნიმუშია „იობის ტანჯვა“. აღნიშნული ლექსის პირდაპირ წყაროს წარმოადგენს ბიბლია და მისი სიუჟეტიც თითქმის მთლიანად ემთხვევა ბიბლიურ სიუჟეტს. მასში გატარებული ეთიკური თვალსაზრისი სავსებით შეესაბამება ქრისტიანულ ეთიკურ კონცეფციას. ადამიანის მთავარ მიზანს წარმოადგენს ღმერთის სიყვარული.

ბიბლიაში იობის შესახებ ნათქვამია: „და იყო კაცი იგი ჭეშმარიტ, უბიწო, მართალ, ღმრთის მსახურ, განყენებულ და განწორებულ ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა“ [5, გვ. 100].

ეშმაკი ცდილობს იობის გამოცდას და ღმერთს ეუბნება: მოუვლინე იობს გაჭირვება და მაშინვე დაიწყებსო შენს აუგად ხსენებას. უფალი იობის გამოცდას მიზნით ეთანხმება ეშმაკს. „მაშინ ჰრქუა უფალმან ეშმაკსა მას: აჰა ეგერა, ყოველი რაცა არს მისი, მოვეც ხელთა შენთა, არამედ მას ნუ შეახებ“ [5, გვ. 100]. ქართულ ხალხურ ლექსში ამის შესახებ ნათქვამია: „იმ დლოცვილმა უფალმა სანაძლეოდ წიგნი მისცა;

სულის ნება არა მისცა, სატანჯველად ლეში მისცა“ [13, გვ. 280].

ეშმაკის ჩარევით იწყება იობის ტანჯვა, შევიწროება. უფალმა გაანადგურა იობის ქონება, მაგრამ ამან არ იმოქმედა იობზე, მას არ შეუცვლია თავისი რწმენა უფლის მიმართ და იგი მაინც ერთგული მორწმუნე და მსახური რჩება უფლისა. ამის შემდეგ კვლავ გრძელდება იობის ტანჯვა. ღმერთი მას სხვა სატანჯველს მოუვლენს: „ჰყავდა შვიდი ვაჟიშვილი, ხუთი ქალი — სახე მზისა, ყველა ერთ დღეს დაეხოცა, ერთი აღარ დარჩა ძირსა“ [13, გვ. 116].

ამის შემდეგაც არ დასცდენია იობს უფალზე ძვირი სიტყვა, ამ გარემოებასაც ისევე შეეგუა, როგორც ქონების განადგურებას. მისი პასუხი ასეთია: „უფალმან მომცა, უფალმანცა მიმიღო, ვითარცა უნდა უფალსა ეგრეთაცა იქმნა“.

ეშმაკი ისევ აგრძელებს იობის ტანჯვას: „იობს მატლი დაეხვია ათას ზუთას ფერადისა; ზოგი ძვალსა ეჭიდება, ზოგი რბილზე გადმოსდისა“ [13, გვ. 115].

მიუხედავად იმისა, რომ იობის ტანჯვა ახალ-ახალი გამოცდით გრძელდება, იგი მაინც ღვთისმოსავი, ღვთის მოსიყვარულე რჩება. იგი ემორჩილება ღმერთის მიერ მოვლენილ მწუხარებას. იგი ღმერთისათვის, რწმენისათვის ითმენს მასზე მოვლენილ ყველა ტანჯვას და ამით იგი ქრისტიანული შორალის განმახორციელებელია. იობი უდრტივინველად თმობს თავის შვილებს და ეს ქრისტიანული შორალის ფარგლებში სრულიად გასაგებია. ვინაიდან ეს უკანასკნელი ადამიანისაგან მოითხოვს ღმერთის უსაზღვრო, უანგარო სიყვარულს. სწორედ ამაშია ადამიანის უმაღლესი დანიშნულება, ემსახუროს ღმერთს და მოთმინებით მოიპოვოს სული თვისი. ღმერთის სიყვარულს ვერ შეედრება ვერავითარი სიყვარული, თუნდაც ეს საკუთარი შვილების სიცოცხლეს ეხებოდეს. იობი ღმერთის მსახურია, მისი ცხოვრების წესი მთლი-

ახად თავსდება ქრისტიანული მორალის ფარგლებში, უდრტვინველად ითმენს ამქვეყნად მოვლენილ ყოველ სატანჯველს და ბოლომდე რჩება მოყვასის მოყვარული, რითაც საბოლოო ანგარიშით ღმერთის სიყვარულს, როგორც უძალღესი ღირებულების რწმენას რეალურად ახორციელებს.

ქართულ ქრისტიანობაზე მითოლოგიაში დაგმობილია ყოველივე ბოროტის ჩადენა. ასეთი საქციელისათვის ადამიანები მკაცრად ისჯებიან საიქიოში. ბოროტებად, ავ საქმედ მიჩნეულია ქალისაგან ქმრის დალატი, შვილების მიტოვება, ცილისწამება, უსამართლობა. აღნიშნული მანკიერებანი უარყოფითი ღირებულებების სფეროს მიეკუთვნებიან. მნიშვნელოვან სათნოებად არის მიჩნეული სამართლიანობა. „ვისაც სიმართლე მიუძღვის ის უფრო დიდი მადლია“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღმერთი სიკეთის მთესველია ამქვეყნად, იგი თავდაპირველი ადამიანებისათვის სამოთხეს მიიჩნევს მარადიულ სამყოფლად. მაგრამ იგი ამავე დროს სასტიკიცაა. როდესაც პირველმა ადამიანებმა დაარღვიეს ღმერთის რჩევა და იგემეს აკრძალული ხის ნაყოფი მან (ღმერთმა) ადამ და ევას მხოლოდ სასჯელი არ აკმარა. ეს სასჯელი გაავრცელა მათ შთამომავლობაზეც. ამ დღიდან ადამიანები ტანჯვითა და მძიმე შრომით მოიპოვებენ პურს არსობისას. ამის გამო ადამიანებმა დაკარგეს ღვთის რწმენა, რამაც ღმერთის განრისხება გამოიწვია. ამ განრისხებაზე მოგვითხრობენ სწორედ წარღვნის მითები. წარღვნის მითები, ისევე როგორც ბევრი სხვა მითი შესაქმნისა, შუმერულ-აქადურ მითებს ემთხვევა და მისგან არის ნასესხები.

სანამ ბიბლიური წარღვნის შინაარსს გავეცნობოდეთ და პარალელს გავაღებდეთ ქართულ ხალხურ ლეგენდებთან წარღვნის შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ შუმერული მითი და ვნახოთ რა საერთო აქვს მასთან ბიბლიურ სიუჟეტს.

ივლგამემის ეპოსის მეთერთმეტე დაფაში მოთხრობილია ღმერთების რჩეული უთანაფიშთისა და წარღვნის ამბავი: ღმერთებმა გადაწყვიტეს აღგავონ პირისაგან მიწისა ადამიანთა მოდგმა. იგრძნეულების, მაგიისა და მტკნარი წყლის ღმერთმა ეამ სიხმარში აცნობა თავის რჩეულ უთანაფიშთის, რომ „სახლი დაანგრე, ხომალდი ააგე, განაგდე სიმდიდრე, ეძიე სიცოცხლე, უარყავ ქობება, იხსენი სული“ [3, გვ. 81].

შუმერულ-აქადური და ბიბლიური მითები წარღვნის შესახებ თითქმის ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს.

წარღვნის მითებს, რომელიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, თავისი გარკვეული საფუძველი ექნებოდა. შესაძლებელია იგი გამოძახილი იყოს დიდი ხნის წინათ მომხდარი კატასტროფისა, რომელმაც შეაძრწუნა ძველი ადამიანები. მაგრამ, ამის გარდა, უნდა ვიფიქროთ, რომ წარღვნა კათარზისი იყო კაცობრიობისათვის. რადგან, როგორც ვიცით, წყალს ადამიანთა წარმოდგენაში მაგიური მნიშვნელობა აქვს. იგი არის ხელმეორედ შობის საშუალება. ამისი ანალოგიაა „ახალ აღთქმაში“ აღწერილი, ქრისტიანობის დროს შემოდებული ნათლისღების რიტუალი.

ნათლისღება ბერძნულად ნიშნავს ჩაღრმავებას. ჩაყურყუმალავების დროს ბეწვზე ჰკიდია ადამიანის სიცოცხლე და ამოყურყუმელავების დროს ხელმეორედ გვევლინება. ამიტომაც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარღვნის მითები როგორც დიდი, ისე მცირე წარღვნის, წარმოადგენს კაცობრიობის მორალურ გახსმენდას. ზემოაღწერილ მითებში ყოველთვის გადასარჩენად ამორჩეულია

ღმერთისათვის საყვარელი ადამიანები, რომელნიც არიან ღმერთის მოყვარულნი ღვთისმოსავნი, მორალურად წმინდანი.

ქართულ ლეგენდაში ნოე დახასიათებულია როგორც წმინდა, როგორც სვეტი და ა. შ. ასევე „მცირე წარღვნის“ ლეგენდებშიც დაგმობილია ადამიანთა შორის არსებული ცოდვები, გარკვეული ზნეობრივი ნორმების დარღვევა და სხვა. წარღვნის თემა მითოსურია და მასში გამოთქმულია ამ მითოსის შემქმნელი ხალხის გარკვეული ზნეობრივი ღირებულებანი.

ადამიანი, ისევე როგორც ყველა სხვა არსებული, ღმერთის მიერაა შექმნილი, მაგრამ მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისუფალი არსებაა. ეს თავისებურება მას აბედვინებს, რომ ღმერთსაც კი გაუწიოს მეტოქეობა. ქრისტიანული ეთიკისათვის ეს მიუღებელია და ღმერთი მკაცრად სჯის იმას, ვინც გაბედავს და შეებრძოლება მას, თუნდაც ეს მთელი კაცობრიობა იყოს.

უკვე განხილული მითოლოგიური მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ღმერთი ძალიან სასტიკია და შეუბრალებელი, თუ მისი რჩევა და მცნებები იქნება დარღვეული. ამის საუკეთესო მაგალითებია: ადამ და ევას მიერ ღმერთის მიერ აკრძალული ხილის ჭამის გამო მათი და მთელი მათი მოდგმის დასჯა, წარღვნის ლეგენდები.

ბიბლიის მიხედვით, დედამიწის მკვიდრი ადამიანები თავდაპირველად ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. გაამაყებულმა ადამიანებმა გადაწყვიტეს აეგოთ ისეთი მაღალი გოდოლი, რომ ცაში ღმერთს მისწვდომოდნენ და მას გატოლებოდნენ.

განრისხებულმა ღმერთმა მათ ენა აურია და ხალხი მთელს დედამიწაზე გაფანტა საცხოვრებლად. „მოვედით და შევჭრიენით ენანი ჩუენნი, რაითა არა ესმოდის კაცად კაცდასა მოყუასისა თვისისაი“ [11, გვ. 19].

ღვთისმეტყველება ასე ხსნის მსოფლიოს სხვადასხვა ეროვნებების წარმოშობას. ეს მომენტიც დაბადების მითთან ერთად გავრცელდა საქართველოში, განიცადა აგრეთვე გარკვეული ცვლილებები.

გურული ვარიანტის მიხედვით, როდესაც ღმერთმა ადამიანები გააჩინა მათ ენა არ ჰქონდათ. „აშენენ კიდობანა, აშენებენ და არ იციენ რას აშენებენ. ააშენეს დეინგრა. ე, მაშინ, როცა კიდობანა დეინგრა, ყველამ სხვადასხვა ენაზე თქვა მისი გასაჭირი. თურმე ღმერთს ამ კიდობანში ცხრა რჯულის ენა ჩაედვა“ [8, № 16466].

ამ ვარიანტში დაკარგულია ძირითადი აზრი. არ ჩანს ის, რომ ადამიანები კიდობანა-გოდოლს იმიტომ აშენებენ, რომ ღმერთამდე მიეღწიათ. არც ის ჩანს რატომ დაინგრა გოდოლი.

ბიბლიურ ტექსტს უფრო მეტად უახლოვდება ხევსურული ვარიანტი: „რაც ხორციელ ხალხნი ერთად ყოფილან — უთქომ: ციხე უნდა ავიყვანათავ ცაძდეავ... ხელით უწვდავ ქვა ერცხვისად. ატყობს ქრისტე, რო უახლოვდებოდნენ. ენა აურივ. ზოგი თათარ იქნ, ზოგ ქართველ, ველარა გააგონეს ერცხვის, ეს მამიტანევ, ესივ და დეეშალ ნაგებ ციხე“ [8, № 3685].

ბიბლია ღმერთისა და კაცის ჭიდილს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია ღმერთს ყოვლისშემძლედ სახავს, ადამიანები მას მაინც უბედავენ მეტოქეობას. ეს როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის როგორც თავისუფალი ნების მქონე ბუნებით არის გამოწვეული. ადამიანებს კი მაინც ავიწყდებათ, რომ ისინი ღმერთის თანაბარნი არ არიან რეალურ-

ბაში, რომ ადამიანი მხოლოდ შესაძლებლობაშია ღმერთის თანაბარი და მისი გატოლება არ შეუძლია. ამის ნათელი დადასტურებაა ბაბილონის გოდოლი და კიდევ იაკობის სიზმარი, სადაც იგი უზარმაზარი კიბით ღმერთს უკავშირდება, ან კიდევ მისი ბრძოლა ღმერთთან. ღმერთი ვერ ახერხებს იაკობის დამარცხებას და უწოდებს ისრაელს, რაც „ღმერთთან მებრძოლს“ ნიშნავს.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ღმერთს უდიდეს თავყვანს სცემდნენ მათი დაუცხრომელი ბუნება მაინც მასთან ბრძოლას ახედვინებდა.

არც ქართული მითოლოგიისათვის არის უცხო ღმერთთან მებრძოლი გმირის სიუჟეტი. ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ამირანის ეპოსი. ღმერთმა ვერ აპატია ამირანს ასეთი კადნიერება და იგი სამუდამოდ კლდეზე მიაჯაჭვა.

ქართველების ძველი წარმართული მსოფლმხედველობა, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, შეიცვალა ქრისტიანობით. ქრისტიანობამ თავისი კვალი დააჩნია სულიერი კულტურის ყველა სფეროს. ქრისტიანობის გამარჯვებას საქართველოში თან მოჰყვა მდიდარი ლიტერატურისა და ხელოვნების შექმნა. ქრისტიანობას საქართველოში დახვდა კარგად განვითარებული მითოლოგია. ამირანის თქმულებამ თანდათანობით განიცადა ქრისტიანობის გავლენა, შეითვისა და მიიღო ახალი მოტივები.

თქმულებაზე ქრისტიანული ზეგავლენა ოთხ ძირითად მომენტს ეხება, ესენია: გმირის მონათვლა, საბნელოში ჩასვლა, ღმერთთან შეჭიდება, მიჯაჭვა.

გმირის მონათვლა თქმულების სხვადასხვა ვარიანტში განსხვავებულადაა წარმოდგენილი. ზოგიერთი მათგანის მიხედვით, ამირანი იმთავითვე ქრისტეს მონათლულია; ამირანის ნათლიად ქრისტეს მიიჩნევს თქმულების კახური, ფშაური და სვანური ვარიანტები. თქმულების გმირს ქრისტე ღმერთმა მაგიური თვისებები დაანათლა. ფშაური ვარიანტის მიხედვით, ნათლიამ ამირანს დაანათლა დიდი ფიზიკური ძალა. მაგრამ იგივე ღვთაება ამირანს დაარბიებს: გიყვარდეს ყოველი ადამიანი, იყავი გულკეთილი, გაძლევ ძალას, მაგრამ თუ უსამართლოდ მოიქცევი, დაგსჯი. ქრისტიანობას თქმულებაში უკვე თავისი ზნეობრივი მრწამსი შემოაქვს და გმირს ავალებს მისდაკვლად მოქცევას — შოყვასის სიყვარულს, გულკეთილობას, სამართლიანობას. აღნიშნული ზნეობრივი ნორმების დარღვევის შემთხვევაში გმირს ღმერთი დასჯით ემუქრება.

ამირანი ბოროტ ძალებთან მებრძოლი გმირია, მას ამ ბრძოლებაში ბევრი ადამიანი შემოაყვდა. საბოლოოდ იგი ღმერთსაც ეურჩება და მასთან შეჭიდება სურს. ამირანი თვითონ ღმერთს ეუბნება დამეჭიდო (თქმულების ძესხური ვარიანტი). ღმერთთან შეჭიდებამ ამირანს სამუდამო სასჯელი მოუტანა, ღმერთმა იგი მიაჯაჭვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღმერთთან შეჭიდების მოსურნე გმირის დასჯა თქმულებაში ქრისტიანული მოტივია. ხალხის მხსნელად მოვლენილი გმირი, რომელიც მუდამ ბოროტ ძალებს ებრძვის, სამუდამოდ დასჯილია, მიჯაჭვულია კავკასიონის ქედზე.

ნათლია ქრისტე კეთილი ძალაა, — წერს მ. ჩიქოვანი „მიჯაჭვულ ამირანში“ — ის ამირანს უხვად ავილდოებს ძალ-ღონით, ანიჭებს უკვდავებას, მაგრამ შემზღუდავ პირობებსაც უყენებს: „ყოველი ადამიანი გიყვარდეს, იყავი გულკეთილი, გაძლევ ძალას, მაგრამ თუ უსამართლოდ მოიქცევი დაისჯები“: წმინდა ქრისტიანული მორალია: „გიყვარდეს ყველა, არა კაც ჰკლა“. იმთავითვე აშკარა იყო, რომ ამირანს ამ პირობის დაცვა არ შეეძლო, რადგან

თვითონ ქრისტემ უთხრა ქვეყანაზე შენი მომრევი არავინ იქნებაო და საბრძოლველიც ბევრი ჰქონდა; პირველ ყოვლისა ავი სულელები — მოძალადე დევები უნდა შეემუსრა. ამირანი ამ მოვალეობას პირნათლად ასრულებს: სპობს კაციჭამია დევებს და ყოველგვარ დევურ გამოვლინებას. იგი სიკეთის დამკვიდრებისათვის მებრძოლი გმირია.

ამირანის „დანაშაულია“ ის, რომ იგი ღმერთს მებრძოლებას გაუბედავს და სწორედ ღმერთთან მებრძოლობის გამო ისჯება. ამირანი ღმერთს ებრძვის იძისათვის, რომ განთავისუფლდეს ღმერთის შემზღუდავი პირობებისაგან, იგი ზრუნავს პიროვნული თავისუფლებისათვის, მაგრამ მას არ ძალუძს ღვთიური ძალის დათრგუნვა და ამდენად იგი ეწირება თავისუფლების იდეას.

ქართულ ქრისტიანიზებულ მითოლოგიაში ზნეობრივ ღირებულებათა ახალიზისას ცხადი ხდება, რომ მასში მთავარი ადგილი სიკეთისა და ბოროტების კატეგორიებს უკავიათ, როგორც უზოგადეს კატეგორიებს და თავისთავად ღირებულებებს. მითოლოგიის გმირები სხვადასხვა თვისებების, უნარების, თვალსაზრისის მატარებელნი არიან, მაგრამ მათი მოქმედება მთლიანად მიმართულია ბოროტების წინააღმდეგ, ისინი სიკეთის დასამკვიდრებლად იბრძვიან.

სიკეთისა და ბოროტების კატეგორიების კონკრეტული შინაარსი იცვლებოდა ეპოქების, საზოგადოებრივი სისტემების ცვლასთან ერთად. საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, კერძოდ ფეოდალიზმის პირობებში, უმაღლეს სიკეთეს წარმოადგენს ღმერთის სიყვარული, მისდამი სწრაფვა.

სიყვარული მთელი ქრისტიანული ეთიკის საფუძველი და უმაღლესი ზნეობრივი ღირებულებაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიყვარულის ფენომენი საკრალური, ფუნდამენტური და უნივერსალური მნიშვნელობისაა, ამასთანავე იგი თავისებურ მნიშვნელობას იძენს. ქრისტიანულად გაგებული სიყვარული, რომელიც მოყვასის სიყვარულში ვლინდება, გულისხმობს უანგარო და უსაზღვრო თავდადებას, თავგანწირვას. მოყვასის სიყვარული ეხება სხვის სიყვარულს იმის მიუხედავად იმსახურებს თუ არა ეს სხვა ამ სიყვარულს. ქრისტიანული მორალის მიხედვით, ძველი აღთქმის ეთიკური მოძღვრებისაგან განსხვავებით, უნდა გიყვარდეს არა მხოლოდ მოყვასი შენი, არამედ მტერიც შენი და კეთილს უკეთებდე მას, ვინაიდან ადამიანთა შორის არსებული ურთიერთსიყვარული ღვთაებრივი საწყისია, ხოლო ურთიერთსიძულვილი სატანისეული. ეს უკანასკნელი დაგმობილია ქრისტიანული მორალური კონცეფციის ძიერ.

მოყვასის სიყვარული ღმერთის სიყვარულის გამოვლინებაა. ქართული ქრისტიანიზებული მითოლოგიის ძირითად მორალურ მომენტს ღმერთის სიყვარული წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ღმერთის მსგავსია, იგი მაინც არ არის ღმერთის თანაბარი. ადამიანი თავისუფალი ნების მქონე არსებაა, მაგრამ მისი უმაღლესი მიზანია ღმერთისადმი სამსახური. ღმერთისადმი სამსახური, მისდამი უსაზღვრო თავდადება კარგად არის გამოხატული „აბრაამის ლექსში“ და „იობის ტანჯვაში“. აღნიშნული მითების გმირები, მიუხედავად მათზე მოვლენილი ტანჯვისა, მაინც ღმერთის უანგარო მსახურები არიან და მზად არიან გაიღონ ყოველგვარი მსხვერპლი, თუნდაც ეს ადამიანის სიცოცხლეს შეეხებოდეს. მათი ქცევის მოტივები ქრისტიანული მორალის ფარგლებში სრულიად გასაგებია. აბრაამის ქცევა ღმერთისადმი უსაზღვრო სიყვარულიდან გამომდინარეობს, რაც გარკვეულ რწმენას ემყარება. ქართულ

ქრისტიანულ მორალში რწმენა შემოდის როგორც გარკვეული სათნოება, რაც გონებით მიუწვდომელია. აქ რწმენა იძენს ქრისტიანული მორალის რეალური განხორციელების ფუნქციას. მორწმუნე ინდივიდი ტოვებს ეთიკურს ფარგლებს და ღმერთთან უშუალო კავშირს ამყარებს. აბრაამის ნება ღმერთის ნებას გამოხატავს. აბრაამი თავის საქციელით გვიჩვენებს, რომ ადამიანის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ღმერთისადმი სამსახური.

ქართულ ქრისტიანიზებულ მითოლოგიაში ვხვდებით, აგრეთვე, სოციალური უთანასწორობის მიერ გამოწვეული უსამართლობის დაგმობას, რითაც სამართლიანობა მნიშვნელოვან ღირებულებად დგინდება. სამართლიანობის, როგორც გარკვეული დადებითი ღირებულების მოთხოვნა მოცემულია ლექსში „უსამართლო სამართალი“, რომელშიც ვკითხულობთ: „უსამართლო სამართალი, ვაი რა დიდ ძნელი არის“. ადამიანს მაინც იმედი აქვს, რომ ამქვეყნად უსამართლობის ჩამდენი საიქიოში დაისჯება.

ქართულ ქრისტიანულ მორალში მნიშვნელოვანი ღირებულებაა იმედი. ქრისტიანული მსოფლმხედველობის წარმოდგენით, ვინც ამქვეყნად მოთმინებით იცხოვრებდა და იშრომებდა, ბოროტებას არ ჩაიდენდა, სიკვდილის შემდეგ სამოთხეში მოხვდებოდა. ამქვეყნად ჩადენილი ცოდვა-მადლი ადამიანს საიქიოში მოეკითხებოდა. ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიერ შემოტანილი იმედი იმქვეყნიური ცხოვრებისა ადამიანის მორალს სრულყოფდა.

ქართული ქრისტიანიზებულ მითოლოგიის ზნეობრივ ღირებულებათა სისტემაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია თავისუფლებას, როგორც დადებით ღირებულებას, რომელიც პიროვნებად ყოფნის პირობას წარმოადგენს. აღნიშნული ღირებულება ფართოდ არის გადმოცემული მითში „ბაბილონის გოდოლის“ შესახებ და ამირანის ეპოსში (ქრისტიანიზებულში).

თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი ამირანი ისჯება ღმერთის მიერ, ძაგრამ დასჯის ეს მომენტი მნიშვნელოვანია ქართული ქრისტიანული მითოლოგიისათვის. ამირანის ღმერთთან მებრძოლება თავისუფლებისათვის ბრძოლაა (შდრ. იაკობის ღმერთთან შერკინების მითი ძველი აღთქმიდან).

ქართულ ქრისტიანიზებულ მითოლოგიაში ბოროტება გაგებულია, როგორც დადებითი ზნეობრივი ნორმების დარღვევა. ბოროტების კონკრეტული სახეებია შემდეგი მანკიერებანი: სიცრუე, პირობის დარღვევა, ორპირობა, ღალატი, ლაჩრობა, ვერაგობა და სხვა. აღნიშნული მანკიერებანი უარყოფითი ღირებულების სფეროს განეკუთვნებიან.

აღნიშნულ მითოლოგიურ სისტემაში ვხვდებით, აგრეთვე, სიწმინდეს როგორც დადებით ღირებულებას. ქართულ ქრისტიანულ მითოლოგიაში ისეთი მნიშვნელოვანი მითები, როგორცაა წარღვნის მითები, სწორედ სიწმინდეზე, მორალურ კათარზისზე მოგვითხრობენ. წარღვნის მითებში ღმერთის ძიერ ამორჩეულნი არიან სწორედ მორალურად წმინდა ადამიანები (ნოე „დიდი წარღვნის“ მითის გმირი და კიკო, რომელიც „მცირე წარღვნის“ მითის გმირია).

ამრიგად, ქართულ ქრისტიანიზებულ მითოლოგიაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ზნეობრივი ღირებულებანი: სიკეთე-ბოროტება, სიყვარული-სიძულვილი, ერთგულება-ღალატი, სამართლიანობა-უსამართლობა, მამაცობა-სილაჩრე, სიწმინდე, რწმენა, იმედი.

ლიტერატურა

1. ბეგიაშვილი თ. ქართული ფოლკლორი, თბ., 1941.
2. ბუაჩიძე თ. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან, თბ., 1986.
3. გილაგაშვილი, თბ., 1963.
4. კიკნაძე ზ. შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1976.
5. შახვეთური ხელნაწერი, თბ., 1986.
6. ნიქარაძე ბ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1962.
7. პავლენი, თბ., 1974.
8. უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი.
9. ფოიერბახი ლ. ქრისტიანობის არსება, თბ., 1956.
10. ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 1953.
11. ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, თბ., 1978.
12. შესაქმე.
13. ჩიქოვანი მ. ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, თბ., 1973.
14. ჰეგელი. ლოგიკის მეცნიერება, თბ., 1962.
15. Антология мировой философии, М., 1971.

Н. В. БУЦХРИКИДЗЕ

МЕСТО НРАВСТВЕННЫХ ЦЕННОСТЕЙ В ГРУЗИНСКОЙ  
ХРИСТИАНСКОЙ МИФОЛОГИИ

Резюме

В статье выдвигается положение о том, что аналогично с «грузинским христианством» можно говорить о «грузинской христианской мифологии». На основе анализа богатого материала грузинского фольклора (легенд и сказаний) выделяются основные нравственные ценности в иерархическом порядке и определяется их место в общей системе грузинской христианской мифологии.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილო-  
სოფიის ინსტიტუტმა



ალექსანდრე ალადაშვილი

უპანიშადებში აბსოლუტის (ბრაჰმანის) გაგებვისათვის

ძველი ინდური კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია უპანიშადებს, რელიგიურ-ფილოსოფიურ დოქტრინათა კრებულს, რომლის ფორმირება ვედური სიბრძნის დასრულებასა და ფილოსოფიური აზრის ჩასახვის პერიოდთან არის დაკავშირებული. სიტყვა „უპანიშად“ ზმნური სახელია და ეტიმოლოგიურად ნიშნავს „ახლოს ჯდომას“ ე. ი. *upa-ni -śad*, იგულისხმება სულიერი მოძღვრის ფეხთან ჯდომა. ეს არის ამ ტერმინის გავრცელებული ეტიმოლოგიური ახსნა. [5, გვ. 130]; (აგრთ. *taittiriya*, 1,3) [15, გვ. 16]<sup>1</sup>. ზოგიერთი ტექსტის მიხედვით იგი ნიშნავს იდუმალ, ფარულ, არა ყველასათვის განკუთვნილ ცოდნას (*Śuetaśvetara*, 5,6); [15, გვ. 93]. ხაზი ესმება იმასაც, რომ ამ ცოდნის გადაცემის უფლება მხოლოდ გარკვეულ პიროვნებას აქვს<sup>2</sup> (*Brihadarāniaka* — VI. 3.12) [12, გვ. 645]. ტერმინ უპანიშადების არა მარტო მოკლედ და ნათლად განსაზღვრა, არამედ მისი რომელიმე ლიტერატურული ჟანრისადმი მიკუთვნებაც უკირს. იგი ორასამდე ნაწარმოებს აერთიანებს (ტრადიციით 108), ზოგი რამოდენიმე, ზოგიც ასეულობით გვერდის შემცველია. ისტორიული განვითარების გზაც მეტად გრძელია (1 ათას წ. დასაწყისი ჩვ. წ. აღ-მდე — XVI ს. ჩ. წ-ით). დათარიღების საკითხისათვის გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდი. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, ტექსტი გადმოცემული იყო პროზად თუ ლექსად, იკვლევდნენ ენისა და სტილის განსაკუთრებულობას, ადგებდნენ გარკვეული იდეების გავრცელების ხარისხს. მაგრამ უპანიშადების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ჯერ კიდევ არ არის ზუსტად დადგენილი<sup>3</sup>.

უპანიშადებში აბსოლუტის ფუნქციას ბრაჰმანი ასრულებს, ამასვე განსხვავებული აზრი არ არსებობს; ჩვენი ამოცანა მისი (ბრაჰმანის) შინაარსობრივი დახასიათებაა.

1 უპანიშადების ტექსტის მითითებისას ვასახელებთ ჯერ სათაურს, რომელსაც მოსდევს სპეციალისტების მიერ შედგენილი ნუმერაცია, შემდეგ ზოგადი წესით მივუთითებთ თუ რომელი გამოცემიდანაა ის ამოღებული.

2 ოლდენბერგი *upaniśad*-ს უკავშირებს *upa-ās* (მოკრძალება), *upasana* (თაყვანის ცემ მოკრძალებით ჯდომა [10, გვ. 134]. ასეთ ახსნას სპეციალისტები ნაკლებად ეთანხმებიან. ისტორიულად ამ ტერმინის დედაარსი ცვლილებებს განიცდიდა როგორც კომენტარებში, ისე მოგვიანო ტექსტებში.

3 მაგ. პაულ დოსენი უპანიშადებს სიძველის მიხედვით ასე ალაგებს: 1. უძველესი პროზაული (ბრიჰადარანიაკა, ჩჰანდოგია, ტაიტირია, აიტარია, კაუშიტაკა, კენა); 2. ლექსად დაწერილი (კათოპ, იშუ, შეეტვატარა, მუნდაკა, მანდუკია, მაჰანარაიანა); 3. გვიანი პროზაული (პრაშნა, მაიტურიაანა); 4. შედარებით გვიანდელი (ათპარველის) უპანიშადები [8—264]; ასეთ კლასიფიკაციას ეთანხმება ვინტერნიცი [16, გვ. 205].

უბანიშადები ვედური კრებულის დასასრულია (ვედა-ანტა). საწყისი კი რიგ-ვედა იყო. მათ შორის სივრცობრივ-შინაარსობრივი თვალსაზრისით უზარმაზარი მონაკვეთია. ვედა-ანტაში ჩამოყალიბებული აბსოლუტი — ბრაჰმანი შედეგია იმ აზრობრივი ძიებისა რომელიც რიგ-ვედაში დაიწყო. ამ ეპიკურ ძეგლში არის მცდელობა, — მითოლოგიისა და ფანტაზიის ბურთუსში გახვეული, — სამყაროული მოვლენების ასახსნელად ერთი პრინციპის მონახვისა. რიგ-ვედაში ჰიმნის ავტორისათვის ის ღმერთია უმაღლესი, რომელსაც რაიმე თხოვნით მიმართავენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს პანთეონის სხვა ღვთაებათა „დამცივებას“. მოცემულ მომენტში ეს მოცემული ღვთაებაა აბსოლუტი, თუმცა სხვა ჰიმნში ამ ფუნქციას სხვა ღვთაება ასრულებს. ალბათ, ეს ვითარებაც ჰქონდა მხედველობაში ჰეგელს, როცა წერდა „У индуизма все переменно“<sup>4</sup>; მაქს მიულერმა კი, ინდური კულტურის უდიდესმა მკვლევარმა, ეს „არეგ-დარეგ“ გარკვეული პრინციპით — ჰენოთეიზმით ახსნა [3, გვ. 41]. რიგ-ვედის მეათე მანდალა (წიგნი, ნაწილი), აბსტრაქტული აზროვნების დასაბამადაა მიჩნეული, სადაც პირველად დასმული ის კითხვები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში უპასუხოდ რჩებიან „არცა არა არსი და არც არსი არ იყო მაშინ, არც ჰაერი და არცა ზეცა... სად რა იძვროდა, ან რა იყო ძისი მფარველი? რა წყალი იყო ან რა სიღრმე და უფსკრული ვინ უწყის ესე რომ ნაშდვილი გვაუწყოს ჩვენცა, ამბავნი ჭმნილის, ვითარება შესაქმის ამის; ქვეყნის გაჩენის შემდგომ გაჩნდნენ ღმერთები მხოლოდ, მამ ვინლა იცის თვით ქვეყანასაიდან გაჩნდა“<sup>4</sup>. ავტორი ამ ჰიმნისა, რომელიც ნასადიას ჰიმნთაც არის ცხოვლილი, სხვადასხვა თვალთახედვის ურთიერთშეჯერების შემდეგ მიდის იმ დასკვნამდე, რომ არსის პირველ მდგომარეობას წარმოადგენდა ერთიანი (tad Ekam), კონკრეტულობას მოკლებული, შინაარსის არმქონე არარაობა<sup>5</sup>; რომლიდანაც ტაპასის (კოსმოსური მზურგალების) მეშვეობით აღმოცენდა ერთიანი (Ekam) გარკვეულობა. ეს ჰიმნი იმდენად ატარებს ფილოსოფიურ ხასიათს, რამდენადაც მასში ავტორი ცდილობს არყოფნიდან ყოფნად<sup>6</sup> გადაქცევის იდუმალი საკითხი გადაჭრას არა ბუნებრივი ძალების მოხმობით, არამედ გონებით, თუმცა ფანტაზიასაც ლომის წილი აქვს. ბუნების, როგორც მთლიანის გაღმერთება, რიგ-ვედის მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპია. არის ჰიმნები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, ერთის მხრივ, როგორც ბუნების ცალკეული მოვლენების განსახიერება და, მეორეს მხრივ, რაღაც საერთო პრინციპის დადგენის მცდელობა. მაგ. ვიშნუ შეიძლება განვიხილოთ როგორც კოსმოლოგიური ღვთაება, რომლის დამახასიათებელი ნიშანიც არის საშყაროს სამი ნაბიჯით გავლა, მისი საზღვრების დადგენა და როგორც ფილოსოფიური პრინციპი, როგორც ყოვლისმომცველი, ყოველი მხრით გავრცობილი; როგორც ღვთაება ტრანსცენდენტურია, ხოლო როგორც პრინ-

4 პროფ. შხია ანდრონიკაშვილის თარგმანი.

5 ევროპულ აზროვნებაში ეს მდგომარეობა იაკობ ბოემეს მიერ შექმნილი ტერმინ — Nicht-ით თუ გადმოიცემა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთ-შიმარტებაზე ასობით გამოკვლევაა, ზოგ ავტორს ასეთი პარალელების ძებნა გაუმართლებლად მიაჩნია. მაგ. ტ. გრიგორიევა წერს: „აღმოსავლეთში გლადიატორთა ბრძოლა და კორინთის უაზრო იქნებოდა“ [6, გვ. 6].

6 ტერმინ „ყოფნა“-ს შესახებ იხ. [1, გვ. 144 და შემდეგი].

ციბი გამოვლენილია; გამოვლენილია იმ აზრით, რომ სამყაროს არსებობა სწორედ ამ მოვლენის შედეგია. მითოლოგიის ჭრილშიც ის ერთ-ერთ პირველხარისხოვან როლს ასრულებს. ასეთივე პოზიციებიდან შეიძლება შევხედოთ რიგ-გედის ყველაზე პოპულარულ პერსონაჟს — ინდრას. სისტემური აზროვნების გამომხატველია ტერმინ „რიტას“ მრავალმხრივი აზრით ხმარება. ამ ცნებით გამოითქმება ფიზიკურ (და არა სულიერ) სამყაროში მოქმედი კახონზომიერება.

აბსოლუტის ცნება, რომელიც ვედების პერიოდში ვერ დაკონკრეტდა, თუმცა აზროვნება ამ მიმართულებით მიდიოდა<sup>7</sup>, საბოლოოდ გაფორმდა უპახიშადებში ბრაჰმინის ცნების დადგენით.

ტაიტარა უპანიშადაში (tayt. III. 1); [15, გვ. 67], მამასა და შვილს შორის იმართება დიალოგი მამა (ამ შემთხვევაში მოძღვარი) ცდილობს, კითხვა-პასუხით, ე. წ. სოკრატული მეთოდით, დაადგინოს აბსოლუტის ცნება. პირობა ასეთია: ის (აბსოლუტი) უნდა იყოს ისეთი „საიდანაც ყველაფერი გაჭიმდინარეობს და შემდეგ ყოველივე მასში ბრუნდება“ (იქვე). რამდენადაც გარე სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე მატერიაა, შვილი აბსოლუტად სწორედ მას მიიჩნევს. მოძღვარი (მამა) ურჩევს არ იჩქაროს და პასუხის დროს კარგად დაფიქრდეს. ის მართალია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ემპირიულ სინამდვილეში, გარშემო მატერიალური საგნების მრავალფეროვნებაა, რომლებიც წარმოიშობა და ისპობა, ჩნდება იმის ილუზია თითქოს ისინი მუდმივად არსებობენ. მაგრამ მათ გარდა ხომ არის სიცოცხლის ფენომენი, რომელიც მატერიით სრულებით არ აიხსნება. სიცოცხლე, როგორც ასეთი, თავისი არსებობისათვის წინაპირობად მრავალ გარემოებას ითვალისწინებს — რომელია მათ შორის ყველაზე მთავარი — ის, რომლის უარყოფითაც წყდება სიცოცხლაც — ასეთი კი პრანა-ა<sup>8</sup> (prāna). იგია სიცოცხლის ძირითადი პრინციპი, ამავე დროს სხეულის, როგორც მატერიის, არსებაცაა (მღრ. Br I. 3. 9); [12, გვ. 44] და (Chandogya VI. 2. 4); [13, გვ. 419], თითქოს ყველაფერი უკვე ნათელია, პრანა არის როგორც ფიზიკურის (სხეული) ისე სულიერის (სიცოცხლე) განმსაზღვრელი, და ამდენად აბსოლუტი. მაგრამ პრანა-თი აუხსნელი ხდება ცნობიერება, კერძოდ, ცნობიერების ერთ-ერთი მდგომარეობა, რომელიც ტერმინ manas-ით აღინიშნება. საქმეს არ შველის ის რომ პრანა დაკავშირებულია manas-თან (Prāna-bandhanam hi saumya manah) manas-ის (აღმქმელი) ცნობიერების ახსნა სიცოცხლით (პრანა-თი) და მით უმეტეს მატერიით შეუძლებელია. ცნობიერება არის აბსოლუტი. ცნობიერება არის ბრაჰმანი. ბრაჰმანი აბსოლუტია (ტექსტში manas-ზე არ წყდება მსჯელობა აბსოლუტის დასადგენად, მაგრამ რამდენადაც შემდგომში განხილული არგუ-

<sup>7</sup> ამის საილუსტრაციოდ მრავალი მანტრა გამოდგება. მაგ.: არსებობს ერთი, ჩვენ მას მრავლობითად მივიჩნევთ (Ekam sad viprā bahūdhā vadanti) (R. V. 164, 46). აგრეთვე იხ.: [17, გვ. 27].

<sup>8</sup> Prāna ნიშნავს სუნთქვას. მას უთარგმნელად ეტოვებთ იმეტომ, რომ სუნთქვას აღნიშნავს jiv-აც და pranayama-ც. მათ შორის განსხვავების ჩვენება დიდ ადგილს მოითხოვს, მოკლედ კი — prāna არის ისეთი სუნთქვა, როცა ხდება „ინდიელის არაცნობიერი აქტივობის რეგულირება“ (Radhakrishnan S. „The Principal Upanishads“. London 1953, p. 91).

მენტები ცნობიერების მხოლოდ სხვადასხვა საფეხურებია —vijāna, jnana, — მათზე დაწვრილებით აღარ შეეჩერდებით).

„ის საიდანაც ეს არსებები იზადებიან, ის, სადაც ისინი დაბადების შემდეგ ცხოვრობენ, ის სადაც სიკვდილის შემდეგ ბრუნდებიან — სწორედ ეს „ის“ არის ბრაჰმანი“ (tajt. III. 1); [15, გვ. 68], (შდრ.; პროკლეს ცნობილი 35-ე თეზისი). ყველაფერი ბრაჰმანიდან გამომდინარეობს; მოვლენათა სამყაროს, გარდა იმისა რომ იგი მოწესრიგებული მთელია, აზრი იმაშია, რომ ეს ყოველივე ისევ ბრაჰმანს უბრუნდება.

უპანიშადებში განასხვავებენ ბრაჰმანის ორ სახეობას: აკოსმიურს და კოსმიურს, უსხეულოსა და სხეულებრივს, უკვდავსა და მოკვდავს [3, გვ. 148]. პირველს არ მიეწერება არავითარი თვისებები. იგი იწოდება ნირგუნად (Nirguna — უთვისებო), მეორე კი საგუნა (Saguna — ე. ი. ის რასაც აქვს თვისებები) ბრაჰმანად. ნირგუნა ბრაჰმანის დახასიათებისას მითითებულია იმაზე, თუ რა არ არის ის (აპოფატიკური მეთოდი).

„ბრაჰმანი „არც დიდია არც პატარა, არც მოკლე არც გრძელი, არც წითელი (როგორც ცეცხლი) არც ზეთივით დენადი, არც ფერადი, არც მუქი; ის არ არის ქარი, სივრცე (ākāśa) არ უკავშირდება (არაფერს), არა აქვს სუნი, გემო... არაფერი აქვს შიგნით და გარეთ“ (Br. III, 8,8); [12, გვ. 359], სხვაგან საპირისპირო მეთოდით არის დახასიათებული. ბრაჰმანი ყველაფერია: „იგი გამსჭვალულია გონით, მისი სხეული prāna-ა, მისი ხატი ნათელია, იგია ჭეშმარიტება, სივრცე და შემცველი ყველა მოქმედების... იგია მთლად სურვილი (Chā. III. 14, 2); [13, გვ. 219].

ბრაჰმანის განსხვავებულად გაგებამ ვენდატას ფილოსოფიაში სხვადასხვა მიმართულებას დაუდო სათავე. შანკარას მიხედვით, რომელიც აბსოლუტური მონიზმის პოზიციასზე დგას, რეალობა ერთია და ის არის ბრაჰმანი. საგნები და მოვლენები არარეალურია. ყველაფერი განსაზღვრულია. ბრაჰმანი გახუსაზღვრელია.

რამანუჯას დახასიათებით, რომელიც ე. წ. ზომიერ მონიზმს იცავდა, ბრაჰმანი რეალურია. რეალურია აგრეთვე ცდისეული სამყარო. მოვლენათა მრავალფეროვნება განპირობებულია სწორედ ბრაჰმანის რეალობით<sup>9</sup>. აღსანიშნავია, რომ ეს ორი თვალსაზრისი ერთიმეორისაგან პრინციპულად არ განსხვავდება. ბრაჰმანი ერთიანია და ის მხოლოდ ორი სხვადასხვა მეთოდით არის დახასიათებული.

ბრაჰმა-სუტრაში (III. 2. 17); [11, გვ. 236] ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ ყოველდღიურ ყოფაში ჩაფლული ადამიანისათვის თითქმის შეუძლებელია ბრაჰმანის წვდომა; ხოლო ბრიჰადარანიკაში ეს აზრი პათეტიკამდელა მისული: „არა-არა“, — რამეთუ არ არსებობს სხვა სიტყვები (ბრაჰმანის გამოსათქმელად, — ა. ა.) გარდა „არა-არა“-სი (Br. II. 3,6); [12, გვ. 236], მისი რამენაირად გააზრება მხოლოდ უარყოფითი მსჯელობით შეიძლება“ ის რაც უზილავია მიუწვდომელია; მას არა აქვს ფუძე<sup>10</sup>, არა აქვს ფერი... იგი მუდმივია და ყველაფრის საწყისი (mundaka, I. 1. 6); [14, გვ. 75].

<sup>9</sup> ამათ გარდა გამოყოფენ ნიშბარკის, მადჰავას და ვალაბჰის თვალსაზრისს.

<sup>10</sup> ამ სიტყვით აღინიშნება როგორც მატერიალური (სახლის ფუძე), ისე ადამიანური მიმართება (წინაპართა ფუძე).

ბრაჰმანის წვდომის პროცესში აქტიურობას (აქტიურ მოქმედებას) არავითარი როლი არ ენიჭება. „მხოლოდ მას ვისაც ეს „მე“ აირჩევს (იგულისხმება სამყაროული „მე“, ბრაჰმანი, ა. ა.), მხოლოდ მას შეუძლია მისწვდეს ამ „მე“-ს, სამყაროული „მე“ ირჩევს „მე“-ს როგორც თავისას [2, გვ. 47]. საქმის ვითარება აქ ასე წარმოგვიდგება, ადამიანს იმდენად აქვს თავისუფალი ნება, რამდენადაც იგი განსაზღვრულია უმაღლესი არსების ნებით, მაშასადამე ადამიანი კი არ ირჩევს, არამედ მას ირჩევენ ე. ი. მას (ადამიანს, სასურველ არსებას) არცა აქვს თავისუფალი ნება.

თუმცა ბრაჰმანი უცნობია, იგი ცნობით, ცოდნით არ მიიღწევა, — ის შინჯე არის „ცოდნის მცოდნე“ (Knower of Knowing) და ცოდნის საბოლოო შიზანი. ის ისეთი ცნობიერებაა, რომელიც გრძნობის ორგანოებით სარგებლობს, მაგრამ იმავე გრძნობის ორგანოებით არ გაიგება. „როგორ შეიძლება გაიგო მუდმივი მცოდნე? ის ხომ ცოდნისაგან განსხვავებულია და ცოდნაზე მალაა?“ (Kena., I, 4); [14, გვ. 51].

ბრაჰმანი დროის, სივრცისა და მიზეზობრიობის მიღმაა. იგი არ არის სივრცეში და არ მოიცავს მას. ეს უსივრცეობა გამოთქმულია „უსასრულოდ დიდისა“ და „უსასრულოდ მცირეს“ აზრით, რაც მას ერთდროულად მიეწერება. „ყოველივე ეს დასაწყისში იყო ბრაჰმანი; ერთიანი უსასრულო; უსასრულო სამხრეთით... ზევით, ქვევით... უსასრულო ყველგან; ბრაჰმანისათვის არ არსებობს რომელიმე მხარე (region)... მისთვის არ არსებობს ზევით, ქვევით“ (maitrayani. VI, 17); [14, გვ. 78], „ბრაჰმანი არის ჩემი „მე“ ჩემს გულში, პატარა ვიდრე ბრინჯის მარცვალი, ვიდრე მარცვალი ქერის... ვიდრე გული ფეტვის მარცვლისა. ბრაჰმანი არის ჩემი „მე“, ჩემს გულში, უფრო დიდი ვიდრე დედამიწა, უფრო დიდი ვიდრე ზეცა... უფრო დიდი ვიდრე მთელი ეს სამყარო“ (chān. III. 14. 3); [13, გვ. 220],

ზედროულობა დახასიათებულია ხან როგორც წარსულის, აწმყოსა და მომავლის არმქონე, ხან როგორც მუდმივობა — საწყისისა და დასასრულის გარეშე, „რომლის ფეხთან წლები, დღეთა ცვალებადობით მიედინება. ღმერთები მას მოიაზრებენ (meditate) როგორც უკვდავებს“ (Br. IV. 4. 16); [12, გვ. 515]. მიზეზობრიობა მხოლოდ მოვლენათა სამყაროშია, ხოლო წმინდა ყოფნაში (pure being) ის არ მოიაზრება. ბრაჰმანში არ არის არავითარი ცვალებადობა, თუმცა იგია ყოველი ცვლილების და სამყაროული წესრიგის მიზეზი. მიზეზთა არსი და შედეგთა არსი ერთიანია და დასაბამიც ერთი აქვს [2, გვ. 72]<sup>11</sup>.

ბრაჰმანი, „მცოდნე მე“ არც იბადება არც კვდება, ის არსაიდან წარმოიშობა და არც არაფრად გარდაიქმნება“ (Katha. I. 2. 18); [14, გვ. 59]. ისაა „დაუსაბამო (birthless) მუდმივი ყველგანყოფი... უკვდავია სხეულის სიკვდილის მერეც“ (იქვე). სამყარო ბრაჰმანიდან წარმოიშობა მაგრამ თვით არ განიცდის არავითარ ცვლილებებს (მსგავსად ნეოპლატონიკოსების „ემანაციისა“, რომლის დროსაც ღმერთის სისავსეს არაფერი აკლდება). ადამიანის

<sup>11</sup> შტრ.: ენაღები V, 3 № 12. — ერთთან ზიარება არის მიზეზი არსის მთლიანობისა, „ერთიანობის გარეშე“ ნივთები იქნებოდა განცალკევებული, გაფანტული, მიტოვებული შემთხვევითობის ანაბარად, ხოლო სამყარო იქნებოდა სრული ქაოსი (ციტირებულია: შ. ხიდაშელი, ქართული ფილოსოფიის ისტორია, გვ. 122. თბ., 1988].

გოხების ნაკლოვანების გამო არ შეუძლია ბრაჰმანისა და სამყაროს ურთიერთ-კავშირის მიზეზის ახსნა. სასრულოთ, ჩვენი არსებობით, უსასრულო — ბრაჰმანი, როგორც პოტენციური სამყარო არ შეიმეცნება, ამდენად მას (სამყაროს) ვახაწვევრებთ და მისი შემეცნება ისე ხორციელდება, რადგან შესაძლებელია „ოქროს პატარა ნაჭერის შესწავლით, შევიცნოთ ოქრო, როგორც ასეთი“ (chān VI. I. 15); [13, გვ. 412].

ერთის (ბრაჰმანის) განვითარებით წარმოიშობა მრავალი ფორმა და ამ მრავალი ფორმის შემეცნებით შევიმეცნებთ ერთს (ბრაჰმანს). ე. ი. ცალკეული მოვლენები და საგნები არიან არა მექანიკური ნაწილები ბრაჰმანისა, არამედ როგორც განვითარებული ბრაჰმანი. მივიღეთ, რომ საგანი არის ნაკლოვანი და იგივე საგანი არის „განვითარებული“ ბრაჰმანი. ეს წინააღმდეგობა შოისხენიება თუ გავიხსენებთ, რომ ბრაჰმანში ერთმანეთს ემთხვევა მიზეზისა და მიზნის ცნება. „ისე როგორც ყველა მდინარე ზღვაში შეერთებისას ჰკარგავს თავის სახელს, ასევე ყველა საგანი ჰკარგავს თავის თვისობრიობას ბრაჰმანში“ [2, გვ. 105].

ბრაჰმანი როგორც წმინდა ცნობიერება, მუდმივი სუბიექტი, არასოდეს გახდენა ობიექტი. როგორც ყოველი ცდის საფუძველი, ის არ შეიძლება იყოს თვით ამ ცდის ობიექტი. მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ბრაჰმანი სუბიექტია, რადგან სუბიექტისათვის უნდა არსებობდეს აღქმის ობიექტი. ბრაჰმანი სუბიექტ-ობიექტის ერთიანობაა. იგი კი არ არსებობს — არსებობს მისი გამოვლინებები — არამედ არსობს. ჩვენ მასზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ „ის არის“. „ბრაჰმანი არასოდეს ყოფილა დანახული მაგრამ ის ხედავს, ის არავის გაუგია — მაგრამ მას ესმის, ბრაჰმანი არ მოიაზრება, მაგრამ ის აზროვნებს. მან არაფერი იცის, მაგრამ ის მცოდნეა... არ არის სხვა გამგები გარდა ბრაჰმანისა, არ არის სხვა მოაზროვნე გარდა ბრაჰმანისა, არ არის სხვა მცოდნე გარდა ბრაჰმანისა“ (Br. III. 7. 23); [12, გვ. 354],

ბრაჰმანი უსასრულოა (bhuma-infinite). „სადაც არაფერს ხედავენ, სადაც არაფერი მოისმინება, სადაც არაფრის გაგება არ შეიძლება — ეს უსასრულობაა; სადაც ხედავენ, სადაც მოისმენენ — ეს სასრულობაა. უსასრულობა უკვდავებაა. სასრულობა — სიკვდილი (mortal) (chān. VII. 24,1); [13, გვ. 536].

ვედანტაში ბრაჰმანის მაგივრად ხშირად იხმარება ტერმინი Saccidananda. ეს შედგენილი სიტყვა ცალ-ცალკე შემდეგს ნიშნავს sat — არსებობა, ყოფნა; cit — ცნობიერება, ცოდნა და ānanda — ნეტარება.

როგორც ვთქვით, ბრაჰმანი კი არ არსებობს, არამედ არსობს, რადგანაც ის არის უხილავი საფუძველი ხილული არსებობისა; ისევე როგორც მირაჟი უდაბნოს გარეშე შეუძლებელია, ასევე სამყარო არ არსებობს მისი არარეალური საფუძველის — ბრაჰმანის გარეშე [11, გვ. 240], თეორიულად შესაძლებელია ყოველი არსებულის უარყოფა. მაგრამ შეუძლებელია ყოველი საგნისა და მოვლენის, ილუზორულის თუ არაილუზორულის მიღმა მყოფი უცვლელი არსების უარყოფა, რადგან ის არსებობის სფეროში არ შემოდის.

უპანიშადები ყოველთვის არსობის ერთიანობაზე მიუთითებს „ბრაჰმანში არ არის არავითარი განსხვავება; გარდაიცვლება<sup>12</sup> ის, ვინც მასში (ბრაჰმანში).

<sup>12</sup> დედანში — mṛtyos sa mṛtyu-ის [მღეს] სიკვდილიდან სიკვდილამდე — იგლისსება ერთი ყოფიდან მეორეში გადასვლა, ცვლება, გარდა-ცვლება.

ა. ა.) ხედავს ვითომ (iva: as it were; gleichsam) ცვალებადობას“ (Katha. 11. 1. 10); [14 გვ. 58].

ბრაჰმანი არის ānanda — ცნობიერება. იგი, განსხვავებით აზრისაგან, არ არის მიმართული ობიექტზე. იგი წმინდა ცნობიერებაა.

ბრაჰმანი არის ანანდა, ნეტარება. ეს ნეტარება არ უნდა გავუიგივოთ ყოფით ამბებში მიღებულ სიამოვნებას; თუმც რაღაც ნაწილით ესეც არის, ოღონდ ეს ānanda — ბრაჰმანის უმცირესი ხარისხია. ის თუმცა მთელ სინამდვილეს მსჭვალავს, მაგრამ შედარებით მეტადაა ადამიანში (taittiriya II, 7. 1); [15, გვ. 55]; აგრეთვე (Br. II, 4, 5); [12, გვ. 245],

Sat, cit და ānanda, არსობა (existence), ცნობიერება და ნეტარება ბრაჰმანს კი არ ახასიათებს რაღაც კუთხით, არამედ ისინი არიან თავად ბრაჰმანი და ბრაჰმანი არის Saccidānanda. აბსოლუტში არ არის განსხვავება სუბსტანციასა და ატრიბუტებს შორის. ბრაჰმანში სამივე ერთად და თითოეული ცალ-ცალკე არსებობს.

ბრაჰმანი არის წმინდა ცნობიერება ყოველგვარ განსაზღვრულობასა და მიმართებას მოკლებული. მასში არ არის სივრცე, მაგრამ სივრცე არ იარსებებდა, რომ არ ყოფილიყო ბრაჰმანი; იგი ზედროულია, მაგრამ მის გარეშე დრო არ არსებობს. იგივე ითქმის მიზეზზე, შედეგზე, ცვალებადობაზე. იგი მხოლოდ neti—neti — „არც ეს — არც ეს“—აა. შანკარას მიხედვით, რეალური არსობა მხოლოდ ბრაჰმანია, სინამდვილე მოჩვენებაა. მაგრამ ეს მოჩვენება ასე თუ ისე არსებობს (exist) და ამ არსებობის საფუძველი ის არის, რომ იგი არსის (ბრაჰმანის) გამოვლენაა. სინამდვილე ცვალებადია. ცვალებადობა გულისხმობს უცვლელ არსს.

ბრაჰმანთა ფაქტიდან, სინამდვილიდან ამოდის და ამ სინამდვილის საფუძველს, ბრაჰმანს ადგენს. მისი გზა ემთხვევა შანკარას გზას, ოღონდ შებრუნებით. ბრაჰმანი რეალურად არსობს, მაშინ როცა არსებობს რეალური სინამდვილე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრაჰმანი მთლად ვლინდება არსებობაში. ის კი დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაც არსებობს, მასში არის არსობის (ბრაჰმანის) რაღაც მომენტი. ისიც ვთქვით, რომ გამონაკლისი ადამიანია, რომლის მიზანიც ინდივიდუალური „მე“—ს უმაღლეს „მე“—სთან დაშთხვევა, —tat tvam asi,— უნდა იყოს. ეს არის გასაღები მთელი უბანი-შადებისა და ამდენად მთელი ინდური სულიერი კულტურისა. ამ ერთიანობის მიღწევა რამდენიმე საფეხურის გავლას გულისხმობს<sup>13</sup>. ცხოვრების აზრიც, უბანიშადების მიხედვით, ის არის, რომ ამ უმაღლეს „მე“—ს მივალწიოთ.

<sup>13</sup> ეს გზა კი სქემატურად ასეთია: არსებობს ოთხი მდგომარეობა: ღვიძილი, ძილი, ძილი სიზმრების გარეშე და ტურია (სიკვდილი). ადამიანის უმაღლესი ფორმა ღვიძილია. ამ დროს ადამიანი, არ ზრუნავს სულიერ სიწმინდეზე, მისი მიზანი „უზრუნველად ცხოვრება“; ამდენად მისი სიცოცხლე განსაზღვრულია მატერიალური ნივთებით. მეორე მდგომარეობის დროს, ძილი სიზმრებით, ინდივიდუალური ატმანი ღრობით ტოვებს „უხეშ მატერიას“, სხეულს. მესამე მდგომარეობაში ინდ. ატმანი ინთქმება სამყაროულ ატმანში. ბოლოს, ადამიანი მთლიანად ეთიშება მატერიალურ სამყაროს და შეერწყმის სამყაროულ ატმანს — ბრაჰმანს. იქცევა იმად რაც იყო, გარდაიცვალა, Samsara; ცხოვრების სხვადასხვა საფეხურების გავლა ევროპულ აზროვნებაშიც მკვეთრად არის გამოთქმული. დაწყებული ანტიკური ფილოსოფიიდან (პითაგორა, სტოელები) ქრისტიანობის გავლით ექსი-

## ლიტერატურა

1. ნოდია გ. ფილოსოფია, ენა და ფილოსოფიის ენა. „ცისკარი“, 1985, № 2.
2. Мюллер М. Философия веданты. М., 1912.
3. Мюллер М. Шесть систем индийской философии. М., 1901.
4. Радхакришнан С. Индийская философия, т. I, М., 1956.
5. Сыркин А. Некоторые проблемы изучения Упанишад. М., 1971.
6. Человек и мир в японской культуре. М., 1985.
7. Deussen P. Das Sistem des Vedānta. Leipzig, 1883.
8. Deussen P. Sechzig Upanishads des Veda. 3 Aufl, Leipzig, 1938.
9. Hesse H. Die Morgenlandfahrt. Gedichte. Märchen. Kleine Prosa. М., 1981.
10. Oldenberg H. Die Lehre der Upanishaden und die Anfänge des Buddhismus, Göttingen, 1923.
11. Swami Nikhilananda The nature of Brahman in the Upanisads, in: Essays in East. West philosophy. Honolulu, 1951.
12. The Brihadāranyaka Upaniṣad with the commentary of Śankarācārya Calcutta, 1958.
13. The Chandogya Upaniṣad, translation and copious notes by S. Swāshānānda, Madras, 1956
14. The Upanishads Translation from Sanskrit by Juan Mascaro. Narondsworth, 1974.
15. The Upanishads. Translation by S. Nikhilananda London, 1957,
16. Winternitz M. A. History of Indian literature, vol. 1, pt. I, Calcutta, 1959.
17. Vatsjyayana Dr. Indian Philosophy. Meerut. 1974.

А. Е. АЛАДАШВИЛИ

## О ПОНЯТИИ АБСОЛЮТА (БРАХМАНА) В УПАНИШАДАХ

### Резюме

Установление понятия абсолюта в Упанишадах не является проблематичным — хорошо известно, что эту функцию выполняет Брахман (взаимоотношения Брахман — Атман касаются другой проблематичной сферы).

Задача данной статьи — его смысловая характеристика. Выделены две категории Брахмана: акосмический и космический. Последнее можно считать явлением первого, Абсолюта.

Главнейшие атрибуты Брахмана, т. е. Абсолюта — сверхвременность, сверхпространственность, сверхпричинность. Это субъект-объектное единство как чистое сознание.

Показано тождество термина Sacitananda с Брахманом. Выделено также несколько параллелей из индийской и европейской духовности.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა.

ტენცილიზმამდე — კირკეგორი (ესთეტიკური, ანუ უმანკობის, ეთიკური, ცოდვის და რელიგიური, რწმენის) და ამ უკანასკნელის გავლენით მხატვრულ აზროვნებაში. მაგ. ჰ. ჰესე „თეოლოგიის ნამცეცხვში“ (Ein Stückchen Theologie) წერდა: კაცად ქმნის გზა იწყება უმანკობით (mit der Unschuld), აქედან მას მივყავართ დანაშაულისაკენ, სიკეთისა და ბოროტების შეცნობისაკენ. ეს საფეხური სასოწარკვეთით მთავრდება, იმის შეცნობით რომ სათნოების განხორციელება... შეუძლებელია, რომ სამართლიანობა მიუღწეველია, რომ კარგარსობა (Gutsein) განუხორციელებელია. ამ სასოწარკვეთას მივყავართ ან დაღუპვისაკენ ან სულის მესამე სამყოფელისაკენ... რწმენასთან (zum Glauben) [9, გვ. 404].



## ფსიქოლოგია

ლონა სასონიძე

მუსიკის სპეციფიკურ გამომხატველობით საშუალებათა  
ვერბალიზაციის მესაძლებლობების ექსპერიმენტული კვლევის  
შედეგები I

მუსიკალურ-გამომხატველობით საშუალებათა სისტემის — მუსიკალური ენის საფუძველი, რაც მუსიკის სპეციფიკას ქმნის და ხელოვნება არც ერთ სხვა დარგს არ ახასიათებს, არის ბგერათა ფიქსირებული სიმაღლე და წესობიერი ინტერვალური მიმართება ამ ბგერათა შორის. სწორედ ეს მოვლენა წარმოქმნის კილოს ფენომენს, მელოდიას და სპეციფიკურ მუსიკალურ ჰარმონიას — ბგერათშეთანხმების კანონზომიერებას. რაც შეეხება ფიქსირებული სიმაღლის მქონე ბგერათა ორგანიზაციას დროში — რიტმს, იგი მუსიკის ყველაზე არსებითი მომენტია — რიტმის შეცვლა სრულიად ცვლის მუსიკალურ მთლიანობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას სპეციფიკურ გამომხატველობით საშუალებას მაინც ვერ ვუწოდებთ, ვინაიდან იგი მხოლოდ მუსიკისათვის არ არის დამახასიათებელი. რიტმი მნიშვნელოვანი კომპონენტია ხელოვნების ყველა დარგისათვის, რომელთაც დროში განვითარებადობა ახასიათებს, ამიტომ რიტმი საერთო გამომხატველობით საშუალებათა რიგს უნდა მიეკუთვნოთ. ყოველივე ზემოთქმულის გამო, კვლევის წინაშე დადგა საკითხი: შესაძლებელია თუ არა სპეციალურ ექსპერიმენტულ პირობებში მუსიკალური ნაწარმოების საერთო მხატვრული მთლიანობიდან გამოვყოთ სპეციფიკური საშუალებები — კილო და ჰარმონია და ვიკვლიოთ, ხდება თუ არა სპეციფიკურად მუსიკალური მოვლენის სიტყვიერ მნიშვნელობაზე გადატანა.

იბადება კითხვა: რატომ ვუვლით გვერდს მელოდიის კვლევას? საქმე იმაშია, რომ ტონალურ მუსიკაში, სადაც მუსიკის წამყვან თვისებას მელოდია წარმოადგენს, მელოდიის მთლიანობა კილოებრივი მომენტით არის განსაზღვრული. მელოდიის, როგორც მუსიკალური გემტალტის, სწრაფვა დასრულებისაკენ განპირობებულია იმ კილოს მიზიდულობის კანონით, რომელშიც ეს მელოდია დაწერილი. იგი ისწრაფვის მიზიდულობის ცენტრისაკენ, ტონიკისაკენ. ამიტომ ავარჩიეთ დაკვირვებისათვის კილო და ჰარმონია.

მელოდიურ „მოძრაობაში“ შემავალი ტონების ფუნქციური მნიშვნელობა განპირობებულია კილოს სისტემის სტრუქტურული თავისებურებებით. მელოდიის ცალკეული ბგერის კილოებრივი ფუნქციის განსხვავების უნარს, მათი სიმყარისა და მერყეობის ხასიათის და ტონების „უთრთიერთმიზიდულობის“ გრძნობას, კილოს გრძნობას უწოდებენ და მას მუსიკალური ნიჭიერების ცენტრალურ უნარად მიიჩნევენ სიმორი, რევეში, ტებლოვი, ფრანსეხი დასხვები.

უარყოფენ რა, მიზიდულობის ფენომენის, როგორც აზროვნების, ინტელექტუალური პროცესის განხილვის შესაძლებლობას ფსიქოლოგებისა და მუსიკისმცოდნეთა ნაწილი მას მიაკუთვნებს „ემოციურ მდგომარეობათა სფეროს (პელმპოლცი, ტებლოვი, ოგოლოვეცი). აი, რას წერს ამის შესახებ ბ. ტებლოვი: „კაცმა რომ თქვას, რა არის ეს მელოდის დაუსრულებლობა არამყარ ბგერაზე მისი დამთავრების დროს? რა თქმა უნდა ეს არ არის ლოგიკური დაუსრულებლობა, რომლის გაგება შეიძლება ამ სატყვის ინტელექტუალური მნიშვნელობით. ეს არც ისეთი სენსორული თვისობრივობაა, მაგალითად იმ დაუხვეწავი ჟღერადობის მსგავსად, ძგერის შედეგად რომ გვაძლევენ დისონანსებს. ეს უპირველესად არის ემოციური განცდა, ერთგვარი ემოციური უკმარობა (неуд), რომელიც მართალია, ძალიან მიახლოებით, მაგრამ მაინც შეიძლება აღეწერათ როგორც დაძაბვის განცდა, რომელიც ვერ აღწევს გადაწყვეტას“.

ავტორთა ერთი ნაწილი „მიზიდულობის ფენომენს“ არაცნობიერის სფეროში ათავსებს (გუბერი, ბელიაევა-ეკზემპლიარსკაია, იავორსკი და სხვები). ის, რომ „მიზიდულობის“ ფსიქოლოგიური ფენომენის საფუძველს სუბიექტის სმენითი მიმართვა ანუ განწყობა წარმოადგენს, დაახაბუთა გ. კეჩხუაშვილმა გამოკვლევაში, რომელიც კილოს გრძნობის ფსიქოლოგიურ შესწავლას ეძღვნება. დიმიტრი უზნაძის მიერ დამუშავებული „ფიქსირებული განწყობის“ ცნება გიორგი კეჩხუაშვილმა გამოიყენა ტერმინების „სმენითი მიმართვა“, „მოლოდინი“ ფსიქოლოგიური საზრისის გასახსნელად.

ჩვენს წინაშე დადგა საკითხი: სხვაგვარ ექსპერიმენტულ პირობებში გვეკვლია კილოს განცდის თავისებურებანი. სახელდობრ, არა გამაში, და მის შემადგენელ ტეტრაქორდებში, როგორც ეს გ. კეჩხუაშვილის მიერ არის ნაკვლევი, არამედ მუსიკალურ მხატვრულ მთლიანობაში. ვინაიდან, მართალია, კილო მუსიკალური ნაწარმოების საძირკველია, მაგრამ მისი შემადგენელი ტეტრაქორდები არ არის მხატვრული მთლიანობა. ტონალურ სისტემაში კვარტა-კვინტური წრე მეტად ფართოა. ბგერათრიგმა თორმეტი ტონალობა უნდა მოიაროს, რომ კვლავ დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო მივიღოთ. ამდენად, ტეტრაქორდებში სიმყარე-მგრევეობა ბევრად უფრო პირობითია, ვიდრე მუსიკალურ ნაწარმოებში. ბგერათრიგი მხატვრული მთლიანობა არ არის. აქ ტონები ერთმანეთთან ერთგვაროვანი სიმალლობრივი მიმართებით არიან დაკავშირებული (ტონი, ტონი, ნახევარი ტონი, ტონი, ტონი, ტონი, ნახევარი ტონი). დროში ორგანიზაცია წრფივია, ბგერათა დაკავშირება დროში რაიმე რიტმულ სურათს არ ქმნის. ამიტომ, ტონიკაში გადაწყვეტის ძოლოდინი მხატვრულ მთლიანობაში უფრო მძაფრია ვიდრე ბგერათრიგში.

ვინაიდან თითოეული მუსიკალური ნაწარმოები უნიკალური მხატვრული სტრუქტურაა, ყოველ აკორდს სხვადასხვა მთელში (სტრუქტურაში) სხვადასხვა საზრისისეული დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. ხოლო რაც შეეხება ბგერათრიგს, იგი შეიძლება არც იყოს კონკრეტული ემოციურ-გამომხატველობითი ტონის მატარებელი. მაგალითად, მაჟორისა და მინორის როგორც მხარულისა და ნაღვლიანის განცდის პირობითობაზე მიუთითებს გ. რევეში, რაც ჩვენს მიერ წინათ ჩატარებულმა ცდებმაც დაგვიდასტურა. სახელდობრ, ჩვენს ცდებში ი. ს. ბახის კონცერტი ოთხი კლავირისათვის, დაწერილი ლა მინორში, განიცდებოდა როგორც უფრო მხიარული, ვიდრე მაჟორში დაწერილი სხვა ნიმუში (ბეთოვენის მე-12 სონატის მეორე ნაწილი). მეორეს

მხრივ, ერთი და იმავე კილოში მრავალი სხვადასხვა მუსიკალური შინაარსის (ემოციური შინაარსის). ვადმოცემა შეიძლება. თუმცა ევროპულ მუსიკაში ცნობილია ვარკვეული განწყობილების კონკრეტული ტონალობით გამოხატვის ტრადიცია. მაგალითად, პასტორალური იდილის გამოსახატავად კომპოზიტორები ფა მაჟორს მიმართავენ, მაგრამ, იმის განხილვა, თუ რა განსაზღვრავდა მათს არჩევანს—ტრადიცია თუ ტონალობის საკუთრივი გამოხატულებითი ტონი, სცილდება ჩვენი კვლევის მიზანს.

კილოსა და ჰარმონიის განცდის კვლევა მხატვრულ მთლიანობაში საშუალებას გვაძლევს გადავლახოთ ტონალური მიზიდულობის საზღვარი ტრადიციულ მაჟორ-მინორში, და ატონალური მუსიკის ნიმუშებშიც ვიკვლიოთ კილოსა და ჰარმონიის განცდის შესაძლებლობები.

მიზანშეწონილად მივიჩნევთ ისე ავგვეო კვლევის მეთოდოლოგია, რომ თვით ხაწარმოებში გვეცვალა ეს კომპონენტები—კილო და ჰარმონია. ბუნებრივია, ეს ცვლა მნიშვნელოვნად შეცვლის ნაწარმოების აგებულებას და ამდენად, მხატვრულ შინაარსსაც. საინტერესოა, ეს ცვლილება რამდენად აისახება ევროპულ ჩვენებებში.

ექსპერიმენტული მასალის შერჩევისას ვხელმძღვანელობდით იმ პრინციპით, რომ ნაწარმოების შეცვლილი ვარიანტის მიწოდებისას, კილოს ან ჰარმონიის ცვლილებას არ გამოეწვია მუსიკალური გეშტალტის დარღვევა. შესაძლოა დაირღვეს ბეგრათა შორის არსებული მიზიდულობა და ე. წ. „მოლოდიხი“ არ გამართლდეს, მაგრამ ექსპერიმენტული მასალის მოსმენა არ უნდა ბადებდეს დაუმთავრებლობის განცდას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შევქმენით ცდის ექვსი ვარიანტი, რომელთა საშუალებით შევისწავლეთ კილოსა და ჰარმონიის განცდის ვერბალიზაციის შესაძლებლობები. ცდები ჩატარდა სამუსიკო სკოლის მოსწავლეებზე. საშუალო მუსიკალური განათლების მქონე მუსიკოსებზე და არამუსიკოს მოზრდილებზე.

კვლევის პიპოთეზა ასეთი იყო: კილოსა და ჰარმონიის განცდის ვერბალიზაციის შესაძლებლობები, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგების საერთო გამოხატულებით საშუალებათა განცდასთან შედარებით, უფრო შეზღუდული უნდა იყოს. ტრადიციულ ზედსართავთა ის წყვილები (მხიარული—ნაღვლიანი, ჩქარი—ნელი, ჩაფიქრებული—აღტაცებული, აღვლევებული—დამშვიდებული, მამაცი—მშიშარა, თამამი—მოკრძალებული, პირდაპირი—ჩასაფრებული, იდუმალი—ნათელი და ა. შ.), რომელთაც ვიყენებთ ნაწარმოების ემოციური ქვალიტეტის აღსანიშნად, ვფიქრობთ, კილოსა და ჰარმონიის განცდის დასახასიათებლად არ უნდა გამოდგეს. აქ უფრო შესაძლებელი უნდა იყოს სასიამოვნო—უსიამოვნო, გასაგები—გაუგებარის, ღაბბვა—შეგების და ნათელი—პირქუშის მიხედვით დახასიათება. ეს უკანასკნელი გამოდის თვით ბეგრის ბუნებიდან. როგორც ცნობილია, ბეგრის სიმაღლესთან დაკავშირებულია მისი სხვა თვისებებიც—სინათლე და მასივობა. ვინაიდან ჰარმონიის სადღეძველი ფიქსირებული სიმაღლის მქონე ბეგრათა ურთიერთშეთანხმებაა, მისი (ჰარმონიის) დახასიათება შესაძლებელი უნდა იყოს სინათლის ხარისხის მიხედვით (უფრო ნათელი ჰარმონია, უფრო—ბნელი).

ცდები ტარდებოდა ინდივიდუალურად, მუსიკალური ნაწარმოების მიწოდება ხდებოდა ექსპერიმენტატორის მიერ ფორტეპიანოზე ცოცხალი შესრულებით. ცდებში მონაწილეობდა 120 ცდისპირი, ჩატარდა 740 ცდა.



**მ ე თ ო ღ ი კ ა :**

პირველი ცდა: ცდისპირებს ორჯერ ვასმენინებთ დებიუსის პიესას „პატარა მწყემსი“, ციკლიდან „საბავშვო კუთხე“ (დასაწყისი 7 ტაქტი, პირველი წინადადება). მასალას პირველად ვასმენინებთ შეცვლილი ჰარმონიით, უფრო გაჭარტივებულად. იმპრესიონისტულ სტილში ჰარმონიზირებული მელოდია შეცვლილი გვაქვს ტრადიციული ტონიკა — დომინანტა — ტონიკის მიმართებით. სახელდობრ, ბანში სადღესურთა თანმიმდევრობა გახდება 1, 1, V, 1, 1, V; IV, V, 1, 1. ხოლო მეორედ ვასრულებთ ისე, როგორც ავტორმა შექმნა. ინსტრუქტია ასეთია: „მუსიკას მოსმენთ ორჯერ. უნდა განსაზღვროთ ეს ერთი და იგივე ნაწარმოებია, თუ სხვადასხვა. ა) თუ მივიღებთ პასუხს, რომ ეს ერთი და იგივე ნაწარმოებია, კიდევ ერთხელ დაუტყრავთ და წინასწარ ვთხოვთ ცდისპირებს დააკვირდნენ, ხომ არ არის რაიმე განსხვავება. ბ) ხოლო, იმ შემთხვევაში, როცა მივიღებთ პასუხს, რომ მოსმინეს სხვადასხვა ნაწარმოები, მაშინ კიდევ ერთხელ დაუტყრავთ და ვთხოვთ დააკვირდნენ, ხომ არ ამჩნევენ რაიმე მსგავსებას. მეორედ შესრულების შემდეგ, იმ ცდისპირებს, რომლებმაც ცვლილება იგრძნეს, ან სხვადასხვა ნაწარმოებად ჩათვალეს ჩვენს მიერ მიწოდებული მუსიკა, ვთხოვთ შეძლებისდაგვარად სიტყვიერად დაახასიათონ თითოეული ვარიანტი. როგორია ეს მუსიკა, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაშია მსგავსება. სიტყვიერ გამოხატვაში უნდა გამოიხსენდეს ცნობიერდება და ვერბალიზირდება თუ არა ჰარმონიის ვანცდა.“

იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ვერ იგრძნეს და ორივე ვარიანტი — ავტორისეულიც და შეცვლილიც ერთი და იგივე მუსიკად მიიჩნიეს, გასათვალისწინებელია ორი მომენტი: პირველი — ან იგრძნეს, რომ ეს ერთი და იგივე მელოდიაა და იგი სხვადასხვაგვარად არის ჰარმონიზირებული, მელოდიამ შექმნა მათთან მხატვრული მთლიანი და ჰარმონიის ცვლილებას მნიშვნელობა არ მისცეს, ან მეორე — მართლაც ვერ იგრძნეს განსხვავება, ე. ი. არა აქვთ საკმაოდ დიფერენცირებული აღქმა. ამ მომენტების გამოყოფა უნდა მოხდეს მეორედ მოსმენის შემდეგ, როდესაც ვთხოვთ დააკვირდნენ, ხომ არ არის ამ ორ მუსიკას შორის განსხვავება, და თუ არის, შეძლებისდაგვარად დავიხასიათონ თითოეული.

მეორე ცდა: ვასმენინებთ მოცარტის №5 სოლ მაჟორული სონატის პირველი ნაწილის პირველ წინადადებას (10 ტაქტი). იგივე მუსიკას ვასმენინებთ მეორედ — შეცვლილი ჰარმონიით, მუსიკის სხვა პარამეტრების მაქსიმალური უცვლელობის პირობებში. უცველი რჩება მელოდია, რიტმული ნახაზი მარცხენა ხელში, ტემპი, არტიკულაცია და საერთოდ საშემსრულებლო შიდეგობა. ჰარმონია ამ შემთხვევაში პირველი ცდისაგან (დებიუსი, „პატარა მწყემსი“) განსხვავებით, გართულებულია, კლასიკურ, ტონიკურ (სოლ მაჟორი) სამხმოვანებას დასაწყისშივე ცვლის შემცირებული სეპტაკორდი სოლ-დიეზ, სი, რე, ფა. დაღმავალ, კეთილზნოვან ტერციებს ცვლის დაღმავალი, ქრომატიულად მცოცავი შემცირებული სეპტაკორდები ბანში. ეს მკვეთრი დისონანსები აღქმისას მეტ სირთულეს და „უჩვეულობას“ წარმოადგენენ ვიდრე პირველ ცდაში მდგომელი იმპრესიონისტული ყდერადობის „გაკლასიკურება“. საინტერესოა, ჰარმონიის ცვლა სად უფრო შესამჩნევი იქნება, კლასიკურ თუ იმპრესიონისტულ მუსიკაში. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ცდაში (მო-

ცარტის სონატა) ჰარმონიის ცვლილებასთან ერთად კილოს გადახრაც იგრძნობა, სოლ მაჟორში დაწერილ მელოდიას ბანი ისე აქვს ჰარმონიზირებული, რომ ატონალური მუსიკის ელფერი ეძლევა, მაშინ როცა, პირველ ცდაში (დებიუსის „პატარა მწყემსი“), კილო არ იცვლება, ავტორისეული ლა მაჟორი კიდევ უფრო განმტკიცდება ჩვენს მიერ შერჩეულ, მარტივ, ტრადიციულ ჰარმონიაში. მაშასადამე, პირველი და მეორე ცდა მიზნად ისახავდა ცდისპირთა გრძნობიერების შესწავლას ჰარმონიის ცვლის მიმართ.

მესამე ცდაში გამოყენებულია ატონალური მუსიკის ნიმუში. შონბერგის პიესა № 1, თხზ. 11. მუსიკის ისტორიაში ეს პიესები (ექვსი პიესა), ცნობილია როგორც ატონალური მუსიკის, XX საუკუნის ახლებური მუსიკალური აზროვნების დასაბამი. პირველად ვუკრავთ ავტორისეულ ვარიანტს, ხოლო შემდეგ — შეცვლილი სახით. შეცვლილ ვარიანტში შენარჩუნებულია პიესის მხოლოდ ზედა ხმა, შუა ხმების გარეშე, რაც თავისებურ მელოდიურ ხაზს ქმნის (თუმცა ეს ხაზი მეტად არატრადიციულია). ხოლო, ბანში ვუთავსებთ საცვებით „მშვიდობიან“, ტრადიციულ, ტონალურ აკორდებს: V, 1, V, 1, მოდულაცია მი მინორში 1, V, 1, 1. ამდენად ეს ცვლილება იწვევს კილოს ცვლას, ატონალური მუსიკა ტონალური ხდება. ამ ცდამ უნდა გვიჩვენოს კილოს განცდის თავისებურება ატონალურ მუსიკაში. ინსტრუქცია აქაც იგივე რჩება.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ცდები მიზნად ისახავდა ქართული მუსიკის დამახასიათებელი კილოსა და ჰარმონიის განცდის შესწავლას. მეოთხე ცდაში ცდისპირებს ვასმენინებდით მოცარტის მენუეტს (KV 6) და მაჟორი, მოდულაცია V ტაქტიდან დო მაჟორში. მეორედ იგივე მეხუთეტი უღერდა შემდეგი სახით: მენუეტის მელოდია (უცვლელად), ჰარმონიზირებულია ისე, რომ ვიღებთ კილოს ცვლას. პირველიდან მეოთხე ტაქტამდე დორიულ კილოშია, მეხუთე — მეექვსე ტაქტი — დო მაჟორში, ხოლო მეშვიდე ტაქტიდან ისევ დორიულ კილოს ვუბრუნდებით და ვამთავრებთ პიესას ტიპური ქართული კადანსით კვინტაზე. კილოს ცვლა ევროპულ მელოდიას ქართულ ხასიათს ანიჭებს და მენუეტი ქართულ საფერხულოს ემსგავსება. ინსტრუქცია ამ ცდაშიც იგივე რჩება, რაც წინა ცდებში: ეს ერთი და იგივე ნაწარმოებია, თუ სხვადასხვა. თუ ერთი და იგივე ნაწარმოებად მიიჩნევენ, ცდის გაგრძელების შესაძლებლობა გვესპობა, ხოლო თუ გვიბასუხებენ, რომ ეს არის სხვადასხვა მუსიკა, ეს ცდისპირები მონაწილეობენ მეხუთე ცდაში.

მეხუთე ცდა: ვასმენინებთ მოცარტის მენუეტს ორჯერ — სწორი და „შეცვლილი, „გაქართულებული“ სახით. შემდეგ ვუკითხავთ ვაჟა ფშაველას ლექსს „ეს გაზაფხულიც მოვიდა“, ეს გაზაფხულიც მოვიდა/აგერ ჩამოშრენე ძიანია,/ საპირიქითთ გაიხსნენ/ თოვლით შაკრულნი გზანია./ იაც რომ ამოჩენილა/ ბრიყვის ჩადუნას რძალია./ ეკლებში თავსა მიმაღავს/ ბუნების ეშხით მთვრალია/. ცდისპირებს ვთხოვთ, განსაზღვრონ ეს ლექსი რომელ მუსიკას შეეფერება. ჩვენის ვარაუდით, ლექსი მენუეტის შეცვლილ, „გაქართულებულ“ ვარიანტს უნდა მიამსგავსონ. ამ ცდამ უნდა გვიჩვენოს, იწვევს თუ არა კილოს ცვლა სხვა პარამეტრების უცვლელობის პირობებში, ნაწარმოების მთლიანობითი ქვალიტეტის, მისი თვისებრიობის ცვლას (სხვა ნაწარმოები ხდება). შეიძლება თუ არა კილოს განცდის მიმსგავსება სხვა განცდისთან (მოცარტის ნიმუშის განცდასთან). თუ ეს შესაძლებელია, მაშინ მიმსგავსება სტილის მი-

ხედვით უნდა ხდებოდეს (ეროვნული სტილის მსგავსების ნიშნით), ვინაიდან სხვა პარამეტრები უცვლელია.

მეექვსე ცდაში ეროვნული სტილის გრძნობა სხვა პირობებში ვიკვლიეთ. ცდისპირებს ვასმენინებდით ქართული საგალობლის „შენ ხარ ვენახი“ მელოდიას ლა ბემოლ მაჟორში, ატონალური ჰარმონიზაციით, (ბანში ქრომატიული დამზავალი სექსტაკორდების რიგი). შემდეგ ვასმენინებდით პ. ჩაიკოვსკის საფორტეპიანო პიესას „გუნდი“ „საბავშვო ალბომიდან“, რომელიც რუსული საეკლესიო საგალობლის საფუძველზეა შექმნილი. ვასმენინებდით „შენ ხარ ვენახის“ მელოდიის დასაწყის 6 ტაქტს — პირველ წინადადებას, ზომა — 4/4, ხოლო „გუნდს“ მე-13 ტაქტიდან 24-ე ტაქტამდე, ე. ი. პიესის მეორე წინადადებას, ზომა 2/4. შესრულების მანერა ორივე შემთხვევაში მსგავსია, საგალობლის შესატყვისი, ტემპი ერთნაირია — მშვიდი. მოცულობა დროში — თანაბარია, ვინაიდან ერთი და იმავე ტემპში 6 ტაქტი 4/4 ზომით და 12 ტაქტი 2/4 ზომით — ტოლია. ინსტრუქცია ასეთია: „მოისმენთ ორ მუსიკას, უნდა განსაზღვროთ რომელია აქედან ქართული“. ცდამ უნდა გვიჩვენოს, შეიძლება თუ არა ქართული მელოდია გახვეული არაქართულ სამოსელში, ქართული სტილის მატარებელი დარჩეს? მაშასადამე, როგორია მელოდიის ფუნქცია სტილის განცდაში?

ჩვენ ვვარაუდობდით, რომ რაც უფრო დიდია ცვლილება (დარღვევა), გადახვევა ძირითადი ტონალობიდან, ჰარმონიიდან, მით უფრო უნდა იგრძნონ ცდისპირებმა ცვლილება, მაგრამ, ალბათ, არსებობს ცვლილების ისეთი საფეხურიც, როცა მსგავსებას სრულებით ვეღარ პოულობენ და ორ სხვადასხვა მუსიკად აღიქვამენ. სირთულის ხარისხის მიხედვით ჩვენი ცდები ასე წარმოვიდგინეთ: პირველი — დებიუსის „პატარა მწყემსი“, სადაც მელოდიის თახსლება გამარტივებულია. მეორე — მოცარტი, № 5 სონატა — თახსლება გართულებულია, ატონალური ელფერი აქვს. თუ პირველ ცდაში მხოლოდ ჰარმონია იცვლება, მეორეში — ჰარმონიის ცვლა უკვე კილოს სიმტკიცესაც არყვეს, მაგრამ ამ ორივე ცდაში ცვლილება ძირითადად ჰარმონიის სფეროს ეხება და ვფიქრობთ, ერთი და იგივე მუსიკად უნდა იქნეს აღქმული. მესამე — შონბერგის პიესა. ატონალური მუსიკიდან ზედა ხმის გამოყოფა და მისი ჰარმონიზაცია კლასიკური ჰარმონიის ფარგლებში (დო მაჟორიდან მოდულაცია მი მინორში) საკმაოდ მკაფიო ცვლილებას ქმნის და ორიგინალისაგან გასხვავებულად უნდა განიცდებოდეს, როგორც კილოებრივად შეცვლილი, თუ ცდისპირს საკმაოდ გამოცდილება არა აქვს ამ სფეროში.

იზადება კითხვა: რატომ მიგვაჩნია, რომ კლასიკური მელოდია ატონალური ელფერის მქონე ჰარმონიზაციით უფრო მეტ მსგავსებას ინარჩუნებს ორიგინალთან, ვიდრე კლასიკურად ჰარმონიზირებული ატონალური მუსიკა?.

საქმე იმაშია, რომ მელოდიის ფუნქცია კლასიკოსთან (მოცარტი) სრულიად განსხვავებულია. მელოდია უკვე დასრულებული სახეა, მუსიკის ძირითადი არსია და მისი სრული „შენიღბვა“ ჰარმონიით, შეუძლებელია, მსგავსების მომენტი მაინც რჩება. ხოლო შონბერგთან, ატონალურ მუსიკაში, ქსოვილი ვითარდება როგორც ჰორიზონტალში, ასევე ვერტიკალში. აქ მუსიკის შემადგენელ კომპონენტებს უფრო თანაბარი დატვირთვა აქვთ და ერთ-ერთი მათგანის, სახელდობრ ჰარმონიის, შეცვლა მეტად ცვლის მხატვრულ მთლიანობას.

სირთულის მეოთხე საფეხურად მოცარტის მენტეტის ქართულ კილოში გაფლვება მივიჩნევთ, რადგან კილოსა და ჰარმონიის ცვლას სტილის შეცვლასთან მივყავართ. აქ მსგავსება, არსებითად, საფუძვლიანად არის შეხილბული. ჩვენი ვარაუდით, ასეთი ცვლილება სხვადასხვა მუსიკად უნდა იყოს აღქმული.

ცდების შედეგად საკმაოდ დიფერენცირებული სურათი მივიღეთ: პირველ და მეორე ცდამი ექვსი სხვადასხვა პასუხი იყო მოსალოდნელი. პირველი — ერთი და იგივე ნაწარმოებად ჩათვალა, ცვლილება იგრძნო, იმსჯელა. ასეთ პასუხს მივიჩნევთ საუკეთესო პასუხად. მეორე — ერთი და იგივე ნაწარმოებად ჩათვალა, ცვლილება იგრძნო, ვერ იმსჯელა. ასეთ პასუხს ვაფასებთ ხუთი ქულით. მესამე — სხვადასხვა ნაწარმოებად ჩათვალა, მსგავსად იგრძნო, იმსჯელა — ვაფასებთ ოთხი ქულით. მეოთხე — სხვადასხვა ნაწარმოებად ჩათვალა, მსგავსება იგრძნო, ვერ იმსჯელა — ვაფასებთ სამი ქულით. მეხუთე — ერთი და იგივე ნაწარმოებად ჩათვალა, ცვლილება ვერ იგრძნო — ვაფასებთ ორი ქულით. მეექვსე — სხვადასხვა ნაწარმოებად ჩათვალა და მსგავსება ვერ იგრძნო — ერთი ქულით.

ბოლო ორი სახის პასუხები მიუთითებენ, რომ ამ ცდისპირებს განვითარებული არა აქვთ ჰარმონიის განცდის უნარი. ასეთი პასუხები პირველ ცდამი (დებიუსის „პატარა მწყემსი“) მუსიკის მოსწავლე ბავშვებთან შეადგენდა 55%-ს (ორქულიანი პასუხები) და 20%-ს — ერთქულიანი პასუხები, ე. ი. სულ ბავშვების 75%-მა ჰარმონიის ცვლილება ვერ იგრძნო. არამუსიკოს მოზრდილთა ჯგუფში ორი ქულით შეფასებული პასუხები აღმოაჩნდა ცდისპირთა 65%-ს, ე. ი. დებიუსის „პატარა მწყემსი“ ორივე ვარიანტი ერთი და იგივე ნაწარმოებად ცნეს და განსხვავება ვერ იგრძნეს. ამ ჯგუფში ერთქულიანი პასუხი არ აღმოჩნდა. ხოლო მუსიკოსთა ჯგუფში ასეთი პასუხი 5%-ს შეადგენდა, რაც ალბათ, შემთხვევითობას უნდა მიეწეროს.

სუსტი პასუხების რაოდენობის მიხედვით შემდგომმა ცდამ უფრო გახამტიცა პირველ ცდამი მიღებული შედეგი ცდისპირთა ჯგუფების მიხედვით. მეორე ცდამი, რომელიც მოცარტის № 5 სონატისა და მისი „ატონალური ელფერი“ ჰარმონიზირებული ვარიანტის შეფასებაზე იყო აგებული, ორი და ერთი ქულით შეფასებული პასუხები მუსიკის მოსწავლე ბავშვებთან უდრიდა შესაბამისად 25%-ს და 35%-ს, ე. ი. სულ ცდისპირთა 60%-ს. არამუსიკოს მოზრდილთა ჯგუფში ორქულიანი პასუხი აღმოაჩნდა მხოლოდ 10%-ს, ერთი ქულით შეფასებული პასუხი არ აღმოჩნდა, ხოლო მუსიკოსებთან ასეთ სუსტ პასუხებს საერთოდ არ ჰქონდა ადგილი.

უკვე ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ჰარმონიის განცდის განვითარებას სპეციალური აღზრდა სჭირდება. ჰარმონიის ცვლილება ვერ იგრძნო ბავშვთა 75%-მა, მოზრდილთა 65%-მა, ხოლო საშუალო მუსიკალური განათლების მქონე მუსიკოსთა მხოლოდ 5%-მა. აქ გარკვეულ როლს ასაკის მატებაც ასრულებს. მეორე ცდამი ჰარმონიის ცვლილება, რომელიც უფრო თვალნათლივი იყო, ვერ იგრძნო ბავშვთა 60%-მა, როდესაც ეს შედეგი არამუსიკოს მოზრდილთა მხოლოდ 10%-ს აღმოაჩნდა.

მესამე და მეოთხე ცდამი შესაძლებელი ექვსი პასუხიდან შეფასება სხვაგვარად წარმართეთ, ვინაიდან შონბერგის პიესაში და მოცარტის მეხუთეში კილოს ცვლას ცდისპირთა დიდ ნაწილში შეიძლებოდა გამოეწვია მუსიკალური მთლიანობის შეცვლის განცდა. ამ შემთხვევაში, თუ სხვადა-

სხვა ნაწარმოებად ჩათვალეს და მსგავსება ვერ იგრძნეს, ეს ჯერ კიდევ არ არის სუსტი პასუხი. ამ ცდებში სუსტ პასუხად მივიჩნევთ, თუ ერთი და იგივე ნაწარმოებად ჩათვლიან და განსხვავებას ვერ იგრძნობენ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცდისპირს კილოს გრძნობა არა აქვს განვითარებული. ასეთი სუსტი პასუხი შონბერგის პიესაში აღმოაჩნდა მუსიკის მოსწავლე ბავშვთა 45%-ს, ხოლო არამუსიკოს მოზრდილთა ჯგუფში და მუსიკოსებთან ასეთი პასუხების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. როგორც ჩანს, ატონალური მუსიკის აღქმა — შეფასება 8—12 წლის ასაკში რთულ ამოცანას წარმოადგენს. იგი ერთის მხრივ, შესატყვისი ინტონაციური მარაგის (მუსიკალური გამოცდილებების) დაგროვებას, და მეორეს მხრივ, შემეცნებით უნდა მომწოდებდეს მოითხოვს.

რაც შეეხება მეოთხე ცდას, რომელშიც ცდისპირებს უნდა ეგრძნოთ განსხვავება მოცარტის მენუეტსა და მის „გაქართულებულ“ ვარიანტს შორის, მუსიკის მოსწავლე ბავშვთა ჯგუფში განსხვავება ვერ იგრძნო მხოლოდ 10%-მა, მოზრდილებთან 5%-მა, ხოლო მუსიკოსებთან ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. ძამსადაძამე, ევროპულ და აღმოსავლურ ქართულ კილოებს ჯერჯერობით მისაწვდომია ჩვენს ცდისპირთა უმრავლესობისათვის. ამ ვარაუდს კიდევ უფრო განამტკიცებდა ის გარემოება, რომ მუსიკის მოსწავლე ბავშვთა 75%-მა, მუსიკოსთა 70%-მა და მოზრდილთა 55%-მა ეს ორივე ვარიანტი სხვადასხვა ნაწარმოებად მიიჩნია.

ჩვენი ვარაუდი ცდების სირთულის საფეხურების შესახებ, გამართლდა. ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: თუ პირველ ცდაში (იმპრესიონისტული მუსიკის გამარტივებული ვარიანტი) ერთი და იგივე ნაწარმოებად ჩათვალა მუსიკის მოსწავლე ბავშვთა 70%-მა, არამუსიკოს მოზრდილთა 90%-მა და მუსიკოსთა 90%-მა, და აქედან განსხვავება (ცვლილება) შეამჩნია შესაბამისად 15%-მა, 25%-მა და 95%-მა, მეორე ცდაში — კლასიკური ჰარმონიის გართულებული ვარიანტი ერთი და იგივე ნაწარმოებად ჩათვალა მოსწავლეთა 45%-მა, მოზრდილთა 60%-მა და მუსიკოსთა 75%-მა, მესამე ცდაში (ატონალური მუსიკის „გაკლასიკურება“) უკვე იმდენად თვალსაჩინო აღმოჩნდა განსხვავება, რომ მოსწავლეთა მხოლოდ 32%-ს მიაჩნია იგი ერთი და იგივე მუსიკად, მოზრდილთა 35%-ს და მუსიკოსთა 50%-ს. დანარჩენები სხვადასხვა მუსიკად თვლიან. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ცდაში ბავშვებმა, რომლებმაც ერთი და იგივე აღიქვეს ორივე ვარიანტი, მხოლოდ შემთხვევათა 4%-ში იგრძნეს განსხვავება. დანარჩენ ჯგუფებში, ვინც ერთი და იგივე აღიქვა, განსხვავებაზე მიუთითებს მუსიკოსთა 50% და მოზრდილთა 35%.

კიდევ უფრო მძაფრდება სურათი მეოთხე ცდაში, როდესაც კლასიკური მაჟორი იცვლება ქართული დორიული კილოთი. ასეთ ცვლილებას ვერ ამჩნევს მოსწავლეთა 25% და მიიჩნევს ისევ ერთი და იგივე ნაწარმოებად, ასეთივე პასუხი აქვთ მუსიკოსთა 30%-ს და არამუსიკოს მოზრდილთა 45%-ს. ნიშანდობლივია, რომ მოზრდილების 40% ამჩნევს განსხვავებას, ბავშვთა 15%-თვისაც განსხვავება საგრძნობია, მაგრამ მაინც ერთი და იგივე ნაწარმოებად მიიჩნევენ. საზოგადოდ მესამე და მეოთხე ცდაში, სადაც ცვლილება კილოებრივი მომენტით არის განსაზღვრული, იმატა ორი ვარიანტის სხვადასხვა ნაწარმოებად მიჩნევის შემთხვევებმა. მოსწავლეებთან მესამე ცდაში



ასეთი პასუხი აქვს 68%-ს, მოზრდილებთან — 65%-ს, მეოთხე ცდამი შე-  
 საბამისად 75%, 55%, 70%-ს. ამ ცდამ ნათლად გამოამჟღავნა, რომ კილოს  
 ცვლა ბევრად უფრო ცვლის მუსიკის მთლიანობას,  
 ვიდრე მხოლოდ ჰარმონიისა.

რაც შეეხება მეხუთე და მეექვსე ცდებს, აქ მხოლოდ ორგვარი პასუხი  
 იყო შესაძლებელი. მეხუთე ცდამი: მოცარტის მენუეტის რომელ ვარიანტს  
 შეეფერება ვაჟა ფშაველას ლექსი (ნამდვილსა თუ „გაქართულებულს“) და  
 რატომ, ხოლო მეექვსე ცდამი — რომელია ქართული მუსიკა: რუსული გუნ-  
 დი თუ არაქართულ ჰარმონიულ სამოსელში გახვეული ქართული საგალო-  
 ბელი.

მეხუთე ცდამი ამოცანა სწორად გადაწყვიტა მოსწავლეთა 80%-მა, მო-  
 ზრდილთა თითქმის 100%-მა და მუსიკოსთა 95%-მა. მათ დორიულ კილოში  
 მოსვენილი „გაქართულებული“ მენუეტი ცნეს ვაჟა ფშაველას ლექსის შე-  
 საფერისად, თუმცა 114 ცდისპირიდან, ერთი გამონაკლისი შემთხვევის გარ-  
 და, არც ერთს არ გაუცნობიერებია თავისი არჩევანი,  
 ე. ი. არ უთქვამს, რომ ქართულ მუსიკასთან აკავშირებს ქართულ ლექსს.  
 შესჯელობათა ანალიზზე კონკრეტულად, უფრო ქვემოთ შეგვიჩვენებთ. აქვე  
 აღვნიშნავთ, რომ ამ ცდამი მონაწილეობა არ მიუღიათ იმ ცდისპირებს, რომ-  
 ლემაც მეოთხე ცდამი მოცარტის მენუეტის ორივე ვარიანტი ერთი და  
 იგივე მუსიკად ცნეს, და მათ შორის ვერავითარი განსხვავება ვერ დაადას-  
 ტურეს. ისინი ცდის შემდეგი საფეხურებისათვის არ გამოდგებოდნენ. ასეთი  
 იყო ხუთი მოსწავლე და ერთი მოზრდილი.

მექვსე ცდამი სწორი პასუხი გულისხმობდა ჰარმონიულად სახეცვლი-  
 ლი ქართული მელოდიის ქართულად ცნობას, რუსულ გუნდთან შედარე-  
 ბის დროს. მუსიკის მოსწავლე ბავშვების ჯგუფში სწორი პასუხები ამ ცდამი  
 უდრიდა 60%-ს, ხოლო მუსიკოსებთან 100%-ს ბავშვთაგან ერთმა არც ერთი  
 ხიმუში ქართულად არ მიიჩნია. დანარჩენი ცდისპირები „გუნდს“ თვლიდნენ  
 ქართულ მელოდიად, ასეთი აღმოჩნდა ბავშვთა 40%-მდე და მოზრდილთა  
 35%. უნდა ვიფიქროთ, რომ ვინაიდან ყოველივე ქართული მათს განცდამი  
 უკავშირდება გასაგებს, ახლობელს, ეს თვისებები „გუნდს“ უფრო აღმოაჩნდა  
 ვიდრე ქრომატიული აკორდებით დახუნძლულ, საფუძვლიანად შენობულ  
 „შენ ხარ ვენახის მელოდიას“. დატვირთულ ვერტიკალში მელოდიური ხაზის  
 მოძებნა და ჰორიზონტალის მიდევნება მხოლოდ მუსიკოსთათვის აღმოჩნდა  
 ადვილად დასაძლევად, მაგრამ ამ ჯგუფშიც მხოლოდ ერთმა ცდისპირმა იცნო  
 ცნობილი საგალობლის მელოდია, დანარჩენები ამბობდნენ „მეორე უფრო  
 ქართულია“. სხვა ჯგუფებში „შენ ხარ ვენახი“ არავის უცვია, მიუხედავად  
 იმისა, რომ მუსიკის მოსწავლე ბავშვთა ჯგუფში მონაწილეობდა მგალობელ  
 გოგონათა გუნდი (20 წევრი), რომელთათვის ეს საგალობელი ნაცნობი და  
 ახლობელია. ის გარემოება, რომ არ იყო თვით ასეთი პოპულარული მუსი-  
 კის ცნობის შემთხვევები, გვაფიქრებინებს, რომ ისევე როგორც „გაქარ-  
 თულებული“ მენუეტისა და ვაჟა ფშაველას ლექსის შემთხვევაში, ეროვნ-  
 ულ ის ადამიანი მიკუთვნებია არცა ცნობიერად ხდება, რო-  
 დესაც მთლიანობით ქვეალიტიტის განცდა წმდებოდა  
 მუსიკალურ გამოცდილებაში და ლექსილ განწყობათა  
 საფუძველზე.

რაც შეეხება მელოდიის, როგორც მუსიკის ერთ-ერთი არსებითი კომპონენტის ხვედრით წონას, როგორც ჩანს სტილის განცდაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ასე რომ არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა სრულიად განსხვავებული ჰარმონიზაციის პირობებში მელოდიის ქართულობის ცნობა. მაგრამ, იმისათვის, რომ მელოდიამ დომინანტური ფუნქცია შეინარჩუნოს სტილის განცდაში, კილოსა და ჰარმონიის ცვლის პირობებში, საჭიროა მუსიკალური გამოცდილების არსებობა და საკმაოდ განვითარებული სტილის გრძნობა. ეს ვარაუდი მეექვსე ცდაში 100%-ით დადასტურდა მუსიკოსთა ჯგუფში.

ჩვენ მიმოვიხილეთ ჰარმონიის, კილოსა და სტილის განცდის შესაძლებლობათა შესწავლის შედეგები, ახლა განვიხილავთ კვლევის ძირითად საკითხს: როგორია ჰარმონიისა და კილოს განცდის ვერბალიზაციის შესაძლებლობები.

მასალაზე თვალის ერთი გადავლება საკმარისია იმისათვის, რომ დავიხახოთ, რამდენად შეზღუდულია მუსიკის სპეციფიკურ გამომხატველობით საშუალებათა ვერბალიზაციის შესაძლებლობები მუსიკისა და მხატვრული ძეგლებების საერთო გამომხატველობით საშუალებათა (რიტმი, ტემპი, არტიკულაცია, დინამიკა, აგოგიკა, ტემბრი, რეგისტრი) განცდის სიტყვიერი გამოხატვის შესაძლებლობებთან შედარებით.

კილოსა და ჰარმონიის განცდა არ არის მოკლებული ემოციურ თვისებრიობას, თუმცა აქ განცდისეულ ნიუანსთა ვერბალიზაციის ისეთი მრავალფეროვნება არ შეინიშნება, როგორც ზოგადი საშუალებების განცდის ვერბალიზაციის დროს. უმრავლეს შემთხვევებში მუსიკის მოსწავლე ბავშვები და არამუსიკოსი მოზრდილები მიუთითებენ: „რალა ცით გავს, არ ვიცი რით, არ ვიცი როგორ ვითხრათ“ ან „რალაც განსხვავებაა, მაგრამ არ ვიცი რა, რალაც სხვანაირია!“ კილოსა და ჰარმონიის ცვლილების დროს აღნიშნავენ ხასიათის ცვლილებას, მაგრამ როგორი გახდა ხასიათი, ამის განსაზღვრას ძნოლოდ ეპიზოდურ შემთხვევაში ვხვდებით. მაგალითად „პატარა მწყემსის“ „გაკლასიკურებულ“ ვარიანტზე ერთმა ცდისპირმა თქვა: „უფრო ფაქიზი იყო“. მოცარტის სონატის შემთხვევაში არც ერთი პასუხი არ ასახავდა რაიმე განცდას ჰარმონიის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ამ მხრივ შედარებით მეტი მასალა შონბერგის პიესამ მოგვცა: „პირველი უხეშია უფრო“ (მეოთხეკლასელის პასუხი), „პირველი დრამატულია, მეორე ხაკლებად“, „სარკაზმი — ლირიზმი“, „პირველი რთულია, დაძაბული, მეორე მარტივი, გასაგები“, „პირველი უფრო ნაღვლიანია და ღრმა“ (მუსიკოსების პასუხები), „არ ვიცი რა ვუწოდო, რალაც ჟღერადობაში არის განსხვავება და ხასიათი ეცვლება, უფრო ნათელი ხდება“ (არამუსიკოსი).

როგორც პასუხებიდან ჩანს, მუსიკის სტრუქტურის ასახვა არაცნობიერად ხდება ჟღერადობათა უსასრულო შედარების პროცესში. ცნობიერად ძოცემული გვაქვს მხოლოდ მსგავსება-განსხვავების განცდა. ამ მოვლენაზე ჯერ კიდევ ჰუგო რიმანი (1877) და მიულერ-ფრაიენფელსი (1912) მიუთითებდნენ.

ხოლო, ის, თუ რაშია განსხვავება, მოითხოვს სპეციალურ ანალიტიკურ შიშართვის, რაც უფრო მაღალია მუსიკალური აზროვნების დონე, მით მეტი კომპონენტის გაცნობიერებაა შესაძლებელი. მაგრამ, სპეციალური მიმართვის გარეშე მოსმენისას ეს უნარი, ალბათ, ნაკლებად მონაწილეობს. იგი ჩაერთვის მაშინ, როცა ჩნდება უცხო, უჩვეულო ჟღერადობა, როცა სმენითი

მოლოდინი არ მართლდება. მაგალითად, შონბერგის პიესა ცდის პირების შეფასებით „რთული და დაძაბულია“, ხოლო გამარტივებული ვარიანტი „მარტივი, გასაგები“, ანდა: „არ ვიცი რა ვუწოდო, მეორედ რაღაც იცვლება, უფრო ნათელი ხდება“. პასუხებში ცდისპირები აღწერენ თავის მდგომარეობას მოსმენის პროცესში, აღწერენ, თუ როგორ ცდილობენ „გაერკვნენ“ უჩვეულო ქდერადობაში, ცდილობენ ეს მუსიკა მოათავსონ საკუთარი მუსიკალური გამოცდილების სისტემაში.

მოცარტის მენუეტში კილოს ცვლა ასე შეაფასეს: „მეორედ ბოლო უფრო ნაზად მთავრდება“ (კადანსი კვინტაზე) — ამბობს მესამე კლასის მოსწავლე, „მეორე უფრო მრავალფეროვანია“ (არამუსიკოსი), მეორეში უფრო მდიდარი ხმოვანებაა“ (მუსიკოსი), „პირველი უფრო ცოცხალია“.

120 ცდისპირზე ინდივიდუალურად ჩატარებული ცდების 600 შესაძლებელი პასუხიდან წარმოდგენილი ძალზე მცირე მასალა გვაფიქრებინებს, რომ საკუთრივ ჰარმონიასა და კილოს ფენომენი, მუსიკალური კონტექსტის გარეშე, ემოციურ გამოცდათა ფართო პალიტრას არ იწვევს. ემოციურ ტონს ეს მოვლენები (კილო, ჰარმონია) მუსიკის სხვა კომპონენტებთან დაკავშირებისას იძენენ.

ამ ვარაუდის განსამტკიცებლად ჩავატარეთ დამატებითი ცდები, სადაც შევექმენით პირობები, სიტყვიერად დაეხასიათებინათ მუსიკის ორივე ვარიანტი. დებიუსის „პატარა მწყემსის“ მოსმენამდე ვთავაზობდით სიტყვებს: „მეოცნებე“, „ფაქიზი“, „ნისლით მოცული“ და ვთხოვდით ეპასუხათ ასეთი დახასიათება პირველ მუსიკას უფრო შეეფერებოდა თუ მეორეს. მოცარტის სონატის მახასიათებლად გამოვიყენეთ ზედსართავთა ასეთი რიგი: „ცოცხალი“, „ხალისიანი“, „სწრაფვითი“. შონბერგის პიესისათვის — „დინჯი“, „ფიქრიანი“, „ჩაღრმავებული“, მოცარტის მენუეტისათვის — „ხალისიანი“, „საციკვაო“. თუ ამ მახასიათებლებს ავტორისეულ ვარიანტს შეუსაბამებდნენ, ხოლო შეცვლილ ვარიანტში ასეთ დახასიათებას უარყოფდნენ, მაშინ, გამოდის, რომ ჰარმონიის ცვლილებას ნაწარმოების ემოციური ტონიც შეუცვლია. თუ შეთავაზებულ მახასიათებლებს მხოლოდ შეცვლილ ვარიანტს მიაკუთვნებდნენ და არა ორიგინალს, მაშინ გამოდის, რომ ჰარმონიისა და კილოს ცვლას მუსიკის ემოციური ტონი არ შეუცვლია.

დამატებითი ცდები ჩავატარეთ 36 ცდისპირზე, მუსიკის მოსწავლე ბავშვებსა და არამუსიკოს მოზრდილებზე.

დებიუსის „პატარა მწყემსის“ ორივე ვარიანტის დამახასიათებლად ჩათვალეს სიტყვები „მეოცნებე“, „ფაქიზი“, „ნისლით მოცული“. ასე მიიჩნია ცდისპირთა 100%-მა. ამათგან ოთხმა ცდისპირმა გვიპასუხა: „ეს სიტყვები ორივეს შეეფერება, უფრო კი მეორეს“ (ავტორისეულს).

მოცარტის სონატის ორივე ვარიანტის შესაფერისად ჩათვალეს მახასიათებლები „ცოცხალი“, „ხალისიანი“, „სწრაფვითი“ ცდისპირთა 90%-მა, ხოლო 10%-მა ეს სიტყვები მხოლოდ ავტორისეული ვარიანტის შესაფერისად მიიჩნია.

შონბერგის პიესის ძირითადი ვარიანტის დახასიათებლად ცდისპირთა 45% იყენებს სიტყვებს „დინჯი“, „ფიქრიანი“, „ჩაღრმავებული“. დანარჩენ ცდისპირებს ორივე ვარიანტის შესატყვისად მიაჩნიათ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ შეეფერება ეს ზედსართავები უფრო პირველს (ავტორისეულს).

მოცარტის მენუეტის მხოლოდ ავტორისეული ვარიანტი მიიღო „ხალი-სიან“ საცეკვაოდ ცდისპირთა 10%-მა. დანარჩენებმა ორივე ვარიანტი ამ სიტყვებით დაახსიათეს.

როგორც ვხედავთ, დამატებით ცდებში არა გვაქვს არაადექვატური აღქმის არც ერთი შემთხვევა, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ შონბერგის პიესაში გამოუწვევია კილოს ცვლილებას („გაკლასიკურებას“) ემოციური ტონის ცვლა. როგორც ჩანს, უფრო გასაგები, ნაცნობი ჰარმონია, უფრო მსუბუქად ჩათვალეს და მახსიათებლები — „ფიქრიანი“ და „ჩაღრმავებული“ ველარ მიუსადავებს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას რომ კილოსა და ჰარმონიის ცვლას ემოციური ტონის ცვლა არ გამოუწვევია. ალბათ იმიტომ, რომ ეს ცვლილება არ არის დაკავშირებული მუსიკის დინამიკურ საწყისთან. ეს ის კომპონენტებია მუსიკისა, რომელთა განცდა-შეთვასების ვერბალიზაცია უფრო მეტად არის დაკავშირებული მუსიკის ანალიტიკურ საწყისთან, ვიდრე ემოციურთან. და, ამდენად, თითოეული ამ კომპონენტისათვის სხვადასხვა ემოციური მნიშვნელობის მიხედვების შესაძლებლობას ნაკლებად შეიცავს. გარკვეულ კილოს ან ჰარმონიას შეიძლება ინდივიდისათვის „პიროვნული საზრისი“ ჰქონდეს, მის ნიჭიერებასთან, სოციალურ გამოცდილებასთან, განათლებასთან კავშირში, მაგრამ მისი განზოგადება და მით უმეტეს, სიტყვიერი ფორმულირება, დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

აქ კიდევ ერთი გარემოება იჩენს თავს: ჰარმონიისა და კილოს თავისებურებები რომ სიტყვებით გამოხატო, ჯარდა იმისა, რომ უნდა შეძლო ამ თავისებურებათა დიფერენციაცია სმენით, რაც საკმაოდ განვითარებულ სმენას მოითხოვს, საჭიროა აგრეთვე სპეციალური განათლება, მუსიკალური ტერმინოლოგიის ფლობა და მუსიკალურ მასალაზე ამ ცნებებით ოპერირების უხარი. ამიტომ, რომ ჩვენს ცდებში მსჯელობის მაჩვენებელი მუსიკოსებთან გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ ორ ჯგუფში. პირველ ცდაში, მთავალითადად, თავის არჩევანზე მსჯელობს მუსიკოსთა 95%, მაშინ როცა მოზრდილებთან ეს რიცხვი 25%-ს უდრის, ხოლო ბავშვებთან 15%-ს. ასევე დაახლოებით მომდევნო ცდებშიც.

ზრდასრულმა ადამიანებმა მსჯელობის უნარი უფრო მეტად გამოამყვანეს, ვიდრე ბავშვებმა, გამონაკლის წარმოადგენდნენ ჩვენს მიერ წარმოებული პედაგოგიური ექსპერიმენტის მონაწილე ბავშვები, ვისთანაც ამ მიმართულებით სპეციალურ მუშაობას ვატარებდით სამი სასწავლო წლის განმავლობაში.

ამ ბავშვების პასუხები საკუთრივ მუსიკალური მასალის ანალიზის უხარზე მიუთითებენ: „მარჯვენა ერთნაირი იყო, ბანს ცვლით“, „ტონალობას ცვლიდით“, „ჯერ მარჯონი იყო, მერე არ ვიცი“, „მელოდია ერთნაირია, მარცხენათი „მასკიროვკას“ უკეთებთ (მოცარტის სონატა). „იცვლება მარცხენა“, „მარცხენაში სხვა ნოტებია“ (დებიუსი). „სხვადასხვა მუსიკაა, მაგრამ მელოდია ერთნაირია“, „ქართულ ცეკვას ჰგავს“, „ქართულ ხალხურს ჰგავს“ (მოცარტი, მენუეტი). ამ პასუხებში ჩანს სპეციალური სასწავლო მუშაობის შედეგი, ვინაიდან, ამავე ასაკის სხვა მოსწავლეთა დიდ ნაწილთან აზროვნების ასაკობრივი თავისებურებები არ არის დაძლეული. ისინი გამოჰყოფენ არა არსებითს, არამედ ზოგად ნიშანს და ამის მიხედვით აჯგუფებენ. მაგალითად „ჰგავს, ორივე მხიარული იყო“ (მოცარტი, მენუეტი), ან „ერთნა-

ირია, ორივე ჩუმი“ (დებიუსი). უკეთეს შემთხვევაში, გრძნობენ განსხვავებას, მაგრამ უჭირთ გამოყოფა რა არის განსხვავებული. „რალაც შეიცვალა, არ ვიცი, რალაც“.

არამუსიკოსი მოზრდილების მსჯელობის დონეს განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ფლობენ მუსიკალურ ლექსიკონს. მაგალითად: „ტონალობა იცვლება, მელიოდია იცვლება, ბანი იმპროვიზაციულია, ბანში სხვა ინტონაციაა. არის ისეთი პასუხებიც, როცა ცდისპირი არსებითს სწვდება, მაგრამ ცნებაში ვერ აყალიბებს შესატყვისი ტერმინოლოგიის არცოდნის გამო: „განსხვავება იყო, მაგრამ არსი ერთია“ ან „ეღერადობა შეიცვალა, უფრო გასაგები გახდა“.

ბუნებრივია, რომ ჰარმონიისა და კილოს განცდის ვერბალიზაცია მუსიკოსებთან უფრო ზუსტი და არსობრივია. „მეორედ ჰარმონია იცვლება“, „განსხვავებულ კოლორიტს სხვადასხვაგვარი აკომპანემენტი ქმნის“ „იმპრესიონისტის კლასიკური ვარიანტი“ (დებიუსი), „ერთი და იგივე ნაწარმოებია, მაგრამ მეორე შემთხვევაში განსხვავებული ჰარმონიზაციის გამო ემოციური დატვირთვა სხვადასხვა აქვს“, „ბანმა გადმოგვიყვანა XX საუკუნეში“ (მოცარტი). „პირველი კოსმოსურია, თახამედროვე, მეორე რომანტიკული“, „პირველი დრამატულია, მეორე არა“, „სარკაზმი — ლირიზმი“ (შონბერგი). „ლექსი ქართულია, ამ მუსიკასაც აქვს რალაც ქართული“ (მოცარტი, მენუეტი, ვაჟა ფშაველა „ეს გაზაფხულიც მოვიდა“). ამავე ცდაში 12 ცდისპირი საშუალო მუსიკალური განათლებით, აღნიშნავს „კილოა განსხვავებული“.

სხვათაშორის, ამ ცდაში ერთმა მუსიკოსმა ცდისპირმა აღნიშნა, რომ მეორე შესრულებისას პიესა დასრულდა მოულოდნელად VI საფეხურზე (შეწყვეტილი კადანსი). ეს შემთხვევა ახსნას პოვნებს ფიქსირებული განწყობის ცნებაში. საქმე იმაშია, რომ მსმენელებს (ჩვენს ცდისპირებს) მეოთხე ცდამდე ქართულ ინტონაციასთან შეხება არ ჰქონიათ. გაუფიქსირდათ კლასიკურ ტონალურ და ნაწილობრივ ატონალურ მიმართებათა განწყობა, ამიტომ არ არის მოულოდნელი, რომ ერთ-ერთ ცდისპირს დორიული ქართული კილოს მესხეთე საფეხური მოესმა ლა მაჟორის მეექვსე საფეხურად, შეწყვეტილ კადანსად.

შემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კილოსა და ჰარმონიის განცდა მუსიკის აღქმის განვითარების მაღალი საფეხურია და მოსმენის საკმაოდ დიფერენცირებულ უნარს მოითხოვს. ის ისევე ადვილად მისაწვდომი არ არის, როგორც მუსიკისა და სიტყვის საერთო გამოხატულებითი საშუალებები (რიტმი, ტემპი, სიძლიერე, რეგისტრი, ტემბრი, არტიკულაცია). ჰარმონიისა და კილოს განცდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იბტონაციურ გამოცდილებას. მუსიკალური მასალის ანალიზის უნარს და მუსიკალურ განათლებას, რაც დახვეწილ სიმალღებრივ სმენასთან ერთად განაპირობებს მუსიკალური აზროვნების დონეს.

ყოველივე შემოთქმული გვაფიქრებინებს შემდეგს: ამისათვის, რომ მოსწავლე — მასწავლებლის კონტაქტი სრულყოფილად განხორციელდეს მუსიკის სწავლების პროცესში, მუსიკის სპეციფიკურ გამოხატულებით საშუალებათა განცდა-გადაცემა საჭიროებს წვდომის მომენტს. მოსწავლე უნდა ახერხებდეს არა მარტო მუსიკის ცალკეული, სპეციფიკური კომპონენტების გამოდინერენცირებას სმენით და მათს სიტყვიერ განსაზღვრებას, არამედ ამ

მოვლენაში მოსწავლე და მასწავლებელი მსგავს განცდისეულ მნიშვნელობას უხდა სდებდნენ. თუმცა, როგორც ცდებმა გვიჩვენა ამ მნიშვნელობის ვერბალური გზით გადაცემის შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი სწავლის დაწყებით ეტაპზევე მუსიკალური გამომხატულების სპეციფიკური საშუალებებისადმი ემოციურ-შეფასებითი დამოკიდებულების აღზრდა.

ამ პროცესში თანაბრად მნიშვნელოვანია პედაგოგიური ზემოქმედების ორივე გზა: ერთის მხრივ, ჩვენება — განმეორება (მიბაძვა), ხოლო მეორეს მხრივ, სიტყვიერი ზემოქმედება სამყაროს სხვა მოვლენებთან განცდისეული ასოციაციების საშუალებით, რომლის გადაცემის ფსიქოლოგიური მექანიზმი, როგორც ჩვენმა ადრეულმა ექსპერიმენტებმაც დაგვიდასტურეს, განწყობის ერთიანობას უნდა ემყარებოდეს.

Л. С. САМСОНИДЗЕ

## РЕЗУЛЬТАТЫ ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОГО ИССЛЕДОВАНИЯ ВОЗМОЖНОСТЕЙ ВЕРБАЛИЗАЦИИ СПЕЦИФИЧЕСКИХ ВЫРАЗИТЕЛЬНЫХ СРЕДСТВ МУЗЫКИ

Резюме

Эксперименты, проведенные в трех группах испытуемых (учащиеся музыкальных школ, музыканты со средним образованием, взрослые, не имеющие музыкального образования, 740 опытов со 120 испытуемыми), показали, что переживание специфических выразительных средств музыки — лада и гармонии, соответствует высокой степени развития музыкального восприятия и требует более дифференцированной способности слушателя, чем общие выразительные средства музыки и речи (ритм, темп, интенсивность, регистр, артикуляция). В переживании лада и гармонии решающим является интонационный опыт, способность слухового анализа музыкального материала и музыкальное образование. Все это в совокупности с соответствующим уровнем звуковысотного слуха определяет уровень музыкального мышления.

Однако опыты показали, что возможности вербализации переживания специфических средств музыки крайне ограничены.

წარმოდგინა საქართველოს რესპუბლიკის დ. უზნაძის სახე-  
ლობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

### რუსულან ციციშვილი

## უმცირესობის სოციალური ზეგავლენის პროცესის ორი განზომილება

უმცირესობის სოციალური ზეგავლენის ფენომენს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალური ზეგავლენების ზოგადთეორიულ სურათში. ის აგრეთვე გვხვდება ჩვენს ყოველდღიურ სოციალურ ცხოვრებაში. სოციალურ ჯგუფებში მიმდინარე პროცესების სრული გაგება ხშირად შეუძლებელია უმცირესობის ზეგავლენის კანონზომიერებათა გათვალისწინების გარეშე. მიუხედავად ამისა, უმცირესობის სოციალური ზეგავლენის ფენომენი საბჭოთა ფსიქოლოგიისათვის ახალია და ნაკლებ შესწავლილი. ამ საკითხის შესწავლისა და კვლევის აუცილებლობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს დღეს ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები, როდესაც ძველი სტერეოტიპები იმსხვრევა და მათი ადგილი უნდა დაიკავოს ახალმა ცხოვრებისეულმა პოზიციებმა, ახალმა ორიენტაციებმა.

დასავლურ ფსიქოლოგიაში უმცირესობის სოციალური ზეგავლენის საკითხის კვლევას შედარებით მდიდარი ისტორია აქვს. ამასთან, საკმაო ყურადღება აქვს დათმობილი ამ საკითხის ორ ასპექტს, ორ განზომილებას, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ უმცირესობის ზეგავლენის პროცესის ხასიათს. ესენია უმცირესობის ქცევის სტილი და უმცირესობის მოლაპარაკების სტილი.

მეტი სიცხადისათვის შენიშვნის სახით დავაზუსტებთ, რომ უმცირესობის სოციალურ ზეგავლენაზე ლაპარაკისას ჩვეულებრივ იგულისხმება მცირე ჯგუფის ფარგლებში მყოფი რაოდენობრივი უმცირესობა, რომელიც არის ჯგუფის რიგითი წევრი (ან წევრები), არა აქვს ჯგუფში რაიმე პრივილეგია, არა აქვს გახსაკუთრებული სოციალური სტატუსი, ავტორიტეტი, კომპეტენცია, არ არის ლიდერი და პრინციპში არაფრით განსხვავდება ჯგუფის სხვა წევრებისაგან.

უმცირესობის ზეგავლენის საკითხის კვლევა დაიწყო მოსკოვიჩმა. ექსპერიმენტული შედეგების ანალიზის საფუძველზე მან შეიმუშავა ე. წ. თანამიმდევრობის თეორია, რომლის თანახმადაც ჯგუფის რაოდენობრივი უმცირესობის მიერ ზეგავლენის განხორციელების აუცილებელი პირობა არის ქცევის თანამიმდევრული სტილი. ამ თეორიის ერთ-ერთი მიმდევარია მაგნი. მან თანამიმდევრობის გვერდზე მნიშვნელოვან მომენტად გამოყო რიგიდულობა-ფლექსიურობა. მოსკოვიჩი რიგიდულობას გამოყოფს როგორც ქცევის სტილის ერთ-ერთ ფორმას [2], მაგნი კი ლაპარაკობს რიგიდულობაზე, როგორც მოლაპარაკების სტილზე [6;8]. ამ უკანასკნელ პოზიციას ჩვენ უფრო მისაღებად ვთვლით, ვინაიდან რიგიდულობის განხილვა, როგორც მოლაპარაკების სტილისა, შესაძლებლობას იძლევა მკვეთრად იქნეს გამოჩენილი ორი განზომილება: უმცირესობის თანამიმდევრობის განზომილება და უმცირე-

სობის რიგიდულობა-ფლექსიურობის განზომილება. ეს არის ორი არსებითი ფაქტორი, რომელთა გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელია უმცირესობის ზეგავლენის პროცესის სურათის ნათლად წარმოდგენა.

რაც შეეხება უმცირესობის თანამიმდევრული ქცევის სტილს, აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ უმცირესობის ზეგავლენის მიზეზად ჩათვლილია არა თავად ქცევის თანამიმდევრობა, არამედ ის დასკვნა, რომელსაც აკეთებენ უმრავლესობის წევრები უმცირესობის ასეთი ქცევის სტილის შედეგად; ჩათვლილია, რომ თანამიმდევრული უმცირესობა ზეგავლენის სამიზნის მიერ აღიქმება როგორც დარწმუნებული, კომპეტენტური, მტკიცე და ურყევი და ეს აძლევს მას უმრავლესობაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას [2; 4; 6; 7; 14; 15]. საერთოდ, მოსკოვიჩი ქცევის სტილს განსაზღვრავს როგორც ქცევებისა და თვალსაზრისების ორგანიზაციას და მათი გამოხატვის ხანგრძლივობასა და ინტენსივობას. მოსკოვიჩის აზრით, ცალკეული ბგერის მსგავსად, ქცევას თავისთავად არა აქვს მნიშვნელობა. ქცევის მნიშვნელობა იქმნება მოცემული სიტუაციური კონტექსტიდან გამომდინარე, სხვა ქცევებთან ურთიერთმხეხამების შედეგად. ერთი და იგივე ქცევა, ისევე როგორც ერთი და იგივე სიტყვა ან ჟესტი, ერთ კონტექსტში შეიძლება გამოხატავდეს, ვთქვათ, დარწმუნებას, მეორეში — კი სიჯიუტეს. ამიტომ ქცევა ისე უხდა იყოს დაშიფრული, რომ გასაგები იყოს ყველა ადრესატისათვის. ქცევის სტილს სოციალურ გარემოში მოაქვს ინფორმაცია სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის შესახებ. იმისათვის, რომ აღამიანებმა შეძლონ სწორად გაიგონ მათთვის განკუთვნილი სიგნალები (ქცევების, სიტყვების, ჟესტების კომპლექსები), უხდა არსებობდეს მკაცრად დადგენილი დამოკიდებულებანი სიმბოლოებსა და მნიშვნელობებს შორის, სიგნალებსა და შინაგან მდგომარეობებს შორის და ეს დამოკიდებულებანი არ უნდა იცვლებოდნენ სულ მცირე მოცემული ურთიერთქმედების განმავლობაში. მაგალითად, თვლიან, რომ დარწმუნებულობა გამოიხატება მტკიცებითი, ურყევი ტონით. ქცევის სტილის საფუძველზე კეთდება ვარაუდები მომავალი ურთიერთქმედების შესახებ.

ჩვენ გვიანტერესებს ქცევის თანამიმდევრული სტილი, რომელიც ითვლება უმცირესობის უმრავლესობაზე ზეგავლენის აუცილებელ პირობად.

უმცირესობის თანამიმდევრული ქცევა იყო მრავალი ავტორის კვლევის ობიექტი [1; 3; 5; 10; 11; 14; 15]. ყველა ისინი ტერმინს თანამიმდევრობა იყენებენ იმ მნიშვნელობით, რომლითაც ის თავდაპირველად იხმარა მოსკოვიჩმა. მოსკოვიჩის განსაზღვრებით, ქცევის თანამიმდევრული სტილი მდგომარეობს ინდივიდებს შორის (ჩვენს შემთხვევაში უმცირესობის წევრებს შორის) თანხმობაში და ქცევის სტაბილურობაში, ერთი და იგივე პასუხის ურყევე, მტკიცე გამეორებაში სხვადასხვა სიტუაციებსა და დროის განმავლობაში. გახასხვავებენ სინქრონულ და დიაქრონულ თანამიმდევრობას. სინქრონული თანამიმდევრობის ცნებით აღნიშნავენ უმცირესობის წევრების ერთსულოვნებას, დიაქრონული თანამიმდევრობის ცნებით კი ერთი და იგივე პასუხის მტკიცე, სისტემატურ და არაწინააღმდეგობრივ გამეორებას. სინქრონული და დიაქრონული თანამიმდევრობის სინონიმებად ზოგჯერ ხმარობენ ტერმინებს ინტერინდივიდუალური და ინტრინდივიდუალური თანამიმდევრობა, შესაბამისად, სინქრონული თანამიმდევრობის ეფექტები დადასტურებულია ექსპერიმენტულად [3]. თანამიმდევრობის ამ ფორმის განხილვისას აუცილებლივ უხდა იყოს გათვალისწინებული უმცირესობაში მყოფ ადამიანთა რაოდენობა.



სობის რიგიდულობა-ფლექსიურობის განზომილება. ეს არის ორი არსებითი ფაქტორი, რომელთა გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელია უმცირესობის ზეგავლენის პროცესის სურათის ნათლად წარმოდგენა.

რაც შეეხება უმცირესობის თანამიმდევრული ქცევის სტილს, აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ უმცირესობის ზეგავლენის მიზეზად ჩათვლილია არა თავად ქცევის თანამიმდევრობა, არამედ ის დასკვნა, რომელსაც აკეთებენ უმრავლესობის წევრები უმცირესობის ასეთი ქცევის სტილის შედეგად; ჩათვლილია, რომ თანამიმდევრული უმცირესობა ზეგავლენის სამიზნის მიერ აღიქმება როგორც დარწმუნებული, კომპეტენტური, მტკიცე და ურყევი და ეს აძლევს მას უმრავლესობაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას [2; 4; 6; 7; 14; 15]. საერთოდ, მოსკოვიჩი ქცევის სტილს განსაზღვრავს როგორც ქცევებისა და თვალსაზრისების ორგანიზაციას და მათი გამოხატვის ხანგრძლივობასა და ინტენსივობას. მოსკოვიჩის აზრით, ცალკეული ბგერის მსგავსად, ქცევას თავისთავად არა აქვს მნიშვნელობა. ქცევის მნიშვნელობა იქმნება მოცემული სიტუაციური კონტექსტიდან გამომდინარე, სხვა ქცევებთან ურთიერთმხეხამების შედეგად. ერთი და იგივე ქცევა, ისევე როგორც ერთი და იგივე სიტყვა ან ჟესტი, ერთ კონტექსტში შეიძლება გამოხატავდეს, ვთქვათ, დარწმუნებას, მეორეში — კი სიჯიუტეს. ამიტომ ქცევა ისე უხდა იყოს დაშიფრული, რომ გასაგები იყოს ყველა ადრესატისათვის. ქცევის სტილს სოციალურ გარემოში მოაქვს ინფორმაცია სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის შესახებ. იმისათვის, რომ აღამიანებმა შეძლონ სწორად გაიგონ მათთვის განკუთვნილი სიგნალები (ქცევების, სიტყვების, ჟესტების კომპლექსები), უხდა არსებობდეს მკაცრად დადგენილი დამოკიდებულებანი სიმბოლოებსა და მნიშვნელობებს შორის, სიგნალებსა და შინაგან მდგომარეობებს შორის და ეს დამოკიდებულებანი არ უნდა იცვლებოდნენ სულ მცირე მოცემული ურთიერთქმედების განმავლობაში. მაგალითად, თვლიან, რომ დარწმუნებულობა გამოიხატება მტკიცებითი, ურყევი ტონით. ქცევის სტილის საფუძველზე კეთდება ვარაუდები მომავალი ურთიერთქმედების შესახებ.

ჩვენ გვიანტერესებს ქცევის თანამიმდევრული სტილი, რომელიც ითვლება უმცირესობის უმრავლესობაზე ზეგავლენის აუცილებელ პირობად.

უმცირესობის თანამიმდევრული ქცევა იყო მრავალი ავტორის კვლევის ობიექტი [1; 3; 5; 10; 11; 14; 15]. ყველა ისინი ტერმინს თანამიმდევრობა იყენებენ იმ მნიშვნელობით, რომლითაც ის თავდაპირველად იხმარა მოსკოვიჩმა. მოსკოვიჩის განსაზღვრებით, ქცევის თანამიმდევრული სტილი მდგომარეობს ინდივიდებს შორის (ჩვენს შემთხვევაში უმცირესობის წევრებს შორის) თანხმობაში და ქცევის სტაბილურობაში, ერთი და იგივე პასუხის ურყევე, მტკიცე გამეორებაში სხვადასხვა სიტუაციებსა და დროის განმავლობაში. გახასხვავებენ სინქრონულ და დიაქრონულ თანამიმდევრობას. სინქრონული თანამიმდევრობის ცნებით აღნიშნავენ უმცირესობის წევრების ერთსულოვნებას, დიაქრონული თანამიმდევრობის ცნებით კი ერთი და იგივე პასუხის მტკიცე, სისტემატურ და არაწინააღმდეგობრივ გამეორებას. სინქრონული და დიაქრონული თანამიმდევრობის სინონიმებად ზოგჯერ ხმარობენ ტერმინებს ინტერინდივიდუალური და ინტრინდივიდუალური თანამიმდევრობა, შესაბამისად, სინქრონული თანამიმდევრობის ეფექტები დადასტურებულია ექსპერიმენტულად [3]. თანამიმდევრობის ამ ფორმის განხილვისას აუცილებლივ უხდა იყოს გათვალისწინებული უმცირესობაში მყოფ ადამიანთა რაოდენობა.

უმცირესობის თანამიმდევრობაზე ლაპარაკისას ჩვეულებრივ იგულისხმება დიაქრონული თანამიმდევრობა. უმცირესობის ზეგავლენის გამოკვლევასთან უმეტესი ნაწილი სწორედ მას ეხება. <sup>1</sup>

დღემა საკითხი, რატომ წარმოადგენს თანამიმდევრობა უმცირესობის ზეგავლენის მნიშვნელოვან და აუცილებელ წყაროს. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოყოფენ [2; 4; 7] სამ ძირითად მომენტს: ჯერ ერთი, რომ თანამიმდევრობას მოაქვს ინფორმაცია განსახილველი საკითხისადმი უმცირესობის დაპოკიდებულების შესახებ, მეორე რომ მას მოაქვს ინფორმაცია თავად უმცირესობის შესახებ და შესამე, რომ ქცევის თანამიმდევრობა ქმნის კონფლიქტს, აფერხებს რა ყოველგვარ მოლაპარაკებებს და უარყოფს რა ყოველგვარ კომპრომისსა და დათმობას. თანამედროვეობა აღიქმება როგორც გამოსატყულება მოცემული საკითხის შეფასებაში უმცირესობის უეჭველი დარწმუნებულობისა, დარწმუნებულობისა იმაში, რასაც ის ლაპარაკობს და აკეთებს. გარდა ამისა, თანამიმდევრობა იტყობინება დაბრკოლებასთან შეხვედრისას უმცირესობის სიმტკიცისა და ურყეობის შესახებ, იმის შესახებ, რომ უმცირესობამ იცის რა უნდა და მზად არის პასუხი აგოს თავისი მოქმედებებისათვის. მიუთითებენ, რომ უმცირესობის თანამიმდევრულ ქცევაში გამოიხატება არა მარტო მისი მტკიცე გადაწყვეტილება უარყოს ყოველგვარი კომპრომისი, არამედ იმის მოლოდინიც, რომ სხვები დაუთმობენ მას. თანამიმდევრული გადახრილი ქცევით უმცირესობა გამუდმებით იპყრობს ყურადღებას და შედეგად მისი არგუმენტები და აქტივობები ასევე იპყრობს დიდ ყურადღებას, ბევრად უფრო დიდს, ვიდრე ჯგუფის კონფორმისტი წევრების არგუმენტები და აქტივობები. გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ უმცირესობის თანამიმდევრობა ქმნის სოციალურ და კოგნიტურ კონფლიქტებს, რომელთა გადაწყვეტისაკენაც მისწრაფვის მთელი ჯგუფი. თავისი პოზიციის აქტიურად და თანამიმდევრულად განვითარებით უმცირესობა, ერთის მხრივ, ეჭვის ქვეშ აყენებს მყარად დაფუძნებულ ნორმებს, არღვევს სოციალური სისტემის წესებს და, მეორეს მხრივ, წამოწევს საკუთარ წინადადებებს. თავისი თანამიმდევრობის წყალობით ის ცხადად აღიქმება როგორც ალტერნატივა სოციალურ გარემოში, თანამიმდევრული უმცირესობის ძალა მდგომარეობს კომპრომისის უარყოფაში, მოლაპარაკებათა ბლოკირებაში. უმცირესობის ძიერ შექმნილი სოციალური არასტაბილურობა და დაურწმუნებლობა შეიძლება გადახატულ იქნეს შემოთავაზებული ალტერნატივის მიმართულებით გადახაცვლებით. გარდა ამისა, შექმნილი კოგნიტური კონფლიქტი იწვევს საკითხის და არსებული თვალსაზრისების საგულდაგულო გადასინჯვას, რასაც, თავის მხრივ, შეუძლია განაპირობოს უმცირესობის თვალსაზრისის მიღება. საერთოდ, თანამიმდევრობა აღძრავს ადამიანებში სურვილს გაერკვნენ გარემომცველ სამყაროში, ახსნან ის, იპოვნონ ჭეშმარიტება.

არსებული ექსპერიმენტული მასალა ადასტურებს, რომ თანამიმდევრობა, მართლაც, ეფექტურია ზეგავლენის მოხდენისათვის [3; 6; 12]. უმცირესობის ზეგავლენისა და ქცევის თანამიმდევრული სტილის ზოგიერთ გამოკვლევაში ზეგავლენის წყაროს როლში განიხილებოდა არა მარტო უმცირესობა, არამედ უმრავლესობაც. უმრავლესობის ზეგავლენის შემთხვევებში ასევე დადასტურდა თანამიმდევრობის ეფექტები. ასე რომ, ქცევის თანამიმდევრული სტილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონფორმულობის ასახსნელადაც. თუმცა, თუ უმცირესობის ზეგავლენის დროს ცენტრალური როლი ენიჭება ინ-

ტრანდივიდუალურ თანამიმდევრობას, მიაჩნიათ, რომ კონფორმულობის დროს უფრო მნიშვნელოვანია ინტერინდივიდუალური თანამიმდევრობა.

თანამიმდევრობის თეორიის უეჭველი დამამტკიცებელი მასალის პარალელურად არსებობს საპირისპირო ექსპერიმენტული მონაცემებიც [2; 6]. შოსკოვიჩისა და დუაზის ექსპერიმენტში თანამიმდევრულ უმცირესობას ჰქონდა ნეგატიური ეფექტი: ცდისპირებს უნდა დაეხასიათებინათ ბუკლეტში აღწერილი სტუდენტის ქცევა როგორც ინტრავერტული ან ექსტრავერტული. ორ ცდისპირს ატყობინებდნენ, რომ მეზობელ ოთახში იმყოფებოდა მესამე ცდისპირი. ექსპერიმენტატორი გადიოდა ამ ოთახში ვითომდა იმისათვის, რომ გაეგო მისი პასუხი და ეცნობებინა ის ლაბორატორიაში მყოფი ორი ცდისპირისათვის. სინამდვილეში იქ არავინ იყო. ბუკლეტში სტუდენტის ქცევა თავდაპირველად აღიწერებოდა როგორც აშკარა ინტრავერტული, შემდეგ კი თანდათან ხდებოდა აშკარად ექსტრავერტული. რამდენიმე ჯგუფში ექსპერიმენტატორი „მესამე ცდისპირს“ მიაწერდა თანამიმდევრულ „ინტრავერტულ“ პასუხს, ასე რომ, „მესამე ცდისპირის“ გადახრა ვლინდებოდა თანდათან. სხვა ჯგუფებში ყალბი პასუხი იყო თანამიმდევრულად „ექსტრავერტული“, ასე რომ, გადახრა აქ იყო მკვეთრი და აშკარა. შედეგების ანალიზი აჩვენებდა, რომ „მესამე ცდისპირს“ პასუხების თანდათანობითი გადახრის სიტუაციაში შეინიშნებოდა გარკვეული ხარისხის ზეგავლენა ნამდვილ ცდისპირებზე, ხოლო მკვეთრი გადახრის სიტუაციას ჰქონდა უკუეფექტი: იზრდებოდა „ინტრავერტული“ პასუხების რიცხვი. როგორც ვხედავთ, თანამიმდევრობის თეორიის საწინააღმდეგოდ, უმცირესობის თანამიმდევრობამ გამოიწვია „ბუმერანგის“ ეფექტი. საქმე იმაშია, რომ მთელი თავისი ეფექტურობის მიუხედავად, თანამიმდევრობას ზეგავლენის პროცესში აქვს საზღვრები, რომელთა მიღმაც ის ლებულობს ნეგატიურ ხასიათს, ნეგატიურ მნიშვნელობებს — დოგმატურობა, სიჯიუტე, შეზღუდულობა და სხვ. როგორღა უხდა განისაზღვროს ეს საზღვრები, რაში გამოიხატებთან ისინი? ამ საკითხის გარკვევისათვის საჭიროა განხილულ იქნეს ე. წ. უმცირესობის მოლაპარაკების სტილი.

რჩება რა თანამიმდევრული თავისი პოზიციის გამოხატვისას, უმცირესობას შეუძლია აჩვენოს სხვადასხვა ტაქტიკა, უმრავლესობის წევრებთან მოლაპარაკების წარმოების სხვადასხვა სტილი. განასხვავებენ მოლაპარაკების ორ ძირითად და ურთიერთსაწინააღმდეგო სტილს: რიგიდულსა და ფლექსიურს. პირველი გამოხატავს ყოველგვარი კომპრომისის უარყოფას, ყოველგვარი მოლაპარაკების ბლოკირებას, მსჯელობებს აყენებს კატეგორიულად და მკაცრად. მეორე სტილი არის ნაკლებ ცალმხრივი, უფრო მოქნილი, მხედველობაში ლებულობს სხვა თვალსაზრისებს, ის გამოხატავს გარკვეულ დამთხობლობას, მოლაპარაკებათა წარმოების სურვილსა და კომპრომისისათვის მზადყოფნას. ფლექსიური სტილი გულისხმობს გარკვეულ კომპრომისს არსებით, ძირითად საკითხებში დათმობაზე წასვლის გარეშე. უმცირესობის უმრავლესობის წევრებთან მოლაპარაკების რიგიდული და ფლექსიური სტილების გამოყოფას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. იგულისხმება, რომ ორივე შემთხვევაში უმცირესობა რჩება თანამიმდევრული. თანამიმდევრობისა და რიგიდულობა-ფლექსიურობის ამ ორ განზომილებას მაგნი [5] უწოდებს კონტრეტურსა და ინტერპერსონალურს იმ აზრით, რომ პირველი განიხილება გაბატონებულ ნორმასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით და მეორე —

უმრავლესობის წევრებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. შესაბამისად შეიძლება ვილაპარაკოთ კოგნიტურ და ინტერპერსონალურ კონფლიქტებზე. შემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ფლექსიური თანამიმდევრობა უნდა მდგომარეობდეს სრულ უდრეკობაში, სიმტკიცეში, ურყეობაში საკამათო საკითხის შესახებ აზრის გამოხატვისას და ამასთან ერთად, იმ პასუხების დინამიურობაში, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ უმრავლესობის წევრებთან ინტერპერსონალურ ურთიერთობათა დონეზე.

კვლევათა უმეტესი ნაწილი ავლენს, რომ ფლექსიურ უმცირესობას აქვს მეტი ზეგავლენა, ვიდრე რიგიდულს [4; 5; 6; 8; 10; 13]. თუმცა ამას ყოველთვის არა აქვს ადგილი.

განვიხილოთ მოლაპარაკების ფლექსიური სტილის ეფექტურობის შესაძლო მიზეზები.

დავიწყოთ იქიდან, რომ რიგიდული უმცირესობა უარყოფს ზეგავლენის საშიზნესთან ყოველგვარ კომპრომისს და ამით ხაზს უსვამს კონფლიქტსა და დაძაბულობას. უმცირესობის თანამიმდევრული ქცევის შედეგად, უმცირესობის რიგიდულობის შემთხვევაში ეს ბლოკირება აღიქმება კიდევ უფრო მწვავედ. ფლექსიურობა კი, პირიქით, ბლოკირებას ნაკლებ შესამჩნევს ხდის. თავისი დათმობებით უმცირესობა თავს აღწევს წინააღმდეგობათა წარმოქმნას. ყოველივე ამის პარალელურად უმრავლესობის წევრებს უყალიბდებათ განსხვავებული წარმოდგენები რიგიდული და ფლექსიური უმცირესობის შესახებ. პირველი აღიქმება როგორც ნაკლებ ობიექტური და უკიდურესი თვალსაზრისების მკაცრი დამცველი, მეორე — როგორც უფრო რეალისტური. რიკატუს გამოკვლევებში ნაჩვენებია, რომ მოლაპარაკების ბლოკირების უფრო ცხადი აღქმის შემთხვევაში უმცირესობის ზეგავლენა უფრო სუსტი ხდება [6]. ეფექტობთ, რომ ეს ფაქტი არ საჭიროებს ვრცელ კომენტარს: როდესაც ადამიანს აიძულებენ გააკეთოს რაიმე და ამავე დროს სრულიად არ უწივენ მას ანგარიშს, საეჭვოა, რომ მას გაუჩნდება ნებაყოფლობითი დათანხმების სურვილი. რაგიდულ უმცირესობასთან შეჯახებისას უმრავლესობის წევრები არ ცდილობენ გაერკვნენ მის მიერ შეთავაზებულ წინადადებებში. მათ უჩნდებათ აღშფოთება და წინააღმდეგობის გაწევის სურვილი.

მოლაპარაკების რიგიდული სტილის ნეგატიური ეფექტის მიზეზებს, აგრეთვე, განეკუთვნება ზეგავლენის საშიზნის (უმრავლესობის) ფსიქოსოციალური იდენტურობა წყაროსთან (უმცირესობასთან) [6; 7; 9]. ფსიქოსოციალური იდენტურობის ქვეშ იგულისხმება საშიზნის მიერ თავისი თავისათვის იმ მახასიათებლების მიწერა, რომლებიც ტიპურია იმ კატეგორიისათვის (ან კატეგორიებისათვის), რომელსაც საშიზნის აზრით ეკუთვნის წყარო. ზეგავლენის საშიზნე ასდენს არა მარტო მიღებული ინფორმაციის შინაარსის ინტერპრეტაციას, არამედ თვით ამ ინფორმაციის წყაროს ინტერპრეტაციასაც. რიგიდული უმცირესობა აღიქმება როგორც თავისი საკუთარი პოზიციის გარდა ნებისმიერი სხვა პოზიციის უარყოფელი. ამის შედეგად უმრავლესობის წევრები ურთიერთქმედების დასაწყისშივე განიცდიან თავის თავს როგორც უცხოს უმცირესობისათვის, უმცირესობას კი აღიქვამენ როგორც მიუდგომელს, შორეულს, მასთან ყოველგვარ საერთობას მოკლებულს, თავისი სპეციფიკური თვისებებით. ფლექსიურ უმცირესობას კი აქვს შესაძლებლობა საშიზნის მიერ აღქმულ იქნეს როგორც ამა თუ იმ განზომილებაში თავის თავთან უფრო მსგავსი და ამიტომ მას შეუძლია აჩვენოს, რომ ძალუძს ანგარიში

გაუწიოს სამიზნის მოთხოვნილებებს და დააკმაყოფილოს ისინი. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ჯერარდის [4] მოსაზრებას, რომ ზეგავლენის მოსახლენხად უმცირესობა უნდა შეეხოს უმრავლესობის სუსტ წერტილს, წამოყენებულ პოზიციაში ჩართოს უმრავლესობის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მოლაპარაკების ფლექსიური სტილის შემთხვევაში. გარდა ამისა, ზეგავლენის განხორციელება გულისხმობს არა მარტო ახალი პასუხების შეთვისებას, არამედ გარკვეულ ცვლილებასაც ზეგავლენის სამიზნის ფსიქოსოციალურ იდენტიფიკაციაში. ზეგავლენის სამიზნისათვის კი უფრო ადვილია თავისი თავის იდენტიფიცირება ფლექსიურ უმცირესობასთან, რომელიც თავიდანვე აღიქმებოდა მასთან მეტი მსგავსების მქონხედ. ზემოთქმულის ექსპერიმენტულ ილუსტრაციას წარმოადგენს მაგნისა და პაპასტამოუს ნაშრომი [9], რომელშიც ნაჩვენებია, რომ უმცირესობის ზეგავლენა მეტია იმ შემთხვევაში, როდესაც უმრავლესობის წევრები თვლიან, რომ აქვთ უმცირესობასთან ბევრი საერთო იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც ისინი თვლიან, რომ მათ საერთო ნაკლები აქვთ. კერძოდ, ექსპერიმენტის ერთ პირობაში ცდისპირები ფიქრობდნენ, რომ შეთავაზებული რვა კატეგორიიდან ჰქონდათ უმცირესობასთან ხუთი საერთო კატეგორია, მეორე პირობაში კი ფიქრობდნენ, რომ ჰქონდათ რვიდან ერთი საერთო კატეგორია. ამ ორ პირობას შორის სხვაობა განსაკუთრებით ცხადი იყო რიგიდული უმცირესობის შემთხვევაში: საერთო კატეგორიების რაოდენობის გაზრდა მკვეთრად ზრდიდა რიგიდული უმცირესობის ზეგავლენას, ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა უმრავლესობის წევრების მიერ უმცირესობასთან იდენტიფიკაციის გაადვილებას. ამრიგად, მოლაპარაკების ფლექსიური სტილის მქონე უმცირესობა ახდენს რა ზეგავლენის წყაროსა და სამიზნის საერთო მახასიათებელთა აქცენტირებას, ფლობს ზეგავლენის მოხდენის მეტ შესაძლებლობას რიგიდულ უმცირესობასთან შედარებით, რომელთანაც გაძნელებულია იდენტიფიკაცია.

უშველად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რიგიდულობის პერცეპციას აქვს თანამიმდევრობის პერცეპციაზე ზემოქმედების ტენდენცია [6], რიგიდული უმცირესობა ნაკლებ აღიქმება როგორც თანამიმდევრული: რაც უფრო მეტად აღიქვამენ ცდისპირები რიგიდულობას, მით ნაკლებ ამჩნევენ ისინი თანამიმდევრობას. რიგიდულობის შესამჩნევად განდომით უმცირესობა ასუსტებს თავისი თანამიმდევრობის ნათელ აღქმას. ეს ხდება იმის გამო, რომ თანამიმდევრობა ასოცირდება რიგიდულობასთან და აღიქმება როგორც მისი შედეგი და გამონახატულება და არა როგორც უმცირესობის თავისთავადი, დაძოჟკიდებლად არსებული მახასიათებელი. რიგიდულობასთან ასიმილირებული თანამიმდევრობა კარგავს თავის საკუთარ ეფექტს. ფლექსიური უმცირესობა უფრო მეტად აღიქმება როგორც თანამიმდევრული.

ზემოთ განხილული იყო ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ მოლაპარაკების ფლექსიური სტილის უპირატესობას რიგიდულთან. თუმცა არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ფლექსიურ სტილს შედეგად ყოველთვის მეტი ზეგავლენა აქვს, ვიდრე რიგიდულს. რიგიდული უმცირესობა ზოგჯერ შეიძლება იყოს საკმაოდ ეფექტური, განსაკუთრებით, თუ ზეგავლენა ეხება საკითხებს, რომლებიც უმცირესობის პოზიციასთან უშუალოდ არ არიან დაკავშირებული. რიგიდულობის ნეგატიური ეფექტები ვლინდება ძირითადად უმცირესობის პოზიციასთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხების მიმართ. ეს აიხსნება იმით, რომ ამ შემთხვევაში უმცირესობასთან იდენტიფიკაცია განსა-

კურებით შეფერებულა. როდესაც საკითხი უშუალოდ არ არის დაკავშირებული უმცირესობის პოზიციასთან, უფრო სააღბათოა, რომ უმრავლესობას თავისი თავის რიგიდულ უმცირესობასთან იდენტიფიცირება „არ შეეძინდება“. ასე რომ, უმცირესობის უმრავლესობასთან მოლაპარაკების ფლექსიური და რაგიდული სტილების ერთმანეთთან შედარება თითქმის შეუძლებელია.

ლიტერატურა

1. Cramer D., A critical note on two studies of minority influence, in: European Journ. of Soc. Psych., 1975, Vol. 5, No. 2, p. 257—260.
2. Moscovici S., Social Influence and Social Change, London etc., 1976.
3. Moscovici S., Lage E., Studies in social influence III; Majority versus minority influence in a group, in: European Journ. of Soc. Psych., 1976, Vol. 6, No. 2, p. 149—174.
4. Moscovici S., Mugny G., Van Avermaet E. (Eds.), Perspectives on Minority Influence, Cambridge etc., 1985.
5. Mugny G., Negotiations, image of the other and the process of the minority influence, in: European Journ. of Soc. Psych., 1975, Vol. 5, No. 2, p. 209—228.
6. Mugny G., The Power of Minorities, London etc., 1982.
7. Mugny G., The influence of minorities: ten years later, in: Tajfel H. (Ed.), The social dimension, Vol. 2, Cambridge etc., 1984.
8. Mugny G., Papastamou S., When rigidity does not fail: individualization and psychologization as resistances to the diffusion of minority innovations, in: European Journ. of Soc. Psych., 1980, Vol. 10, No. 1, p. 43—61.
9. Mugny G., Papastamou S. Minority influence and psycho-social identity in: European Journ. of Soc. Psych., 1982, Vol. 12, No. 4, p. 379—394.
10. Nemeth Ch., Swedlund M., Kanki B. Patterning of the minority's responses and their influence on the majority, in: European Journ. of Soc. Psych., 1974, Vol. 4, No. 1, p. 53—64.
11. Nemeth Ch., Wachtler J., Consistency and modification of judgment, in Journ. of Experimental Soc. Psych., 1973, Vol. 9, No. 1, p. 65—79.
12. Nemeth Ch. Wachtler J., Endicott J., Increasing the size of the minority: Some gains and some losses, in: European Journ. of Soc. Psych., 1977, Vol. 7, No. 1, p. 15—27.
13. Paichele G., Norms and attitude change I: Polarization and styles of behaviour, in: European Journ. of Soc. Psych., 1976, Vol. 6, No. 4, p. 405—427.

Р. К. ЦИЦКИШВИЛИ

ДВА ИЗМЕРЕНИЯ ПРОЦЕССА СОЦИАЛЬНОГО  
ВЛИЯНИЯ МЕНЬШИНСТВА

Резюме

Феномен влияния меньшинства является малоизученным в советской психологии. Относительно богатую историю имеет он на Западе, где существенное внимание уделяется двум вопросам этого явления. Это последовательность и ригидность-флексibilität меньшинства, рассмотрению которых посвящена данная статья. В частности, представлены две точки зрения. Согласно первой, как последовательность, так и ригидность-флексibilität рассматриваются как формы стиля поведения меньшинства. Вторая же рассматривает последовательность как форму стиля поведения, а ригидность-флексibilität — как форму стиля переговоров. Последнюю позицию мы считаем более приемлемой, так как рассмотрение ригидности в качестве стиля переговоров дает возможность четко разграничить два измерения: измерение последовательности и измерение ригидности-флексibility меньшинства.

Последовательный стиль подразумевает единодушие индивидов и стабильность поведения. Ригидный стиль выражается в отрицании всякого компромисса, категоричности и строгости суждений, флексibilityный стиль более гибок, принимает во внимание другие точки зрения. Эффективность последовательного меньшинства подтверждена экспериментально. Что касается стиля переговоров, тут нельзя однозначно сказать, какой стиль более эффективен.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზ-  
ნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

## გიორგი პერტანავა

### ინტერესების დინამიკა გარდამავალ ასაკში

ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა ინტერესების დინამიკა. ინტერესების ცვლილება მიჩნეულია ბავშვის ასაკობრივი განვითარების შემდგომ საფეხურზე გადასვლის კრიტერიუმად. ფსიქოლოგიური მეცნიერება ამოდის იქიდან, რომ ინტერესების აღმოცენება და განვითარება განსაზღვრულია ადამიანის არსებობის საზოგადოებრივ-ისტორიული პირობებით, დამოკიდებულია მოზარდი თაობის აღზრდის სისტემაზე.

ინტერესთა ფორმირების, მათი თავისებურებების — სიღრმის, სიმყარის ინტენსივობის, ქმედითობის, ინტერესთა ასაკობრივი ცვლილებების საკითხებს ეძღვნება მრავალი ფსიქოლოგის შრომა, მათ შორის ბ. ანანიევის, ლ. ბოჟოვიჩის, მ. ბელიაევის, დ. ელკონინის, მ. ვიგოტსკის, ვ. მიასიჩევის, ა. პეტროვსკის და სხვ. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს ინტერესების განვითარებისა და მისი ბუნების ერთიანი გაგება. როგორც ლ. ბოჟოვიჩი აღნიშნავს, არ არსებობს „ინტერესების ობიექტურად დადგენილი კანონზომიერებანი“ [9], რაც განპირობებულია ფაქტობრივ მასალის სიმცირით და ინტერესების კვლევისას გამოყენებული არაადეკვატური მეთოდებით [23].

პიროვნების განვითარების პროცესის ფსიქოლოგიური კვლევის აქტუალობასთან დაკავშირებით, ინტერესების სისტემის შესწავლაც აქტუალური გახდა. ინტერესები განიხილება არა განცალკევებით, არამედ პიროვნების განსაზღვრელი მოქმედების, მოთხოვნილებების, ურთიერთობების კონტექსტში [7; 10; 12].

პიროვნების განვითარება მოიცავს მისი მრავალპლანიანი ინტერესების ჰარმონიულ განვითარებასაც, რაც მისი სტრუქტურის შესწავლის საშუალებას გვაძლევს ბავშვთა სპეციალურად ორგანიზებული სასწავლო მოქმედების პერიოდში და თავისუფალ დროს. ამ გეგმით სერიოზულ მუშაობას ეწევიან დასავლეთელი მკვლევარები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სხვადასხვა გართობისადმი ბავშვთა ინტერესების შესწავლას. კერძოდ, მრავალი ავტორი სვამს კითხვას: რას იძლევა თანამედროვე საზოგადოების ძიერ შემოთავაზებული გართობის სისტემა და შეუძლია თუ არა მას მისცეს მეტი მოსწავლეს, თუკი ამ გართობას პედაგოგები უხელმძღვანელებენ, გაძარტლებულია თუ არა საერთოდ პედაგოგების ჩარევა მოსწავლეთა არასასკოლო ცხოვრებაში, მათ „ჰობში“, შეიძლება თუ არა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით იგი ავად მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

განსაკუთრებით საყურადღებოა ფრანგი ფსიქოლოგისა და სოციოლოგის ჟ. დუმაზდიეს შრომები. იგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ფრანგი მოზარდები გვიან „უფროსდებიან“, გვიან ერთვიან სოციალურ სტრუქტურებში, გვიან იწყებენ შრომას და ამიტომ გახანგრძლივებულია მათი უდარდელი



ცხოვრების პერიოდი. უ. დუმაზდიეს მიხედვით, იზრდება ფრანგი მოზარდების ინტერესები ბუნებისადმი, ტუროზმისადმი, მხატვრული და ინტელექტუალური ინტერესები [25]. ხოლო მეორე ფრანგი მეცნიერი პროფესორი ჟან ფურასტიე თავისუფალი დროის ტარებას მიიჩნევს პიროვნების ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორად: „თავისუფალი დრო პიროვნებას აყალიბებს. თუ თქვენ ყოველ საღამოს ტელევიზორის ეკრანთან გაატარებთ, ერთი წლის, ათი წლის შემდეგ თქვენ სხვა პიროვნებად გადაიქცევით, ვიდრე ეს დრო რომ შექსპირის კითხვაში დაგხარჯათ“ [26, გვ. 146].

ითვალისწინებენ იმას, რომ ინტერესები დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, ფრანგმა მეცნიერებმა ჩაატარეს 13—18 წლის ასაკის მოსწავლეთა მასიური გამოკვლევა იმ მიზნით, რომ მიეღოთ ზოგადი სურათი თახამედროვე მოსწავლეების ინტერესების შესახებ. აღმოჩნდა, რომ მოზარდებს აინტერესებთ სპორტი, კითხვა, მუსიკის მოსმენა, კინო და ტელევიზია. ბიჭებს აღმოაჩნდათ მოქმედების ფიზიკური ტიპისადმი მიდრეკილება, ხოლო გოგონებს ინტელექტუალურისადმი. სოციალურად დიფერენცირებული აღმოჩნდა ინტერესი კითხვისადმი — იგი უფრო განვითარებულია ქალაქში მცხოვრებ ბავშვებთან და ინტელიგენციის ოჯახის ბავშვებთან. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მოზარდების ინტერესების სისტემა თვისებრივად განსხვავდება. ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალას თუ შევადარებთ უცხოელი მეკვლევარების მასალებს, ვხახავთ, რომ კინოს ყურებისადმი და მუსიკის მოსმენისადმი ინტერესები თუ შედარებით ერთნაირია, ამას კითხვისადმი ინტერესის შესახებ ვერ ვიტყვით. საბჭოთა მოზარდებს კითხვისადმი ინტერესი 32% მეტი აქვთ, მეგობრებთან შეხვედრის ინტერესი 45%, თამაშობებისადმი 50%-ზე მეტი. იგივე ითქმის თეატრისადმი, მუზეუმებისადმი, გამოფენებისადმი ინტერესების შესახებ [3].

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს მოზარდთა ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების ფონზე მათი ინტერესების ცვლილების შესწავლა. ვფიქრობთ, ამ პრობლემას აქვს არა მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკული ღირებულებაც. მოზარდთა ინტერესების ცოდნა და მათი გათვალისწინება სასწავლო-აღმზრდევლობით პროცესში უდავოდ შეუწყობს ხელს როგორც სწავლის, ასევე ბავშვის პიროვნების ფორმირების ნორმალურ მსვლელობას.

გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელია ძირეული ძვრები პიროვნულ განვითარებაში, რომელიც განპირობებულია ადრე ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური სტრუქტურის გარდაქმნით და ახალი წარმონაქმნების აღმოცენებით. სწორედ ამ ასაკობრივ ეტაპზე ეყრება საფუძველი მოზარდი ადამიანის შეგნებულ ქცევებს, გამოიკვეთება ზნეობრივი წარმოდგენების და სოციალური განწყობების ფორმირების ზოგადი მიმართულება.

დ. ელკონინის მიერ შემუშავებულ ონტოგენეზის პერიოდიზაციაში მოზარდობის საზღვრების დადგენისას აქცენტი გადატანილია ახალი ფსიქიკური წარმონაქმნების გამოვლენაზე, რომლებიც განპირობებულია მოქმედების წამყვანი ტიპების ცვლითა და განვითარებით. მოცემულ პერიოდიზაციაში გარდამავალი ასაკის საზღვრები მოქცეულია 10—15 წლებს შორის [21]. ამ ასაკში წამყვან მოქმედებას წარმოადგენს სასწავლო მოქმედება. სოციალური მომწიფების პირობად კი მიჩნეულია ადამიანის მოქმედების განვითარება. ამგვარად გაძოდის რომ მართო სასწავლო მოქმედება მოზარდის სოციალიზაციას (სოციალურ მომწიფებას) ხელს არ უწყობს. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნე-

ლობა ენიჭება საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებას, რომელიც პასუხობს მოზარდის პიროვნების მოტივაციურ-მოთხოვნილებით სფეროს და რომელიც ახდენს თვითგამორკვევის, თვითგამოხატვის მოთხოვნილების რეალიზაციას.

როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთში ბევრი ცნობილი ფსიქოლოგი, პედაგოგი და სოციოლოგი საგანგებოდ იკვლევს მოზარდის ასაკისათვის დაძახასიათებელ ფსიქოფიზიკურ თავისებურებებს, მათ მოთხოვნილებებს, მოტივებს, სოციალურ აქტივობას, რომელთა გავლენა მოზარდის ინტერესების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე უდავოა.

ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში ბატონობდა ფროიდის იდეების ზეგავლენით აღმოცენებული ე. წ. ბიოგენეტიკური უნივერსალიზმის თეორია. ამ თეორიის მიმდევრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბავშვის სქესობრივ მომწიფებას, მათ სექსუალურ ლტოლვებს. მათი აზრით, მოზარდებში კრიზისები და თავისებურებათა კომპლექსი განპირობებულია მათი ბიოლოგიური მხარეებით. ამიტომ ამ ასაკის ბავშვებთან კონფლიქტები და სხვადასხვა სახის სიძნელეები გარდაუვალია, ისინი უნივერსალურ ხასიათს ატარებენ და პედაგოგიურ ზემოქმედებას არ ექვემდებარებიან.

ამ თეორიის „უნივერსალიზმს“ ძირი გამოუთხარეს ამერიკელი ეთნოგრაფების გამოკვლევებმა. ისინი სწავლობდნენ „პრიმიტიულ ცივილიზაციებს“ წყნარი ოკეანის კუნძულ სამოაზე. აქაურ აბორიგენ მოზარდთა შესწავლამ დაადასტურა, რომ მათ არ გააჩნდათ ე. წ. „ოიდიპოსის კომპლექსი“, მათში არ შეიმჩნეოდა ნეგატივიზმი. ისინი ბავშვობიდან მოწიფულობაში გადადიოდნენ ჰარმონიულად, კონფლიქტების გამოუვლინებლად.

ცნობილმა ფსიქოლოგმა კ. ლევიმმა (აშშ) გამოყო ბავშვთა ჯგუფი და მოწიფულთა ჯგუფი. მოზარდს უჩნდება მისწრაფება გადავიდეს მოწიფულთა ჯგუფში და ისარგებლოს იმ პრივილეგიებით, რითაც მოწიფულები სარგებლობენ. მოზარდი იმყოფება ჯგუფთაშორის მდგომარეობაში, რადგან იგი ჯერ კიდევ არ არის მოწიფულთა ჯგუფში. კ. ლევინი კონფლიქტთა არსებობასა და სიძნელეების ხარისხს, სოციალურ მომენტს უკავშირებს ბავშვთა და მოწიფულთა ჯგუფების არსებობას და მათ მკვეთრ გამიჯვნას.

აქვე უნდა ითქვას, რომ მოზარდობის ასაკისთვის დამახასიათებელია ბევრი ისეთი რამ, რაც ალბათ არ შეიძლება დაუუკავშიროთ სოციალურ მომენტებს. ფსიქოლოგიური ტექსტის მიხედვით, მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობა არსებითად განსხვავდება უფროსი ასაკისაგან. მაგალითად, შესწავლილია 15 ათასი 14—15 წლის ამერიკელი მოზარდები მინესოტის პიროვნული ტესტის საშუალებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაშიც ფართოდ გამოიყენება ფსიქოლინგვისტიკური მიზნებისათვის. აღნიშნულმა კვლევამ იგვიჩვენა, რომ ნორმალურ მოზარდებს აქვთ „ფსიქოპათიის“, „შიზოფრენიის“, „ჰიპომანიის“ მკალაზე მაღალი მაჩვენებლები, ვიდრე უფროსი ასაკის ადამიანებს [11, გვ. 55]. ეს იმას ნიშნავს, რომ ემოციური რეაქციები, რომლებიც უფროსი ასაკის ადამიანებისთვის ითვლება ავადმყოფობის სიმპტომებად, მოზარდობისათვის სტატისტიკურად ნორმალურია. მოზარდებს ახასიათებს დისმოფობიის (ფიზიკური ნაკლის ბოდვის) სინდრომი. ცნობილ ფსიქიატრ ა. მეკრაბიანის მიხედვით, 13—14 წლების შემდეგ იზრდება დეპერსონალიზაციის შემთხვევები [15]. ასეთივე მონაცემები აქვს ა. ლიჩკოს, რომელიც თვლის რომ 14—18 წლები კრიტიკული პერიოდია ფსიქოპათიისათვის [13].

ფსიქოლოგ ჰ. იაკობსონის კვლევის მიხედვით, ნეგატიური ემოციების პიკი როგორც უფროსების, ასევე თანატოლების მიმართ მოდის 12,5—13,5 წლებში. ჰ. იაკობსონის აზრით, ასეთი მწვევად უარყოფითი ემოციები გამოწვეულია იმით, რომ მოზარდის მიერ თავის უფლებათა „უპატივცემლობა“ უფროსების მხრიდან აღიქმება როგორც მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვა. ეს კი იწვევს მოზარდში უარყოფით რეაქციებს [24]. როგორც ჩანს, მოზარდებში უარყოფითი ემოციები არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ჰორმონალური ცვლილებებით (რასაც საზღვარგარეთელი ავტორები აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას).

მოზარდის ფსიქიკური მდგომარეობა, მასთან ნეგატიური ემოციების სიჭარბე თავის დაღს ასვამს მოზარდის ინტერესების აღმოცენებასა და მათ განვითარებას. ეს მომენტი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ინტერესების კვლევის დროს. ფსიქოლოგმა ლ. ვიგოტსკიმ მოზარდობის ასაკის შესწავლისას აღნიშნა მოზარდის ცნობიერებაში ძირითადი ახალწარმონაქმნის გამოყოფის აუცილებლობა და განვითარების სოციალური სიტუაციის გარკვევა. ეს წარმოადგენს ბავშვისა და გარემოს ურთიერთობათა სისტემას და ამ სისტემის შეცვლა გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელი „კრიზისის“ შინაარსია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოზარდობის ასაკში შესვლისას ბავშვის პიროვნების სტრუქტურაში ხდება კარდინალური ცვლილებები, რის გამოც იჩნდება ბავშვისა და გარემოს შორის არსებული ძველი დამოკიდებულება. მოზარდის პიროვნებაში აღმოცენდება ცენტრალური და სპეციფიკური ახალწარმონაქმნი, თავს იჩენს მოწიფულობის განცდა, რომ იგი ბავშვი აღარაა; მოზარდს სურს გაარკვიოს თავისი სოციალური სტატუსი, სწადია უფროსებმა აღიარონ მისი მოწიფულობა.

განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს გარდამავალ ასაკში პრესტიჟის მოთხოვნილება, რომელიც სოციოგენურ მოთხოვნილებათა ჯგუფს განეკუთვნება [6, გვ. 126]. თავის გამოჩენის ანუ პრესტიჟის მოთხოვნილება განსაკუთრებით ძლიერად იჩენს თავს VI—VII კლასელებთან. სამწუხაროდ, მოზარდთა ბუნებრივ მოთხოვნილებას — გამოიჩინოს თავი, მონახოს თავისი ადგილი ცხოვრებაში და განიმტკიცოს საკუთარი, როგორც პიროვნების, პოზიცია, — ხელს უშლის ხშირად როგორც ოჯახური გარემო, ასევე სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემა. მოზარდის მეტისმეტი მეურვეობა უფროსი ასაკის ადამიანების მხრიდან და მოქმედების ძირითადი ფორმა — სწავლა, ამუხრუჭებს მათ სოციალიზაციას, ანუ სოციალურად მომწიფებას. მოზარდს უჩნდება მოთხოვნილება თავი გამოიჩინოს საქმიანობაში, რომელიც მის პიროვნულ ღირებულებას მალა სწევს. პრესტიჟის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მოზარდი მაშინ განიცდის, როდესაც იგი უშუალოდ ხედავს უფროსი ასაკის ადამიანებისაგან ისეთ მოქმედებას, რომელშიც მისი პატივისცემა და მაღალი შეფასება გამოიხატება. როცა მოზარდი აღიარებისა და პრესტიჟის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობას შეამჩნევს უფროს ადამიანებს შორის, იგი კმაყოფილია და ცდილობს ხშირად ჰქონდეს ასეთი ურთიერთობანი. აღსაზრდელისა და აღმზრდელის ასეთი ურთიერთობა ისეთი სოციალური ნიადაგია, სადაც პედაგოგიური პროცესი, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა დიდი ნაყოფიერებით შეიძლება წარიმართოს. ასეთ „სოციალურ ნიადაგად“ აღსაზრდელისა და აღმზრდელის შესაბამის ურთიერთობათა ვადაქცევას ხელს უშლის მრავალი მომენტი. უფროსი ასაკის ადამიანი ვერ ცვლის 5. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1991, № 2

თავის პირვანდელ დამოკიდებულებას მოზარდისადმი. ძველი ურთიერთობის შენარჩუნებას ხელს უწყობს შემდეგი: ა) მოზარდის საზოგადოებრივი მდგომარეობის უცვლელიობა: იგი იყო და კვლავ რჩება „მოსწავლედ“; ბ) მშობლებზე მისი სრული მატერიალური დამოკიდებულება. მშობლებიც მასწავლებლებთან ერთად აღმზრდელის როლში გამოდიან; გ) ბავშვის მართვისა და კონტროლის ჩვეულება, რომლის შეცვლაც ძნელია (აუცილებლობის შემთხვევაშიც); დ) მოზარდის შესახედაობასა და ქცევაში (განსაკუთრებით, ამ ასაკის საწყის ეტაპზე) ბავშვური ნაკვეთების შენარჩუნება, დამოუკიდებელი მოქმედების შეუძლებლობა [1, გვ. 133].

მშობლისა თუ მასწავლებლის სტერეოტიპული დამოკიდებულება მოზარდის მიმართ, მოზარდის ჩათვლა ისევ ბავშვად, მისი უფლებებისა და დამოუკიდებლობის გაფართოების შეზღუდვა, მოზარდის სოციალურ მოთხოვნებთანა იგნორირება ეწინააღმდეგება არა მარტო მოზარდის მისწრაფებებს, არამედ სწავლა-აღზრდის ამოცანებსაც. „იქ სადაც მოზარდი უფროსების, მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან აღიარებას ვერ ნახულობს და სოციალურ მოთხოვნებთანა ფრუსტრაციას განიცდის, სადაც მის სოციალურ პიროვნებას, რომელიც ახლა იდგამს ფეხს და გამოდის მოქმედების გზაზე, ანგარიშს არ უწყევნ და ისე ექცევიან, როგორც ბავშვს — მისგან მხოლოდ ბრძახებისა და განკარგულების ფორმაში მოცემულ დავალებათა უსიტყვო შესრულებას მოითხოვენ, მოზარდს უმუშავდება უარყოფითი ხასიათის სოციალური განწყობა, რომლის ნიადაგზეც დადებითი სოციალური ურთიერთობების განვითარება შეუძლებელი ხდება“. [6, გვ. 71].

მოზარდისთვის დამახასიათებელ დიდ სოციალურ აქტივობას, მის დაუოკებელ სურვილს — აღიარონ დიდად და საზოგადოებაში შესაფერისი ადგილი დაიკავოს, წინ ეღობება გარკვეული სახის სუბიექტური და ობიექტური ძიწეუბები. სუბიექტურ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ თვით მოზარდის პიროვნული თვისებები, მშობლების, პედაგოგ-აღმზრდელებისა და სხვა უფროსი ასაკის ადამიანების დამოკიდებულება მოზარდის მიმართ; ხოლო ობიექტურ მიზეზად სასწავლო-აღმზრდელით დაწესებულებაში სწავლებისა და აღზრდის ზოგიერთი მოძველებული პედაგოგიურად გაუმართლებელი მეთოდი.

როგორც ჩანს, მოზარდობის ასაკისთვის დამახასიათებელი სიძნელებები ძირითადად განპირობებულია მისი სოციალური აქტივობის, სოციალური მომჭიფებისკენ მისი ბუნებრივი სწრაფვის ხელოვნური შეფერხებით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოინახოს გზები და საშუალებანი, რომლებიც დაგვეხმარება „ხელოვნური შეფერხებების“ შესუსტებაში და იმაში, რომ მოზარდისათვის დამახასიათებელი სოციალური აქტივობა, რაც მანამდე ნეგატივისძმის წყაროდ ითვლებოდა, ვაქციოთ სასწავლო-აღმზრდელითი პროცესის ერთ-ერთ მძლავრ მასტიმულირებელ საშუალებად.

საბჭოთა სოციალურ ფსიქოლოგიაში სოციალიზაციის ცნების შინაარსის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, შათთვის დამახასიათებელი და საერთო ის არის, რომ, ერთი მხრივ, სოციალიზაცია გაგებულია როგორც ინდივიდის მიერ სოციალური გამოცდილების შეთვისება, და, მეორე მხრივ, ის, რომ ინდივიდი არა მარტო ითვისებს სოციალურ გამოცდილებას, არამედ აქტიურად გარდაქმნის მას საკუთარ ღირებულებებად, განწყობებად, ორიენტირებად [8, გვ. 338]. სოციალიზაციის ცნება ითვალისწინებს სოციალური გამოცდილების შეთვისების ინტერპრეტაციას,

უპირველეს ყოვლისა, შრომითი მოქმედების მსვლელობაში [8, გვ. 343]. საბჭოთა პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში თითქმის ყველა ავტორი მოზარდის სოციალიზაციის პროცესს უკავშირებს ოჯახს, სასკოლო სწავლებასა და მოსწავლეთა კოლექტივებს. ცხადია, უკანასკნელნი გარკვეულ როლს ასრულებენ სოციალური მომწიფების პროცესში, მაგრამ, როგორც ჩანს, ურთიერთობათა ეს სისტემა სრულყოფილად არ შეიძლება ჩაითვალოს, რასაც ფაქტიური ჰდგომარეობა ადასტურებს: მოზარდის ფსიქოფიზიკურ მომწიფებას ჩამორჩება მისი სოციალური მომწიფება, რის შედეგადაც ვღებულობთ მოზარდის ხეგატივიზმს, ასოციალურ ქცევებს.

ქალაქელი მოზარდი, სოფლელი მოზარდისაგან განსხვავებით, მწარმოებლური პროცესისაგან ნაწილობრივ გამორთულია, მისი კავშირი საზოგადოებრივ ეკონომიკასთან შემოსაზღვრულია მოხმარების სფეროთი, ამის გამო ქალაქის ოჯახში გაზრდილ ბავშვს, სოფლის მოზარდებთან შედარებით, ხშირად ახასიათებს ინფანტილიზმი და ყოფითი ვანდალიზმი, რომელიც არის „საკუთარ გამოცდილებაში ადამიანური შრომის პროდუქტის ღირებულების არ ცოდნის პირდაპირი შედეგი“. ეს გარემოება კი „ქალაქური ოჯახების წინაშე აყენებს ორ უმნიშვნელოვანეს პედაგოგიურ ამოცანას: როგორ მოვახერხოთ ყველაზე უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ აღზრდის მიზნებისათვის ბავშვთა დასაქმება საყოფაცხოვრებო ფუნქციების შესრულებით და როგორ ვაგრძობინოთ მოზარდს პროფესიული (თუნდაც მის ყველაზე უფრო უბრალო ფორმებში) საქმიანობის გემო“ [20, გვ. 20]. ასეთი ვითარება უეჭველად გამოიწვევს მოზარდთა ინტერესების შინაარსის, ინტერესთა სიფართოვის, სიმყარის, მიმართულების და ინტენსივობის განსხვავებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდის სოციალიზაციის პროცესის შესახებ ძსჯელობისას, ავტორები ყურადღების გარეშე ტოვებენ მოზარდთა ინტერესების სფეროს. ვფიქრობთ, სოციალური სიმწიფის ერთ-ერთ კრიტერიუმად შეიძლება მივიჩნიოთ მოზარდის ინტერესების მიმართულება, სიფართოვე, სიმყარე. როდესაც ლაპარაკობს მოზარდის სოციალიზაციაზე, თ. კუბლაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სოციალიზაციის პროცესზე დადებითად, შემოქმედებს წამყვანი მოქმედება, კერძოდ, შრომითი მოქმედება. პასუხისმგებლობის გრძობა მიჩნეულია სოციალური სიმწიფის საზომად<sup>19</sup>. ჩვენი აზრით, მოზარდის ინტერესების განვითარების კანონზომიერებანი, ამ ინტერესთა თავისებურებანი მჭიდრო კავშირშია სოციალიზაციის პროცესთან და საჭიროა ამ ორი პრობლემის ერთ მთლიანობაში გააზრება.

ფსიქიკის განვითარება, პიროვნების ფორმირება, მისი ინტერესები და ძოთხვნეილებები განისაზღვრება მხოლოდ მოქმედების განვითარებით, რომელიც ურთიერთობის ახალ სტრუქტურას ქმნის. უმცროსი ასაკის მოზარდებთან აქტიური ინტერესების არქონა არ წარმოადგენს ასაკობრივ თავისებურებას. უფრო მეტიც, ბავშვები, რომლებიც გადადიან მოზარდობის ასაკში, სენზიტურნი არიან მათში შემეცნებითი ინტერესების აღმოცენებისადმი [4]. მოზარდობისთვის დამახასიათებელია გადასვლა საგნობრივი მოქმედებიდან „ადამიანი — სხვა ადამიანი“ სისტემაში. ბავშვის სოციალურ განვითარებაში მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ახალი სოციალური როლების და პოზიციების ათვისება. მოზარდი რეალურად ერთვის გაფართოებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ურთიერთკავშირის ახალ ფორმებს, დამოკიდებულებებს. ეს ყოველივე აშკარად შესამჩნევი არ არის ოჯახში, მაგრამ გა-

ძოკვეთილად ჩანს სკოლაში, სადაც მოზარდები აქტიურად მონაწილეობენ პი-  
 თხერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, სკოლის მოსწავლეთა თვითმმარ-  
 თველობაში. იგი აქტიურად ერთვის კოლექტივის ცხოვრებაში, ასრულებს  
 სხვადასხვა საზოგადოებრივ დავალებებს. მოზარდის საზოგადოებრივი მდგომარეობის ცვლილება ხელს უწყობს მყარი მიზნებისა და ქცევების ფორმების ჩამოყალიბებას. ამ ასაკის ბავშვს უნარი აქვს მოახდინოს საკუთარი საქმიანო-  
 ზის ორგანიზება, გადაჭრას ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები. მათთვის დამახასიათებელია მოვალეობის გრძნობის განვითარება, ამავე დროს მოზარდებს ჯერ კიდევ სრულად არა აქვთ გაცნობიერებული პო-  
 ზიკია განსაზღვრული სოციალური ჯგუფებისა და საზოგადოებრივ ღირებუ-  
 ლებათა მიმართ. ცხოვრებისეული გამოცდილების უკმარობა იწვევს შეხედუ-  
 ლებათა ხშირ ცვლას. მაგრამ მოზარდთა ძირითადი ნაწილი საერთოდ სწო-  
 რად ერკვევა უმთავრესი ზნეობრივი ცნებებისა და პრინციპების არსში. ამ ასაკის ბავშვებს ახასიათებთ სოციალური აქტივობა რომელიც მიმართულია სა-  
 ზოგადოების ღირებულებათა, მისი ნიმუშების და იდეალების შეთვისებისაკენ. ფართოვდება და უწყვეტად იცვლება მოზარდთა ინტერესების წრე და ცხოვ-  
 რებისეული გეგმები. თუმცა, ერთი მხრივ, ამ ასაკის ბავშვებისთვის დამახა-  
 სიათებელია ინტერესთა არასტაბილურობა მომეტებული ემოციურობის, იმ-  
 პულსურობის გამო. მეორე მხრივ, სწორედ ამ ასაკში მიმდინარეობს მათი ინტერესების დიფერენცირება, იზრდება ინტერესების სიღრმე და შინაარსი, გაძონაწევრდება და ვითარდება სოციალური ინტერესები, მათ შორის ადა-  
 ძიანებისადმი ინტერესი, საზოგადოებაში საკუთარი თავის ადგილის ინტე-  
 რესი.

არსებით ცვლილებას განიცდიან შემეცნებითი ინტერესები. უმცროსკლასელებისგან განსხვავებით, რომელთა ინტერესები უშუალოდ არიან დაკავშირებულნი სიტუაციასთან, მოზარდთა ინტერესები პიროვნულ ხასიათს იღებენ [16] მოზარდისთვის ყველაზე მეტად ნიშნულია საკუთარი პიროვნებისადმი გაძლიერებული ინტერესი, საკუთარი პიროვნების გაცნობიერების და შეფასების ინტერესი. ეს ვითარება ცალმხრივად იყო გაგებული მთელი რიგი საზღვარგარეთელი ფსიქოლოგების მიერ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოზარდების „სინამდვილიდან განდგომას“ თან ახლავს ეგოიზმი, ეგოცენტრიზმი. ამავე დროს თვითდაკვირვების, თვითშეფასების, თვითდამკვიდრებისა და თვითგაუმჯობესების მოთხოვნილება აღმოცენდება არა უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო და თვითჩაღრმავების ზედაპირული მისწრაფების გამო, არამედ განპირობებულია, საკუთარი ღირსებისა და ნაკლოვანების ანალიზის მორალური მოთხოვნილებით, მისწრაფებით გაიგოს მის ქცევებში და მიზნებში რა წარმოადგენს სწორს, არასწორს, რას უნდა მიაღწიოს და რისგან თავი უნდა შეიკავოს. მოზარდის ინტერესი საკუთარი თავისადმი აღმოცენდება ცხოვრების და მოქმედების მოთხოვნილებიდან, რაშიც ვლინდება მისი პიროვნების თვისება. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ასაკის ბავშვების ინტერესების საგანს, პირველ რიგში, წარმოადგენს პიროვნების თვისება, რომელიც დაკავშირებულია მოქმედების სხვადასხვა სახესთან (44%), მეორე ადგილზეა თვისება, რომელიც ახასიათებს სხვა ადამიანისადმი ურთიერთობას (38%) [18]. მოზარდისათვის რომელიც ჩართულია კოლექტიურ მოქმედებაში, თვითჩაღრმავებასთან ერთად დამახასიათებელია კოლექტიური ცხოვრებისადმი ინტერესის განვითარება. ამ პერიოდში ბავშვი განიცდის განსაკუთრებულ მოთხოვ-

ხილებას განავითაროს თანატოლებთან მეგობრული ურთიერთობა. ამ დროს ძოზარდისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფროსი ასაკის ადამიანის აზრი.

დიდ მნიშვნელობას იძენს ამ ასაკობრივ პერიოდში ბავშვთა მისწრაფება ძოზარდის თავიანთი ადგილი საზოგადოებაში. ეს მისწრაფება წარმოადგენს მოზარდის მოქმედების წამყვან მოტივს. მოზარდი მუდმივად ცდილობს გაიგოს „რის მიღწევა შეუძლია“. აქედან გამომდინარეობს მოზარდის დაპირისპირებულობა სხვებთან, ხშირად ნეგატიური. ბავშვი არც თუ იშვიათად შეურაცხყოფას აყენებს გარშემომყოფ ადამიანებს მხოლოდ იმისათვის, რომ სურს გამოცადოს საკუთარი დამოუკიდებლობა. მაგრამ მთელი ნეგატივიზმი, მოზარდის საჭიუტე, სურვილი დაიცვას საკუთარი აზრი, არის თავისებური ვარჯიში საკუთარი შესაძლებლობის შემეცნებაში. იკამარჯვების ან დამარცხების ყოველი შემთხვევა ხდება თავისი თავის შემეცნების მაგალითი. ამით აიხსნება ძოზარდებთან სხვა ადამიანებისადმი ინტერესის გაძლიერება, მათი ქცევებისა და ხასიათისადმი ყურადღების მიპყრობა. საკუთარი თავის მუდმივი შედარებით სხვებთან, მათთვისებთან მოზარდი ქმნის საკუთარ „მეს“.

ცნობილია, რომ ამ ასაკის ბავშვს უკვე არა აქვს მშობლებისა და პედაგოგების ავტორიტეტის გულუბრყვილო რწმენა. იგი მათ კრიტიკულად უცქერის, ამჩნევს მათ სიტყვასა და საქმეში წინააღმდეგობას, შეცდომებს, ნაკლოვანებებს, თუმცა ძალიან უფროსილდება საზოგადოებრივ აზრს და უფროსთა დამოკიდებულებას, ცდილობს გამოიმუშაოს ისეთი ნიშნები, რომლებიც საშუალებას მისცემს მიღწიოს წარმატებას მოქმედებასა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში [2]. მოზარდისთვის მნიშვნელოვანია თუ როგორ გამოიყურება სხვების თვალში, როგორ ეპყრობიან მის ქცევებსა და მოქმედებებს.

სურვილი, გაიგოს „როგორ იცხოვროს“, მოზარდს აღძრავს იკამოავლინოს ძოზარდებზე ინტერესი სხვა ადამიანების შინაგანი სამყაროსადმი, მათი განცდებისადმი.

მოზარდობის ასაკში ძირითად ახალწარმონაქმნს წარმოადგენს ცნობიერების განვითარების თვისებრივი ცვლილება, როგორც მოზარდის უფროსებთან და თანატოლებთან გაფართოებული, გართულებული ურთიერთობების შედეგი. საკუთარი პიროვნული თვისებების შეფასების, გაცნობიერების შესაძლებლობას მოზარდი იძენს საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებაში. ეს მოქმედება სენზიტიურია მოზარდობის ასაკისთვის, რადგან მასში ყველაზე უფრო მეტადაა გამოვლენილი მოზარდის სოციალური განვითარების ტენდენცია. მაგრამ ლაპარაკია მოზარდი მოსწავლის არა სტიქიურ მონაწილეობაზე, სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებაში, არაჰედ ამ მოქმედების სპეციალურად აგებულ სისტემაზე, რაც უზრუნველყოფს მის გადაქცევას (შინაარსისა და შესრულების ხერხების მიხედვით) შემოქმედებით მოქმედებად, სულიერ მოღვაწეობად — ადამიანის შრომის საყოველთაო ფორმების პროტოტიპად.

ასეთი სპეციალურად კონსტრუირებული საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედება საშუალებას აძლევს მოზარდს მოახდინოს ორიენტაცია საქმიანობის ფართო დიპაზონში, ამოიჩინოს რომელი უფრო ესადაგება მას და საზოგადოებას, რომელი უფრო მეტ სარგებელს მოუტანს როგორც საზოგა-

ღობას, ასევე თვით მას, როგორც პიროვნებას. ყოველივე ამას განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს მისი პიროვნების ფორმირებისთვის.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა სერიოზულ როლს თამაშობს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა განვითარებაში. ამიტომაც, რომ ასეთი დიდი ყურადღება ექცევა საბჭოთა პედაგოგიკაში საზოგადოებრივად სასარგებლო სხვადასხვა სახის საქმიანობაში ბავშვთა დასაქმებას. მაგრამ სწორედ მოზარდობის ასაკში ეს მოქმედება იღებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, აკმაყოფილებს რა ბავშვის მოთხოვნილებებს, პრეტენზიებს, ინტერესებს, ანიჭებს მას რეალურ შესაძლებლობას გამოავლინოს დამოკიდებულება, იგრძნოს თავი მოქალაქედ, რაც შესაბამისი ორგანიზაციით უზრუნველყოფს ისეთი აქტიური აღმზრდელითი ზემოქმედების ოპტიმალურ შესაძლებლობას, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ პასუხობს ასაკობრივ ახალწარმოხავეებს, მოზარდის ახალ სოციალურ პოზიციას [19].

მოზარდობის ასაკში აღმოცენდება თვითშემეცნების ახალი და რთული ფორმები, რომელთა აღმოცენებას ხელს უწყობს ბავშვის ფსიქიკური განვითარება, ყალიბდება პიროვნების შედარებით მყარი თვისებები, რომლებიც ბავშვის ქცევებს განსაზღვრავენ, განსაზღვრავენ მის მოქმედებასა და უფროსებთან ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს. ამასთან დაკავშირებით აღმოცენდება თვითშემეცნების, საკუთარი „მეს“ გამოყოფის მოთხოვნილება, საკუთარი პიროვნებისადმი ინტერესი, მისწრაფება დაიკავოს, მონახოს საკუთარი ადგილი კოლექტივში. სწორედ ამ პერიოდში ბავშვები ცდილობენ შეიძეცნონ თავი, შეედარონ თანატოლებს, მისცენ შეფასება თავის თავს და საკუთარ პიროვნებას. აქედან გამომდინარეობს საკუთარი ინტერესების გაძლიერებული როლი საკუთარი თავის მიმართ, გარემოს მიმართ, სხვების საქმეებისადმი, საერთო საზრუნავზე, სოციალურ-ზნეობრივ პრობლემებზე (მაგალითად, ა. მალიონოვმა გამოავლინა, რომ მორალური პრობლემებისადმი ინტერესი ტიპიურია უკვე უმცროსი ასაკის მოზარდებისათვის) [14].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოზარდთა ინტერესების კვლევა არ შეიძლება გარდამავალი ასაკის თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე, რადგან ფსიქიკური ახალწარმოქმნები, მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობა, მისი ემოციები, წამყვანი მოქმედება, სოციალიზაციის პროცესის მიმდინარეობა უდიდეს ზეგავლენას ახდენს მისი ინტერესების განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე.

ფსიქოლოგებისა და პედაგოგების მრავალრიცხოვან გამოკვლევებში (ბ. ანანიევი, ლ. ბლაგონადიოჟინა, ლ. ბოჟოვიჩი, ვ. ივანოვი, ნ. მოროზოვა, ა. სოროკინა და სხვ.) დასაბუთებულად არის ნაჩვენები ბავშვთა ინტერესების განვითარების კანონზომიერებანი — ცალკეული ფაქტის, მოვლენის ინტერესიდან მოვლენათა შორის კავშირების ინტერესებამდე, განსაზღვრულია სასწავლო ინტერესების გაფართოებისა და დიფერენცირების პირობები. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა არა იმდენად ინტერესების გაფართოების, გაღრმავების სურათი, არამედ ინტერესების დინამიკა გარდამავალ ასაკში. გამოკვლევის ჩატარების ბაზას წარმოადგენდა ქ. თბილისის №№ 52, 81, 49, 134, 1, 165, 2, 24, 56, 52, 50, 76, 109, 38, 105, 134, 137 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები.

სულ გამოკვლევამ მოიცვა 1576 ბავშვი. მათგან 9 წლის — 328; 10 წლის — 315; 11 წლის — 327; 12 წლის — 309; 13 წლის — 302.



ანკეტირება ჩატარდა 1987 წლის ივლის-აგვისტოში კოჯრის, წყნეთის და ცხვარიჭამის პიონერთა ბანაკებში. მიღებულ მასალებს აქვს დიდი ინფორმაციული მნიშვნელობა. ასე მაგალითად, მოსწავლეების შემეცნებით ინტერესებში თვისებრივი ცვლილება ხდება 9 და 10 წლებს შორის, ხოლო 11—13 წლები შედარებით სტაბილურია. ეს ვითარება კარგად ჩანს ცხრილში.

ინტერესი სასწავლო საგნებისადმი (სხვადასხვა ასაკის ბავშვის პასუხის საშუალო მნიშვნელობა)<sup>1</sup>

№	სასწავლო საგნები	9 წელი	10 წელი	11 წელი	12 წელი	13 წელი
1.	მშობლიური და რუსული ენა	0,50	0,70	0,45	0,38	0,42
2.	ლიტერატურა	0,17	0,32	0,20	0,42	0,42
3.	მათემატიკა	0,55	0,63	0,27	0,40	0,30
4.	ბუნებათმცოდნეობა და ბიოლოგია	-0,27	-0,38	-0,55	-0,10	0,22
5.	უცხოური ენა	-0,10	-0,20	-0,02	0,07	-0,05
6.	ისტორია	-0,15	-0,22	0,27	-0,05	0,38
7.	საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა	0,17	0,52	0,65	0,27	0,07
8.	სახვითი ხელოვნება	0,65	0,38	0,07	-0,10	-0,02
9.	მუსიკა	0,32	-0,05	0,00	-0,15	-0,45
10.	შრომის გაკვეთილი	0,55	0,15	0,27	-0,13	0,10
11.	ფიზკულტურა	0,57	0,30	0,45	0,38	0,35

როგორც ჩანს თუკი 9 წლის ბავშვის ინტერესი მშობლიური და რუსული ეხისადმი წარმოადგენს 0,50, ათი წლისათვის იგი იზრდება — 0,70; შემდგომ, 11 წლისათვის იგი დაბლა იწვევს 0,45-მდე და სტაბილურია 13 წლამდე.

მსგავსი სურათი შეიმჩნევა სხვა სასწავლო საგნების ინტერესების მიმართ, მაგალითად, ლიტერატურის მიმართ. 9 წლის ასაკში ინტერესი უდრის 0,17, ხოლო 10 წლის ასაკში ეცემა 0,32-მდე. მათემატიკისადმი ინტერესი 9—10 წლის პერიოდში იზრდება 0,55-დან 0,63-მდე, უცხო ენებისადმი — 0,10-დან +0,20-მდე. სერიოზულად იზრდება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი ინტერესი. თუ 9 წლის ასაკში იგი უდრის 0,17, 10 წლის ასაკში აღწევს 0,52. ამასთანავე, სწორედ ამ პერიოდში შეიმჩნევა შრომის გაკვეთილების ინტერესის მკვეთრი შემცირება (0,55-დან 0,15-მდე). ფიზკულტურის გაკვეთილის მიმართ (0,57-დან 0,30-მდე), მუსიკისადმი (0,32-დან — 0,05-მდე), სახვითი ხელოვნებისადმი (0,65-დან 0,38-მდე). მაგრამ ამ საგნებისადმი ინტერესის დაწვევა აშკარად დაკავშირებულია სწავლების ხარისხთან, რადგანაც

<sup>1</sup> პასუხის საშუალო მნიშვნელობის განსაზღვრისას, პასუხი „მომწონს“ მიიღება როგორც ერთეული, „არ მომწონს“ როგორც მინუს ერთეული.

იგივე ბავშვებს (იგივე ცდისპირებს) ეზრდებათ მისწრაფება შეისწავლონ დასახელებული დისციპლინები, რაც ასახულია შემდეგ ცხრილში.

ინტერესების თვისებრივი დახასიათება, რომლებიც ასახავენ ბავშვთა მისწრაფებას შეისწავლონ სხვადასხვა დისციპლინები (%-ში)

№	სასწავლო საგნები	9 წელი	10 წელი	11 წელი	12 წელი	13 წელი
1.	კლასიკური ლიტერატურა	13	10	20	8	18
2.	თანამედროვე ლიტერატურა	8	5	13	23	13
3.	პოეზია, თეატრი	8	5	25	20	15
4.	მათემატიკა	65	85	58	58	60
5.	ძველი ისტორია, არქეოლოგია	23	5	25	20	20
6.	უცხოური ენა	43	55	38	45	30
7.	ისტორია	28	40	53	38	43
8.	თანამედროვე მსოფლიოს შესწავლა	0	10	10	13	8
9.	გეოგრაფია	10	10	23	28	30
10.	ტექნოლოგია	8	15	35	20	10
11.	საკანცელარიო ტექნიკა	5	15	35	23	13
12.	მოდელირება	20	45	30	28	13
13.	მუსიკა	42	25	33	28	13
14.	ხატვა	50	40	43	28	38
15.	ქიმიკა, ფიზიკა	10	10	18	13	23
16.	ასტრონომია	10	10	23	8	13
17.	გეოლოგია	3	10	18	10	13
18.	ბოტანიკა და ზოოლოგია	13	10	23	20	23
19.	პიგიენა	8	5	10	10	10
20.	საოჯახო მეურნეობა	25	30	25	25	3
21.	ცხოვრების საზრისის მოძიება	3	0	3	3	5
22.	ფიზკულტურა	40	60	25	30	18
23.	სპორტი	45	95	60	42	60

გარდამავალ ასაკში იზრდება მათემატიკისადმი ინტერესი 20%-ით, ისტორიისადმი 12%-ით, სხვადასხვა ტექნიკური საქმიანობისადმი 25%-ით, აგრეთვე მნიშვნელოვნად იზრდება მოზარდთა ინტერესი უცხოური ენის შესწავლისადმი.

საინტერესოა მოზარდების ინტერესების დინამიკა განათლების მიზნების შესახებ.

ბავშვთა პასუხების საშუალო მნიშვნელობა, რომელსაც ახასიათებს განათლების მიზნებისადმი ინტერესს

№	განათლების მიზანი	9 წელი	10 წელი	11 წელი	12 წელი	13 წელი
1.	სწორად გადმოსცე აზრი	0,50	0,52	0,67	0,60	0,35
2.	შეგეძლოს აზრის წერილობით გადმოცემა	0,57	0,47	0,80	0,50	0,20
3.	მონახო ინფორმაცია	0,05	0,22	0,17	0,30	0,00
4.	სწრაფად იკითხო	0,57	0,72	0,63	0,63	0,57
5.	გაიგო ხელოვნება	0,17	0,60	0,30	0,25	0,17
6.	გაიგო ლიტერატურა	0,27	0,42	0,40	0,17	0,32
7.	შეისწავლო მათემატიკა	0,22	0,32	0,07	0,32	0,05
8.	იცოდე ისტორია	0,30	0,35	0,50	0,47	0,32
9.	იცოდე ხალხთა ცხოვრება	0,13	0,42	0,15	0,30	0,35
10.	გაიგო ტექნიკური პროგრესი	-0,20	-0,15	-0,38	-0,07	-0,15
11.	გაიგო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები	-0,05	-0,15	-0,35	-0,10	-0,40
12.	პოლიტიკურ ცხოვრებაში ორიენტირება	0,02	0,02	0,00	-0,15	0,02
13.	იცოდე უცხოური ენები	0,38	0,65	0,47	0,55	0,55
14.	მოემზადო პრაქტიკული ცხოვრებისათვის	0,13	0,32	-0,02	0,42	0,42
15.	შეგეძლოს თავისუფალი დროის განაწილება	0,40	0,25	0,25	0,20	0,10
16.	საოჯახო ცხოვრებისათვის მომზადება	0,27	0,25	0,42	0,35	0,10
17.	გაიგო ცხოვრების აზრი	0,17	0,22	-0,05	0,10	0,05
18.	ფლობდე სხეულს	0,22	0,32	0,50	0,30	0,25
19.	შეგეძლოს სპორტული თამაშობები	0,65	0,52	0,75	0,63	0,75
20.	შეასრულო დილის ვარჯიში	0,38	0,38	0,47	0,27	0,20
21.	შეგეძლოს ცურვა	0,72	0,70	0,90	0,57	0,75
22.	შეგეძლოს თხილამურებით სრია- ლი, კელოსიპედით სიარული	0,52	0,60	0,77	0,38	0,63

უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ 9 წლის ასაკში ახალი ინფორმაციის მიღების ინტერესი წარმოადგენს 0,05-ს, 10 წლის ასაკში იგი უკვე იზრდება 0,22-მდე. იზრდება და ვითარდება აგრეთვე მათი ინტერესები ხელოვნების, კითხვის, ლიტერატურის, ხალხის ცხოვრების იგავების, უცხოური ენის ცოდნის, პრაქტიკული ცხოვრებისადმი მზადყოფნის და სხვათა მიმართ.

მსგავსი სურათი იხატება აგრეთვე ბავშვთა ინტერესების განვითარებისა შესატყვისი ლიტერატურის, ლიტერატურული გმირების მიმართ, ფანტასტიკური ლიტერატურის, სათავგადასავლო წიგნებისა და ისტორიული რომანების კითხვის მიმართ.

ანალიზი გვიჩვენებს ბავშვთა ინტერესების ზრდას ტექნიკისა და ტურიზმის, კოლექციონირების (მარკების, ძველი მონეტების, მცენარეების, მწერების და სხვ.) მიმართ, აგრეთვე ახალი, უჩვეულო მოვლენების მიმართ, რაც თავის მხრივ იწვევს სხვადასხვა დარგის ცოდნისადმი ინტერესების ზრდას. ამასთანავე, ბავშვთა ინტერესები თანდათან იღებს სერიოზული გატაცების ფორმას — კითხვის, ჭადრაკის, კინოფილმების, ტელესპექტაკლების და სხვ. მიმართ, რომლებიც სასწავლო მოქმედების ჩარჩოებიდან გადის.

ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა ინტერესების დინამიკის განხილვას თავისუფალი დროის სფეროში, სადაც შესაძლებლობაა გამოვლინდეს მოზარდის სხვადასხვა მიდრეკილებები.

ბავშვთა ინტერესების ანალიზი, რომლებიც ვლინდება თავისუფალ დროს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავიყვანოთ დროის გაყვანაზე. ამ ინტერესების ანალიზი საშუალებას იძლევა გავიგოთ მოზარდის მოთხოვნილებები, ღირებულებითი ორიენტაციები, მათი დამოკიდებულება თანატოლების, უფროსების მიმართ და სხვ. ამიტომ, ინტერესების კვლევისას ჩვენ ყურადღება მივაქციეთ არა მხოლოდ ბავშვთა ინტერესების სფეროს გაფართოებას, არამედ თავისუფალი დროის ორგანიზაციას. ტიპიურია მაგალითი, რომ თუ 9 წლის ასაკში სკოლასა და სკოლისგარეშე სხვადასხვა წრეებში დადის ბიჭების 10% და გოგონების 20%. უკვე 10 წლის ასაკში წრეებში ჩართულია ბიჭების 25% და გოგონების 47%. სპორტულ სექციებში ვარჯიშობენ ბიჭების 41% და გოგონების 33%.

მოზარდობის ასაკში თვისებრივად იცვლება მოზარდთა ინტერესი თავისუფალი დროის გამოყენების შესახებ. თუ 9 წლის ასაკში ბავშვებს სურთ თაშაში, უკვე 12 წლის ასაკში ინტერესი კითხვის მიმართ იზრდება 16%-ით, ტელეგადაცემების მიმართ 18%-ით, საოჯახო მეურნეობაში საქმიანობის მიმართ 20%-ით. ამავე დროს კინოსადმი ინტერესი ეცემა 20%-ით. საინტერესოა, რომ ეს პროცესი განსხვავდება სხვადასხვა სქესის ბავშვებში. მუსიკალური ინსტრუმენტებზე დაკვრის ინტერესი მოზარდ გოგონებთან ეცემა 20%-ით ხოლო იზრდება 10%-ით ბიჭებთან. ტელეგადაცემების მიმართ ინტერესი გოგონებთან იზრდება 20%-ით, ბიჭებთან 15%-ით. კითხვისადმი ინტერესი გოგონებთან არის 5%, ბიჭებთან 25%. მუსიკისადმი ინტერესი გოგონებთან გაზრდილია 30%-ით, ხოლო ბიჭებთან 10%-ით.

სკოლაში პიონერული ორგანიზაციისადმი ინტერესი გოგონებთან იკლებს 25%-ით, როცა ამავე ასაკის ბიჭებთან იზრდება 15%-ით. ასეთივე დინამიკა შეიმჩნევა მეგობრებთან ურთიერთობის ინტერესში.

განსაკუთრებით ნათლად არის გამოკვეთილი მოზარდობის ასაკში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისადმი ინტერესის ზრდა, საზოგადოების სულიერი ცხოვრების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართ ინტერესის გაძლიერება. ამ საკითხის შესახებ გამოკვლევები აქვს ს. ნოვიკოვას [17], რომელიც ჩაატარა ე. წ. უძრაობის ხანაში. ამ ვითარებამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს კვლევის შედეგებზე. ყველასათვის ცნობილია უძრაობის პერიოდის თავისებურებანი — სიმართლის მიჩქმალვა, დემოკრატიისა და საჯაროობის დეფიციტი, ადამიანთა იძულებითი პოლიტიკური პასიურობა, განსხვავებული აზრის დევნა და მრავალი სხვა ნეგატიური მოვლენა, რომლებიც ამუხრუჭებდნენ მთლიანად საზოგადოების განვითარებას და, კერძოდ, მოზარდის პიროვნების ფორმირებას. 1

დემოკრატიისა და საჯაროობის პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ჰეგემარიტად რევოლუციური გარდაქმნები მიმდინარეობს. საზოგადოების ყველა სფეროს ძველი გარდაქმნა და მათ შორის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს, სკოლას, მოსწავლეებს, პედაგოგეტივებს. იმსხვრევა ძველი, დრომოჭმული სტერეოტიპები. საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა (ყოველ დროში და ყოველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში) გარდაქმნის ავანგარდად.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური პროცესები თავისთავად დიდ ზეგავლენას ახდენს მოზარდი თაობის მსოფლმხედველობაზე, მათ მოთხოვნილებებზე, ემოციურ სფეროზე. იცვლება მათი ღირებულებითი ორიენტაციები, დამოკიდებულება შრომისადმი, სწავლისადმი. აქედან გამომდინარე, მოზარდთა ინტერესების შესწავლა გვესახება ერთობ აქტუალურ პრობლემად, რადგან მას თეორიული მნიშვნელობის გარდა დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს.

#### ლიტერატურა

1. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, თბ., 1977.
2. გომელაური მ. სოციალური მოლოდინების მოტივაციური მნიშვნელობის საკითხის შესახებ. საკან. დისერ. ავტორეფრატი, თბ., 1967.
3. პეტენავა გ. ბავშვთა ინტერესების ზოგიერთი საკითხისათვის, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1989, № 9.
4. ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1985 № 3; 1986 № 5; 1987 № 11; 1988 № 9.
5. ფელდშტეინი დ. პიროვნების განვითარების ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი ონტოგენეზში. ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1987, № 4.
6. ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974.
7. Ананиев Б. Г. О проблемах современного человековедения. М., 1974.
8. Андреева Г. М. Социальная психология. М., 1980.
9. Божович Л. И. Личность и ее формирование в детском возрасте. М., 1968.
10. Иванов К. Г. Воспитание и развитие познавательных интересов старшеклассников. Л., 1959.
11. Кон И. С. Психология юношеского возраста. М., 1979.
12. Леонтьев А. Н. Проблемы развития психики. М., 1972.
13. Личко А. Е. Психиатрия подростка. Л., 1985.
14. Маленов А. Л. Роль нравственных убеждений в формировании у советских подростков дисциплинированного поведения. М., 1953.
15. Меграбян А. А. Синдромы отчуждения и бреда. Ростов, 1938.
16. Морозова Н. Г. Формирование познавательных интересов у дефективных детей. М., 1969.
17. Новикова С. Т. Характеристика оценочных ориентаций у учащихся. М., 1983.
18. Собиева Г. А. Формирование самооценки и самопознания у советских учащихся. Автореферат кандидатской диссертации. М., 1953.
19. Фельдштейн Д. И. Психологические аспекты общественно-полезной деятельности подростков. М., 1982.
20. Харчев А. Г. Семья и общество. М., 1982.
21. Эльконин Д. Б. К проблеме периодизации психического развития в детском возрасте. «Вопросы психологии», 1971, № 4.
22. Эльконин Д. Б., Давыдов В. В. Возрастные возможности усвоения знаний. М., 1966.

23. Я ко б со н П. М. Изучение возрастных особенностей учащихся в сфере нравственных чувств и оценки. «Советская педагогика», 1960, № 5.
24. Я ко б со н П. М. Изучение чувств детей и подростков. М., 1961.
25. Du ma z e d i e r J., Imbert M. Rapace et icieire. Paris, 1967.
26. F o u r a s t i e J. Des Loiairs pour quoi feire? Toumal, 1977.

Г. Р. ПЕРТЕНАВА

## ДИНАМИКА ИНТЕРЕСОВ В ПОДРОСТКОВОМ ВОЗРАСТЕ

Резюме

В работе рассматривается одна из основных проблем возрастной и педагогической психологии — динамика интересов детей, в частности, динамика интересов подросткового возраста.

Большое влияние на динамику интересов подростка оказывает своеобразие переходного возраста, психические новообразования, психическое здоровье подростка, ведущее воздействие процесса социализации и т. д.

Представленные в работе результаты экспериментальных исследований наглядно демонстрирует своеобразие динамики интересов в подростковом возрасте.

წარმოადგინა საქართველოს დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

## ახალი თარგმანები

მიზეზ და მიზეზი\*

მ ს ე მ ბ ი

თავი VIII

უ ს ა ქ მ უ რ ო ბ ა

თუ ნაყოფიერი ნიადაგი გამოუყენებელია იგი მრავალნაირი სარეველა ბალახით იფარება; ასეთმა ნიადაგმა სარგებელი რომ მოგვიტანოს, უნდა დავაძუშაოთ და დავთესოთ ჩვენთვის საჭირო თესვები; ქალებიც, რომლებიც თავისთავად მხოლოდ სხეულის უფორმო ნაწილებს წარმოშობენ კარგი და ჯანსაღი შთამომავლობა რომ მოგვცენ, ჩვენი თესლითა და გონით უნდა დავტვირთოთ. თუ გონებას ვარკვეული საქმიანობით არ დაასაქმებთ, რომელიც მას სადავის მაგივრობას გაუწევს, მაშინ იგი წარმოსახვათა უკიდურეს ველში აქეთ-იქით ყიალს დაიწყებს.

*Sicut aquae tremulum labris ubi lumen ahenis sole repercussum, aut radiantis imagine lunae Omnia pervolitat lucte laca, iamque sub auras Erigitur, summique ferit laquearia tecti.\**

არ არსებობს ისეთი უგუნურება ან უაზრობა რომელსაც არ წარმოშობდეს ჩვენი გონება ასეთი გზების დროს.

*velut aegri somnia, vanae  
Finguntur species\*\**

სული, რომელსაც წინასწარ დასახული მიზანი არ აქვს, განწირულია. ხათქვამია ვინც ყველგანაა, იგი არსად არაა.

*Quisquis ubique habitat, Maxime nusquam habitat.\*\*\**

ამ ბოლო დროს სახლში ჩავიკეტე და შეძლებისდაგვარად განვთავისუფლდი საქმეებისაგან; გადავწყვიტე სიმშვიდესა და განმარტობაში გამეტარებინა ჩემი დარჩენილი სიცოცხლე; მეჩვენებოდა, რომ ჩემი გონებისათვის უდიდესი წყალობა იყო, უქმად მყოფი, მას საკუთარ თავთან საუბრისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების საშუალებას რომ ვაძლევდი. იმედი მქონდა რომ ახლა ჩემ

\* დასაწყისი იხ. „მაცნე“, 1991, № 1.

\* როგორც სპილენძის ჭურჭელში მოლიცილიცე წყლის ზედაპირზე არეკლილი მზის ან ხათელი მთვარის ათინათი, ყველგან რომ დაფრინავს, ზევით მიიწევს და მაღალი ჭერის ჩუქურთმას აღწევს. ვერგილიუსი, ენეიდა VIII, 22.

\*\*... თითქოს ავადმყოფის სიზმარიყო, ისეთი უცნაური სახეები წარმოიშობიან. პორაციუსი, პოეტური ხელოვნება 7—8.

\*\*\* მაქსიმ, ვინც ყველგან ცხოვრობს, იგი არსად არ ცხოვრობს. მარციალისი VII.

გოხებას გაუადვილებოდა ამის მიღწევა, წლების მანძილზე იგი უფრო ძლიერი და მოწიფული გახდა. მაგრამ მივხვდი რომ

*variam semper dant otia mentem\**.

პირიქით იყო: ახლა ჩემი გონება თავის ნებაზე გამვებული ცხენივით უფრო ძეტ ჯაფას იყენებდა, ვიდრე მაშინ სხვებს რომ მსახურებდა; მართლაც იგი იძღვენ ერთი მეორეზე უწესრიგოდ დაგროვილ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ქიშერულსა და ფანტასტიკურ საზარლობას ბადებდა, რომ სურვილი აღმძვრა თავისუფალ დროს მათი უგუნურება და უცნაურობა განმეხილა; დავიწყე მათი ქალღღზე გადატანა იმ იმედით, რომ დროთა განმავლობაში თავად შემრცხვებოდა საკუთარი თავისა.

## თავი IX

### მ ა ტ უ შ ა რ ე ბ ი

არ არსებობს ადამიანი, ვისაც ჩემზე ნაკლებად აღელვებდეს მეხსიერების საკითხი. მე მის უმცირეს კვალსაც კი ვერ ვპოულობ საკუთარ თავში; არა მგონია ქვეყნად სადმე არსებობდეს სხვა, ასე საოცრად ნაკლოვანი მეხსიერება. ჩემი ყველა სხვა უნარი ჩვეულებრივი და უმნიშვნელოა. ჩემის აზრით, ასეთი ნაკლოვანი მეხსიერების წყალობით განსაკუთრებული და იშვიათი პატივისა და დიდების ღირსი ვარ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ყველასათვის გასაგებ შეუსაბამობას რომელსაც ამის გამო განვიცდი. თუ მეხსიერების აუცილებლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, პლატონმა მას მართლაც სამართლიანად უწოდა დიდი და ძლიერი ქალღმერთი. ჩემს მხარეში მეხსიერება და გონიერება ერთმანეთთანაა გაიგივებული; როდესაც ვინმეზე უნდათ თქვან რომ იგი აბსოლუტური უგუნურია, ამბობენ — მას მეხსიერება არა აქვსო; თუ ჩემი მეხსიერების ნაკლზე დავიწყებ ჩვილს მსაყვედურობენ, და უნდათ აზრი შეძაცვლენონ, თითქოს უგუნურებას ვუჩიოდე, ისინი ვერ ხედავენ სხვაობას მეხსიერებასა და აზროვნების უნარს შორის; უმართებულოდ მექცევიან, რითაც კიდევ უფრო ამძიმებენ ჩემ მდგომარეობას. ცდით დადგენილია, რომ ბრწყინვალე მეხსიერება სიამოვნებით ესადაგება გონნაკლი აზროვნების უხარს; არც იმაში არიან მართალნი, რომ ჩემს ავადმყოფობას უმადურობასთან აიგივებენ; ყველაზე მეტად ერთგული მეგობრობა შემიძლია მიუხედავად ამისა, ჩემს ერთგულებას ჩემივე მეხსიერებით სჯიან, ბუნებრივი ნაკლი ზნეობრივ ნაკლზე გადააქვთ და ხშირად ამბობენ ჩემზე: „მას დაავიწყდა ჩემი თხოვნის შესრულება; მან არ შეასრულა თავისი პირობა; მას სრულებით არ ახსოვს მეგობრები; ჩემი სიყვარულითაც კი არ გაახსენდა ამა და ამის თქმა ან არ თქმა ან გაკეთება და ა. შ.“. მართლაც, საოცრად გულმავიწყი ვარ. მაგრამ არასოდეს შევნებულად არ უგულებელვყოფ მეგობრის დავალებას, ასეთი რამ არ მახასიათებს. მინდა დარწმუნდნენ რომ ეს ჩემი ნაკლია და არ მიიჩნიონ იგი ბოროტებად, რომლის მიმართაც ჩემი სული მტრულადაა განწყობილი.

თქმულის მიუხედავად შემიძლია თავი ვინუგეშო. ჯერ ერთი არსებითად ამ ნაკლით შევძელი უარესი ნაკლის დაძლევა. ეს უკანასკნელი, — სახელდობრ პატივმოყვარეობა, — ადვილად შეიძლებოდა წარმოშობილიყო ჩემში. იგი მძი-

\* უსაქმურობა მერყეობას ბადებს სულში. ლუკანუსი IV, 704.



მე ნაკლია მისთვის, ვინც ამქვეყნიური ცხოვრების საზრუნავებს ჩამოშორდება; გარდა ამისა რამდენადაც ბუნებამ სიამოვნებით განამტკიცა ჩემში სხვა უხარ-თვისებები, იმდენად შეასუსტა ზემოხსენებული ნაკლი. მე შემეძლო ჩემი ფონიერება და გამჭრიახობა მიმეძინებინა ან დამეუძღურებინა, სხვებივით გაკვალული გზით მევლო, მისი ძალები არ მევარჯიშებინა და მესარგებლა კარგი მეხსიერებით, რომელიც მხოლოდ სხვის აზრებსა და გამოგონებებს შემომთავაზებდა. საუბარში სიტყვაძუნწი ვარ, ვინაიდან მეხსიერების ბედელი უფრო ტევადია, ვიდრე გამომგონებლისა. კარგი მეხსიერება რომ მქონდეს მეგობრებს ყბედობით ვგაყარებდი. ჩემს მიერ გახსენებული საგნები აღმძირავდნენ მათ ავკარგიანობაზე მსჯელობის უნარს, ამით კიდევ უფრო წავახალისებდი და მეტ გზნებას მივცემდი ჩემ სიტყვას. ეს მართლაც საცოდაობაა, იგი საკუთარ თავზე გამოვცადე ზოგიერთ ჩემს მეგობართან ურთიერთობისას. როცა ჩემი მეხსიერება მათ თვალწინ სრულად და ნათლად აცოცხლებდა საგანს, ისინი ისე ანელებდნენ თავიანთ თხრობას, ისე ტვირთავდნენ მას ამაო წვრილმანებით, რომ თავისთავად კარგი მონათხრობი მშვენიერებას კარგავდა, ზოლო ცუდის შემთხვევაში ან მათი ბედი უნდა გეწყველათ კარგი მეხსიერებისათვის ან პირიქით მათი უბედურება ცუდი აზროვნებისათვის. ცხადია, ექსტაზში მყოფისათვის ძნელია ყბედობის დამთავრება ან შეწყვეტა. ცხენის ძალის შესამოწმებლად საუკეთესო საშუალებაა ნახოთ როგორია მისი უცებ და ნარნარად გაჩერების უნარი. საქმიან ადამიანთა შორისაც ვიცნობ ისეთებს, რომელთაც ჰსურთ, მაგრამ არ ძალუძთ თავიანთი ქმედების შეჩერება; დალილობისაგან ქანცაწყვეტილივით ფეხს ითრევენ ვიდრე იმ წერტილს იპოვიდნენ სადაც ნაბიჯი უნდა შეაჩერონ, ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით საშიშია მოხუცები; მათ ახსოვთ წარსული ამბები, მაგრამ ავიწყლებათ რომ უკვე მრავალჯერ აქვთ გამეორებული თავიანთი მონათხრობი. ბევრჯერ ვყოფილვარ მოწმე თუ რა მოსაწყენი და უინტერესო გამხდარა მოხუცის მიერ მითხრობილი რომელიმე ძალზედ საინტერესო ამბავი, როცა თითოეულ მსმენელს ეს უკანასკნელი ასჯერ მაინც ჰქონდა მოსმენილი.

მეორეს მხრივ, თავს იმიტაც ვინუგეშებ, რომ ჩემ ცუდ მეხსიერებას, ერთი ძველი მწერლის მსგავსად, ნაკლებად ახსოვს მისთვის მიყენებული შეურაცხყოფები; დარიოსისათვის რომ მიმებაძა მამინ მე მათი ნუსხა უნდა შემედგინა. დარიოსმა, ათენელების მიერ მიყენებული შეურაცხყოფა რომ არ დავიწყებოდა, ერთ-ერთ მსახურს უბრძანა ყოველთვის, როცა მაგიდას მიუჯდებოდა ყურში სამჯერ ეთქვა მისთვის — „მეფეო გახსოვთ ათენელები“ — გარდა ამისა, ნაცნობი ადგილებისა და წაკითხული წიგნებისადმი მიბრუნება მუდამ სიხარულს მეგრიან თავისი სიხალით.

ტყუილად როდი ამბობენ, რომ ვისაც მეხსიერების იმედი არ აქვს, მისთვის ძნელია ცრუობა. ვიცი გრამატიკოსები ერთმანეთისაგან მიჯნავენ სიცრუის თქმას და ცრუობას. მათი აზრით სიცრუის თქმა ნიშნავს რაიმე ზიკალებს რომელსაც მოსაუბრე აღიქვამს როგორც ჭეშმარიტებას. სიტყვა „ცრუობა“ კი ლათინურად საკუთარი სინდისის წინააღმდეგ სვლას ნიშნავს. ლათინურიდან შიილო დასაბამი ფრანგულმა სიტყვამაც. მამასადაამე, იგი ეხება მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ერთს ამბობენ და მეორეს ფიქრობენ, ვისი სიტყვებიც ან თავიდან ბოლომდე გამონაგონია ან ნაწილობრივ ფარავს და ამახინჯებს სიმართლეს. მაგრამ თუ მათ ხშირად ჩამოუვადებთ სიტყვას ერთსა და იმავე თემაზე, ადრე თუ გვიან თავად ამხელენ საკუთარ თავს სიცრუეში, რად-

გახ შეუძლებელია — მიუხედავად ჭეშმარიტების დაფარვისა და დამახინჯებისა — მათ წარმოსახვაში არ წარმოიშვას ყოველთვის ის რეალური წარმოდგენა საგანზე, რომელიც პირველად აისახა მათ მეხსიერებაში, მტკიცედ ჩაიბეჭდა და განმტკიცდა შემეცნებისა და ცოდნის გზით. ეს პირველი წარმოდგენა თანდათან დევნის მეხსიერებიდან გამოგონილს, რომელიც არამყარია. ჩვენს გონებაში ყოველთვის ამოტივტივდება ის ვითარება, როცა პირველად გვეცანით საგანზე და დაჩრდილავს ვარედან შემოტანილ ყალბ და გამოგონილ ხსოვნას საგანზე, როდესაც ადამიანის ნათქვამი აბსოლუტური გამონაგონია; თუ სიტუაცია არ ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელით გამოწვეულ შთაბეჭდილებას, ხაკლებად ეშინიათ მარცხისა და მაინც რადგან მათი გამონაგონი რაღაც ლანდი და უხილავი რამაა, ამდენად იოლად უხსლტება გონებას თუ საკმაოდ მყარი არაა. ხშირად ვყოფილვარ ასეთი მარცხის მოწმე; უცნაურია მაგრამ ასეთი რამ უფრო იმათ ემართებათ, ვინც საქმესა და გავლენიან პირებთან ურთიერთობაში წარმატების მიზნით, შეიძლება ითქვას, პროფესიად გაიხადეს ასეთი საუბრები. იმ ვითარებათა ცვალებადობის გამო რომელთაც ისინი თავიანთ სულსა და სინდისს უქვემდებარებენ, მათ დაუსრულებლად უხდებთ თავიანთი სიტყვის ცვლაც. ამიტომაც რომ ერთი და იმავე საგანს ხან რუხს უწოდებენ, ხან ყვითელს. ერთ მოსაუბრესთან ერთს ამტკიცებენ, მეორესთან კი სრულიად სხვას; თუ შემთხვევით ისინი ერთმანეთს დაუპირისპირებენ საწინააღმდეგო მსჯელობებს, საკიხავია რა დაემართება ასეთ მოქალაქეთა ამ მშვენიერ ხელოვნებას? ხშირად დაუდევრობით თავად ამხელენ ხოლმე საკუთარ თავს სიცრუეში. რომელი მეხსიერება შეძლებს ერთსა და იმავე საგანზე ამდენი სხვადასხვა სახის გამონაგონის დამახსოვრებას? ბევრ ჩემ თანამედროვეს აღძვრია შური იმ ადამიანთა დიდებისადმი, რომლებიც ფლობენ წინდახედულების ამ ჩინებულ ხელოვნებას; სამწუხაროდ ისინი ვერ ამჩნევენ ასეთი დიდების არამდგრადობას.

სიცრუე მართლაც სამარცხვინო ზადია; ჩვენ მხოლოდ სიტყვის წყალობით ვართ ადამიანები, მხოლოდ სიტყვა გვაძლევს ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებას. ამ ზადის მთელი სისაძაგლე და სიმძიმე შეგნებული რომ გვეკონდეს, სიცრუისათვის უფრო მეტი საფუძვლით დაეჯიღით კოცონზე დაწვით ვიდრე სხვა რომელიმე დანაშაულისათვის; საერთოდ, უფრო ხშირად ბავშვებს უბრალო შეცდომებისათვის ტუქსავენ, რაც მათ უმალ უცოდინარობით მოსდით. ასეთი დანაშაულის შედეგი მძიმე არაა, იგი ბავშვის სულში კვალს არ ტოვებს, სიცრუისა და სიჯიუტისათვის კი ნაკლებად სჯიან. მე ვთვლი რომ ბავშვის ამ ნაკლის საწყისსაც და განვითარებასაც უმოწყალოდ უნდა ვებრძოლოთ, რადგან ეს თვისებები ადამიანებთან ერთად იზრდებიან, და რაკი ერთხელ მოუბრუნდებათ ენა ტყუილის სათქმელად, საოცრად ძნელია მათთვის ამის გადაჩვევა. ამის გამოა რომ ხშირად ვხვდებით ამ ზადით შეპყრობილსა და მისდამი დამონებულ საკმაოდ პატიოსან ადამიანებს. ერთი ძველადი მყავს, კარგი ბიჭია, მაგრამ არასოდეს სიმართლეს არ ამბობს, მაშინაც კი როცა სიმართლეს მხოლოდ სარგებლის მოტანა შეუძლია მისთვის. ჭეშმარიტების მსგავსად, სიცრუესაც ერთი სახე რომ ჰქონდეს, ჩვენი მდგომარეობა გაცილებით იოლი იქნებოდა. მაშინ მატყუარას ნათქვამის საპირისპიროს მივიჩნევდით სარწმუნოდ. მაგრამ ჭეშმარიტების საპირისპიროს ათასი სახე და მოქმედების განუსაზღვრელი არე აქვს. პითაგორელები თვლიან, რომ სიკეთე განსაზღვრული და შეზღუდულია, ხოლო ბოროტება განუსაზღვრელი

და შეუზღუდველია. სიმართლის გზას ათასი გზა გვიბნევს, მხოლოდ ერთს მივყევართ მისკენ. არა მგონია რომ თუნდაც გარდუეალი დიდი საფრთხის თავიდახ ასაცილებლად თავი ვაიძულო უტიფრად და აშკარად იცრუოს. ერთ ჩვენსასულიერო პირს უთქვამს რომ ჩვენ ნაცნობი ძალის საზოგადოებაში უფრო კარგად ვგრძნობთ თავს, ვიდრე იმ ადამიანისა, რომლის ენაც ჩვენთვის უცნობია.

*Ut externus alieno non sit hominis vice\**. ადამიანთა შორის საურთიერთოდ ყალბი მეტყველება დუმილზე უარესია!

მეფე ფრანსუა პირველი თავს იქებდა, რომ ამგვარი ხერხით საკმაოდ ძარჯვედ მოატყუა მილანელი ჰერცოგის ფრანჩესკო სფორცის ელჩი ფრანჩესკო ტავერნა, ცნობილი თავისი მეტყველების ხელოვნებით. ეს უკანასკნელი ჩვენი მეფის კარზე ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმის გამო გაგზავნეს. კერძოდ — თავისი ბატონის მავივრად მისი უდიდებულესობის წინაშე ბოდიშის მოსახდელად. საქმე იმაში იყო, რომ ცოტა ხნით ადრე მეფე არა მარტო იტალიიდან, არამედ მილანის საჰერცოგოდანაც კი გააძევეს. მეფეს მილანის ჰერცოგის კარზე ერთი აზნაური ჰყავდა, რომელიც სინამდვილეში მისი ელჩი იყო; ეს უკანასკნელი ვითომ პირადი საქმის გამო, როგორც კერძო პირი ისე ცხოვრობდა იქ. სინამდვილეში კი მეფეს სურდა ცოდნოდა თუ რა ზღებოდა ჰერცოგის კარზე. ჰერცოგი დამოკიდებული იყო უფრო იმპერატორზე, ვიდრე ჩვენზე, განსაკუთრებით იმ პერიოდში, ვინაიდან ცოლად ირთავდა მის ძმისწულს, დანიის მეფის ასულს, ამჟამად ლოტარინგიის საჰერცოგოს ქვრივს; შეუძლებელი იყო რომ ჩვენთან აშკარა ურთიერთობასა და შოლაპარაკებას დიდი ზიანი არ მიეყენებინა მისთვის. ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის უზრუნველსაყოფად ძალზედ შესაფერი აღმოჩნდა მეფის ძეჯინიბე, მილანელი აზნაური<sup>1</sup>, სახელად მერვეი. ეს უკანასკნელი აღჭურვილი იყო საიდუმლო რწმუნების სიგელებითა და ელჩის ინსტრუქციებით. ხოლო სხვათა მოსაჩვენებლად და საიდუმლოს დასაცავად სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა ჰერცოგისადმი, რომელიც ამ აზნაურის პირად საქმეებს ეხებოდა. მილანის კარზე ამ აზნაურის ასე ხანგრძლივმა დაყოვნებამ იმპერატორის უკმაყოფილება გამოიწვია. ჩემი აზრით, ეს იყო ნამდვილი მიზეზი იმისა, რაც შემდეგ მოხდა. ჰერცოგმა ბრძანა ერთი მკვლელობის გამოძიება ორ დღეში დაეძთავრებინათ. ერთ მშვენიერ ღამეს კი მისივე ბრძანებით მერვეის თავი მოკვეთეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით მეფემ უსტარით მიმართა ყველა ქრისტიან ძეფეს და თვით ჰერცოგსაც. ბატონმა ფრანჩესკომ, ჰერცოგის ელჩმა შეთხზა ამ ისტორიის ვრცელი და ყალბი მოთხრობა და დილის მიღებაზე წარსდგა მეფის წინაშე. თავისი ბატონის გასამართლებლად ელჩი ამტკიცებდა რომ ჰერცოგი მერვეის ყოველთვის კერძო პირად, მილანელ აზნაურად და თავის ქვეშევრდომად თვლიდა, რომელიც მხოლოდ თავისი პირადი საქმეების გამო იმყოფებოდა მილანში. იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა რომ ჰერცოგისათვის ცნობილი არ იყო, რომ მერვეი მეფე ფრანსუა პირველის კარის მსახური იყო. იგი პირადად იცნობდა მას და ჰერცოგს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა მერვეი ფრანსუა პირველის ელჩად მიეჩნია. თავის მხრივ მეფემ ყოველმხრივ შეუტია ელჩს სხვადასხვა კითხვებითა და მოსაზრებებით, ბოლოს ჩიხში მოაქცია, მან სთხოვა ელჩს აეხსნა მისთვის, თუ რატომ დასაჯეს მაშინ ეს კაცი ღამით

\* ერთი ტომისათვის სხვა, უცხო ტომის კაცი, ადამიანი არაა. პლინიუსი. ისტორია VII, 1. 6. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1991, № 2

და ფარულად. ამ ბოლო კითხვაზე საბრალო ელჩმა შეწუხებულმა უპასუხა, რომ ჰერცოგი დიდ პატივს სცემდა მის უდიდესებულობას და დიდად დამწუხრებული იქნებოდა თუ ასეთი დასჯა დღისით მოხდებოდა. ადვილი წარმოსადგენია როგორ გაუჭირდებოდა ელჩს სიტყვის გაგრძელება ასეთი უხეში 'შეცდომისა და მკვეთრად შეწყვეტილი საუბრის შემდეგ, თანაც ისეთი ალლოიანი კაცის წინაშე როგორც მეფე ფრანსუა I იყო<sup>2</sup>.

პაპმა იულიუს II-მ<sup>3</sup> ელჩი გაუგზავნა ინგლისის მეფეს, რათა იგი ფრანსუა I-ის წინააღმდეგ განეწყო. მეფემ მოუსმინა ელჩს, შემდეგ კი ვრცლად ესაუბრა იმ სირთულეებზე, რომლებთანაც დაკავშირებული იყო, მისი აზრით, მზადება ომისათვის ისეთ ძლიერ სახელმწიფოსთან, როგორც საფრანგეთი იყო და თავისი სიტყვების დასადასტურებლად რამდენიმე მოსაზრება გამოთქვა. ელჩმა სრულიად უმართებულოდ შენიშნა, რომ ისიც იგივეს ფიქრობდა ამ საკითხზე და რომ მან თავის ეჭვები პაპსაც კი გაუმხილა. ასეთი რამ სრულიად არ ესადაგებოდა მისი ელჩობის მიზანს, პირიქით, მას ყველა ღონე უნდა ეხმარა რომ ინგლისის მეფე დაეთანხმებინა დაუყოვნებლივ დაეწყო ომი საფრანგეთის წინააღმდეგ. მან კი ამ უკანასკნელს ეჭვი აღუძრა; შემდეგში საქმიანად დადასტურდა, რომ ელჩი შინაგანად საფრანგეთის მხარეზე იყო. როდესაც მან პაპს შეხვედრის შედეგი აცნობა, ელჩის ქონება კონფისცირებული იქნა, თავად კი კინაღამ სიცოცხლესაც გამოასალმეს.

#### თავი X

#### სწრაფი და ნელი მიტყველება

ყველა ყველაფრის ნიჭით დაჯილდოებული როდია\*.

ჩვენ დაგრწმუნდებით რომ ეს ნათქვამი მჭერმეტყველებსაც ეხება. ზოგს სწრაფი და მარტივი მიტყველება ახასიათებს, — რომ იტყვიან მათ არ უჭირთ პასუხის გაცემა, სიტყვა მუდამ მზად აქვთ; ზოგს კი მძიმე, ისინი წინასწარ ძოღმზადებლად და მოუფიქრებლად სიტყვასაც არ იტყვიან.

როგორც ქალებს ურჩევენ ხოლმე იმ თამაშობებსა და ვარჯიშობებში მოხაწილებას რომლებიც მეტად წარმოაჩენენ მათ მშვენიერებას, მეც კითხვაზე — მჭერმეტყველების ორი სახიდან, რომელთაც ჩვენს დროში მოძღვრები და ვეჭილები მიმართავენ — რომელი შეჭფერის პირველსა და რომელი მეორეს, დინჯად მოლაპარაკეს მოძღვრობას ვურჩევდი, სწრაფად მოლაპარაკეს კი ვეჭილობას. პირველს მისი მოვალეობები მეტ თავისუფალ დროს აძლევენ მოსამზადებლად, იმის გარდა, რომ ეს მოღვაწეობა მუდამ ერთი მიმართულებით, დინჯად და თანაბრად მიემართება. მაშინ როდესაც ვარემოებებმა, რომლებშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ვეჭილი, შესაძლოა ნებისმიერ წუთს გაძოიწვიონ იგი მოწინააღმდეგესთან ორთაბრძოლაში. მოწინააღმდეგის მოულოდნელი თავდასხმა მას აიძულებს მაშინვე მოძებნოს თავდაცვის ახალი საშუალებები. თქმულის მიუხედავად, ქ. მარსელში პაპ კლიმენტისა და მეფე ფრანსუას შეხვედრის დროს მოხდა პირიქით. ბ-ნ ჰუაიეს<sup>1</sup> დაევალა მისასაღმებელი სიტყვით მიემართა პაპისათვის. ეს კაცი მთელი ცხოვრება სასამართლოებზე გამოდიოდა, შეიძლება ითქვას იქ გაიზარდა და დიდი პატივითაც იყო

\* აწკარედი მონტენის მეგობრის, ახალგაზრდა პოეტის ეტიენ დე ლა ბოესის ოცდაცხრა სონეტიდან.

ძილებული ამ სფეროში. პუაიეს საკმაო დრო ჰქონდა რომ კარგად მოეფიქრებინა სიტყვა და რომ იტყვიან მზად ჩამოეტანა პარიზიდან. მაგრამ სწორედ იმ დღეს, როდესაც მას ეს სიტყვა უნდა წარმოეთქვა, პაპმა, იმის შიშით რომ მისასალმებელ სიტყვაში არაფერი ეთქვათ მისთვის ისეთი, რასაც შეეძლო შეურაცხეყო მისი თანმხლები სხვა ხელმწიფეთა ელჩები, მეფე დაარწმუნა რომ ადგილი და ვითარება არ შეესაბამებოდა სიტყვის შინაარსს. ბ-ნ პუაიეს სთხოვეს მოემზადებინა ახალი სიტყვა. პუაიესათვის ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მან უარი განაცხადა. სიტყვის მომზადება კარდინალმა დიუბელემ<sup>2</sup> იტირთა. ვეჭილის საქმე მოძღვრის საქმეზე რთულია, და მაინც, ჩემი აზრით, უფრო მეტ კარგ ვეჭილს ვხვდებით, ვიდრე მოძღვარს. ყოველ შემთხვევაში საფრანგეთში ასეა. როგორც ჩანს ჩვენს გონებაში ახვილობას უფრო სისწრაფე და მოულოდნელობა ახასიათებს, ხოლო განსჯას სიძინჯე და სიმშვიდე. ის ვინც იმის გამო დუმს, რომ დრო არ ჰქონდა სიტყვის მოსამზადებლად და ვინც მუდამ კარგად ლაპარაკობს — მიუხედავად იმისა ჰქონდა თუ არა მას დრო სიტყვის მოსამზადებლად, უკიდურესობებს წარმოადგენენ.

ამბობენ, რომ სევერიუს კასიუსი გაცილებით უკეთესად ლაპარაკობდა წინასწარ მოუმზადებლად, რომ საკუთარი წარმატებით იგი უმაღლ ბედის მადლობელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ბეჯითობისა. ასევე ამბობენ, რომ უკეთ ლაპარაკობდა თუ სიტყვის დროს ვაახელებდნენ. ამიტომ მოწინააღმდეგეები ყოველთვის ცდილობდნენ არ გაელიზიანებინათ იგი, რათა რისხვას არ გაეორკეცებინა მისი მჭერმეტყველება. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ასეთი ადამიანის ბუნება ვერ ესადაგება წინასწარ გულმოდგინედ მომზადებას. თუ მათი აზრი ამა თუ იმ შემთხვევაში ლაღად და თავისთავად არ მომდინარეობს, მაშინ მათ არ ძალუძთ რაიმე ღირებულის თქმა. ზოგიერთ თხზულებაზე, მიუხედავად იმისა რომ მასში ზეთისა და ლამპის სუნი და მათ ავტორთა დიდი ჯაფა იგრძნობა, ჩვენ ვამბობთ რომ მისი სტილი დაუხვეწავი და ტლანქია, თუმცა ავტორებს მცდელობა არ დაუკლიათ და თავიანთი საქმით შთანთქმულნი სულის მთელი დაძახებით მუშაობდნენ, მაგრამ მათი გარჯა თხზულებას კი არ ზეეწდა, ხელს უშლიდა და ამახინჯებდა მსგავსად იმისა, როგორც წყლის წნევა და სიღრმე აფხერებს ხოლმე მის გატარებას ღია, მაგრამ მისთვის ძალზედ ვიწრო ხვრელიდან. ასეთი ბუნების ადამიანები ძლიერი ვნების აღსაძრავად, კასიუსის მსგავსად, გარეგან ბიძგს არ საჭიროებენ. ასეთი მღელვარება მათთვის ძალზედ ძლიერი იქნებოდა; მათი ბუნება საჭიროებს შთაგონებას და არა აღგზნებას, რაიმე განსაკუთრებულ, მოულოდნელ და უტყაბედ შთაბეჭდილებას. ასეთი სულის ყაიდის ადამიანი მოშვებული და უმოქმედოა, მას მღელვარება ანიჭებს სიცხოველესა და განწყობას. მე არ ძალმიძს საკუთარი თავის კარგად წარმართვა და განმგებლობა; შემთხვევითობა უფრო დიდ გავლენას ახდენს ჩემზე. ის გარემო და საზოგადოება, რომელშიც ვიმყოფები, ასევე ჩემი ხმის ჟღერადობა, უფრო მეტს იღებენ ჩემი გონებიდან, ვიდრე მე ამას შეეძლებდი თვითგამორკვევით ან მისი გამოყენებით ჩემივე საჭიროებისათვის. ამგვარად, ჩემი სიტყვები უფრო ღირებულია ვიდრე ნაწერები, თუ საერთოდ დასაშვებია არჩევანი საგნებს შორის, რომელთაც არავითარი ღირებულება არ აქვთ. ისეც ხდება ხოლმე რომ თავს იქ ვერ ვბოულობ, სადაც ვეძებ; საერთოდ საკუთარ თავს ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით უფრო ხშირად ვბოულობ ხოლმე, ვიდრე თვითგამორკვევით. დავუშვათ შევძელი რაიმე გონებაში ახვილურის გადმოცემა ქალაქზე (კარგად მესმის რომ ის, რაც ჩემთვის

ძალზედ კარგია, შეიძლება სხვისთვის ცუდი იყოს; თავი დავანებოთ ამ მოჩვენებით მოკრძალებულობას, ყველა საკუთარი შესაძლებლობის მიხედვით ცდილობს), მაგრამ მოულოდნელად აზრი გამიწყდეს და დამავიწყდეს რისი თქმა მინდოდა, ანდა უცხო ადამიანმა საკუთარ თავზე უკეთ გამიგოს; საჭიროების მიხედვით ყოველთვის ჩემს სისუსტესა და ნაკლს რომ დავყვე აღარაფერი დამრჩება. შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს ჩემს მიერ დავიწყებულ აზრებთან შეხვედრამ ნათელი დღის სინათლეზე მეტად გაასხივოსნოს ისინი და ჩემმა ამყაინდელმა გონებადაბნეულობამ გამაოცოს.

### თავი XI

#### წინასწარმეტყველება

წინასწარმეტყველებისადმი რწმენა ჯერ კიდევ იესო ქრისტეს მოსვლამდე დაიკარგა. ცნობილია რომ ციცერონი ცდილობდა დაედგინა ამის მიზეზი. იგი წერს: *Cur isto modo iam oracula Delphis non eduntur non modo nostra aetate sed iamdiu ut modo nihil possit esse contemptius?\**

რაც შეეხება სხვა სახის წინასწარმეტყველებებს, მაგალითად, მსხვერპლად შესაწირი ცხოველების შიგნეულის მიხედვით წინასწარმეტყველება, პლატონის აზრით, ეს უკანასკნელი ზვარაკთა შინაგან ორგანოთა აგებულებას ემყარებოდა; წინასწარმეტყველებდნენ იმის მიხედვით თუ როგორ იქექებოდნენ ქათმები მიწაში, როგორ მიფრინავდნენ სხვადასხვა ჩიტები *aves quasdam rerum augurandarum causa natas esse putamus\*\**. როგორი იყო წყლის ბრუნვა მდინარეში და ა. შ. *multa cernunt aruspices, multa augures provident, multa oraculis declarantur, multa vaticinationibus, multa somniis multa portentis\*\*\**.

მრავალი სხვა ნიშნის რაგვარობას ემყარებოდა ბევრი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წამოწყება ანტიკურ ხანაში; ჩვენმა რელიგიამ უარყო ისინი. მაგრამ მაინც შემოგვრჩა წინასწარმეტყველების ზოგიერთი საშუალება; მაგალითად, ვარსკვლავების, სულების, სხეულის გამოსახულების, სიზმრებისა და სხვა მრავალის სახით, რაც ნათლად მოწმობს ჩვენი სულის დაუოკებელ ცნობისმოყვარეობას, რომელიც ისეა გატაცებული მომავლით თითქოს აწმყოში საზრუნავი აკლდეს. *cur hanc tibi rector Olympi Sollicitis visum mortalibus addere curam, Noscant venturas ut dira per omina clades, Sit subitum quodcunque paras, sit caeca futuri Mens hominum fati, liceat sperare timentii\*\*\*\**.

\* რა მიზეზია რომ ამდენი ხანია აღარ ისმის ამგვარი წინასწარმეტყველებები დღეფოდან, რატომ უგულებელყოფენ მათ ასე? ციცერონი, მარჩიელობა, II, 57.

\*\* ჩვენი აზრით, ზოგიერთი ფრინველი მარჩიელობისთვისაა შექმნილი. ციცერონი, ღმერთების ბუნება, II, 64.

\*\*\* ბევრს წინასწარმეტყველებდნენ გარუსიკები და ავგურები, ბევრს გვამცნობენ ორაკულები, სიზმრები, ზეციური სასწაულები. ციცერონი, ღმერთების ბუნება, II, 65.

\*\*\*\* ოლიმპოს მეუფეო რატომ ინებეთ მოკვდავთა ტანჯვისათვის ამ საზრუნავის დამატება? რატომ ინებეთ რომ მკაცრ წინასწარმეტყველებას ემცნო მათთვის გარდუვალი უბედურებები? დაე, ყოველი შენი ზრახვა მოულოდნელი ყოფილიყო მათთვის; დაე, ადამიანის სულს არ სცოდნოდა მომავალი, რათა შიშით შეპყრობილს იმედი მაინც არ დაეკარგა. ლუკანუსი, II, 4.

Ne utile quidem est scire quid futurum sit. Miserum est enim nihil proficientem angī\*.

ეს მართლაც ასეა, ჩვენი სული უძლურია გარემოებების მიმართ. ჩემის აზრით, ჩინებული ამბავი შეემთხვა სალუსელ მარკიზ ფრანსუას. იგი მეფე ფრანსუას ნაცვლად განაგებდა ჯარის იმ ნაწილებს, რომელიც მთების იქითა მხარეს იმყოფებოდა. მარკიზი, სამეფო კარის რჩეული, დიდად დავალებული იყო მეფის წინაშე თავისი ტიტულითა და მამულით, რომელიც ჩამოერთვა მის ძმას და მას გადაეცა; ამ უკანასკნელს მცირეოდენი საფუძველიც კი არ ჰქონდა თავისი ხელმწიფის ღალატისათვის, მისი სულიც კი ამის წინააღმდეგი იყო. როგორც ეს შემდეგში გაირკვა იგი შეიპყრო ძლიერმა შიშმა იმ გამარჯვების ვაშლი, რომელსაც იმპერატორ კარლოს V უწინასწარმეტყულებდნენ და იმ გარდუვალის მარცხის გამო, რომელიც ჩვენ გველოდა. ყველგან ამაზე ლაპარაკობდნენ. ამ ამბავმა იტალიაშიც შეაღწია და მთელ ქვეყანაში გავრცელდა. რომში სანაძლეოზე დიდ თანხასაც კი დებდნენ რომ სწორედ ასე მოხდებოდა, რომ ჩვენი დამარცხება გარდუვალის იყო. სალუსელი მარკიზი ხშირად ელაპარაკებოდა მწუხარებით თავის ახლობლებს იმ უბედურებაზე, რომელიც მისი აზრით, თავს უნდა დატყდომოდა საფრანგეთის ტახტს და მის ძეგობრებს; ბოლოს მან მოაწყო ამბოხება და მტრის მხარეზე გადავიდა; ვარსკვლავთა განლაგების მიუხედავად ამან დიდი ზიანი მოუტანა მას. იგი ურთიერთსაპირისპირო ვნებებით შეპყრობილი ადამიანის ვით იქცეოდა. მის ხელში იყო ძრავალი ქალაქი და დიდი სამხედრო ძალა, მოწინააღმდეგის ჯარი კი ანტონიო დე ლეივასი<sup>1</sup> მეთაურობით მისგან ორ ნაბიჯზე იმყოფებოდა; მარკიზის მიერ ჩაფიქრებული ღალატის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, მას რომ მოესურვა, უფრო მეტ ზიანს მოგვიტანდა. მისი ღალატი ერთი ადამიანისა და ქალაქის დაკარგვის მიზეზიც არ გამხდარა. გარდა ფოსანისა<sup>2</sup>, ისიც ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად დავკარგეთ.

Prudens futuri temporis exitum  
Caliginosa nocte premit deus.  
Ridetque si mortalis ultra  
Fas trepidat.

Ille potens sui  
Laetusque deget, cui licet in diem  
Dixisse: Vixi Cras vel atra Nube polum pater occupato Vel sole puro\*\*.  
Laetus in praesens animus, quod ultra est, Oderit curare\*\*\*.

\* რას გარგებს იმის ცოდნა, თუ რა გელის; ტანჯვა საბრალე ხვედრია როცა არაფრის შეცვლა არ შეგიძლია. ციცერონი, ღმერთების ბუნება, III, 6.

\*\* ბრძენი ღმერთი მუქი საფარით ფარავს მომავალს, მას ეცინება მოკვდავზე, რომელიც იმაზე მეტად ძრწის ვიდრე ეს საჭიროა. ბედნიერია ის, ვინც საკუთარ თავს განაგებს, ვისაც ყოველი დღის ბოლოს შეუძლია თქვას: „მე დღეს ვიცოცხლე, ხვალ კი იუპიტერმა გინდ შავი ღრუბელით დაფაროს ცის კამარა, გინდ კაშკაშა მზით“. ჰორაციუსი, ოდეები, III, 29.

\*\*\* აწმყოთი კმაყოფილი სული მომავალზე ფიქრს არ დაიწყებს. ჰორაციუსი, ოდეები, III, 16, 25.

ცდება ის ვინც ფიქრობს რომ *Ista sac reciprocantur, ut et si divinatio sit, dii sint et, si dii sint; sit divinatio\**.

ბევრად უფრო გონიერულია პაკუეიუსის სიტყვები:

*Nam istis qui linguam avium intelligunt,  
Plusque ex alieno iecore sapiunt quam ex suo,  
Magis audiendum quam auscultandum censeo\*\*.*

აი როგორ წარმოიშვა ტოსკანელთა მომავლის წინასწარმეტყველების საკმარისი ცნობილი ხელოვნება. ერთმა მიწის მუშამ გუთნით ღრმად ამოთხარა ძაწა და დაინახა, რომ იქიდან ამოვიდა ტაგეტი<sup>3</sup>, ნახევრად ღმერთი, ბავშვური სახითა და მოხუცის წინდახედულობით. მოგროვდა ხალხი, მათ შეკრიბეს ტაგეტის სიტყვები და წინასწარმეტყველური დარიგებები და მრავალი საუკუნის მანძილზე სათუთად ინახავდნენ ამ ხელოვნების პრინციპებსა და ხერხებს. წინასწარმეტყველების წარმოშობამ მისი პროგრესიც უზრუნველყო. ჩემ საქმეებში ამ ზმანებების ნაცვლად უმალ გაგორებული კამათლის შედეგებით ხელმძღვანელობას ვამჯობინებდი. მართლაც, ყველა რესპუბლიკური წყობის სახელმწიფოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კენჭის ყრას; პლატონი თავისი წარმოსახვით შექმნილ სახელმწიფოში მრავალი მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტას კენჭისყრას ანდობს; სხვათა შორის მას სურს რომ კეთილ ადამიანთა შორის ქორწინებაც კენჭისყრით მოხდეს. პლატონი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ შემთხვევით არჩევანს, რომ მისი აზრით, მხოლოდ ასეთი ქორწინებიდან შობილი ბავშვები უნდა იზრდებოდნენ სამშობლოში, ხოლო ბოროტ ადამიანთა შთამომავალნი გაძევებული უნდა იქნენ სამშობლოდან. თუ რომელიმე გაძევებული ზრდადასრულებული კეთილ ზნეს გამოავლენს, იგი შეიძლება დაბრუნებული იქნეს სამშობლოში; და პირიქით, თუ სამშობლოში დატოვებული ყრმობის ასაკში არ გაამართლებს იმედებს, ისიც ასევე შეიძლება გაძევებულ იქნეს სამშობლოდან.

ისეთი ადამიანებიც ვიცი, რომლებიც ყველანაირად სწავლობენ და განმარტავენ თავიანთ ალმანახებს<sup>4</sup>. ისინი მათში ეძებენ მითითებებს, თუ როგორ მოიქცნენ ამა თუ იმ შემთხვევაში. ამ ალმანახებში ყველაფერია, ცხადია სიყალბესთან ერთად გარკვეული ჭეშმარიტებაც. *Quis est enim qui totum diem iaculans non aliquando conlineet?\*\*\**

ზოგ შემთხვევაში, ამ მითითებათა ჭეშმარიტების მიუხედავად, ჩემთვის მათ არავითარი ღირებულება არ აქვთ; უმჯობესი იქნებოდა ისინი ყოველთვის ცრუ ყოფილიყო. მაშინ ყველას თავისი აზრი ექნებოდა მათზე. მინდა თქმულს დავუმატო ის რომ, მიუხედავად მათი სიხშირისა, არავინ არ ადგენს ამ მითითებათა შეცდომების ნუსხას; რაც შეეხება იმ წინასწარმეტყველებას რომელიც

\* მათ შორის ასეთი ურთიერთკავშირია: რაკი არსებობს მარჩიელობა მაშასადამე, ღმერთებიც უნდა იყვნენ; რაკი არსებობენ ღმერთები, მაშასადამე მარჩიელობაც უნდა იყოს. ციცერონი, მარჩიელობა, 1, 6.

\*\* ჩემი აზრით, ვინც ჩიტის ენა ან სხვისი ღვიძლი საკუთარზე უკეთ იცის, მათი სიტყვები უნდა მოვისმინოთ და არა ვიწამოთ. ციცერონი, მარჩიელობა, 1, 47.

\*\*\* ნუთუ კაცი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ხელშუბს ისერის, ერთხელ მაინც ვერ მოახვედრებს მას მიზანში? ციცერონი, მარჩიელობა, II, 59.



გამართლდება, მას მისივე იშვიათობის გამო ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, იგი ჩვენთვის შეუცნობადი და გასაცარია. როდესაც დიაგორეს, რომელსაც სამოთრაკიაში მეტსახელად ათეისტი შეარქვეს, ერთმა კაცმა ტაძარში უჩვენა ძრავალი დაფა გემის კატასტროფის შედეგად გადარჩენილ ადამიანთა გამოსახულებით და უთხრა:

„მამ ასე, თქვენ ვინც თვლით რომ ღმერთებს ადამიანური საქმეები არ ადარდებთ, რას იტყვით ამდენ ადამიანზე, რომელიც მისმა წყალობამ გადაარჩინა“, დიაგორემ უპასუხა: „თუნდაც ასე იყოს, მაგრამ აქ ხომ დაღუპულთა გამოსახულებები არაა, მათი რიცხვი გაცილებით დიდია“.

ციცერონის თანახმად, ღმერთის მორწმუნე ფილოსოფოსთა შორის მხოლოდ ქსენოფანე კოლოფონელმა გაიბრძოლა ყველა ჯურის წინასწარმეტყველების წინააღმდეგ. საოცარია, რომ ზოგიერთი ჩვენი განმგებელი ჯერ კიდევ საკმაო მნიშვნელობას ანიჭებს მსგავს ამაობას, ხშირად საკუთარი თავის საზიანოდაც. ძალიან მსურდა საკუთარი თვლით მენახა ორი დიდი სასწაული — კალაბრელი აბატის, იოაქიმის წიგნი<sup>5</sup>, რომელმაც ყველა მომავალი პაპის სახელი და აღნაგობა იწინასწარმეტყველა და იმპერატორ ლეონის წიგნი, რომელმაც ბიზანტიის იმპერატორები და პატრიარქები იწინასწარმეტყველა. საკუთარი თვლით მხოლოდ ის მინახავს თუ როგორ ექვემდებარებიან ცრურწმენას სახალხო უბედურების დროს თავიანთი ბედით გაოგნებული ადამიანები და როგორ ცდილობენ ზეციურ სასწაულებში ეძიონ თავს დატეხილი უბედურებების მიზეზი და მისი მათუწყებელი ნიშანი. ჩემი თანამედროვენი საოცარ ხელოვნებასა და სიმარჯვეს ავლენენ ამაში; დავრწმუნდი, რომ მახვილი და ფუჭი აზროვნების მქონე ადამიანებისათვის ეს საქმიანობა სხვა არაფერია თუ არა გართობა, ყველას, ვისაც ხელეწიფება ასეთი სახის საქმეები, — ზეციური სასწაულები ხან ერთი ხან მეორე მიმართულებით ცვალოს, — შეუძლია ნებისმიერ ნაწერში აღმოაჩინოს ყველაფერი, რასაც იგი ეძებს. ასეთ წინასწარმეტყველთა წარმატების მთავარი პირობა ბუნდოვანი, ორზროვანი და უცნაური წინასწარმეტყველური ენაა; ამ წიგნების ავტორებს ერთი ნათელი აზრიც არ მოუციათ რომ შთამომავლობას აქ მოეძია ყველაფერი ის, რაც მას მოესურვებოდა.

სოკრატეს დემონი, ალბათ, ერთგვარი იმპულსი იყო მისი ნებისა, რომელიც მას გაუცნობიერებლად გამოეცხადებოდა ხოლმე; თუმცა ისეთი ამადლებული სულისათვის, მუდმივი წვრთნით გონიერებისა და სიქველისათვის მზადმყოფი სულისათვის ეს თუნდაც ბუნდოვანი და გაუცნობიერებელი მიდრეკილებები ყოველთვის გონიერული და ღირსი იყო იმისა, რომ მათ მიჰყოლოდა. ყოველ ადამიანს მეტნაკლებად უგრძნია საკუთარ თავში ასეთი სწრაფი, მგზნებარე და მოულოდნელი ზრახვების ძალა. პირადად მე დიდად არ ვეხდობი ჩვენი კარგად მოაზრებული გადაწყვეტილებების გონიერულობას; ამიტომ ძალზე ვაფასებ ასეთ ზრახვებს. ხშირად თავადაც განვიცდიდი მათ; ისინი იწვევენ საგნისადმი ან ძლიერ ღტოლვას ან უარყოფას. ეს უკანასკნელი ხშირად ემართებოდა სოკრატეს. მე ვნებდებოდი ამ ზრახვათა განმგებლობას, რასაც იმდენად საჭირო და ბედნიერი შედეგები მოჰქონდა, რომ მათში მართლაც შეგეძლოთ დაგენახათ რაღაც ღვთიური შთაგონება.

## თაზო XII

## ს ი მ ტ კ ი ც ე,

შეუპოვრობა და სიმტკიცე შეძლებისდაგვარად არ გვართმევს მათგან გადახრის უფლებას იმ უბედურებათა და უსიამოვნებათა თავიდან ასაცილებლად, რომლებიც გვემუქრება. პირიქით, უნდა რაიმე ვილონოთ მათ წინააღმდეგ. ყველა პატიოსანი საშუალება რომელსაც ძალუძს აგვარიდოს უბედურება და უსიამოვნება, არა თუ ნებადართული, არამედ ქების ღირსიცაა. სიმტკიცის არსი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ მოთმინებით ავიტანოთ ის ივასჭირი, რომლის წამალიც არ არსებობს. ამიტომ ორთაბრძოლის დროს დასაშვებია სხეულის ნებისმიერი მოძრაობა, რომელიც დაგვიცავს დარტყმისაგან.

ომის დროს მრავალი მეომარი ხალხი მიმართავდა ბრძოლის ველიდან მოულოდნელად გაქცევის ხერხს, როგორც ერთ-ერთ მთავარ საშუალებას მოწინააღმდეგეზე გასამარჯვებლად; ხშირად მათ მტერს ზურგშექცეულთ უფრო ძეტი საფრთხე ელოდათ, ვიდრე მის პირისპირ. თურქები დღესაც წარმატებით იყენებენ ამ ხერხს. სოკრატე პლატონთან დასცინის ლაქეტს, რომელიც ამბობს: „სიმამაცე მტრის პირისპირ შენს რიგში მტკიცედ დგომაა“. სოკრატე პასუხობს „ნუთუ ლაჩრობა იქნება თუ უკან დავიხევთ და ისე შევებრძოლებით მტერს?“ თავისი სიტყვების დასადასტურებლად იგი ჰომეროსს მიმართავს, რომელიც ხოტბას ასხამს ენეკის ქცევის ხელოვნებას. ლაქეტი დაფიქრდება, მას სკვითებისა და ცხენოსანი ჯარის ხერხი გაახსენდება; სოკრატეს ლაკედომონელთა ქვეითი ჯარის მაგალითი მოჰყავს, იმ ხალხისა რომელსაც ჩვევად ჰქონდა მედგარი ქვეითი ბრძოლა. ერთხელ, პლატეასთან ბრძოლის დროს ლაკედემონელთა ცდა — გაერღვიათ სპარსელთა ფლანგა — უშედეგოდ დამთავრდა. ლაკედემონელებმა გადაწყვიტეს გაფანტულიყვნენ, უკან დაეხიათ, შეექმნათ გაქცევის შთაბეჭდილება, ხოლო შემდეგ გაერღვიათ და გაეფანტათ უკანდადევნებულ სპარსელთა ძლიერი მასა. ამ ხერხმა მათ გამარჯვება მოუტანა.

რაც შეეხება სკვითებს, ამბობენ რომ ამ ხალხის დასაპყრობად დარიოსის ლაშქრობის დროს, დარიოსმა სასტიკად უსაყვედურა სკვითების მეფეს იმის გამო, რომ იგი გამუდმებით უკან იხევდა და ღია ბრძოლას გაურბოდა. ამაზე მათმა მეფემ ინდატირსმა<sup>1</sup> უპასუხა, რომ მას და მის ჯარისკაცებს ქვეყნად არავისი არ ეშინოდათ, უბრალოდ ასეთი იყო მათი საბრძოლო ადრთი, მათ არც სახნავ-სათესები ჰქონდათ დასაცავი, არც ქალაქები და არც სახლები, რომ მტერს მათგან სასარგებლო მიეღო. მაგრამ თუ მას ასე ძლიერ ეწადა პირისპირ ბრძოლა, დარიოსი უნდა მიახლოვებოდა იმ ადგილს, სადაც მის წინაპართა საფლავები იყო და იქ იჯერებდა გულს.

როდესაც იცი რომ ვერ გადაურჩები ქვემეხების კანონდას, რაც ხშირია ბრძოლის დროს, სამარცხვინოა გეშინოდეს ყუმბარის გასროლისა, რომლის ძალასა და სისწრაფესაც ვერსად წაუხვალთ. ვინც ამ დროს ხელს აწევდა ან თავს დახრიდა, ამხანაგთა ხარხარს იწვევდა. ერთხელ პროვანსში, ჩვენს წინააღმდეგ იმპერატორ კარლოს V-ის ლაშქრობის დროს, მარკიზ დე გასტი ქალაქ არლის დასაზვერად გაემართა. გზად ქარის წისქვილს შეაფარა თავი, ამით საშუალება მიეცა ახლოს მისულიყო ქალაქთან, მაგრამ იგი შეამჩნიეს ცირკის

ამფითეატრზე მოსეირნე ბატონებმა დე ბონევალემ და სენეშალმა\* აყენუამ. მათ ბ-ნი გასტი არტილერიის უფროსს ბ-ნ დე ვიიეს დაანახეს. ამ უკანასკნელმა ზუსტად დაუმიზნა კულევრინი\*\* მარკიზს. მარკიზმა შეამჩნია, მიხვდა ტყვია არ აცდებოდა და მიწაზე გაწვა. მსგავსი ამბავი შეემთხვა რამდენიმე წლის წინ ურბინის ჰერცოგს, ჩვენი მეფის დედის, დედოფლის მამას, ლორენცო<sup>2</sup> ძედიჩს მონდოლფოს ალყის დროს. ეს ციხესიმაგრე იტალიაში, კერძოდ ვიკარიატში მდებარეობს. ჰერცოგმა დაინახა როგორ წაუტიდეს ცეცხლი მისკენ დაძინებული ქვემეხის ფთილას; იგი მიწაზე დაეცა, ყუმბარამ თავზე გადაუარა; ასე რომ არა, უდავოდ მუცელში მოხვდებოდა. სიმართლე ვითხრათ არა მგონია რომ გააზრებულად ვაკეთებდეთ ასეთ მოძრაობებს. ამ დროს შეუძლებელია იფიქროთ სამიზნის სიმალეზე როგორია ის, მაღალი თუ დაბალი, ყველაფერი ძალზედ სწრაფად ხდება. ბევრად უფრო მართებული იქნება თუ დავუშვებთ, რომ აღწერილ შემთხვევაში ამ ადამიანებს, რომლებიც შიშით მოქმედებდნენ, უმალ ბედი წყალობდათ. ტყვია როგორი წარმატებითაც შეიძლება მოგვხვდეს ისეთივე წარმატებით შეიძლება აგვცდეს კიდევ. ზოგჯერ სრულიად იაუთვალისწინებელ ადგილზე, არკებუზის\*\*\* მოულოდნელ გამაყრუებელ ხმაურს ისე გაუოცებია ჩემი ყურთასმენა, რომ კანკალისაგან თავი ვერ შემეკავებია; ეს ჩემზე მამაცებსაც დამართნიათ.

სტოიკოსებიც აღიარებენ, რომ ბრძენის სულსაც არ ძალუძს თავის შეკავება მოულოდნელი შთაბეჭდილებისა და მოვლენებისაგან; მათი ბრძენიც ჯეროვან ხარკს უხდის ბუნებას, როცა, მაგალითად, ძლიერი ქუხილის ან ნგრევის დროს ფითრდება ან იკუნტება. იგივე ითქმის სხვა ვნებებზეც; მთავარია გონებამ შეინარჩუნოს სიმტკიცე, დარჩეს ურყევი და საკუთარი თავის ერთგული, არ დაეუფლოს შიშის ან ტანჯვის გრძნობა. არაგონიერიც ზუსტად ისეთსავე მდგომარეობაში ვარდება როგორც ეს თქმულის პირველ ნაწილშია ძაგრამ ვერ ინარჩუნებს გონების ისეთსავე მდგომარეობას, როგორც ეს მეორე ხაწილშია. ჩვეულებრივ, ვნებით გამოწვეული შთაბეჭდილება რიგით ადამიანებში ზედაპირული არაა, იგი აღწევს მათი ცნობიერების სიღრმეში, აავადებს და წამლავს მას. ასეთი ადამიანი ვნებათა ზეგავლენით მსჯელობს, და მათ შორჩილებს. ბრძენი სტოიკოსის სრული და ჭეშმარიტი სულიერი მდგომარეობა ასეთია

*Mens immota manet, lacrimae voluntur inanes\*\*\*\*.*

პერიპატეტიკოსთა აზრით, სულიერი ძვრები უცხო არაა ბრძენისთვის, უბრალოდ მას ძალუძს ამ გრძნობების სიმძაფრის შემცირება.

თავი XIII

### ცერემონიული მიჯნა დასახვედრად

ამაზე უფრო ამო საგანი არ არსებობს მოვლენათა რაფსოდის ამ რიგში. ზოგადად მიღებული წესების თანახმად, ჩვენში დიდი უზრდევლობაა არ დახვდეთ შინ თქვენი რანგისა, და მით უფრო საზოგადოებაში მაღალი მდგო-

\* სენეშალი — მეფის მსახურთუფროსი.

\*\* კულევრინი — ძველებური ქვემეხი.

\*\*\* არკებუზი — ძველებური შაშხანა.

\*\*\*\* ამოდ აღვრება ცრემლი, სული არ არყევა. ვერგილიუსი, ენიდა, IV, 449.

ძარბოვის მქონე ადამიანს თუ მან წინასწარ გაგაფრთხილათ თავისი სტუმრობის შესახებ. უფრო მეტიც: დედოფალი მარგარიტა ნავარელი<sup>1</sup> თვლის რომ აზნაურის მხრიდან დიდი სიბრძნეა (რასაც ხშირად სჩადიან ხოლმე) სახლიდან გასვლა იმ ადამიანის შესახვედრად რომელიც მას უნდა ეწვიოს, მიუხედავად მისი ტიტულისა და თანამდებობისა; უფრო მეტი ზრდილობა და პატივისცემაა მისი შინ დალოდება, თუნდაც იმის შიშით, რომ გზაში არ აცდეთ. ასეთ შემთხვევაში საკმარისია იგი მოსასვენებლად გააცილოთ მისთვის განკუთვნილ ოთახში. მე ხშირად მავიწყდება როგორც პირველი, ისე მეორე ეს აქაო მოვალეობა; ვცდილობ შეძლებისდაგვარად განვდევნო ყოველგვარი ცერემონიები ჩემი სახლიდან. არიან ადამიანები, რომელთაც ზოგჯერ ეს სწყინთ, მაგრამ რას იზამთ, უმჯობესია ვინმეს ერთხელ აწყენინოთ, ვიდრე გამუდმებით ითმინოთ მისი წყენა. ეს უკანასკნელი აუტანელი იქნებოდა ჩემთვის. რა აზრი აქვს კარის მონობისგან გაქცევას თუ მას საკუთარ ბუნაგში დააწესებ? ძინდა კიდევ ერთ წესზე შევჩერდე. ამ წესის თანახმად, ყველა თავყრილობაზე, ჯერ უნდა გამოცხადდნენ რანგით დაბალი თანამდებობის პირები, უფრო მაღალი წოდების პირებს კი უნდა ელოდონ.

მეფე ფრანსუაჲ მარსელში პაპ კლიმენტისთან შეხვედრამდე გასცა ყველა საჭირო განკარგულება და დატოვა ქალაქი. ორი-სამი დღის განმავლობაში მან პაპს საშუალება მისცა დაესვენა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა მასთან შესახვედრად. როდესაც იმავე პაპმა და იმპერატორმა ბოლონიაში დათქვეს შეხვედრა, იმპერატორმაც პაპს საშუალება მისცა პირველი ჩასულიყო, თავად კი ცოტა მოგვიანებით ჩავიდა. მცოდნე ადამიანების თანახმად, მეფეთა შეხვედრის დროს ხელმძღვანელობენ შემდეგი წესით: პირველს მას ეკუთვნის დათქმულ ადგილზე მისვლა ვინც უფრო ძლიერია, თუნდაც იგი იმ მეფეს ხვდებოდეს ვის სამეფოშიცაა დათქმული შეხვედრა. ფიქრობენ, რომ ეს ფანდი ქმნის შთაბეჭდილებას თითქოს დაბალი თანამდებობის პირები ეძებენ და ცდილობენ მათთან შეხვედრას და არა პირიქით.

ყველა სახელმწიფოს, ქალაქსა და წოდებას ზრდილობის თავისი განსაკუთრებული წესები აქვს. ბავშვობაში საკმაოდ კარგი აღზრდა მივიღე, მოზრდილს საკმაოდ კარგ საზოგადოებასთან მიხედვოდა ურთიერთობა, ასე რომ იძენად კარგად შევისწავლე ჩვენი ფრანგული თავაზიანობის წესები, შეძიძლია სხვებსაც ვასწავლო. მე მიყვარს ამ წესების დაცვა (მაგრამ არა მათდაში მონური მორჩილება) თუ ისინი ჩემი ცხოვრების წესს არ ეწინააღმდეგებიან. ზოგიერთი მათგანი შემაწუხებელია, თუ მათ უგულებელყოფთ დაუდევრობით, და არა უზრდელობით, ეს სრულიადაც არ მოწმობს ჩვენს არათავაზიანობას. ხშირად შეხვედრივარ ზედმეტი თავაზიანობის გამო უზრდელ და მახეზარ ადამიანებს.

ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნების ცოდნა ძალზედ სასარგებლოა. თავაზიანობისა და სილამაზის მსგავსად ისიც გვიადვილებს საზოგადოებაში შესვლას, ხელს უწყობს მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ადამიანთა შორის, საშუალებას გვაძლევს ვისწავლოთ სხვების მაგალითზე და მათაც მივცეთ საკუთარი მაგალითი, წარმოვაჩინოთ ჩვენი თავი, თუ ჩვენში მართლაც არის რაიმე სხვებისათვის მისაბაძი და მისაღები.

თავი XIV

სიმაგრის დაცვის უზუნური სიჯიუტისათვის სასჯელს იღებენ

სიმაძაცეს, ისევე როგორც ყველა სხვა ქველობას, თავისი საზღვარი აქვს; თუ ამ ზღვრებს გასცილებით, მაშინ უმალ ზადისაკენ გადაიხრებით. სიმაძაცეს შეუძლია გაიტაცოს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მის ზღვრებს კარგად არ იცნობს. მისი ზუსტად გამიჯვნა ყველა სახის უგუნურების, სიჯიუტისა და განუკითხაობისაგან იოლი როდია. სწორედ ამ გარემოებამ მისცა დასაბამი ერთ ადათს, რომელსაც ჩვენ ომის დროს მივმართავთ; კერძოდ, დავსაჯოთ, ზოგჯერ სიკვდილითაც კი ისინი, ვინც ჯიუტად იცავენ იმ ციხესიმაგრეს, რომლის დაცვაც, სამხედრო ხელოვნების წესების თანახმად შეუძლებელია; ასე რომ არ იყოს, დაუსჯელობის იმედით ნებისმიერი საქათმე დააბრკოლებდა ჯარის წინსვლას.

კონეტაბელმა\* ბ-ნმა დე მონმორანსმა, პავის ალყის<sup>1</sup> დროს განკარგულება მიიღო გადაელახა მდ. ტუზინი და დაეპყრო გარეუბანი სენ-ანტონიო; მდიხარეზე ჯარის გადასვლა ხიდის ძირში მდებარე ერთმა სიმაგრემ შეაფერხა. იგი ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა ჯარის გადასვლას, ბოლოს მონმორანსმა სიმაგრე იერიშით აიღო და ბრძანა ყველა იქ მყოფი ჩამოეხრჩოთ. ასევე მოიქცა იგი ძთების იქითა მხარეს ლაშქრობის დროსაც. მაშინ იგი ბ-ნ დოფენს ახლდა. ბ-ნმა მონმორანსმა დიდი წინააღმდეგობის შემდეგ აიღო ვიიანის ციხე; განრისხებულმა ჯარისკაცებმა დახოცეს ყველა, ვინც ციხესიმაგრეში იმყოფებოდა, მხედართმთავრისა და მედროზის გარდა, მონმორანსის ბრძანებით ისინი ჩამოახრჩეს. იმავე მხარეში ტურენის განმგებლის მარტინ დიუ ბელეს<sup>2</sup> ბრძახებით, იგივე ბედი ეწია კაპიტან ბონსაც, ხოლო სიმაგრეში ცოცხლად გადარჩენილნი სიკვდილით დასაჯეს.

ციხესიმაგრის სიძლიერესა და სისუსტეზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი ძალებისა და ალყაში მყოფთა ძალების დაპირისპირებით (ორი კულევრინის წინააღმდეგობის დამძლევი, უგუნური იქნება თუ ოცდაათი ქვეძეხის წინააღმდეგ ბრძოლას მოისურვებს). ასეთ დროს ჩვეულებრივ მხედველობაში ლეზულობენ დამპყრობი ხელმწიფის ძლიერებას, მის რეპუტაციას და მისადმი პატივისცემას. ამიტომ სახიფათოა, რომ სასწორი არ გადაიხაროს ამ მხარეზე. თავის თავსა და ძლიერებაში დარწმუნებულ ხელმწიფეს ვერ წარძოუდგენია არსებობდეს ვინმე მისი წინააღმდეგობის ღირსი, და ვიდრე ბრძოლის ბედი უღიმის მახვილით გმირავს ყველას, ვინც მის წინააღმდეგ ბრძოლას ვაბედავს. თქმულს ადასტურებს ის მრისხანე, გულზვიადი და ბარბაროსული განკარგულებები, რომლებიც ჩვეულებად ჰქონდათ აღმოსავლეთის განძებლებს. მათ შთამომავლებს დღესაც ჩვევად აქვთ ბარბაროსული განკარგულებების იცემა. როდესაც პორტუგალებმა ინდიელების ძარცვა დაიწყეს, ამ მხარეში მათ ნახეს სახელმწიფოები, სადაც გაბატონებული იყო საყოველთაო და ხელმეუფებელი კანონი, რომ მტერი, რომელსაც დაამარცხებდა ჯარი ძეფის ან მისი ნაცვალის მხედართმთავრობით, არ ექვემდებარებოდა გამოსასყიდსა და შეწყალებას.

ამრიგად, ყველა უნდა ეცადოს ხელში არ ჩაუვარდეს გამარჯვებული და შეიარაღებული მტრის მოსამართლეს.

\* კონეტაბლი — მეფის ჯარის მთავარსარდალი შუა საუკუნეების დას. ევროპის ქვეყნებში.

## თავი XV

## სასჯელი ლაჩრობისათვის

ერთი ხელმწიფისა და საკმაოდ დიდი მხედართმთავრისაგან გამიგონია, რომ არ შეიძლება ჯარისკაცი სიკვდილით დასაჯო ლაჩრობისათვის. ეს აზრი მან სუფრასთან გამოთქვა, როდესაც მას ბ-ნ დე ვერვენეს სასამართლოს შესახებ უამბეს. ეს უკანაქნელი ბულონის<sup>1</sup> ჩაბარებისათვის დასაჯეს სიკვდილით. სრულიად სამართლიანად მიჯნავენ ერთმანეთისაგან დანაშაულობებს, რომლებიც ქომდინარეობენ, ერთის მხრივ, ადამიანის სისუსტიდან და, მეორეს მხრივ, ძისი ბოროტი ზრახვიდან. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ჩვენ შეგნებულად ვეწინააღმდეგებით ჩვენს არსებაში ბუნების მიერ ბოძებული გონების ნებას; პირველ შემთხვევაში კი, ვფიქრობთ ისევ იმავე ბუნებისათვის უნდა მიგვემართა, ჩვენივე არასრულყოფილებისა და სისუსტის გამო. ამიტომ თვლიან რომ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც სინდისის წინააღმდეგ ჩავიდინეთ. გარკვეულ წილად ამას ეფუძვნება იმათი აზრიც ვინც გმობს ერტიკოსთა და ურწმუნოთა სიკვდილით დასჯას, ასევე ის წესიც, რომლის თანახმადაც ვექილსა და მოსამართლეს პასუხი არ უნდა ვაგებინოთ მათივე დაუდევრობისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

რაც შეეხება სილაჩრეს, ყველაზე მეტად იგი საყოველთაო შერცხვენით, ზიზღითა და პიროვნების უგულვებელყოფით ისჯება. ფიქრობენ, რომ ეს წესი პირველად კანონმდებელმა ქარონდასმა<sup>2</sup> შემოიღო. მანამდე ბერძნული კანონები სიკვდილით სჯიდნენ ყველას ვინც ბრძოლის ველიდან გაიქცეოდა; მისივე ბრძანების თანახმად, ბრძოლის ველიდან გაქცეულები სამი დღის განმავლობაში ქალის სამოსელში გამოწყობილები უნდა გამოეყვანათ ქალაქის მოედანზე. კანონმდებელი იმედოვნებდა, რომ ეს სასარგებლო იქნებოდა მათთვის, რომ ასეთი შერცხვენა მათ ვაჟკაცობას დაუბრუნებდა *Suffundere malis hominis sanguinem quam effundere\**. რომის კანონებიც, ყოველ შემთხვევაში ძველი დროის კანონები, ასევე სიკვდილით სჯიდნენ ბრძოლის ველიდან გაქცეულებს. ამიანე მარცელინუსის თანახმად, იმპერატორმა იულიანემ პართელთა ჯარებზე თავდასხმის დროს ათ ჯარისკაცს, რომელთაც ზურგი შეაქციეს მტერს, ჩამოართვა სამხედრო წოდება და, ძველი კანონების თანახმად, სიკვდილით დასაჯა. თუმცა სხვა შემთხვევაში იმავე დანაშაულისათვის მხოლოდ მათ ტყვეთა შორის ადალში მოთავსებას დასჯერდა. რომელმა ხალხმა მკაცრი სასჯელი დაადო კანის ბრძოლიდან გაქცეულ ჯარისკაცებს; მათაც ვინც იმავე ბრძოლის დროს დამარცხებული ფულვიუსის გვერდით იყო (თუმცა ისინი სიკვდილით არ დაუსჯიათ). მაინც შერცხვენით დასჯისას სიფრთხილე გემართებს, ასეთი სასჯელი არა მხოლოდ დასჯილთა სასოწარკვეთილებას და გულგრილობას იწვევს, არამედ ზოგჯერ მათ მტრულ განწყობილებასაც შთააგობებს ხოლმე.

იმემატიანის თანახმად მარშალმა დე შაბანმა ბ-ნი დე ფრანკი, ერთ დროს მარშალ დე შატიონის ჯარების მხედართმთავრის თანაშემწე, ფონტარაბისის

\* უმოგებისა სისხლი დაწვევებზე აწვებოდეს ადამიანს ვიდრე იგი მას ღვრიდეს. ტერტულიანე, აპოლოგეტიკა, IV.

გახმგებლად დანიშნა, დიუ ლიუდის ნაცვლად. დე ფრანჟმა ეს ქალაქი ესპანელებს დაანება. ამისათვის მას აზნაურის წოდება ჩამოართვა, თვითონ და ძისი შთამომავალიც გამოცხადნენ მდაბიოებად და ჩარიცხულ იქნენ იმ ფეხაში, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ იარაღი ეტარებინათ. ეს მკაცრი განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი ლიონში. შემდეგში ასეთი სასჯელით დაისაჯა ყველა აზნაური, რომელიც ნანსაუს გრაფის შესვლისას ქალაქ გიზში იმყოფებოდა. მოგვიანებით სხვებიც ასევე დასაჯეს. როდესაც მოწმე ვართ ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული უხეში და აშკარა უვიცობის ან სილაჩრისა, უფრო მართებულია დაჯერდეთ სიბოროტისა და ბოროტის ზრახვის ძამხილებელთა გამოვლენას და მათ დასჯას.

თაზი XVI

ზოგიერთი ელჩის თვისება

მოგზაურობის დროს სხვებთან ურთიერთობისას ჩვევად მაქვს ვისწავლო რაიმე ჩემთვის ახალი. ეს ერთ-ერთი საუკეთესო სკოლაა. ასევე თანამოსაუბრეს ყოველთვის ვაძლევ იმ საგნებზე საუბრის საშუალებას, რომელიც მან ჩემზე უკეთ იცის.

Basti al nocchiero ragionar de'venti,  
Al bifolco dei teri, et le sue piaghe  
Conti'l guerrier, conti'l pastor gli armenti\*.

ხშირად პირიქით ხდება; ზოგი საკუთარ ხელობაზე საუბარს სხვისაზე საუბარს ამჯობინებს და ცდილობს თავი სხვა დარგის მცოდნედაც წარმოაჩინოს. მაგალითად, არქიდამე პერიანდეს საყვედურობდა რომ მან კარგი ექიმის სახელს ცუდი პოეტის სახელის მოხვეჭა ამჯობინა. ცეზარი ძალზედ ვრცლად ლაპარაკობს თავის საბრძოლო იარაღებზე, მაგრამ ყოველთვის საოცრად სიტყვაძუნწია როცა თავის მხედართმთავრობაზე, პირად ან თავის ჯარისკაცთა სიმამაცეზე მოგვითხრობს. მისი საქმიანობა უსიტყვოდაც მოწმობს მის ბრწყინვალე მხედართმთავრობას. მას სურს თავი გაგვაცნოს როგორც ბრწყინვალე ინჟინერმა. ეს სულ სხვა თვისებაა. უფროსი დიონისე თავისი მდგომარეობის პირობაზე კარგი მხედართმთავარი იყო, მაგრამ მას უნდოდა პოეზიით მოეხვეჭა სახელი, რომელშიც არა გაგეგებოდა რა. ამ ცოტა ხნის წინ ერთ იურისტს მისი სამუშაო ოთახი აჩვენეს, სადაც მრავალი მისი და სხვა სპეციალობის წიგნი იყო. მან ამ ოთახში ვერაფერი საინტერესო ვერ აღმოაჩინა, მთელი თავისი ყურადღება ამ ოთახის შვეული კიბის ღობურაზე შეაჩერა და დინჯი და მცოდნე კაცის ტონით დაიწყო საუბარი ამ ღობურაზე, რომელსაც ყოველდღიურად ასამდე ოფიცერი და ჯარისკაცი გვერდს უვლიდა, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

Optat ephippia bos piger, optat arare caballus\*\*.

\* მესაქე ქარზე უნდა მსჯელობდეს, მიწათმოქმედი ხარებზე; ჯარისკაცი თავის ქრილობებზე უნდა საუბრობდეს, მწყემსი კი ფარაზე. პროპერციუსი, II, 14.

\*\* ზარმაც ხარს უნავიბო უნდა, ზარმაც ცხენს კი გუთანს. პორაციუსი, წერილები, I, 14, 43.

ამ გზით ვერასოდეს მიაღწევთ რაიმე ღირებულს. მამსადამე ყველამ თავისი საქმე უნდა სრულყოს, არქიტექტორი იქნება ის, მხატვარი თუ მეწაღე. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ ისტორიული თხზულების კითხვისას, რომელთაც სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები წერდნენ, ჩვეულებრივ მხედველობაში ვღებულობდი თუ ვინ იყო თხზულების ავტორი; თუ იგი ლიტერატორი იყო, ძირითადად თხზულების სტილსა და ენას ვაქცევდი ყურადღებას; თუ ექიმი, სიამოვნებით მჭეროდა რასაც იგი ჰაერის ტემპერატურაზე, განმგებელთა ჯანმრთელობასა და ხასიათზე, ჭრილობებსა და ავადმყოფობებზე წერდა; თუ იურისტი იყო, ყურადღებას ვამახვილებდი უმთავრესად მათ მსჯელობაზე სამართლის, კანონების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვა მსგავსი რიგის საკითხებზე; თუ თეოლოგი იყო — საეკლესიო საქმეებზე, საეკლესიო ცენზურაზე, საგადასახადო შეღავათებზე, ქორწინების უფლებებზე, თუ კარისკაცი იყო — ადათებსა და ცერემონიებზე; თუ სამხედრო პირი იყო ყურადღებას ვამახვილებდი იმ ლაშქრობებსა და ბრძოლებზე საუბარზე, რომლებშიც თავად მონაწილეობდნენ; თუ ელჩი იყო იმ ინტრიგებზე, საზრი-ახობასა და ხრიკებზე რომლებიც ხელს უწყობდნენ მათი საქმიანობის წარმატებას.

ამ მოსაზრებით შევჩერდი ბ-ნ დე ლანჟეს „ისტორიაზე“, ასეთ საქმეებში საოცრად ერუდირებული ადამიანის თხზულებაზე; ჩემი ყურადღება მიიპყრო ძრავალმა ისეთმა საკითხმა, რომელთაც სხვა ავტორთან გვერდს ავუვლიდი, კერძოდ იმ საოცრად მეტყველმა შენიშვნებმა და შეურაცხყოფელმა სიტყვებმა ჩვენი მისამართით, რომლებიც რომის საეკლესიო საბჭოზე ჩვენი ელჩების — ეპისკოპოს მაკონისა და ბატონ დიუ ველეს თანდასწრებით გამოთქვა იმპერატორმა კარლოს V-მ. სახელდობრ თუ მისი მხედართმთავრები, ჯარისკაცები და ქვეშევრდომები ისეთივე ერთგულნი იყვნენ თავიანთი განმგებლისა და ისეთივე დახელოვნებულნი სამხედრო საქმიანობაში როგორც მეფის განხმგებლობაში მყოფნი, მაშინ იმპერატორი მზად იყო ყელზე თოკემოხვეული მორჩილად ხლებოდა მას მოწყალების სათხოვრად (ეტყობა ბ-ნ დე ლანჟეს ერთგვარად სჯეროდა რომ ეს მართლაც ასე იყო, რადგან თავისი ცხოვრების მანძილზე მან ორჯერ თუ სამჯერ გაიმეორა იგივე). იგი ასევე გადმოგვცემს რომ თითქოს მან ორთაბრძოლაში გამოიწვია ჩვენი მეფე და შესთავაზა მას ერთმანეთს პერანგის ამარა შებრძოლებოდნენ ნავში დაშენებითა და ხანჯლებით. ბ-ნი დე ლანჟე განაგრძობს თხრობას და წერს თითქოს ზემოთხსენებულმა ელჩებმა წერილობით აცნობეს მეფეს საეკლესიო საბჭოს თაობაზე, მაგრამ დაუმაღეს მას იმპერატორის სიტყვების დიდი ნაწილი და ის შეურაცხყოფა რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. საკმაოდ უცნაურია როგორ გაბედა ამ ელჩმა იმის გადაწყვეტა რა მოესხენებინა და რა დაემალა თავისი ხელმწიფისათვის, მით უფრო რომ კრება ასეთი შედეგით დამთავრდა, ხოლო ასეთმა პიროვნებამ ხალხმრავალ თავყრილობაზე წარმოთქვა შეურაცხყოფელი სიტყვები. ჩემი აზრით, ქვეშევრდომი ვალდებულია ზუსტად და ობიექტურად გადასცეს ფაქტები თავის ბატონს, რათა მას სრული თავისუფლება ჰქონდეს განკარგულების ვასაცემად, ვითარების შესაფასებლად და პასუხის შესარჩევად. სიმართლის დამახინჯება ან დაფარვა — იმის შიშით რომ ვაითუ ბატონმა ისე არ გაიგოს როგორც ეს საჭიროა და ამან რაიმე არასწორი გადაწყვეტილებისაკენ არ უბიძგოს მას — ე. ი. არ აცნობოთ მას საქმის რეალური ვითარება — ასეთი უფლება, რამდენადაც მე ვიცი, აქვთ მხოლოდ



იმათ, ვინც კანონებს ადგენს და არა იმათ, ვისთვისაც ისინი შექმნეს, ანუ ეს უფლება აქვთ განმგებელს და მოძღვარს, და არა მათ, ვინც თავი რანგით უფრო დაბლა მდგომად უნდა ჩათვალოს, როგორც თავისი მდგომარეობით, ისე გამოცდილებით და გონიერებით. როგორც არ უნდა იყოს, ჩემი არარაობის მიუხედავად, მე არ მსურს ასე მსახურებდნენ.

ჩვენ ყველა საშუალებებით ვცდილობთ თავი დავაღწიოთ დაქვემდებარებულ მდგომარეობას და მოვიპოვოთ განმგებლობის უფლება. თითოეული ჩვენგანი — და ეს სრულიად ბუნებრივია — ცდილობს მოიპოვოს თავისუფლება და ძალაუფლება. ამიტომ განმგებელი ყველაზე მეტად უნდა აფასებდეს ქვეშევრდომის ერთგულ და უემმაკო მორჩილებას. როდესაც განმგებელს უსიტყვოდ არ მორჩილებენ და გარკვეულ წილად დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ, ეს დაბრკოლებას უქმნის განმგებელს. რომაელები თვლიდნენ, რომ პუბლიუს კრასუსი<sup>2</sup> ხუთჯერ უფრო ბედნიერი იყო აზიაში კონსულად ყოფნისას. ერთხელ მან ერთ-ერთ ბერძენ ინჟინერს უბრძანა მისთვის მიეტანა დიდი ახმა გემის იმ ორი დიდი ანძიდან, რომელიც მან ათენში ნახა. მას უნდოდა ამ ანძიდან სატყორცნი იარაღი აეგო. ბერძენმა განკარგულება შეცვალა და კრასუსს მოუტანა ის ანძა, რომელიც უფრო პატარა იყო, მაგრამ საკუთარი გამოცდილებით იცოდა რომ ამ საქმისათვის ის უფრო ვარგისი იყო. კრასუსმა მოთმინებით მოისმინა მისი მოსაზრებები. შემდეგ კი ბრძანა იგი გაემოლტათ, რადგან, მისი აზრით, მთავარი იყო დისციპლინა, თუნდაც საქმის საზიანოდ.

მეორეს მხრივ, უსიტყვო მორჩილება მხოლოდ ზუსტი და გარკვეული განკარგულების დროსაა კარგი. ელჩს უფრო მეტი თავისუფლება აქვს სამოქმედოდ, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგ შემთხვევაში მას თავად უხდება გადაწყვეტილების მიღება. ელჩი მხოლოდ ხელმწიფის ნების შემსრულებელი როდია, თავისი რჩევებით იგი ხელმწიფის ნებას ამზადებს და წარმართავს კიდევ. ჩემ საუკუნეში ბევრ დიდი თანამდებობის პირს უსაყვედურეს იმის გამო, რომ უსიტყვოდ დამორჩილდნენ მეფის განკარგულებებს და არ გაითვალისწინეს საქმის რეალური ვითარება. გონიერი ადამიანები დღესაც გმობენ სპარსეთის მეფეთა ჩვეულებას, რომლებიც თავიანთ შემცველებებს და ნდობით აღჭურვილ პირებს იმდენად ზღუდავდნენ, რომ ნებისმიერი უმცირესი საქმისათვისაც კი დამატებითი განკარგულება უნდა მიეცათ მათთვის. მსგავს დაყოვნებას ასეთ დიდ და ვრცელ სამეფოში არც თუ იშვიათად მოუტანია მნიშვნელოვანი ზიანი მათი საქმისათვის. კრასუსი საქმის მცოდნე კაცს რომ აძლევდა განკარგულებას ანძის გამოყენების თაობაზე, ამით ხომ არ სთავაზობდა მას თანამშრომლობას თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

## თავი XVII

### უ ი უ ი

*Obstupui, steteruntque comae, et vox faucibus haesit\*.*

მე არ ვარ კარგი ნატურალისტი. ჩემთვის უცნობია რა ზამბარების მეშვეობით ზემოქმედებს ჩვენზე შიში. მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, ეს მარტლაც საოცარი ვნებაა; ექიმები ამბობენ რომ არ არსებობს სხვა ისეთი ვნე-

\* მე გავშედი, თმა ყალყზე დამიდგა, ხმა ჩამიწყდა. ვერგილიუსი, ენეიდა, II, 774.

ბა, რომელსაც უფრო მეტად გამოყავდეს ჩვენი აზროვნება მისთვის ჩვეული ძდგომარეობიდან და უფრო მეტად ზემოქმედებდეს მასზე. მართლაც ბევრი მინახავს შიშისაგან შეშლილი. ყველაზე მშვიდი ბუნების ადამიანებსაც ვიდრე შიშის შეტევა გრძელდება, შეიძლება საშინელი განუსჯელობა დაეუფლოთ. მე მხედველობაში არ მყავს მდაბიო ხალხი, რომელთაც შიშისგან ხან საფლავებიდან ამოსული სუღარაში გახვეული თავიანთ წინაპართა გვამები ეღანდებათ, ხან მაქციები, ხან ფუძის ანგელოზები, ხან ქიმერები. ჯარისკაცებსაც კი, რომელთაც თითქოს ყველაზე ნაკლებად უნდა ჰქონდეთ შიშის გრძნობა, რამდენჯერ მოჩვენებით ცხვრის ფარა ჯავშნოსან მხედართა ესკადრონად, ლელიანი და ლერწამი აბჯროსან მეომრებად და ჯარისკაცებად, თავისიანები ძტრებად, თეთრი ფერის ჯვარი<sup>1</sup>, წითელი ფერის ჯვრად. როდესაც ბ-ნმა ბურბონმა რომი აიღო<sup>2</sup>, ერთი მედროშე, რომელიც წმ. პეტრეს ციხესიმაგრის საგულშაგოზე იდგა, პირველივე განგაშის ხმაზე ისეთმა ძლიერმა შიშმა შეიპყრო, რომ დროშით ხელში ნანგრევის სვრელიდან პირდაპირ მოწინააღმდეგისაკენ გაიქცა; იგი დარწმუნებული იყო რომ ქალაქისაკენ, თავისიანებისაკენ გარბოდა. მისკენ მომავალმა ბურბონის ჯარისკაცებმა იფიქრეს რომ ეს ალყაში მყოფთა თავდასხმა იყო. მათ დანახვაზე მედროშე გონს მოეგო, შემობრუნდა და იმავე სვრელით დაბრუნდა ქალაქში, საიდანაც მხოლოდ იმიტომ გამოვიდა, რომ სამასზე მეტი ნაბიჯი გადაედგა მოწინააღმდეგის მიმართულებით ტრიალ მინდორზე. სამწუხაროდ ასე ბედნიერად არ დამთავრებულა მხედართმთავარ ყიულის მედროშის ამბავი. როდესაც გრაფმა დე ბიურმა და ბ-ნმა რეიმ სენზოლი აიღეს, მედროშე შიშისაგან იმდენად დაიბნა, რომ სათოფურიდან დროშით ხელში ქალაქიდან გაიქცა. მოწინააღმდეგის ჯარისკაცებმა იგი ნაკუწებად აქციეს; იმავე ალყის დროს მოხდა ერთი ყველასათვის დასამახსოვრებელი ამბავიც. ერთი აზნაური იმდენად შეიპყრო შიშმა და ისე ძლიერ შეეკუმშა გული, რომ მან სისხლი აღარ გაატარა, აზნაური მიწაზე დაეცა და მოკვდა. საბრალოს ერთი ნაკაწრიც კი არ ჰქონდა სხეულზე. მსგავსი შიში ზოგჯერ ხალხის მასასაც ეუფლება. გერმანიუსის<sup>3</sup> ერთ-ერთი ლაშქრობის დროს გერმანელთა წინააღმდეგ, რომელთა ორი დიდი რაზმი ისეთმა შიშმა შეიპყრო, რომ მეომრები ორი სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ; ერთი რაზმი სწორედ იმ მხარეს გაიქცა, საიდანაც მეორე გარბოდა. ზოგჯერ შიში ფრთებს ასხამს ჩვენი ფეხის ქუსლებს, როგორც ეს პირველი ორი შემთხვევის მაგალითზე ვნახეთ, ზოგჯერ კი პირიქით, გვამუხრუჭებს და ფეხებს გვიბორკავს; მემატინე აღმოგვცემს რომ, როდესაც იმპერატორი თეოფილე<sup>4</sup> აგარენებთან ბრძოლაში დამარცხდა, იგი იმდენად გაცოცხული და გახევებული იყო, რომ გაქცევის თავიც არ ჰქონდა *adeo, pavor etiam auxilia formidat*<sup>\*</sup>. ერთ-ერთმა მისმა მხედართმთავარმა სახელად მანუელმა მას მხრებში სტაცა ხელი, ძლიერ შეანჯღრია, თითქოს ღრმა ძილისაგან უნდოდა გამოღვიძებინა და ასე მიმართა: „თუ არ გამომყვებით იცოდეთ მოგკლავთ, რადგან უმჯობესია მოკვდეთ, ვიდრე სამეფო დაკარგული ტყვედ ჩავარდეთ“. ძლიერი შიში იმითაც გამოიხატება, რომ ზოგჯერ გვიბრუნდება ის სიმაძაცე, რომელიც მანვე დაგვაკარგვინა ჩვენი მოვალეობის შესრულების და საკუთარი ღირსების დაცვის დროს. ჰანიბალთან რომაელთა პირველი დიდი და-

\* შიში ჩვენში იმასაც კი თრგუნავს, რასაც შეეძლო დაგხმარებოდა. კვინტუს კურციუსი, III, 11.

მარცხების დროს, ჯარებს კონსული სემპრონიუსი მხედართმთავრობდა. რომაელთა ჯარი — ათი ათასამდე ქვეითი — ძლიერმა შიშმა შეიპყრო. ჯარისკაცებმა არ იცოდნენ როგორ დაედლიათ თავიანთი სიმხდალე; მოულოდნელად ისინი საოცარი ძალით ჯიქურ შეიჭრნენ მტრის შუაგულში და დიდი ზიანი ძიაცუნეს კართავენლებს. ამგვარად სემპრონიუსი ამ სამარცხვინო გაქცევის ხარალის ფასად ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპოვებდა.

შიშზე მეტად ასეთი რამ მაშინებს; მას სხვა უბედურებაზე მწვავედ განვიციდი.

ბევრ მათგანს, ვინც რომელიმე ბრძოლის დროს ძლიერ დაზარალდა, დაიჭრა ან, სისხლად დაიღვარა, კიდევ წაიყვანთ საბრძოლველად. მაგრამ ვინც მტრის შიშმა შეიპყრო, მათ მტრის შეხედვასაც ვერ აძლებთ. ვისაც მუდამ ქოხების დაკარგვის, გაძევების და დამონების შიში აქვს, დაუსრულებელი წუხილითა და სევდით ცხოვრობს. ასეთი ადამიანები კარგავენ ჭამისა და სმის შადას, ძილს. ხშირად ღარიბები, გაძევებულები, მონები, სხვა ადამიანებივით ბედნიერად ცხოვრობენ. რამდენმა ვერ გაუძლო შიშის ტანჯვას, თავი დაიხრჩო ან უფსკრულში გადაიჩეხა და თვალნათლივ დაგვარწმუნა, რომ შიში სიკვდილზე აუტანელი და მოსაბეზრებელია.

ბერძნები გამოყოფდნენ შიშის განსაკუთრებულ სახეს, რომელიც არ მომდინარეობს ჩვენი აზროვნების არასრულყოფილებიდან. მათი აზრით, ასეთ შიშს არ აქვს ხილული მიზეზი, მას ზეციური შთაგონება იწვევს. ეს უკანასკნელი ზოგჯერ მთელ ხალხს, მთელ ჯარს ეუფლება. ასეთი შიშის შეტევამ საოცარი სასოწარკვეთილება გამოიწვია კართაგენში. მთელ ქალაქში საზარელი ყვირილი და ხმები ისმოდა. მოქალაქეები როგორც განგამის ხმაზე ისე გაძობობდნენ სახლებიდან, ერთმანეთს თავს ესხმოდნენ, ჭრიდნენ, კლავდნენ, თითქოს ქალაქის ასაღებად მტერი შემოჭრილიყო. ყველგან არეულობა სუფევდა, ყველა გაშმაგებული იყო მანამდე, ვიდრე ლოცვებითა და მსხვერპლის შეწირვით ღმერთების რისხვა არ დააცხრეს. ბერძნები ასეთ შიშს პანიკურ შიშს უწოდებდნენ.

თაზი XVIII

ალამიანის ბედნიერებაზე მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ

Scilicet ultima semper

Exspectanda dies homini est, dicique beatus

Ante obitum nemo, supremaque funera debet\*.

ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა მეფე კრეზის ამბავი შემოგთავაზოთ, რომელიც ბავშვებმაც კი იციან. კრეზი ტყვედ ჩაიგდო კიროსმა და სიკვდილი ძიუსაჯა; განაჩენის სისრულეში მოყვანამდე კრეზიმ წამოიძახა: „ო, სოლონ! სოლონ!“ ეს ამბავი კიროსს მოახსენეს. იგი შეეკითხა ტყვეს რას ნიშნავდა ეს სიტყვები, კრეზიმ უპასუხა რომ იგი საკუთარ მავალითზე დარწმუნდა იმ

\* ადამიანი უნდა ელოდეს თავის უკანასკნელ დღეს; შეუძლებელია ვინმეზე თქვათ რომ იგი ბედნიერია ვიდრე არ დადგება მისი აღსასრულის დღე და არ აღსრულდება მისი დაკრძალვის წესი. ოვიდიუსი, მეტამორფოზები, III, 135.

სიტყვების ჭეშმარიტებაში, რომელიც ოდესღაც მან სოლონისაგან მოისმინა, სახელდობრ: „როგორც არ უნდა უღიმოდეს ბედი ადამიანს არ შეიძლება მას ბედნიერი ვუწოდოთ, მანამ, ვიდრე მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღე არ დადგება“. ზღამიანური ქსაჯნები ცვალებადი და მზავალფეროვანია, ერთი უმნიშვნელო ბიძგი მაშინვე ცვლის ერთ მდგომარეობას სხვა, სრულიად საპირისპირო მდგომარეობით. ერთი კაცი აგესილავს უმტკიცებდა, რომ სპარსეთის მეფე ბედნიერი იყო, რადგან ასე ახალგაზრდა განაგებდა ძლიერ სახელმწიფოს. „მართალი ბრძანდებით — უბასუხა აგესილავმ, მაგრამ ამ ასაკში არც პრიამე იყო უბედური“. დიდი ალექსანდრეს შთამომავალნი, მაკედონიის მეფეები, რომში დურგლები და სასამართლოს მდივნები იყვნენ; სიცილიის ტირახები — კორინთოში სკოლის მასწავლებლები; ნახევარი მსოფლიოს დამპყრობი და მრავალი ჯარის განმგებელი პომპეუსი ეგვიპტის ერთ-ერთი მეფის ყვეყნი მოხელეების წინაშე საბრალო მოხოვენლად იქცა. აი რად დაუჯდა დიდ პომპეუსს ხუთი-ექვსი თვით სიცოცხლის განხანგრძლივება! ჩვენ წინა თაობას ახსოვს მილანის მეათე ჰერცოგი, ლუდოვიკო სფორსი; მისი განმგებლობის დროს მრავალი წლის მანძილზე მთელი იტალია შიშით ძრწოდა. ჰერცოგი ათი წლის პატიმრობის შემდეგ ლომის ციხეში გარდაიცვალა. ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება მის სიცოცხლეში. განა ჯალათის ხელით არ მოკვდა უძმვენიერესი დედოფალი?, ქრისტიანული სამყაროს უძლიერესი სახელმწიფოს მეფის ქვრივი? რა საზიზღარი და ბარბაროსული გულჭვაობაა! მსგავსი მაგალითები მრავლადაა და როგორც ცის ქუხილი და ქარიშხალი უმხედრდება ჩვენი ნაგებობების სიამაყესა და ქედმაღლობას, ზემოთ მყოფ სულებსაც თითქოს შური ამოძრავებთო ზოგიერთ მიწიერ არსებათა დიდებულების წინააღმდეგ.

Usque adeo res humanas vis abdita quaedam  
 Obterit, et pulchros fasces saevasque secures  
 Proculcare, ac ludibrio sibi habere videtur\*.

ზოგჯერ ბედი თითქოს განგებ უთვალთვალებს ჩვენი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს, რათა მთელი თავისი ძლიერებით წარმოგვიდგეს და თვალის დახამბაძებაში დაამხოს ყველაფერი ის, რაც თავად ააგო წლების მანძილზე; ამის გამო ლაბერიუსის<sup>2</sup> მიზაძვით რომ წამოვიძახებთ ხოლმე: *Nimirum hac die una plus vixi, mihi quam vivendum fuit\*\**.

ამგვარად ყველა საფუძველი გვაქვს რათა ყურად ვიღოთ სოლონის ეს მშვენიერი აზრი, მით უფრო რომ მისთვის როგორც ფილოსოფოსისათვის ბედის წყალობა არაა ბედნიერება, ხოლო წყრომა — უბედურება. საზოგადოებაში ძალადი მდგომარეობა და გავლენა უმნიშვნელო შემთხვევითობებია. ვფიქრობ სოლონი მართლაც უფრო შორს იყურებოდა და უნდოდა ეთქვა, რომ ადამიანი არ უნდა მივიჩნიოთ ბედნიერად, — თუ ბედნიერებაში კეთილშობილი სულისათვის სიმშვიდე და კმაყოფილება იგულისხმება, ძლიერი სულისათვის კი სიმტკიცე და საკუთარი თავის განმგებლობა, — ვიდრე არ ვნახავთ როგორ გაითამაშებს იგი უკანასკნელ და უდავოდ ყველაზედ რთულ აქტს იმ კომე-

\* რაღაც იღუმალი ძალა ხელს უშლის ადამიანის საქმეებს; ჩანს საუცხოო ფასციების ფხქვეშ გაქვლა და მრისხანე ცულები მისთვის თავშესაქცევა. ლუკაციუსი, საგანთა ბუნებისათვის, V, 1233.

\*\* მე ერთი დღით მეტი ვიცხოვრე ვიდრე მეკუთვნოდა. მარკუსი, II, 7, 14—15.

დიისა, რომელიც მას წილად ხვდა. სხვა ყველაფერში ადამიანს შეიძლება ნი-  
ლაბი ჰქონდეს. ეს მშვენიერი ფილოსოფიური საუბრები მხოლოდ და მხო-  
ლოდ ჩვენს მიერ გამომუშავებული ქცევას; თუ შემთხვევები ძლიერ არ შე-  
ურაცხგვყოფენ ყოველთვის ვცდილობთ მშვიდი სახის გამომეტყველება შე-  
ვიხარჩუნოთ. მაგრამ ჩვენს უკანასკნელ როლში, სიკვდილის როლში, თვალთ-  
შაქცობის თავი აღარ გვაქვს, უნდა ვილაპარაკოთ გულწრფელად და გადმო-  
ვაპირქვაოთ ის, რაც ქოთნის ფსკერზეა.

*Nam verae voces tum demum pectore ab imo*

*Eiiciuntur, et eripitur persona, manet res\*.*

აი რატომაა ეს უკანასკნელი აქტი ჩვენი სიცოცხლის ყველა მოქმედების სა-  
სინჯი ქვა და გამოცდა. ეს უმაღლესი დღეა; იგი ყველა ჩვენი სხვა დღის  
მსაჯულია. „ეს ის დღეა, — ამბობს ერთი ძველი ავტორი, — რომელმაც უნდა  
გახსაჯოს ყველა ჩემს მიერ განვლილი წელი. სიკვდილისათვის მიმინდვია ჩემი  
ხამოლვაწარის ნაყოფის განსჯა. მაშინ გახდება ნათელი თუ საიდან მომდინა-  
რეობენ ჩემი სიტყვები — ენიდან თუ გულიდან. მე ვიცი მრავალი ადამიანი,  
რომელთაც თავის სიცოცხლეს სიკვდილით დაუმკვიდრეს კეთლი ან ბორო-  
ტი სახლი. სციპიონმა<sup>3</sup>, პომპეუსის სიმამრმა თავისი სიკვდილით გააბათილა  
ცუდი აზრი, რომელიც მასზე სიცოცხლეში ჰქონდათ. როდესაც ეპამინონდას<sup>4</sup>  
ჰკითხეს ვის უფრო მეტად აფასებდა ქაბრიას<sup>5</sup>, იფიკრატეს<sup>6</sup> თუ საკუთარ თავს,  
მან უპასუხა: „ეს საკითხი რომ გადავწყვიტოთ უნდა დაველოდოთ თითოეუ-  
ლი ჩვენგანის სიკვდილს“. მართლაც დიდად დავაკინებდით მის სახელს თუ  
მხედველობაში არ მივიღებდით მისი აღსასრულის დიდებულებასა და კეთილ-  
შობილებას.

ღვთის ნება შეუტყობადია. ჩემი თანამედროვე სამი უსაზიზღრესი ადამი-  
ანი, რომელიც კი მე ოდესმე მინახავს, ძალზედ სამარცხვინო ყოფით ცხოვ-  
რობდა. სამივე არამზადა ისე გარდაიცვალა, როგორც ეს პატიოსან და უმ-  
წიკვლო ადამიანებს შეჰფერით. სიკვდილი შეიძლება იყოს სახელოვანი და  
სასურველი. მე ვიცნობდი ერთ ადამიანს რომლის წარმატებების ძაფიც სი-  
კვდილმა იმ დროს გაწყვიტა, როდესაც მან თავისი ცხოვრების გზის უმაღლეს  
წერტილს მიაღწია. ჩემი აზრით, მისი სიკვდილი დიდებული იყო იმდენად  
რამდენადაც მის პატივმოყვარულ და თამამი ზრახვების კრახში უფრო იყო  
რალაც ამაღლებული, ვიდრე თავად ამ ზრახვებში. მან მიაღწია მიზანს რომ-  
ლისკენაც ილტვოდა, მაგრამ სიკვდილმა შეაჩერა. ეს აქტი მის სურვილსა და  
იძედზე უფრო დიდებული და მშვენიერი აღმოჩნდა; სიკვდილით მან უფრო  
ძეტი ძლიერება და სახელი მოიპოვა, ვიდრე ამაზე სიცოცხლეში ოცნებობდა.  
სხვათა სიცოცხლის შეფასებისას ყოველთვის მათ აღსასრულს ვითვალისწი-  
ხებ და ჩემი მეცადინეობის ძირითად მიზნად ჩემი სიცოცხლის კარგი, ანუ მშვი-  
დი და უჩინარი აღსასრული მიმაჩნია.

(გაგრძელება იქნება)

ფრანგულიდან თარგმნა **ლოლო ლაზუჩიძემ**

\* რადგან მხოლოდ მაშინ ბოლოს და ბოლოს გულის სიდრმიდან ამოიფრქვევა წრფელი  
სიტყვები, ჩამოიგლიჯება ნილაბი და დარჩება არსებითი. ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათ-  
ვის, III.

## შენიშვნები

### თავი IX

1. 1499 წელს ფრანგებმა დაიპყრეს მილანი. ზოგი დიდგვაროვანი დარჩა მილანის საჰერცოგოში. ამიტომ მილანელ აზნაურებს უძახდნენ. მილანელი აზნაური იყო მერვეცი რომელზეც მოგვითხრობს მონტენი.
2. ეს აბავი მოხდა 1533 წელს.
3. პაპი იულიანე II (1503—1513), საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XII (1498—1515); ინგლისის მეფე ჰენრი VIII (1509—1547).

### თავი X

1. პუაიე — ფრანგი იურისტი, საფრანგეთის კანცლერი 1538—42 წწ. ეს ამბავი 1533 წელს მოხდა.
2. კარდინალი ჟან დიუ ბელიე (1492—1560) — ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე.

### თავი XI

1. ანტონიო ლე ლეივა — ცნობილი ესპანელი მხედართმთავარი (კარლოს V-ის მეფობის დროს).
2. ფოსანო — ქალაქი პიემონტში (მხარე იტალიის ჩრდ. დასავლეთით). ეს ამბავი 1533 წელს მოხდა.
3. ტაგეტი — ეტრუსკთა ღვთაება, რომელმაც, თქმულების თანახმად, ეტრუსკებს მომავლის წინასწარმეტყველება ასწავლა.
4. XV—XVI სკ-ების ალმანახი. ეს იყო კალენდარი ასტროლოგიური წინასწარმეტყველებით.
5. იოაქიმ დელ ფიორე (1145—1202) — მისტიკოსი.

### თავი XII

1. ინდატირსი — სკვითების მეფე VI—V ქ. წ.
2. მონტენს მხედველობაში ჰყავს ლორენცო II (1492—1519).

### თავი XIII

1. მარგარიტა ნავარელი (1492—1549) — ნავარიის დედოფალი.

### თავი XIV

1. პაეის ალყა 1525 წ.
2. მარტინ დიუ ბელე (გარდ. 1559) — კარდინალ ჟან დიუ ბელეს ძმა, მემუარების ავტორი.

### თავი XV

1. ინგლისის მეფე ჰენრი VIII, 1544 წელს აიღო ბულონი.
2. ქარონდასი — ბერძნულ კოლონიათა კანონმდებელი სიცილიასა და კალაბრიაში, VII ს. ქ. წ.

### თაზი XVI

1. არქილამე III (361—338) ქ. წ. — აგესილავ II-ის ვაჟი, სპარტის მეფე, ცნობილი მხედართმთავარი.
2. პუბლიუს კრასუსი — კონსული 131 ქ. წ. რომელი პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი.

### თაზი XVII

1. მონტენის დროინდელი საფრანგეთის სამეფო დროშებზე გამოსახული იყო თეთრი ჯვარი, ხოლო ესპანელთა დროშების დიდ უმრავლესობაზე წითელი ჯვარი (კალატრაივსა და სანტიავოს ორდენთა სიმბოლო).
2. კარლოს V-ის ჯარებმა პრინც ბურბონის მხედართმთავრობით 1527 წელს რომი აიღეს.
3. გერმანიკუსი — რომელი მხედართმთავარი (დაახ. 16—19 წ. ქ. წ.),
4. თეოფილე — ბიზანტიის იმპერატორი (829—842).
5. მონტენს მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომელიც მოხდა კართაგენში IV სკ-ში ქ. წ.

### თაზი XVIII

1. მონტენს მხედველობაში ჰყავს მარიამ სტიუარტი (1542—1587), შოტლანდიის დედოფალი, საფრანგეთის მეფე ფრანსუა II ქვრივი.
2. ლაბერიუსი — რომელი მხედარი.
3. სციპიონი — რომელი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი.
4. ეპამინონდა — თებეს სარდალი (418—362 ქ. წ.).
5. ქაბრია — ათენის მხედართმთავარი (დაიღუპა 357 ქ. წ.).
6. იფიკრატე — ათენის სარდალი (გარდაიცვალა დაახ. 353 ქ. წ.).

## ინტერვიუ კარლ გუსტავ იუნგთან

1959 წელს — გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე — კარლ გუსტავ იუნგი (26.7. 1875, კესვილი, ბაზელის მახლ. — 6.6 1961, კიუსნახატი, ციურხი) ესაუბრა ჯონ ფრიმენს — ბი-ბი-სის ტელეკომპანიის წარმომადგენელს. ინტერვიუს საფუძველზე გადაღებულ იქნა ფილმი „პირისპირ კარლ გუსტავ იუნგთან“.

— პროფესორო იუნგ, რამდენი წელია, რაც ამ შესანიშნავ სახლში ცხოვრობთ, ციურხის ტბასთან?

— დაახლოებით ორმოცდაათი წელიწადი იქნება.

— ახლა, მგონი, თქვენთან ერთად მხოლოდ მდივნები და ინგლისელი მწე ქალი ცხოვრობენ...

— დიახ.

— შვილები და შვილიშვილები?..

— არა, ისინი აქ არ ცხოვრობენ, მაგრამ, ბევრნი არიან.

— ხშირად ჩამოდიან თქვენს სანახავად?

— დიახ.

— რამდენი შვილიშვილი გყავთ?

— ცხრაშვილი.

— შვილთაშვილი?

— ამჟამად რვა, და ერთიც, იმედია, სულ მალე მოვევლინება ამ ქვეყანას.

— განიჭებთ თუ არა სიხარულს მათი არსებობის ფაქტი?

— რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნო გრძნობაა ამდენი აღამიანის ყოლა გარშემო.

— როგორ ფიქრობთ, მათ ეშინიათ თქვენი?

— არ მგონია, ჩემი შვილიშვილებიც რომ არ იყვნენ, ალბათ, მაინც არ შეეშინდებოდათ ჩემი.

— ცხადია.

— ძალიან მიყვარს საჩუქრების გაკეთება მათთვის, ისინი ხშირად ჩემს ძველ ქუდებსაც კი იპარავენ.

— ახლა, თუ ნებას მომცემთ, თქვენს ბავშვობას დავუბრუნდეთ. ხომ არ გახსოვთ ის მომენტი, როდესაც პირველად გააცნობიერეთ თქვენი ინდივიდუალური მე?

— მეთერთმეტე წელიწადში ვიყავი. სკოლაში მივდიოდი. უეცრად გზაზე შევჩერდი. პირველად მაშინ ჩავფიქრდი ამ საკითხზე. მივხვდი, რომ არ ვიცოდი, არ მესმოდა თუ ვინ ვიყავი. მე ვარსებობ. მაგრამ, რას წარმოვადგენ მე? შემდეგ ჩავფიქრდი იმაზე, თუ ვინ ვიყავი, რას წარმოვადგენდი ადრე და აღმოვაჩინე, რომ მანამდე არასდროს მიცდია გამომეყო, გამომეცალკევე-



ბინა ჩემი თავი სხვა არსებებისა თუ საგნებისაგან. მე მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი არსება ვიყავი მრავალ სხვა საგანსა თუ არსებას შორის.

— თქვენი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდმა გამოიწვია ამგვარი აზრების წარმოშობა თუ ეს თავისთავად მოხდა?

— ძნელი სათქმელია... არ მახსენდება, რომ იმ მომენტამდე, ვიდრე ჩემი პიროვნების გაცნობიერებას შევეცდებოდი, რაიმე ისეთი მომხდარიყო, რაც ახსნიდა ამ ფაქტს.

— უსიამოვნება ხომ არ გქონიათ თქვენს მშობლებთან?

— არა.

— რა მსოგონებები გაქვთ მშობლებთან დაკავშირებით, მკაცრად, ძველ-ლულურ ყაიდაზე ხომ არ გზრდიდნენ?

— ჩემი მშობლები შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მორალური დოგმებით ხელმძღვანელობდნენ; მამაჩემი სოფლის მღვდელი იყო; ალბათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა ტიპის ადამიანები იყვნენ ისინი; გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მათ ისეთივე პრინციპები ჰქონდათ, როგორც ათასი წლის წინათ მცხოვრებ ადამიანებს.

— როგორ აისახებოდა მამათქვენის შეხედულებები თქვენს ურთიერთობაზე; მიმართავდა თუ არა იგი დასჯის მეთოდს?

— არა, არასდროს; იგი ძალიან ლიბერალური ადამიანი იყო, უაღრესად მომთმენი, ყოველთვის ესმოდა ჩემი.

— ვის უფრო ახლობლად თვლიდით, დედას თუ მამას?

— ძნელი სათქმელია... ცხადია, ადამიანისათვის ყველაზე ახლობელი პიროვნება დედაა, მაგრამ, როდესაც ჩემს ემოციებს ვაანალიზებ, ვხვდები, რომ მამასთან უკეთესი ურთიერთობა მქონდა, რადგან ყოველთვის შემეძლო მისი ქცევის წინასწარმეტყველება; დედაჩემი ყოველთვის ამოუცნობი, პრობლემატური პიროვნება იყო ჩემთვის.

— იყო თუ არა შიშის ელემენტი თქვენსა და მამათქვენის ურთიერთობაში?

— არავითარ შემთხვევაში.

— თვლიდით თუ არა, რომ მამათქვენი უნაკლო ადამიანი იყო, რომ იგი არასდროს ცდებოდა?

— არა, მე ვიცოდი რომ იგი ხშირად ცდებოდა.

— რამდენი წლის იყავით, როდესაც ამას მიხვდით?

— უნდა გავიხსენო... ვგონებ, თერთმეტი ან თორმეტი წლის ასაკში აღმოჩნდი იმ ფაქტის წინაშე, რომ მე ვიყავი, ვარსებობდი. მაშინ მიხვდი, რომ მამაჩემი ჩემგან სრულიად განსხვავებული პიროვნება იყო.

— შეიძლება თუ არა ითქვას, რომ საკუთარი მე-ს შეცნობის მომენტები თქვენს შემთხვევაში მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ფაქტის გაცნობიერებასთან, რომ თქვენი მშობლები ზოგჯერ ცდებოდნენ?

— დიახ, შეიძლება რომ ასე ითქვას. მაგრამ, მე ვაცნობიერებდი, რომ დედის მეშინოდა, მხოლოდ, დღისით არა. დღისით მე ვთვლიდი, რომ ძალიან კარგად ვიცნობდი მას და ვიცოდი, როდის როგორ მოიქცეოდა. ღამით კი მეშინოდა მისი.

— ხომ არ შეგიძლიათ გაიხსენოთ, რატომ, ან რა იყო თავისთავად ის შიში?

— ოდნავი წარმოდგენაც კი არა მაქვს, რატომ.

— რას იტყოდით სასკოლო პერიოდის შესახებ, — იყავით თუ არა ბედნიერი სკოლაში?

— პირველ ხანებში ძალიან ბედნიერი ვიყავი ახალი მეგობრების შექმნის ვაშო, რადგან მანამდე ძალიან მარტოდ ვგრძნობდი თავს, — ჩვენ ხომ სოფელში ვცხოვრობდით... არც ძმა მყავდა, არც და; და მხოლოდ მაშინ შემეძინა, თვრამეტი წლის რომ გავხდი. ამდენი სიმარტოვის შემდეგ მწყუროდა ურთიერთობები; სკოლა ამ მხრივ შესანიშნავი იყო. მაგრამ, მალე მომბეზრდა სოფლის სკოლა და ნელ-ნელა ჩამოვშორდი მას.

— კერძოდ რომელი რელიგიის მიმდევარი იყო მამათქვენი?

— ჩვენ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე აღვიზარდეთ.

— მოიახოვდა თუ არა მამათქვენი თქვენგან სისტემატურად ეკლესიაში სიარულს?

— ეს საკვებით ბუნებრივი იყო; მაშინ ყველა დადიოდა ეკლესიაში კვირაობით.

— გწამდათ ღმერთი?

— დიახ.

— ახლა გწამთ ღმერთი?

— ახლა?... რთული შეკითხვაა. ერთი რამ ვიცი: რწმენა არ ნიშნავს თავყანისცემას; დარწმუნებული ვარ ამაში.

— თქვენი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი იყო პროფესიის არჩევა, — რამ გადააწყვეტინათ ექიმი გამხდარიყავით?

— პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ეს ერთგვარად ბედს შევუვებული აღაძიანის არჩევანი იყო. სინამდვილეში მე მინდოდა გავმხდარიყავი არქეოლოგი, ასირიოლოგი, ეგვიპტოლოგი, ან რაიმე ამის მსგავსი. მე ხელმოკლედ ვცხოვრობდი, იქ სწავლა კი საკმაოდ ძვირი ღირდა. ჩემი მეორე ვატაცება იმხანად ბუნებისმეტყველება იყო, კერძოდ, — ზოოლოგია, ასე რომ, შევედი ეგრეთ-წოდებულ ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც საბუნებისმეტყველო საგნები ისწავლებოდა. მაგრამ, მალე მივხვდი, რომ მომავალი მხოლოდ სკოლის მასწავლებლის კარიერას მიქადდა. იმედი არ მქონდა, რომ უფრო შორს წასვლის რაიმე შესაძლებლობა გამიჩნდებოდა, რადგან ფული საერთოდ არ გამაჩნდა. ამან ჩამაფიქრა იმაზე, რომ სკოლის მასწავლებლობა არ იყო ჩემი შოწოდება, მე ეს არ მინდოდა... მასწავლებლობაზე არასდროს მიოცნებია. მაშინ გამახსენდა, რომ ბაბუაჩემი ექიმი იყო, თანაც, ვიცოდი, — თუ მედიცინის დაუფლებას შევუდგებოდი, შესაძლებლობა მექნებოდა ერთდროულად საბუნებისმეტყველო საგნებიც შემესწავლა და ექიმის პროფესიაც შემეძინა. ექიმს შეუძლია განუწყვეტლივ სრულყოფილი საკუთარი ცოდნა, შეიძინოს პრაქტიკა, მეტხაკლებად თავად განსაზღვროს საკუთარი მეცნიერული ინტერესები; ამასთან, ექიმობის შემთხვევაში მეტი შესაძლებლობა მექნებოდა ამესრულებინა სურვილი, რომელიც არ მასვენებდა, — კერძოდ, რაიმე სარგებლობა მომეტანა აღაძიანებისათვის. სკოლის მასწავლებლის შესაძლებლობები კი საამისოდ არასაკმარისად მეჩვენებოდა.

— მას შემდეგ, რაც გადაწყვიტეთ ექიმი გამხდარიყავით, გქონდათ თუ არა რაიმე სირთულეები სწავლის პროცესთან ან გამოცდების ჩაბარებასთან დაკავშირებით?

— მე... მივირდა ურთიერთობა ზოგიერთ მასწავლებელთან. ზოგ მათგანს არ სჯეროდა, რომ მე შემეძლო თუნდაც მარტივი სასკოლო თხზულების და-

წერა. ერთი შემთხვევა მახსენებდა: ჩვენს ერთ-ერთ მასწავლებელს ჩვევად ჰქონდა მოსწავლეთა წერიტი ნაშრომების საჯაროდ გარჩევა. იგი საუკეთესო ნაშრომიდან იწყებდა და თანამდევრობით ყველას განიხილავდა. მე სრულებითაც არ მიმაჩნდა, რომ ჩემი ნაწერი ყველაზე უკეთესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მასწავლებელს შეეძლო უბრალოდ ეთქვა, რომ ჩემი თხზულება ცუდი იყო. მან კი, როდესაც ყველა ნაშრომი შეაფასა, გამოაცხადა: „მხოლოდ ერთი თხზულება დარჩა. იგი იუნგს ეკუთვნის. ეს საუკეთესო ნაშრომი იქნებოდა, გადაწერილი რომ არ იყოს. დიახ, უბრალოდ საიდანღაც გადაწერილი, ძოპარული. თქვენ ქურდი ხართ. რომ ვიცოდე, საიდან მოიპარეთ, სკოლიდან გაგრიცხავდით“. მე მოთმინებიდან გამოვედი და ვუთხარი, რომ სწორედ ამ საკითხზე მქონდა ნაშუუფვარი ყველაზე მეტად, რადგან ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო თემა იყო, — თემა მართლაც საინტერესო იყო, მის მიერ შერჩეული სხვა თემებიდან კი სრულებით არ მინტერესებდა არც ერთი.

— შემდეგ მან მითხრა: „თქვენ მატყუარა ხართ, და თუ არ აღიარებთ, რომ ეს ნაშრომი მოპარულია, სკოლიდან გაირიცხებით“.

— ეს ძალიან სერიოზული ბრალდება იყო ჩემთვის, განა რა შეიძლებაოდა ყოფილიყო ამაზე მძიმე. მე შემძულდა ის პიროვნება. ვფიქრობდი, რომ ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც შეიძლებაოდა მომეკლა კიდევ, სადმე კუთხეში რომ შემხვედროდა, ძალიან მინდოდა სერიოზული მეჩვენებინა მისთვის.

— ახალგაზრდობაში ხშირად გამოგიყენებიათ ფიზიკური ძალა ადამიანის წინააღმდეგ?

— არა, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოთმინებიდან გამოვდიოდი... მაშინ ხელჩართული ვიბრძოდი ხოლმე.

— ხშირად გამოდიოდით მოთმინებიდან?

— არცთუ ძალიან ხშირად, — საბედნიეროდ.

— ფიზიკურად ძალიან ძლიერი უნდა ყოფილიყავით, რამდენადაც მე წარმომიდგენია?

— დიახ, საკმაოდ ღონიერი ვიყავი. სოფელში, გლეხის ბიჭებთან ურთიერთობისას რას არ გამოცდის ადამიანი... ჩემთვის საერთოდ მიუღებელი იყო ძალმომრეობა, უხეში ძალა; მეშინოდა კიდევ მისი. ამდენად, ყოველთვის ვცდილობდი თავი ამერიდებინა კრიტიკული სიტუაციისათვის. ერთხელ შეიძლი ბიჭი დამესხა თავს. მოთმინებიდან გამოვედი, ერთ-ერთს ფეხში ვწვდი და კარგა ხანს ჰაერში ვატრიალებდი; შემდეგ კიდევ ოთხს შევუტეე და წავაქციე. აქის შემდეგ კი დავმომშინდი.

— ამ შემთხვევას რაიმე უსიამოვნება ხომ არ მოჰყოლია?

მე ვიტყვოდი რომ მოჰყვა. იმ დღიდან გარშემო ყველას ეჭვი ჰქონდა, რომ ყოველგვარი უბედურების მიზეზი ვიყავი. სინამდვილეში ეს ასე არ იყო, მაგრამ, ბიჭებს კი ეშინოდათ ჩემი და მას შემდეგ აღარავინ დამსხმია თავს.

— მიიღეთ რა ექიმის კვალიფიკაცია, რამ განაპირობა თქვენი ფსიქიატრობა?

— ეს საინტერესო მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში, როდესაც მე პრაქტიკულად დავამთავრე სწავლა და არ ვიცოდი, რა მინდოდა ვყოფილიყავი რეალურად, დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ გავყოლოდი ერთ-ერთ ჩემს პროფესორს, რომელსაც ახალი თანამდებობა შესთავაზეს მიუნჰენში. მას უნდოდა ძისი ასისტენტი ვყოფილიყავი და მაშინ, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მე დამამთავრებელი გამოცდებისათვის ვემზადებოდი, ხელში ჩამივარდა ერთი

წიგნი — ფსიქიატრიის სახელმძღვანელო. მანამდე ფსიქიატრიაზე არასდროს ძიფიქრია, ვინაიდან, ჩვენი პროფესორის აზრით, ეს სრულიად უინტერესო სფერო იყო. წიგნის შესავალში საუბარი იყო ფსიქოზზე, როგორც პიროვნების მიერ სოციალური ადაპტაციის უნარის უქონლობაზე. პირველივე გვერდებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე. მაშინ მივხვდი, რომ ფსიქიატრი უხდა გავმხდარიყავი, იმ მომენტში მთელი არსებით ვგრძნობდი ამას.

— ჩემი პროფესორისათვის სრულებით გაუგებარი იყო, თუ რატომ ავირჩიე ფსიქიატრია და რატომ ვთქვი უარი გავყოლოდი მას. გაიცოცეს ჩემმა მეგობრებმაც, რადგან იმ პერიოდში ფსიქიატრია არაფრად მიაჩნდათ. და ერთ დღეს მე ვიგრძენი, რომ მეძლეოდა უდიდესი შესაძლებლობა: თავად ჩემში შერწყმილიყო სრულიად კონტრასტული ინფორმაცია, გაერთიანებულიყო ძეცნიერების სხვადასხვა დარგები, — მე ხომ მედიცინისა და საბუნებისმეტყველო საგნების გარდა მუდმივად ვსწავლობდი ფილოსოფიის ისტორიასა და სხვა მსგავს საგნებს. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ორი, აქამდე დამოუკიდებელი ნაკადი უერთდებოდა ერთმანეთს.

—სპეციალობის არჩევის შემდეგ რამდენ ხანში მიხვედით იმ აზრამდე, რომ ფროიდი უნდა გაეცნოთ?

— ეს სურვილი მაშინ გამიჩნდა, როდესაც სწავლას ვამთავრებდი, მაგრამ კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ფროიდს პირადად შევხვდებოდი. სწავლა 1900 წელს დავამთავრე, ფროიდს კი გაცილებით გვიან შევხვდი. 1900 წლისათვის უკვე წაკითხული მქონდა მისი ნაშრომები სიზმრების ახსნის, აგრეთვე, ისტერიის შესახებ. მაგრამ, ფაქტიურად მაინც უწიგნური ვიყავი ამ სფეროში. მხოლოდ 1907 წელს გავიცანი ფროიდი პირადად.

— ხომ ვერ მეტყოდით, როგორ შედგა თქვენი პირველი შეხვედრა ფროიდთან?

— მე დავწერე წიგნი ე. წ. შეძენილი გონებასუსტობის შესახებ, — ასე უწოდებდნენ მაშინ შიზოფრენიას. წიგნი ფროიდს გავუგზავნე, ამას კი ჩვენი ხაცნობობა მოჰყვა. ორი კვირით გავემგზავრე იენაში, სადაც შედგა მრავალი განხილვითი, გულწრფელი და მრავლისმომცველი საუბარი ჩვენს შორის.

— რამდენადაც ვიცი, ეს გულწრფელი საუბრები მეგობრობაში გადაიზარდა?

— სწორი ბრძანდებით, ჩვენ მალე დავმეგობრდით.

— რა ტიპის ადამიანი იყო ფროიდი?

— იგი რთული ადამიანი იყო, მე მას დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ, მალე მივხვდი, რომ მისთვის საკმარისი იყო ერთხელ გასჩენოდა რაიმე აზრი, რომ აღარასდროს დაეყენებინა იგი ეჭვქვეშ, მაშინ, როდესაც მე მუდამ ეჭვები ძღრღნიდა. თითქმის შეუძლებელი იყო მასთან რაიმე საკითხზე მსჯელობა. მას არ ჰქონდა ფილოსოფიური განათლება. მე კი ვსწავლობდი კონტის ფილოსოფიას, ღრმად ვანალიზებდი მას... ეს კი ძალიან შორს იყო ფროიდისაგან. ჩვენი მოსაზრებები ურთიერთობის დასაწყისშივე ძლიერ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

— იქნებ თქვენი გზები ნაწილობრივ იმიტომაც გაიყარა მოგვიანებით, რომ ტემპერამენტის განსხვავებული ტიპებიდან გამომდინარე თქვენ სხვადასხვაგვარად უდგებოდით ექსპერიმენტული დასაბუთებისა და სხვა საკითხებს?

— რასაკვირველია, ტემპერამენტის განსხვავებულ ტიპს ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი მიდგომა სრულიად განსხვავებული იყო ჩემი

ძიღვომისაგან, რადგან მისი პიროვნება განსხვავდებოდა ჩემი პიროვნებისაგან. ამგვარმა განსხვავებულობამ მოგვიანებით, ფსიქოლოგიური ტიპების კვლევისას ჩამაფიქრა იმაზე, რომ სხვადასხვა ადამიანები განსხვავებული ატიტუდებით ხასიათდებიან, ერთსა და იმავე საკითხს ადამიანები სრულიად სხვადასხვაგვარად აღიქვამენ, — ეს თავად ადამიანის ტიპზეა დამოკიდებული. ცხადია, ჩემსა და ფროიდის შორისაც არსებობდა ამგვარი განსხვავება.

— თვლით თუ არა, რომ ფროიდის ექსპერიმენტების სანდოობის დონე შედარებით დაბალი იყო, ვიდრე თქვენი ექსპერიმენტებისა?

— თქვენ ჩემგან შეფასებას მოითხოვთ... მე ამ მხრივ არა ვარ კომპეტენტი... მე არ შემიძლია საკუთარი ისტორიოგრაფი ვიყო... რაც შეეხება ცალკეულ შედეგებს, ვფიქრობ, ჩემს მეთოდს გარკვეული ღირსებები გააჩნია.

— ჩაუტარებია თუ არა თავად ფროიდს თქვენთვის ოდესმე ანალიზი?

— დიახ, საკმაოდ ბევრი სიზმარი გაიმინდვია მისთვის, ასევე მას ჩემთვის.

— მასაც მოუყოლია თავისი სიზმრები?

— დიახ.

— მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ხომ არ გახსოვთ, რა იყო ფროიდის სიზმრებისათვის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც თქვენ მაშინ შენიშნეთ?

— მე... არ შემიძლია გიპასუხოთ ამ შეკითხვაზე, ვთვლი, რომ ეს პროფესიული საიდუმლოა.

— კი მაგრამ, ის ხომ დიდი ხნის წინ გარდაიცვალა...

— დიახ, მაგრამ ჩვენი პრინციპები უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე თავად ჩვენ... უმჯობესია ამ საკითხზე არ ვისაუბროთ.

— თუ ნებას მომცემთ, კიდევ ერთ შეკითხვას დავისვამთ თქვენს თავშეკავებულობასთან დაკავშირებით, — მართალია თუ არა, რომ თქვენთან ინახება ფროიდის მრავალი გამოუქვეყნებელი წერილი?

— დიახ, მართალია.

— როდის აპირებთ მათ გამოქვეყნებას?

— ყოველ შემთხვევაში, არა ჩემი სიცოცხლის პერიოდში.

— მათი შემდგომი გამოქვეყნების წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

— არა, სრულებითაც არა.

— მათ ხომ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ...

— მე ასე არ ვფიქრობ.

— რატომ არ გამოაქვეყნეთ ისინი დღემდე?

— ისინი არ არიან ჩემთვის მნიშვნელოვანი, მე ვერ ვხედავ მათ კონკრეტულ ღირებულებას.

— ისინი პირად საკითხებს ეხება?

— მხოლოდ ნაწილობრივ... მაგრამ, ამის გამო მე არ ვიქნები მათი გამოქვეყნების წინააღმდეგი.

— თუ შეიძლება, დავუბრუნდეთ იმ პერიოდს, როდესაც თქვენი და ფროიდის გზები საბოლოოდ გაიყარა. ვფიქრობ, ამის მიზეზი ნაწილობრივ თქვენი წიგნის გამოქვეყნებაც იყო არაცნობიერის ფსიქოლოგიის შესახებ. ხომ არ ვცდები?

— თქვენ სწორი ბრძანდებით. ნამდვილი მიზეზი სწორედ ეს იყო.

— მანამდე არ ყოფილა საამისო მიზეზი?

— მე მინდოდა მეთქვა, რომ ეს საბოლოო მიზეზი იყო. ამ მომენტს წინ უსწრებდა ხანგრძლივი „მოსამზადებელი პერიოდი“, ჩვენი აზროვნების სტილი თავიდანვე ძლიერ განსხვავდებოდა, მე არ შემეძლო დავთანხმებოდი მას ძრავალ საკითხში.

— კერძოდ რომელ საკითხებს გულისხმობთ?

— ძირითადად მის ვიწრო პიროვნულ მიდგომას და მის მიერ ადამიანის გახვითარების ისტორიული პირობების უგულებელყოფას. ჩვენ დიდად ვართ დამოკიდებულნი ჩვენს ისტორიაზე... ჩვენს ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ახდენს განათლება, მშობლები, — რაც, უდავოდ, ყოველთვის პიროვნულია. ადამიანთა წინასწარგანწყობებს ისტორიული იდეები ქმნიან, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ჩვენზე. ამ ისტორიულ იდეებს მე „დომინანტებს“ ვუწოდებ. ისინი ფსიქოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც დღეს და გუშინ არ ჩამოყალიბებულა. დომინანტები კაცობრიობის ხნისანი არიან.

— ფსიქოლოგურ შემთხვევებზე თქვენმა კლინიკურმა დაკვირვებებმაც ხომ არ გახსპირობა ფროიდთან შეუთანხმებლობა?

— ეს ნაწილობრივ განაპირობა შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებთან მუშაობისას ჩემს მიერ დაგროვილმა გამოცდილებამ, რომლის ანალიზმაც მიმიყვანა ზოგადი ისტორიული პირობების იდეამდე.

— არსებობს თუ არა რომელიმე კონკრეტული შემთხვევა, რომლის შესახებაც ახლა, ამდენი ხნის შემდეგ შეგიძლიათ თქვათ, რომ მან განაპირობა თქვენი მსოფლმხედველობის რადიკალური ცვლილება?

— რასაკვირველია... ჩემს პრაქტიკაში საკმაოდ ბევრი ისეთი შემთხვევა მქონია, რომელსაც ამ გზაზე უნდა დავეყენებინე. თავის დროზე ვაშინგტონშიც კი ვავემგზავრე, ზანგების ფსიქიატრიულ კლინიკაში სამუშაოდ, — მაინტერესებდა, იგივე ტიპის სიზმრებს ხედავდნენ თუ არა ზანგები, როგორსაც ჩვენ. ამან, და მრავალმა სხვა შემთხვევამ წარმოშვა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ჩვენს ფსიქიკაში არსებობს არაპიროვნული შრე. შემიძლია ერთი უმნიშვნელოვანესი შემთხვევაც გავიხსენო: პალატაში ერთი შიზოფრენიით დაავადებული პაციენტი გვყავდა. იგი გარეგნულად საკმაოდ მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ, პიროვნების გაორებით იტანჯებოდა. მაშინ უკვე ოცი წელიწადი სრულდებოდა, რაც იგი კლინიკაში იმყოფებოდა. სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც საავიაციოფოში მოხვდა. არავითარი სპეციალური განათლება არ ჰქონია მიღებული. ერთხელ პალატაში შესულს ძლიერ აღელვებული დამხვდა, დამიძახა, პიჯაკზე მომეჭიდა, ფანჯარასთან მიმიყვანა და მითხრა: „ექიმო! ახლა, ახლა ხედავ? შეხედე! ახედე მაღლა მზეს და დააკვირდი, როგორ მოძრაობს... შეხედე, შენი თავიც მასავით მოძრაობს... იგი მზის მოძრაობას იმეორებს... შეხედე... ეს მოძრაობა წარმოშობს ქარს... ხედავ, როგორ მოძრაობს მზე. ზუსტად ისე, როგორც შენ ამოძრავებ თავს, ხან ერთ მხარეს იხრება, ხან მეორეს.

ცხადია, მაშინ ამ ფაქტისათვის დიდად არ მიმიქცევია ყურადღება. ერიპა, — გავიფიქრე, — ეს კაცი სულ მთლად შეშლილია მეთქი, მაგრამ, თავისთავად ეს შემთხვევა ღრმად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ოთხი წლის შემდეგ კი წავაწყდი გერმანელი ისტორიკოსის, დიტრიხის სტატიას, რომელიც ეხებოდა ეგრეთ წოდებულ მიტრასის ლიტურგიას; სტატიაში ავტორს

მოჰყავდა ციტატა ამ ლიტურგიიდან, რომელშიც ნათქვამი იყო: „აღვლენთ რა ლოცვას ხელმეორედ, თქვენ დაინახავთ, როგორ გაიხსნება მზის დისკო, დაინახავთ მზის დისკოდან გამოსულ მილს, რომელიც წარმოშობს ქარს. თუკი სახეს აღმოსავლეთისაკენ შეაბრუნებთ, იგი თქვენთან ერთად იმოძრავეს, ხოლო როდესაც სახეს დასავლეთისაკენ შეაბრუნებთ, — იგი კვლავ თქვენ გამოგყვებათ“.

— რატომ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენი პაციენტი ვინმეს მიერ ოდესღაც ნათქვამს არ აღადგენდა მესსიერებაში არაცნობიერად?

— არა, ეს სავსებით გამორიცხულია; ცერემონიული სრულიად უცნობი იყო. მანამდე არავის გამოუქვეყნებია რაიმე მის შესახებ. სტატია მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გამოქვეყნდა იმ დღიდან, რაც ჩემი პაციენტი მესაუბრა ამის თაობაზე.

— თქვენი აზრით, ეს ფაქტი ამტკიცებს იმას, რომ არაცნობიერი მოიცავს უფრო ფართო ელემენტს, ვიდრე პიროვნულია?

— არა, ეს არ ყოფილა ჩემთვის დამამტკიცებელი საბუთი. ეს იყო მხოლოდ მათითება, რჩევა, რომელიც მე მივიღე და გამოვიყენე.

— მითხარით, თუ შეიძლება, როგორ გადაწყვიტეთ მუშაობის დაწყება ფსიქოლოგიურ ტიპებზე. რომელიმე კონკრეტული კლინიკური შემთხვევის შედეგად ხომ არ მოხდა ესეც?

— ამ შემთხვევაში მე სრულიად პიროვნული მიზანი მამოძრავებდა, კერძოდ, მინდოდა სამართლიანად შემეფასებინა ფროიდისა და ადლერის ფსიქოლოგია, მეპოვნა ჩემი გზა. ეს სურვილი დამეხმარა იმაში, რომ დამედგინა, თუ რატომ ჩამოაყალიბა ფროიდმა სწორედ ასეთი თეორია, თუ რატომ იყო ადლერის თეორია, მისი ძირითადი პრინციპები სწორედ ამგვარი.

— ხომ არ დაგიდგენიათ, თუ რომელ ფსიქოლოგიურ ტიპს მიეკუთვნებით პირადად თქვენ?

— ცხადია, დიდი ენერჯია შევალე ამ ჩემთვის მტკივნეული საკითხის შესწავლას.

— მიხვედით რაიმე დასკვნამდე?

— საქმე ის არის, რომ ფსიქოლოგიური ტიპი არ არის სტატიკური ფენომენი, იგი ცხოვრების მანძილზე იცვლება. მაგრამ, მე, შეიძლება ითქვას... ბუნებით ვიყავი მიდრეკილი ფიქრისაკენ, საკმაოდ კარგად მქონდა განვითარებული ინტელიცია... მქონდა გარკვეული პრობლემები ემოციებთან დაკავშირებით; ვარდა ამისა, ჩემი დამოკიდებულება რეალობასთან არ იყო საუკეთესო. ჩემთვის ხშირად ბუნდოვანი იყო სხვადასხვა საგნების, ადამიანებისა და მოვლენების რეალობა. მე ვფიქრობ, საკმაოდ სრული მასალა მოგაწოდეთ... დიაგნოზისათვის.

— 30-იან წლებში, გერმანელ პაციენტებთან მუშაობისას თქვენ იწინასწარმეტყველეთ, რომ მოსალოდნელი იყო II მსოფლიო ომის დაწყება. უკვირდებით რა დღევანდელ სამყაროს, ხომ არ ფიქრობთ, რომ III მსოფლიო ომი მოსალოდნელი?

— მე არ მაქვს ხელთ ამის მომასწავებელი კონკრეტული ნიშნები. იმდენი სიმპტომის, იმდენი ნიშნის ანალიზი მიწევს, რომ ამჟამად მიძნელებდა რაიმე ცალკე გამოყოფა და განვსაზღვრო, თუ რა არის უბრალოდ სიზმარი და რა ჭეშმარიტება. ძალიან რთულია ამის წინასწარ დადგენა. სიზმრებში ხშირად შეკავნდება ადამიანთა ცუდი წინათგარძნობები, მაგრამ, ძნელია გადაჭრით

ითქვას, მიუთითებენ თუ არა ისინი ომის დაწყების საშიშროებაზე, რადგან ეს აზრი ძალიან ხშირად ფიგურირებს ადამიანთა აზროვნებაში. II მსოფლიო ომის შემთხვევაში პროგნოზირება გაცილებით იოლი იყო, რადგან ხალხი მაშინ არ ფიქრობდა ომზე, ამდენად, სრულიად აშკარა იყო, თუ რას ნიშნავდა ძატი სიზმრები. ახლა კი ვითარება შეიცვალა, ჩვენ იმდენად დაგვეუფლა ცუდი წინათვრძნობები და შიში, რომ ფაქტიურად შეუძლებელია გავარკვიოთ, თუ რის მომასწავებელია ისინი. ერთი რამ კი ცხადია: აუცილებელია ჩვენი ფსიქოლოგიური ატიტუდების სერიოზული შეცვლა.

— რატომ?

— ჩვენ მეტი გვეჭირდება; გვესაჭიროება მეტი ფსიქოლოგია, უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ ადამიანის ბუნებას, რადგან, ერთადერთი რეალური საფრთხე, რომელიც დღესდღეობით გვემუქრება, — თავად ადამიანია. იგი უდიდეს საშიშროებას უქმნის საკუთარ თავსაც და სხვებსაც; ჩვენ კი, მართლაცდა გულსაკლავ მდგომარეობაში ვართ და ვერც კი ვაცნობიერებთ ამ ფაქტს. ჩვენ, ფაქტიურად, არაფერი ვიცით ადამიანის შესახებ. ის, რაც ადამიანის შესახებ ცნობილია ჩვენთვის, — მხოლოდ წვეთია ზღვაში. ჩვენი ფსიქიკა სერიოზულ შესწავლას საჭიროებს, რადგან თავად ჩვენვე ვართ ყოველივე ბოროტების სათავე.

— ფიქრობთ თუ არა, რომ ადამიანის ცნობიერებაში აუცილებლად უნდა არსებობდეს ცოდვისა და ბოროტების ცნებები, არის თუ არა ეს ჩვენი ბუნების ნაწილი?

— რასაკვირველია.

— იგივეს იტყვით მხსნელის ცნების შესახებაც?

— პირველი ორი ცნების არსებობა თავისთავად გარდაუვალს ხდის მხსნელის ცნების არსებობას.

— გაქრება თუ არა ეს ცნება მაშინ, როდესაც ჩვენ უფრო გონიერნი გავხდებით, აქვს თუ არა ამ ცნებას დაძოვნილებელი არსებობის უნარი?

— არ მჯერა, რომ ადამიანმა ოდესმე შეცვალოს თავისი ბუნების თავდაპირველი მოდელი. ამგვარი აზრები ყოველთვის იარსებებს. თუკი ადამიანს არ სჯერა, დავუშვათ, ე. წ. განსხვავებული „მხსნელისა“, — როგორც ეს ხდებოდა ჰიტლერის შემთხვევაში ან რუსეთში, პიროვნების კულტის დროს, — მაშინ არსებობს უბრალოდ იდეა, — სიმბოლური იდეა.

— ოდესღაც თქვენ რამოდენიმე ისეთი წინადადება დაწერეთ სიკვდილის შესახებ, რომლებმაც, ცოტა არ იყოს, გამოაცეს. კერძოდ, თქვენ წერდით, რომ ფსიქოლოგიურად სიკვდილი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დაბადება და რომ სიკვდილი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია; მაგრამ, მე ვფიქრობ, ის არ შეიძლება სიცოცხლის ნაწილი იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ მას სხვა სახელს ვუწოდებთ.

— ცნადია, სიკვდილი არ არის დასასრული, მითუმეტეს, რომ ჩვენ ზუსტად არც ვიცით, თუ რას ნიშნავს დასასრული; არსებობს ფსიქიკის განსაკუთრებული სფეროები, რომლებიც არ არის შეზღუდული სივრცითა და დროით; თქვენ შეიძლება დაგესიზმროთ მომავალი მოვლენები, ან გქონდეთ ხილვა ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა წინასწარ განჭვრიტოთ ხვალინდელი დღე და სხვა. მხოლოდ უმეტრები უარყოფენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც სრულიად აშკარაა, რომლებიც მუდამ არსებობდნენ და არსებობენ ხალხის გა-



ძოცდილებასი. ამგვარი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ფსიქიკა, ნაწილობრივ მაინც, თავისუფალია სხვადასხვა შეზღუდვებისაგან; აქედან კი გამომდინარეობს, რომ თუკი ფსიქიკა არ არის „ვალდებული“ იარსებოს მხოლოდ და მხოლოდ დროისა და სივოცით გააზოძილებებში, — და რა თქმა უნდა, ასე არც ხდება, — მაშინ იგი ამ განზომილებათა კანონებზეც არ უნდა იყოს დამოკიდებული, ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ სიცოცხლე პრაქტიკულად გრძელდება, როგორც ფსიქიკური არსებობა დროისა და სივრცის მიღმა.

— თავად თქვენ რისი გწამთ? გჯერათ, რომ გარდაცვალება ნამდვილად არ არის დასასრული?

— იცით, მე ცოტა სხვაგვარი, უფრო რთული ურთიერთობა მაქვს სიტყვებთან „რწმენა“, „დაჯერება“. მე არ შემიძლია უბრალოდ დავიჯერო რაიმე. გარკვეული საფუძველი უნდა მქონდეს იმისათვის, რომ ესა თუ ის ჰიპოთეზა სარწმუნოდ ჩავთვალო. ხოლო, თუკი მე უკვე მაქვს ინფორმაცია, თუკი ხელთ მაქვს ფაქტი, მაშინ აღარც მჭირდება დაჯერება. მე არ შემიძლია მივცე ჩემს თავს უფლება ვირწმუნო რაიმე მხოლოდ და მხოლოდ რწმენის ხაზით... მაგრამ, როდესაც ამა თუ იმ ჰიპოთეზას გააჩნია სარწმუნო დამამტკიცებელი საბუთები, მე ცხადია, მივიღებ ამ საბუთებს. ვფიქრობ, წინასწარ არასდროს არ უნდა გამოვრიცხოთ რაიმე შესაძლებლობა.

— თქვენ გითქვამთ, რომ გარდაცვალება საბოლოო დანიშნულების ადგილად, საბოლოო მიზნად უნდა მივიჩნიოთ, რომ სიცოცხლის გასახანგრძლივებლად თავად ეს სიცოცხლე უნდა გავხადოთ სასარგებლო, უნდა ვიპოვოთ ჩვენი დანიშნულება ცხოვრებაში. რას გვიჩვენებთ, როგორ შეიძლება დავეხმაროთ ადამიანებს ირწმუნონ თქვენი სიტყვები, თუკი უმეტესობა მათგან ღრმად არის დარწმუნებული, რომ სიკვდილი „კინოფილმის“ დასასრულია?

— ამ მხრივ მე ბევრ მოხუცს დავეხმარე. ძალიან საინტერესოა, თუ როგორ იღებს ჩვენი ცნობიერება იმ ფაქტს, რომ სიცოცხლე დასასრულს მიუახლოვდა, რომ დადგა გარდაცვალების უამი, — იგი ყურადღებას არ აქცევს ამ ფაქტს; სიცოცხლე ისე „იქცევა“, თითქოს მისთვის დასასრული არც კი არსებობდეს... და, ამდენად, მე ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნება, თუკი ყველა ადამიანი უბრალოდ იცხზვრებს, დატკბება სიცოცხლით, იმედის თვალით შეხედავს მომავალს, ხვალინდელ დღეს, სწორედ ისე, თითქოს წინ საუკუნო სიცოცხლე ელოდეს... მაშინ იგი ალბათ მიაგნებს ცხოვრების სწორ გზას. როდესაც ადამიანს შიშის გრძნობა ეუფლება, როდესაც იგი ხვალინდელ დღეზე ფიქრის ნაცვლად გასულ ცხოვრებას მისტირის, იგი იბოჭება, კარგავს ადამიანისათვის აუცილებელ სასიცოცხლო თვისებებს და უფრო ადრე იღუპება. ადამიანი მხოლოდ მაშინ ცოცხლობს ამ სიტყვის სწორი გაგებით, როდესაც იგი ყოველ წუთს, ყოველ წამს დიდი და საინტერესო თავგადასავლის მოლოდინშია. სწორედ ამის გაკეთება უჭირს ადამიანის ცნობიერებას. ცხადია, სიკვდილი ყველა ჩვენთაგანს ეწვევა ოდნემე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში ჩვენ მაინც გვწამს უკვდავებისა. ეს ფაქტია, უდავო ფსიქოლოგიური ფაქტი. ცხადია, შეიძლება მკითხოთ, მიმაჩნია თუ არა ეს ფაქტი რაიმეს დამამტკიცებელ საბუთად? — ამაზე მე გიპასუხებთ: მე უბრალოდ ვიცი, რომ ეს ჭეშმარიტებაა. მაგალითისათვის, შესაძლოა მე არ ვიცოდე, თუ რატომ საჭიროებს ჩვენი ორგანიზმი მარტოს, მაგრამ, ჩემთვის ცნობილია ფაქტი, რომ ჩვენ ვხმარობთ მარტოს საკვებში, რადგან ასე უკეთ ვგრძნობთ თავს. ამდენად, როდესაც ადამიანი ბუნებრივად ფიქრობს, იგი გაცილებით უკეთ გრძნობს

თავს... ჩემი აზრით, იგი მაშინ აზროვნებს სწორად, როდესაც მისი აზროვნების სტილი ჰარმონიულად ერწყმის ბუნების კანონზომიერებებს.

— აქედან გამომდინარე, მინდა დავისვათ უკანასკნელი შეკითხვა. ჩვენი სამყარო ტექნიკურად სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება და თითქოს ადამიანებისათვის დღითი დღე აუცილებელი ხდება ერთობლივი, კოლექტიური მოქმედება. მიგაჩნიათ თუ არა დასაშვებად, რომ ადამიანის განვითარების უმაღლეს ეტაპზე კოლექტიურმა ცნობიერებამ დათრგუნოს პიროვნება?

— მე მგონი, ეს შეუძლებელია. ამას აუცილებლად რეაქცია მოჰყვება, — ამგვარი კომუნალური დისოციაციის საწინააღმდეგო რეაქცია; ადამიანი სრულებით ვერ ეგუება მისი პიროვნების უგულებელყოფას. ოდესმე აუცილებლად იქნება რეაქცია, მე ამას თითქოს წინასწარ ვხედავ... ჩემი პაციენტები მახსენდებიან, — თითოეული მათგანი ცდილობს რაიმეთი დაამტკიცოს თავისი არსებობა, ისინი მთელი არსებით წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ შეერწყან არარაობას, ან უაზრობას. ადამიანს არ შეუძლია უმიზნოდ, უსაგნოდ ცხოვრება...

ინგლისურიდან თარგმნა ია ელშაშვილმა

ფაბი 2 მან.

6100/105.



საქართველოს  
ანდექსი 26195915